პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მერვე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
და
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან და მის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—68
) ღამის მორიგეს 13—30.

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპექ., № 34, ტელეფონი № 8—81.
ხელისმოწერის ფასი:
მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების, წითელ-არმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან. და 30 კაპ.
განცხადებები:
საქართველოს ფარგლებში— ტექსტის უკან—80 კ. ნონპარელის სტრიქონი, ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კ.; საქართველოს გარეთ—ტექსტის უკან—1 მ. 50 კ., ტექსტში—3 მ.; განცხადებელი გარდა განცხადების ფასისა იხდის 10% საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად-შეღავათი შეთანხმებით. მთ. კანტორაში განცხადებები მიიღება 9—3½ ს., 3½ ს. შემდეგ განცხადება ელირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15 და 20 მ.

პარასკევი, 27 ივლისი 1928 წ.
ყოველდღიური გაზეთი
ფასი 5 კაპ. № 172 (2215)

დღიური

- მექსიკის კომპარტიის მოწოდება.
- ბელა კუნი ციხიდან განთავისუფლების შემდეგ საბჭოთა კავშირში ჩამოვა.
- დიეგო რივერას მოხსენება საბჭოთა კავშირის შესახებ.
- სამხრეთ-სლავიის კაბინეტის შედგენა დაევალა ხორვატების ლიდერს კოროშეცს.
- ჩემბერლენის განცხადება რეინის ოლქის დაცლის შესახებ.
- ახლო ხანში სტამბოლში ჩავა პილსუდსკი.
- საბჭოთა ყინულის მჭრელი გემი „მალიგინი" დაბრუნდა არხანგელსკში.

პარასკევს, 27 ივლისს, საღამოს 6 საათზე
ამხ. ორჯონიკიძის სახელობის საზაფხულო კლუბში
(ყოფ. მუშტაიდი) მოწვეულია
თბ. მუშათა და წით.-არმ. დეპუტატების საბჭოს
საზეიმო სხდომა
საბჭოზე მიმაგრებულ პროფაქტივთან ერთად
მაქსიმ გორკის ჩამოსვლის აღსანიშნავად

საბჭოს წევრები და საბჭოზე მიმაგრებული აქტივი სხდომაზე შედიან თავიანთი მანდატებით. დანარჩენი (პროფაქტივი) განსაკუთრებული ბილეთებით. შესასვლელი ბილეთები განაწილდება სათანადო პროფორგანიზაციების საშუალებით.

ხ. 1432
თბილისის საბჭოს პრეზიდიუმი.

კომუნისტი
მიიღება ხელისმოწერა **აგვისტოსათვის**
კანტორა—რუსთაველის პრ. № 34. ტელეფ. 8—81.

პურის დამზადება

პურეულის აკრეფა ჩვენში უკვე დაიწყო. მაშასადამე, პურის დამზადება ჩვენს წინაშე წამოჭრილია, როგორც უდიდესი გადაუდებელი ამოცანა.

ეს კამპანია სერიოზული გამოცდა იქნება მთელი სახელმწიფო და კოოპერატიულ აპარატის, ადგილობრივ პარტორგანიზაციების და საბჭოთა ორგანოების. პურის დამზადების საქმის მსვლელობა ცხადჰყოფს, თუ რამდენად გვაქვს ჩვენ შეგნებული პარტიის ძირითადი სამეურნეო და პოლიტიკური დირექტივები და რამდენად შეგვწევს უნარი მათი სისწორით და მტკიცედ განხორციელებისათვის.

იმ სიძნელეების შემდეგ, რომლებსაც განვიცდით მოსახლეობის სურსათით მომარაგების მხრივ, ზედმეტია იმის განმარტება, თუ რა უდიდესი მნიშვნელობა აქვს პურის დამზადების კამპანიის წარმატებას. სახელმწიფოს ხელში პურის საკმაო მარაგი ერთი უმთავრესი საწინდართაგანია ქვეყნის სამეურნეო განვითარების და საბჭოთა ხელისუფლების შემდგომი განმტკიცების.

პურის დამზადების დარგში მომუშავე ორგანიზაციებმა თუ ცალკე პირებმა ეს კარგად უნდა შეიგნონ. მაგრამ ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენ ამას ვერ ვხედავთ. ეს ითქმის პირველ ყოვლისა ადგილობრივ პარტიულ და საბჭოთა ორგანიზაციებზე, რომელნიც ვალდებული არიან მთელი ძალღონით შეუწყონ ხელი ამ პირველხარისხოვან ამოცანის გადაჭრას. ზოგგან ვამჩნევთ ჩვეულებრივ დაუდევრობას, უდარდელობას, უმოქმედობას ამ ორგანიზაციების მხრით, თითქო პურის დამზადების საქმე მათ მაინც და მაინც არ ეხებოდეთ. ამგვარი მიდგომა უმნიშვნელოვანესი [illegible] ამოცანისადმი უმძიმესი დანაშაულია პარტიისა და სახელმწიფოს წინაშე და მას სასტიკი ბრძოლა უნდა გამოეცხადოს. ყოველი მუშაკი, ვისაც ასეთი თუ ისეთი დამოკიდებულება აქვს პურის დამზადებასთან, უნდა დაფასდეს იმის მიხედვით, თუ როგორ ასრულებს იგი თავის მოვალეობას ამ კამპანიის ჩატარებაში. ჩვენს აპარატში არ შეიძლება ადგილი ჰქონდეს ისეთ პირს, რომელიც ამ დარგში უდიდეს ენერგიას და ყურადღებას არ გამოიჩენს. მაქსიმალური ყურადღება პურის დამზადების საქმისადმი ყველა სათანადო ორგანიზაციების მხრით სავსებით უნდა იქნეს უზრუნველყოფილი.

მაგრამ ყურადღებაც არის და ყურადღებაც. განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს პურის დამზადების კამპანიის დროს პარტიის მიერ განსაზღვრულ მეთოდების გადაუხრელად და სისწორით გატარებას. არავითარ შემთხვევაში არ უნდა ჰქონდეს ადგილი უხეშ- ადმინისტრატიულ და არაჩვეულებრივ ზომების გამოყენებას—ასეთია პარტიის გადაჭრილი დირექტივა. მაგრამ სინამდვილეში ჩვენ ვხედავთ, რომ ამ დირექტივას ზოგან არღვევენ. არის შემთხვევები პურის თავისუფალი გადაზიდვის აკრძალვის, გლეხობის იძულების, რომ პური კოოპერაციას ჩააბარონ, და სხ. ნუ თუ არ იციან „საგანგებო მეთოდების" მოტრფიალეებმა, რომ ამ გზით ისინი საფრთხეს უმზადებენ მუშათა კლასის და გლეხობის მთავარი მასის —საშუალო გლეხობის კავშირს და აგრეთვე აფერხებენ მომავალ თესვის კამპანიის წარმატებას. ეტყობა, რომ ამ „მუშაკებს" არც პარტიის ხაზი აქვთ შეთვისებული და არც უნარი შესწევთ რაციონალური და მიზანშეწონილი საშუალებებით ამოცანის გადაჭრისათვის. ისინი „ნაკლებ წინააღმდეგობის გზით" მიდიან, შიშველ იძულებას მიმართავენ. პარტიის პოლიტიკის დამამახინჯებელნი მკაცრად უნდა დაისაჯონ.

არაჩვეულებრივი ზომები ძირშივე უნდა იქნეს აღკვეთილი. და ეს მით უფრო, რომ მდგომარეობა მათ სრულებით არ მოითხოვს. პურის ფასები საკმაოდ მაღალია დაწესებული. ყოველგვარი ღონისძიება მიღებული პურეულის რაიონების სამრეწველო საქონლით მომარაგებისათვის. ასეთ პირობებში, თუ ჩვენ სათანადო ორგანიზაციულ და იდეურ მუშაობას ჩავატარებთ, მიზნის მიღწევას შევძლებთ „ნორმალური" მეთოდებით.

ამავე დროს ხაზგასასმელია შემდეგი: საბჭოთა ხელისუფლების მტრები, კულაკები და სპეკულიანტები ყოველნაირად შეეცდებიან პურის კამპანიის დამზადების ჩაშლას. მათი ფარული ბოროტი ზრახვები ჩვენ შეუბრალებლად უნდა ვამხილოთ და მათი ასალაგმავად გადაჭრილი ნაბიჯები უნდა გადავდგათ. მაგრამ ამან, თავისთავად ცხადია, არ უნდა გამოიწვიოს გლეხობის ძირითადი მასების მიმართ ჩვენი პოლიტიკის დამახინჯება.

პურის დამზადების კამპანია მიმდინარეობს. მისი ჩატარება ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი ამოცანაა ახლო პერიოდისათვის. განსაკუთრებული ყურადღების და ენერგიის გამოჩენა ამ საქმისადმი, პარტიის დირექტივების მტკიცედ დაცვა ამ დარგში, საბჭოთა საზოგადოებრიობის ამოძრავება მის გარშემო, აი როგორი უნდა იყოს ჩვენი საქმიანობა. ვიმეორებთ, ხსენებული კამპანია ჩვენი აპარატის გამოცდაა. ეს გამოცდა მან პირნათლად უნდა დაიჭიროს.

ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხი

ცაკის დადგენილებით, 1 სექტემბერს გამოშვებულ იქნება ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხი ნახევარ მილიარდი მანეთის რაოდენობით. ამგვარად, ჩვენ ვიწყებთ უდიდეს საკრედიტო ოპერაციას საბჭოთა სახელმწიფოს არსებობის დღიდან. ინდუსტრიალიზაციის პირველი სესხის მსგავსად, მეორე სესხიც დანიშნულია პირველ ყოვლისა მშრომელთათვის. განსხვავება ის არის მხოლოდ, რომ ახლანდელი ნახევარ მილიარდიანი სესხი ნავარაუდევია არა მარტო ქალაქის მშრომელთათვის, არამედ, უფრო მეტად, ვიდრე პირველი სესხი, სოფლის მშრომელთათვისაც.

მიმდინარე წლის შინაურ სესხთა პრაქტიკა გვიდასტურებს, რომ ნახევარ მილიარდიანი თანხა სრულებითაც არ წარმოადგენს ჩვენთვის მიუწდომელ რაოდენობას, თუ კი საჭირო აქტივობას გამოვიჩენთ და სწორედ მიუდგებით რეალიზაციას. მიმდინარე 1927—28 წელი ჩვენს ბიუჯეტს მისცემს 650 მილიონ მანეთს, რომელიც დაზოგვილია სესხთა საშუალებით. თანხების დაგროვების ზრდა, რომელიც ამჟამად ირკვევა მომავალი წლისათვის, გვიჩვენებს, რომ ჩვენ 1928—29 წელს შევძლებთ გავანაღდოთ არა მარტო 500 მილიონი მანეთი ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხის შემწეობით, არამედ ის 200 მილიონი მანეთიც, რომელიც სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტით არის გათვალისწინებული მომავალ სამეურნეო წლისათვის. ეს იმას არ ნიშნავს, რომ დაზოგვილი თანხები თავის თავად დაიწყებენ დენას და ჩვენ არ დაგვჭირდება არავითარი მეცადინეობა. პირიქით, ძალიან დიდი მხნეობა და მოხერხება იქნება საჭირო. ჩვენ ვეცდებით, რომ ყველა ჩვენმა საზოგადოებრივმა ორგანიზაციამ ეს მხნეობა და მოხერხება გამოიჩინოს. აქ უნდა გამოვიყენოთ გლეხთა მეურნეობის განმტკიცების პირველი სესხის რეალიზაციის გამოცდილება.

როგორც ყველას ახსოვს, შარშან გამოშვებული ინდუსტრიალიზაციის პირველი სესხი (200 მილიონი მანეთისა) მთლიანად იქნა განაღდებული დანიშნულ ვადაზე. ფაქტიურმა ხელის მოწერამ რამდენადმე გადააჭარბა კიდეც სესხის საერთო ჯამს. ეს იმიტომ მოხერხდა, რომ სესხის რეალიზაცია დასახულ იქნა დიდ საზოგადოებრივ—პოლიტიკურ ამოცანად, რომლის გადაწყვეტაში აქტიურ მონაწილეობას ღებულობდენ საბჭოთა, პროფესიონალური, კოოპერატიული და პარტიული ორგანიზაციები. სესხზე ხელის მოწერის კამპანია გადაიქცა მძლავრ დემონსტრაციად, რომელიც გამოხატავდა მუშათა კლასის ნდობას თავის სახელმწიფოსადმი და საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის ინდუსტრიალიზაციის ლოზუნგისადმი. ინდუსტრიალიზაციის ფინანსების მომარაგების საქმეს შეემატა დიდი— 200 მილიონ მანეთიანი დახმარება.

ამგვარად, მსხვილი ფინანსიური ოპერაცია უეჭველის გამარჯვებით დამთავრდა. ამას დიდად ხელი შეუწყეს თვით სესხის პირობებმა, რაც მარჯვე და ხელსაყრელი გამოდგა ობლიგაციის პატრონებისათვის (ხელის მოწერის პირობები, პროცენტები, მოგება). ამ ჟამად ინდუსტრიალიზაციის პირველი სესხით შეგროვებული თანხა ასე თუ ისე დატრიალდა ჩვენს სახალხო მეურნეობაში, იგი საქმეს აკეთებს და ხორცს ისხამს სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის დასაყრდენ პუნქტებში.

წელს მშრომელთა აქტივობის კიდევ უფრო ფართო ტალღა უნდა ავაგოროთ ინდუსტრიალიზაციის ახალი სესხის (500 მილიონი მან.) რეალიზაციის დროს. უდავოა, რომ პირველი სესხის დროს მშრომელთა ზოგიერთი ნაწილი, ქალაქადაც კი, საერთო ფერხულში არ ჩაება ან, ყოველ შემთხვევაში, ნაკლებად ჩაება. წელს საბჭოთა კავშირის სახელმწიფოებრივი კრედიტის მეგობართა რიცხვი დიდად უნდა გაიზარდოს.

ქალაქად ახალი რამდენიმე ასეული ათასი მშრომელი უნდა ჩავაბათ ფინანსიური თავდაცვის სერიოზულ საქმეში. სოციალისტური მეურნეობის საკუთარი შინაური ძალებით შენების საჭიროების შეგნებამ ხორცი უნდა შეისხას განსაზღვრულ სესხში, რომელიც სახელმწიფოს უნდა მიეცეს გარკვეული ვადით. ჩვენ ისეთი გზა უნდა ავიღოთ, რომ სესხის ფარგლებში მოჰყვეს ქალაქის ყველა მშრომელი.

სერიოზული მუშაობა უნდა შევასრულოთ სოფლის მშრომელთა შორის. სოფელი ჯერ კიდევ ნაკლებად არის ჩაბმული შინაურ სესხთა ტრიალში, მაშინ როდესაც შრომით მოპოვებული წვრილი თანხების დაგროვებას აქ უდიდესი პერსპექტივები უნდა ჰქონდეს. კერძოდ, მომავალ თვეებში, პურის ფასების გადიდების და ზოგიერთი სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის ფასის ნაწილობრივი ზრდის გამო, სოფელი მიიღებს ზედმეტ თანხებს სოფლის მეურნეობის პროდუქციის რეალიზაციის დროს. თუნდაც მარტო ეს გარემოება შემატებს გლეხის წვრილ და საშუალო მეურნეობას საკმაოდ დიდ თანხებს. ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხს მხედველობაში აქვს აგრეთვე ეს თანხები. ამასთანავე იგი გამოშვებულ იქნება კაპიტალური მშენებლობის ფინანსებით მომარაგებისათვის არა მარტო მრეწველობაში, არამედ სოფლის მეურნეობაშიაც, ე. ი. ახალი სესხი წარმოადგენს გლეხთა მეურნეობის განმტკიცების სესხის ამოცანათა ნაწილობრივ განმეორებას.

სოფლად სესხთა რეალიზაციის დროს ჩვენი აქტიური პროპაგანდითა და აგიტაციით უნდა დავძლიოთ ის სულიერი განწყობილება, რომელიც სხვადასხვა ადგილას შექმნა გლეხთა მეურნეობის განმტკიცების სესხის ობლიგაციათა იძულებით გავრცელების ცდამ. ამ გარემოებას სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს, რადგან სახელმწიფო კრედიტის საკითხებში ნებაყოფლობის პრინციპს, ძალდაუტანებლობას, განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს. ამიტომ სოფლად ყოველგვარი იძულების გადაჭრით უარყოფა უმნიშვნელოვანესი პირობა იქნება არა მარტო ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხის რეალიზაციის დროს, არამედ მომავალ სესხთა რეალიზაციის დროსაც.

სესხი გამოშვებული იქნება ქალაქისა ან სოფლისათვის კი არა, არამედ ორივესათვის, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის კაპიტალური მშენებლობისათვის. ეს არის ჩვენი მრეწველობის ზრდისა და სოფლის მეურნეობის ზრდის განუკვეთელი კავშირის სიმბოლო. ეს არის სიმბოლო მუშათა კლასისა და სოფლის მშრომელთა მჭიდრო კავშირისა პროლეტარიატის ხელმძღვანელობით. ეს არის სოციალისტური მშენებლობის მომავალ გამარჯვებათა საწინდარი როგორც სოფლად, ისე ქალაქად. ამ იდეათა ლოზუნგით უნდა ჩავატაროთ იმ უდიდესი სესხის რეალიზაციის კამპანია, რომელსაც გამოუშვებს საბჭოთა სახელმწიფო.

„პრავდა", 26 ივლისი.

იაპონია უარს ამბობს თანასწორ ხელშეკრულების დადებაზე ჩინეთთან

გუანინის რაიონში დაიწყო გლეხთა აჯანყება კომუნისტების მეთაურობით

ლიტვის ორი ნოტა ერთა ლიგის გენერალურ მდივნისადმი

ლიტვა ერთა ლიგის ყურადღებას მიაქცევს პოლონეთის ჯარების თავმოყრაზე ვილნოს რაიონში

მდგომარეობა ჩინეთში

გლეხთა აჯანყება

შანხაი, 25 ივლისი. კანტონიდან იტყობინებიან, რომ გუანის რაიონში დაიწყო გლეხთა აჯანყება, რომელსაც ხელმძღვანელობენ კომუნისტები. აჯანყებულ რაიონში მთავრობის ჯარი გაიგზავნა.

ამოისადან იტყობინებიან, რომ ქალაქ იუშტინში კომუნისტების ხელმძღვანელობით აჯანყება მოხდა, ქალაქში მთავრობის ჯარი გაიგზავნა. მაგრამ აჯანყებულებმა მოასწრეს ტაკოას რაიონისაკენ დახევა. (ადს)

მდგომარეობა ჩინეთში

ლემპსონმა მიიღო ჩან-კაი-ში

შანხაი, 25 ივლისი. ინგლისის ელჩმა ჩინეთში ლემპსონმა მიიღო ჩან-კაი-ში, ენ-აი-შანი და ლი-ტი-სინი. (ადს)

მდგომარეობა შანდუნის პროვინციაში

შანხაი, 25 ივლისი. ჩინეთისა და იაპონიის საოკუპაციო ჯარებს შორის ამას წინად მომხდარ შეტაკების შემდეგ, მდგომარეობა შანდუნის პროვინციაში ძალიან გამწვავებულია. იაპონიის სააგენტოს ტოხოს ცნობებით, გამინის რაიონში მომხდარ შეტაკების დროს მოკლულ იქნა 500 ჩინელი. (ადს)

„სანამ არ მოისპობა უთანასწორო ხელშეკრულებანი"

შანხაი, 25 ივლისი. საზოგადოებრივ და სავაჭრო ორგანიზაციათა ანტიიაპონურმა კონფერენციამ შანხაიში მიიღო რეზოლიუციები რომლებშიაც მოითხოვენ, რომ ნანკინის მთავრობამ ხალხს მიანიჭოს პოლიტიკური თავისუფლებანი. რეზოლიუციებში აღნიშნულია, რომ ანტიიაპონურმა საზოგადოებებმა უნდა განაგრძონ მოქმედება მანამდე, სანამ უთანასწორო ხელშეკრულება არ მოისპობა. (ადს)

იოშიზავას განცხადება

შანხაი, 25 ივლისი. „შუნ-ბაო"-ს ცნობებით, დიპლომატიური კორპუსი იზიარებს იაპონიის პოზიციას საბაჟო და ექსტერიტორიალურ ხელშეკრულებათა მიმართ. იაპონიის ელჩმა პეკინში იოშიზავამ განაცხადა, რომ ჩინეთთან მხარეების თანასწორ-უფლებიანობის საფუძველზე მოლაპარაკება უაზრობაა. ამასთან იოშიზავამ გაიხსენა საბჭოთა კავშირსა და ჩინეთს შორის სწორუფლებიანობის საფუძველზე დადებული ხელშეკრულება, რამაც „ხელი არ შეუშალა საბჭოთა საელჩოზე თავდასხმას პეკინში და საბჭოთ მოხელეების დაპატიმრებას".

სანამ ჩინეთის პოლიტიკა და კანონები სათანადოთ არ იქნებიან მოგვარებული, მანამ ექსტერიტორიალური უფლებების მოსპობა შეუძლებელია; ვიდრე ჩინეთი არ გადაიხდის თავის ვალებს, ახლანდელი საბაჟო ტარიფი ვერ გაუქმდება. (ადს)

ამერიკის ჯარის ევაკუაცია

შანხაი, 25 ივლისი. როგორც „სინ-ვენ-ბაო" იუწყება, ამ ორ დღეში კელოგი გამოაქვეყნებს ნოტას, რომელშიაც ნათქვამი იქნება, რომ ამერიკის მთავრობა მზათ არის დაიწყოს მოლაპარაკება ნანკინის მთავრობასთან ხელშეკრულებათა გადასინჯვის შესახებ.

ამერიკელი ადმირალი ბრისტოლი იტყობინება, რომ ამ დღეებში მოხდება ამერიკის საზღვაო ქვეითი ჯარის — რიცხვით 1.500 კაცის — ევაკუაცია ტიან-ცინიდან. (ადს)

ჩიფუში ჩრდილოელთა დროშა ამართეს

შანხაი, 25 ივლისი. პრესის ცნობით, ჩიფუში ჩან ცზუნ-ჩანის ჯარების გამოსვლა დამთავრდა ჩრდილოელთა ხელისუფლების დამყარებით. ქალაქში ამართულია ჩრდილოელების ხუთფეროვანი დროშა. ნავთსადგურში, მოვიდა ინგლისის და იაპონიის რამდენიმე სამხედრო გემი „უცხოელთა სიცოცხლისა და საკუთრების უზრუნველსაყოფად".

ჩინეთი ცდილობს აღადგინოს თავისი გავლენა ტიბეტში

შანხაი, 25 ივლისი. ტაჩუნის სააგენტოს ცნობებით ნანკინის მთავრობას განზრახული აქვს ჩინეთის გავლენის სფეროს დაუბრუნოს [illegible] და ამ მიზნით, დახმარება აღმოუჩინოს პანჩენ-ლამას აღადგინოს მის მიერ დაკარგული გავლენა ტიბეტში, პანჩენლამა, ვითომ, შეყვანილი იქნება ნანკინის მთავრობის შემადგენლობაში და მას მიეცემა წინადადება დაბრუნდეს ტიბეტში ძლიერი სამხედრო რაზმის თანხლებით.

სააგენტო იუწყება, რომ დალაი-ლამა და ინგლისელები წინააღმდეგნი არიან ამ გეგმის, რადგან თავის დროზე პანჩენ-ლამა ვითომ მომხრე იყო რუსეთის ორიენტაციისა (პანჩენ-ლამა ტიბეტის თეოკრატიული მმართველი იყო დალაი-ლამას თანასწორად, რომელმაც განდევნა იგი). (ადს)

ჟეხეს ამბები

პეკინი, 25 ივლისი. ძალიან გამწვავდა მდგომარეობა ჟეხეს ოლქში, სადაც დოლონ-ნორის მახლობლად, თავმოყრილია მუკდენელთა ჯარი, 500,000 კაცზე მეტი. დასტურდება ცნობა, რომ ჟეხეს ოლქის გუბერნატორმა ტან იულინმა სამხრეთელების სამხედრო ლიდერებს გაუგზავნა წერილი, რომლითაც ატყობინებს, რომ იზიარებს სუნ-იატ-სენის სამს პრინციპს, აღმართავს გომინდანის დროშას და შეუერთდება ნანკინის მთავრობას.

მანჯურიის იაპონური პრესა კომენტარიებს უკეთებს ჟეხეს ამბებს, მას შესაძლებლად მიაჩნია სამხრეთელებისა და მუკდენელების შეიარაღებული კონფლიქტი შანხაი-გუანის ჩრდილოეთით (ჩჟილისა და მუკდენის პროვინციების საზღვარზე.) (ადს)

კომენტარიები ჩიფუში მომხდარ გადატრიალების შესახებ

პეკინი, 25 ივლისი. პრესა კომენტარიებს უკეთებს იმ გადატრიალებას, რომელიც მოახდინეს ჩან ცზუნ-ჩანის ჯარებმა ჩიფუში. ეს გამოსვლა გაზეთებს მიაჩნიათ იმ დიდი გეგმის ნაწილად, რომელიც შეადგინეს იაპონოფილურმა ჯგუფებმა ჩრდილოეთ ჩინეთში. გაზეთებს შესაძლებლად მიაჩნიათ ახალი გამოსვლები ნანკინის მთავრობის წინააღმდეგ.

თვალის ასახვევი საბაბი

ტოკიო, 25 ივლისი. იაპონიის ყოფილი ლონდონელი ელჩი ხაიასი მუკდენში წავიდა ჩჟან ცზო-ლინის დამარხვაში მონაწილეობის მისაღებად. „ნიცი-ნიცი" ჰფიქრობს, რომ ხაიასის მინდობილი აქვს, გადასცეს მუკდენის ჯგუფს იაპონიის მთავრობის პროექტი „მშვიდობიანობის დაცვის" შესახებ მანჯურიაში და შუა მონღოლეთში (ადს).

ჩრ. ამ. შეერთებული შტატები არ იწონებენ იაპონიის მოქმედებას

შანხაი, 25 ივლისი. „ჩაინა ტაიმს"-ის ცნობებით, ჩრდილოეთ-ამერიკის შეერთებული შტატების ელჩმა პეკინში არ მოიწონა იაპონიის მოქმედება ჩინეთში და სთქვა:

„იაპონია მანჯურიაში მოქმედებს ისე თითქოს ის მისი საკუთარი ტერიტორია იყოს". (ადს)

შანხაი-გუანის რაიონში

პეკინი, 25 ივლისი. გირინის ჩინური გაზეთის „ცზი-შან-ში-ბაოს" ცნობით, შანხაი გუანის რაიონში ამჟამად თავმოყრილია მუკდენელთა და გირინელთა ჯარი, დაახლოებით 90.000 კაცი. (ადს)

იაპონიის ჯარი ჩინეთში

პეკინი, 25 ივლისი. ტაჩუნის დეპეშათა სააგენტო იუწყება, რომ გაოში და ცზიაჩჟოუ, სადაც ამას წინად მოხდა სისხლის მღვრელი შეტაკებები, სავსეა იაპონიის ჯარით და ეს ადგილები მთლად იაპონელების ხელშია. იაპონელები მასიურ ჩხრეკას აწარმოებენ. ქალაქის კედლებზე მათ ზარბაზნები დადგეს.

ლიტვის ორი ნოტა

კოვნო, 25 ივლისი. ლიტვის მთავრობამ ერთა ლიგის გენერალურ მდივანს გადასცა ნოტა, რომელშიც მის ყურადღებას მიაქცევს პრესაში გამოქვეყნებულ ცნობებზე პოლონეთის ჯარების მოსალოდნელი მანევრების შესახებ ვილნოს რაიონში. ნოტა მიუთითებს, რომ პოლონეთის ჯარების დიდი რაოდენობის თავმოყრა სადემარკაციო ხაზის ახლო ისეთ საშიშროებას შექმნის ლიტვისათვის, რომ იძულებულს გახდის ლიტვის მთავრობას გააძლიეროს ლიტვის არმია და პოლონეთ-ლიტვის სადემარკაციო ხაზის მთავარი პუნქტების დაცვა. ლიტვის მთავრობა სთხოვს ერთა ლიგის მდივანს, თუ ეს ცნობები დადასტურდა, ნება დართოს იმ ორგანოს მუშაობის დაწყება, რომელიც ერთა ლიგის საბჭოს რეზოლიუციით არის გათვალისწინებული მოსალოდნელ ინციდენტის თავიდან ასაცილებლად.

კოვნო, 25 ივლისი. ლიტვის მთავრობამ პოლონეთის მთავრობას გაუგზავნა ნოტა, რომელშიც წინადადებას იძლევა, რომ 15-20 აგვისტოს კენიგსბერგში მოწვეულ იქნეს პოლონეთისა და ლიტვის დელეგაციების პლენარული სხდომა.

ლიტვის დეპეშათა სააგენტო უარჰყოფს

კოვნო, 25 ივლისი. ლიტვის დეპეშათა სააგენტო უარჰყოფს უცხოეთის პრესაში გამოქვეყნებულ ცნობებს იმის შესახებ, თითქოს გერმანიის ელჩმა კოვნოში, გერმანიის, ინგლისის და საფრანგეთის სახელით გადასდგა ნაბიჯები პოლონეთ-ლიტვის კონფლიქტის მოსაგვარებლად. (ადს).

ინგლისმა მწვავედ იგრძნო

საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის გაწყვეტის შედეგები

ლონდონი, 25 ივლისი. რეიტერის სააგენტო იუწყება:

„მუშათა პარტიის საპარლამენტო ფრაქციის ლიდერმა **მაკდონალდმა თემთა პალატაში შეიტანა წინადადება მთავრობისათვის უნდობლობის გამოცხადების შესახებ.** ამ წინადადების საბაბი შეიქნა არა საკმაო ზომების მიღება მთავრობის მიერ უმუშევრობის შესამცირებლად. მაკდონალდმა აღნიშნა, რომ **1927 წ. ივნისში უმუშევართა რიცხვი შეადგენდა ყველა მუშების 9 პროც., 1928 წ. ივნისისათვის კი უმუშევართა რიცხვი 10 პროც.-დე გაიზარდა. 200.000 მემაღაროეს დაკარგული აქვს ყოველგვარი იმედი, რომ სამუშაოს იშოვნის თავის სპეციალობის მიხედვით.** რკინის, ფოლადისა, გემების სააღმშენებლო და ბამბეულის მრეწველობაც ასეთივე მდგომარეობაშია. 3 ნახ. წლის განმავლობაში უმუშევართა რიცხვი 225.000 კაცით გაიზარდა.

მაკდონალდს უპასუხა პრემიერმა ბოლდუინმა, რომელმაც სხვათა შორის აღნიშნა, რომ სარკინიგზო კომპანიების ზარალი, გამოწვეული ფრახტის დაკლებით, ანაზღაურებული უნდა იქნეს ადგილობრივ გადასახადის სიმძიმის შემსუბუქებით".

შოუ მოითხოვს ურთიერთობის აღდგენას საბჭ. კავშირთან

ლონდონი, 25 ივლისი. რეიტერის სააგენტო იუწყება: „კამათში უმუშევრობის გარშემო სიტყვით გამოვიდა მუშათა პარტიის დეპუტატი შოუ, რომელმაც განაცხადა: „რაც შეეხება რუსეთს, **უკვე წავიდა ის დრო, როცა იმედი ჰქონდათ, რომ შეიძლება მეფის კვლავ წამოსკუპება ტახტზე.** თუ კონსერვატორები ფიქრობენ, რომ რუსეთში კიდევ დამყარდება მეფის რეჟიმი, დე ღმერთი შეეწიოთ მათ".

შოუმ აღნიშნა, რომ მის ოლქში საბჭოთა მთავრობას მიცემული ჰქონდა მხოლოდ ერთი დაკვეთა—5 მილიონ იარდ-ბამბეულზე. **შოუ აცხადებს, რომ ის მხარს უჭერს სავაჭროურთიერთობის განახლებას საბჭოთა კავშირთან, მაგრამ ფიქრობს, რომ ის არ შეიძლება, თუ მთავრობა განაგრძობს თავის პოლიტიკას საბჭოთა კავშირის მიმართ.**

„ჩვენ ხომ უარს არ ვამბობდით რუსეთთან ვაჭრობაზე,—განაცხადა შოუმ,—როცა იქ ბატონობდა მათრახი და კატორღა, მაშ რატომ უნდა ვამბობდეთ უარს რუსეთთან ვაჭრობაზე ამჟამად".

მაკდონალდის ვოტუმი უარყოფილია

ლონდონი, 25 ივლისი. მთავრობისადმი უნდობლობის ვოტუმი, რომელიც შეიტანა მაკდონალდმა უარყოფილია 331 ხმის უმეტესობით წინააღმდეგ 151 ხმისა. (ადს).

საბჭოთა კავშირის დეპეშათა სააგენტოსაგან

მოსკოვი, 25 ივლისი. „ბერლინერ ტაგებლატ"-ის 21 ივლისის ნომერში მოთავსებულია ლონდონიდან გამოგზავნილი დეპეშა რომელიც „დეილი ტელეგრაფ"-ის დიპლომატიური კორესპონდენტის სიტყვების მიხედვით იუწყება, თითქოს უკანასკნელი ორი კვირის განმავლობაში ლოკარნოს სახელმწიფოებსა და საბჭოთა მთავრობის შორის სწარმოებდა მოლაპარაკება პოლონეთ-ლიტვის მოლაპარაკების საბოლოო ჩაშლის შედეგების თავიდან აცილების მიზნით. შემდეგ დეპეშაში ნათქვამია, რომ გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტრო ამ მოლაპარაკებაში განსაკუთრებულ როლს თამაშობდაო.

აზრთა გაცვლა-გამოცვლის ნიადაგზე, —იუწყება შემდეგ „დეილი ტელეგრაფ"-ი, გერმანიის მთავრობამ გადასწყვიტა მეგობრულად სთხოვოს ლიტვის პრემიერს, რომ ის თავდაჭერილ პოზიციას დაადგეს.

აქვეყნებს რა ლონდონიდან მიღებულ დეპეშას, „ბერლინერ ტაგებლატ"-ი თავის მხრივ ადასტურებს ცნობას გერმანიის გამოსვლის შესახებ ლოკარნოში.

როგორც საბჭოთა კავშირის დეპეშათა სააგენტოს ავტორიტეტული წყაროებიდან აცნობებს, ზემოხსენებული ინფორმაცია, რამდენადაც ის საბჭოთა კავშირს შეეხება, მოკლებული ყოველგვარ საფუძველს. საბჭოთა კავშირს პოლონეთ-ლიტვის კონფლიქტთან დაკავშირებით არავითარი მოლაპარაკება არ ჰქონდა ეგრედწოდებულ «ლოკარნოს სახელმწიფოებთან" არც გერმანიის მთავრობის მეშვეობით და არც რაიმე სხვა გზით". (ადს).

ბელა კუნი მოდის საბჭოთა კავშირში

ვენა, 26 ივლისი. ვენის ბურჟუაზიული პრესა იუწყება: ბელა კუნს, რომელსაც გერმანიაზე გავლის ნება დართეს, სასჯელის მოხდის შემდეგ ავსტრიის პოლიცია გერმანიის საზღვარზე მიიყვანს და გადასცემს გერმანიის პოლიციას. გერმანიის პოლიცია კუნს მატარებლით ან ჰაეროპლანით მიიყვანს გერმანიის ნავთსადგურში საბჭოთა კავშირში გასაგზავნად. ზოგიერთი გაზეთის ცნობით, **გერმანიაზე ბელა კუნის გავლის დღეს პოლიცია არ გაამხელს, რათა მუშებმა დემონსტრაცია არ გამართონ კუნის პატივსაცემად.** (ადს).

ჩემბერლენი რეინის ოლქის დაცლის შესახებ

„ინგლისს არ შეუძლია იკისროს ინიციატივა"

ლონდონი, 25 ივლისი. უპასუხა რა თემთა პალატაში მიცემულ შეკითხვებზე, ჩემბერლენმა განაცხადა, რომ ინგლისის მთავრობა თანაუგრძნობს გერმანიის თვალსაზრისს რეინის ოლქის ვადამდე დაცლის შესახებ. **მაგრამ რეინის ოლქის დაცლა შესაძლებელია მხოლოდ მას შემდეგ, როცა მიღწეულ იქნება შეთანხმება ყველა დაინტერესებულ მხარეებს შორის.** ინგლისის მთავრობა მზადაა განიხილოს შესაფერი წინადადება უფრო დაინტერესებული სახელმწიფოსი, ვიდრე ინგლისია, მაგრამ **თვითონ მას ამჟამად არ შეუძლია იკისროს ამ საკითხის გადაჭრის ინიციატივა.**

გერმანიის პრესის გამოძახილი

ბერლინი, 25 ივლისი. კელლოგის პროექტმა, ჩემბერლენის განცხადებამ რეინის ოლქის დაცლის შესახებ და საფრანგეთის პრესის გამოძახილმა ამ განცხადებაზე აიძულა გერმანიის პრესა კვლავ შესდგომოდა რეინის ოლქის ვადამდე დაცლის საკითხის განხილვას.

ცენტრის ორგანოს—„გერმანია"-ს აზრით, ეს საკითხი უკანასკნელი 12 თვის განმავლობაში კვლავ ძველებურ მდგომარეობაში იმყოფება.

„კელნიშე ცაიტუნგ" აღნიშნავს, რომ კელლოგის პროექტი უშიშროების კიდევ ერთ გარანტიას აძლევს საფრანგეთს. გაზეთი აყენებს კითხვას. ამიტომ ხომ არ დადგა დრო, როცა საფრანგეთმა მთელს ქვეყნიერებას უნდა ამცნოს, რომ ის მზად არის საბოლოოდ დასცალოს რეინის ოლქი.

დიეგო რივერას მოხსენება საბჭოთა კავშირის შესახებ

ნიუ-იორკი, 25 ივლისი. მექსიკოდან მიღებულ ცნობით, ცნობილმა მექსიკელმა მხატვარმა—რევოლიუციონერმა **დიეგო რივერამ,** რომელიც ახლახან დაბრუნდა საბჭ. კავშირიდან, ლექცია წაიკითხა საბჭ. კავშირის შესახებ. ლექციას 3.000 კაცი დაესწრო. რივერამ აღწერა საბჭოთა კავშირის ეკონომიური და კულტურული მიღწევები 10 წ. განმავლობაში.

მექსიკის კომპარტიის მოწოდება

ნიუ-იორკი, 25 ივლისი. გაზეთები იუწყებიან: მექსიკის კომპარტიამ გამოაქვეყნა მიმართვა, რომელშიაც მოუწოდებს მუშებს—**გაერთიანდნენ და იბრძოლონ მიწის გადასაცემად გლეხობისათვის, თეთრი გვარდიის გაუქმებისათვის, მიწის წიაღის ნამდვილი ნაციონალიზაციისათვის, წარმოებასა და განაწილებაზე მუშათა კონტროლის შემოღებისათვის, შეიარაღებული მუშებისა და გლეხების ძალებით კლერიკალთა ამბოხების ჩაქრობისათვის.** კომპარტია მოუწოდებს აგრეთვე—ჩრდილოეთისა, ცენტრალურისა და სამხრეთი ამერიკის მშრომელებთან ერთად იბრძოლონ იმპერიალისტების წინააღმდეგ. (ადს).

გაფიცვის ხელმძღვანელთა დაპატიმრება

ლონდონი, 25 ივლისი. მადრასიდან იუწყებიან: პოლიციამ დააპატიმრა სამხრეთ-ინდოეთის რკინისგზის გაფიცვის ორი მთავარი ხელმძღვანელი. გაფიცულებს ბრალად სდებენ რკინის გზაზე მომხდარ კატასტროფაში მონაწილეობის მიღებას და ისეთ მოქმედებას, რომელიც საფრთხეს უმზადებდა ადამიანთა სიცოცხლეს.

ტუტიკორინ - მადურას გზაზე ლიანდაგს ორი მატარებელი კიდევ გადასცდა (ადს).

კომინტერნის VI მსოფლიო კონგრესი

25 ივლისის დილის სხდომა

კამათი ამხ. ბუხარინის მოხსენების გამო

მოსკოვი, 26 ივლისი. 25 ივლისის დილის სხდომა გაიხსნა ამხ. სტრახოვის (ჩინეთი) თავმჯდომარეობით. სხდომაზე გაგრძელდა კამათი ამხ. ბუხარინის მოხსენების გამო.

ჯონსმა (ჩრდ. ამერ. შეერთ. შტატების ზანგთა წარმომადგენელი) აღნიშნა, რომ ამერიკის კომპარტიამ უნდა გააძლიეროს მუშაობა ზანგთა შორის. საჭიროა დაძლეულ იქნეს ყალბი შეხედულება ზანგების მიმართ, რასაც ჯერ კიდევ ადგილი აქვს ზოგიერთ პარტიულ წრეებში.

გოტვალდი (ჩეხო-სლოვაკია) სთვლის რომ არ შეიძლება ერთი და იგივე მნიშვნელობა მიეცეს ომის მომზადებას საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ და ომის საფრთხეს ცალკე იმპერიალისტურ სახელმწიფოებს შორის როგორც ამას ადგილი აქვს ბუხარინის თეზისებში. საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ომის მომზადებას თეზისებში სპეციალური მუხლი უნდა დაეთმოს. უნდა აღინიშნოს, რომ საბჭოთა კავშირსა და იმპერიალისტურ სახელმწიფოებს შორის არსებულ წინააღმდეგობებს კლასობრივი ხასიათი აქვს, რომ ინგლისი ერთის მხრივ, ცდილობს შექმნას ანტისაბჭოთა ბლოკი, ხოლო, მეორეს მხრივ, შექმნას ევროპის კაპიტალისტური სახელმწიფოების ბლოკი შეერთებული შტატების წინააღმდეგ ამავე დროს, განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს წინააღმდეგობანი საფრანგეთსა და ინგლისს შორის.

ორატორი, ეხება რა ჩეხო-სლოვაკიის მდგომარეობას, აღნიშნავს, რომ ჩეხო-სლოვაკია ჯერ კიდევ საფრანგეთის იმპერიალიზმის პოლიტიკური გავლენის ქვეშ იმყოფება. მაგრამ ამავე დროს, ჩეხო-სლოვაკიის ბურჟუაზია თანდათან უფრო ძლიერ განიცდის ინგლისის ეკონომიურ ზეგავლენას და მზათაა მონაწილეობა მიიღოს ანტისაბჭოთა ბლოკში, რომელსაც აწყობს ინგლისი. არსებობს აგრეთვე გერმანიასთან დაახლოების ტენდენციები. ხდება მწარმოებელთა ორგანიზაციების შეზრდა სახელმწიფო ორგანოებთან; ბურჟუაზია წარმოებებში ჰქმნის შეიარაღებულ ფაშისტურ ორგანიზაციებს. რეფორმისტული ბელადები მხარს უჭერენ ბურჟუაზიის იმპერიალისტურ საგარეო პოლიტიკას და ომის მომზადებას საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

გოტვალდი აღნიშნავს, რომ დამაკმაყოფილებლად არ ტარდება მუშაობა კომპარტიის ბოლშევიზაციისათვის.

ბეკერტი (გერმანია). „რეფორმისტები—ამბობს ის,—აძლიერებენ შეტევას პროფკავშირთა ოპოზიციის წინააღმდეგ, ხოლო იმ ბრძოლაზე, რომელსაც ჩვენ ვაწარმოებთ რეფორმისტული ხელმძღვანელობის წინააღმდეგ, გვიპასუხებენ პროფკავშირებიდან წევრების მასიური გამორიცხვით და გათიშვებით. კაპიტალიზმის შედარებით სტაბილიზაცია არ გამხდარა უფრო მტკიცე. ბევრ კაპიტალისტურ ქვეყანას ემჩნევა კაპიტალიზმის დასუსტების ტენდენცია. ასეთ პირობებში არ შეიძლება ლაპარაკი კაპიტალიზმის რეკონსტრუქციის შესახებ. საჭიროა უფრო ენერგიული ბრძოლა მემარჯვენე გადახრების წინააღმდეგ კომინტერნში. მთლიანი ფრონტის ტაქტიკა წარმატებით შეიძლება გატარებულ იქნას მხოლოდ მაშინ, როცა დავარღვევთ მუშათა ილიუზიებს სოციალ-დემოკრატიის შესახებ".

სამუელსონი (შვეცია). „შვეციის კაპიტალიზმი,—ამბობს ორატორი,—ცდილობს არა მარტო დაიპყროს პოზიციები მსოფლიო ბაზარზე, არამედ იმოქმედოს იმპერიალისტურადაც. დამახასიათებელია ის, რომ შვეციის სოციალ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარემ ერთ-ერთ თავის სიტყვაში განაცხადა: შვეცია შეიძლება იძულებული გახდეს ომი გამოუცხადოს საბჭოთა კავშირსო. შვეციაში შესამჩნევად განვითარდა კაპიტალიზმის სტაბილიზაციის და რაციონალიზაციის პროცესები, შვეციის მუშათა კლასზე დიდი გავლენა მოახდინა იმ დახმარებამ, რომელიც საბჭოთა სამთა-მადნო მუშებმა აღმოუჩინეს შვეციის გაფიცულ სამთა-მადნო მუშებს. შვეციის სოციალ-დემოკრატია მხარს უჭერს ბურჟუაზიის შეიარაღების პოლიტიკას, ეწევა ცილისწამების კამპანიას საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ და მიმართავს გამთიშველ მეთოდებს პროფკავშირებში. კომპარტიამ წარმატებით ჩაატარა რამდენიმე კამპანია და მისი წევრების რიცხვი გათიშვის დღიდან ერთ-ორად გაიზარდა".

ტორესი (საფრანგეთი). „კაპიტალისტურ რაციონალიზაციას მუშათა მასებში,—ამბობს ტორესი,—შედეგად მოჰყვა გამემარცხენების ტენდენცია, თუმცა მუშათა კლასის ნაწილი ჯერ კიდევ შეპყრობილია ილიუზიებით. საჭიროა ბოლო მოვუღოთ ილიუზიებს, თითქოს ჩვენ საერთო მიზნები გვქონდეს სოციალ-დემოკრატიასთან. სოციალ-დემოკრატიის მარჯვენა და მარცხენა ფრთას შორის არავითარი განსხვავება არ არსებობს. მარცხენა ფრთის როლი გამოიხატება იმაში, რომ მარცხენა ფრაზების საშუალებით დასტოვოს სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში პატიოსანი მუშები. ბრძოლის გამწვავება სოციალ-დემოკრატიის წინააღმდეგ არავითარ შემთხვევაში არ ნიშნავს მთლიანი ფრონტის ტაქტიკის უარყოფას. მთლიანი ფრონტისათვის ბრძოლის სიმძიმის ცენტრი გადატანილ უნდა იქნეს წარმოებებში. საჭიროა რევოლიუციონური პროპაგანდის გაძლიერება პროფკავშირებში. თავისი ტაქტიკით უკანასკნელ არჩევნებში ჩვენმა პარტიამ დაამტკიცა, რომ ის გადაჭრით სწყვეტს კავშირს საპარლამენტო ტრადიციებთან. საფრანგეთის დელეგაცია წინადადებას იძლევა უფრო ხაზგასმით იქნეს აღნიშნული თეზისებში მემარჯვენე საფრთხის წინააღმდეგ ბრძოლის აუცილებლობა, ვინაიდან საფრანგეთის პარტიაში მემარჯვენე საფრთხე უფრო ძლიერია, ვიდრე მემარცხენე".

სიფიზოს (საბერძნეთი). „საბერძნეთში მომხდარი ამბები,—ამბობს ის,—მოწმობენ მუშათა მასების გამემარცხენებას. საბერძნეთში არ არის სოციალ-დემოკრატიული პარტია. არიან მხოლოდ სოციალ-ფაშისტური ელემენტები პროფკავშირებში., მაგრამ მათი გავლენა თანდათან ეცემა. გრანდიოზული საყოველთაო გაფიცვა გამოცხადდა ამ ელემენტების სურვილის წინააღმდეგ. ტროცკისტული ოპოზიცია, რომელიც არსებობდა პარტიაში, მოისპო. ჩვენი პარტიის ერთ-ერთ ნაკლს წარმოადგენს არალეგალური მუშაობის სისუსტე და პარტიის მცირერიცხოვანობა".

ვარგა. „ტექნიკურ გადატრიალებას" კაპიტალისტურ წარმოებაში,—ამბობს ვარგა,—აუცილებლად უნდა გამოეწვია სტრუქტურული ცვლილებები მუშათა კლასში, ცვლილებები; რომლებიც გამოიხატებიან შემდეგში: უმუშევართა ეხლანდელი არმია უკვე აღარ წარმოადგენს კონიუნქტურული ხასიათის სარეზერვო არმიას, არამედ გახდა სტრუქტურული მოვლენა, რომელიც განისაზღვრება თანამედროვე კაპიტალიზმის წყობით. ასე, მაგალითად, გერმანიაში უმუშევართა რიცხვი, რომელიც ომამდე უდრიდა 3,3 პროცენტს, ომის შემდგომ წლებში გაიზარდა 12 პროცენტამდე; ინგლისში 2 პროცენტიდან—10 პროცენტამდე (მუშათა საერთო რიცხვთან შეფარდებით). შეერთებულ შტატებში, მიუხედავად მრეწველობის აღორძინებისა, ადგილი აქვს მუშათა აბსოლიუტური რიცხვის შემცირებას. ეს გარემოება ისევე, როგორც საგლეხო მეურნეობათა გარდაქმნა ფერმერების მეურნეობად, ნიშნავს, რომ ტექნიკური პროგრესი გასცილდა შინაური ბაზრის ფარგლებს, და რომ აუცილებელია გარეშე ბაზრებისათვის წარმოებული ბრძოლის გამწვავება. წარმოებაში მომხდარი ტექნიკური გადატრიალების დამახასიათებელ მომენტს წარმოადგენს ისიც, რომ შესაძლებელია სამრეწველო დარგის მუშების დასახლება სამრეწველო ქვეყნების მთელს ტერიტორიაზე, ვინაიდან ელექტრო-ენერგიის გადაცემა დიდ მანძილზე საშუალებას იძლევა განვითარდეს წარმოება ნედლეულის წყაროებიდან დაშორებით. მესამე მომენტი არის განსხვავების მოსპობა კვალიფიციურ და არაკვალიფიციურ მუშებს შორის, ხოლო მეოთხე—პრივილეგიის მქონე მუშების ახალი ფენის წარმოშობა არა უფრო მაღალი კვალიფიკაციის ნიადაგზე, არამედ ეხლანდელი რაციონალიზაციის და მისი დამახასიათებელი სპეციფიური მოვლენების ნიადაგზე (მუშების დაზეწვლება, „ტექნიკური" დახმარება შტრეიკბრეხერებისათვის და სხვ.)

ლაცერდა (ბრაზილია). ამბობს, რომ ამერიკის იმპერიალისტები, სამხრეთ ამერიკის სახელმწიფოებში „მშვიდობიანად" შეჭრის მეთოდებს თანდათან სცვლიან სამხედრო ოკუპაციის მეთოდებით და არავითარ საშუალებებს არ ერიდებიან მუშათა რევოლიუციონური მოძრაობის ჩასაქრობად და მის მოსაქცევად რეფორმისტულ კალაპოტში. შრომის პანამერიკული ფედერაცია წარმოადგენს შეერთებულ შტატების იმპერიალისტურ ზრახვებისათვის ხელის შემწყობ ორგანიზაციას.

კარილო (მექსიკა). ამბობს, რომ კომპარტიები ლათინური ამერიკის ქვეყნებში შეუჩერებლად იზრდებიან. ისინი მცირერიცხოვან პროპაგანდისტულ ჯგუფებიდან გადაიქცენ ბრძოლის უნარის მქონე ორგანიზაციებად.

სალას (ურაგვაი): „სამხრეთ-ამერიკის კომპარტიები,—ამბობს ის,—მძიმე და რთულ ამოცანების წინაშე დგანან. ზოგიერთ ქვეყნებში, როგორიცაა კოლუმბია და ვენეცუელა, ახლო მომავალში მოსალოდნელია ანტიიმპერიალის-

(გაგრძელება იხ. მეორე გვერდზე)

მოსკოვი

(ტელეგრაფით საკუთარი კორესპონდენტისაგან)

„იზვესტია" ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხის შესახებ

მოსკოვი, 26 ივლისი. „იზვესტია" ათავსებს მოწინავე წერილს ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხის შესახებ. გაზეთი აღნიშნავს, რომ ინდუსტრიალიზაციის სესხი ახალ საფეხურს წარმოადგენს საბჭოთა კრედიტის განვითარების საქმეში. ის დიდ გავლენას იქონიებს ქვეყნის მთელ სამეურნეო ცხოვრებაზე. სესხი წარმოადგენს საყურადღებო მოვლენას არა მარტო საბჭოთა კავშირის, არამედ ევროპის მასშტაბითაც. ის საშვალებას მოგვცემს გადავსჭრათ მთელი რიგი უდიდესი სამეურნეო პრობლემები. გაზეთი ჩერდება სესხის გავრცელების ტექნიკურ საკითხებზე და მიუთითებს, რომ საჭიროა ადგილობრივ პირობების გულდასმით შესწავლა და სესხის იძულებით გავრცელების კატეგორიულად უარყოფა.

თათბირი მებამბეობის შესახებ.

მოსკოვი, 26 ივლისი. გუშინ გაიხსნა მებამბეობის სრულიად საკავშირო თათბირი. თათბირზე ვრცელი მოხსენებით გამოვიდა მებამბეობის მთავარი კომიტეტის თავმჯდომარე ამხანაგი მამაევი, რომელმაც განაცხადა, რომ ბამბის პლანტაციების სივრცე გასულ წელთან შედარებით გაიზარდა 20 პროცენტით. დავალება, რომელიც მებამბეობის კომიტეტს ჰქონდა კონტრაქციის დარგში წარმატებით არის შესრულებული. კონტრაქციაში მოქცეულია ბამბის პლანტაციების წინასწარი გეგმით ნავარაუდევ რაოდენობაზე გაცილებით მეტი სივრცე. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ მრეწველობის ხელმძღვანელი როლი მებამბეობის განვითარების საქმეში უახლოეს წლების განმავლობაში უნდა გაძლიერდეს.

ფუნკის გასამართლება.

მოსკოვი, 26 ივლისი. მოსკოვის საგუბერნიო სასამართლოში დაიწყო ფეხსაცმელების საწმენდ პასტის ქარხნის ცნობილ მეპატრონის — ფუნკის გასამართლება. ფუნკს ქრთამებით შეუსყიდია სახელმწიფო დაწესებულებათა ზოგიერთი წარმომადგენლები, რომლებიც აწვდიდენ მას საზღვარ გარეთიდან შემოზიდულ ნედლეულს. ამგვარი მახინაციებით ფუნკმა ასეული ათასი მანეთი მოიგო. პროცესი გაცხოველებულ ინტერესს იწვევს. სასამართლოს დარბაზი სავსეა ხალხით.

იაპონურ თეატრის ჩამოსვლა.

მოსკოვი, 26 ივლისი. დღეს იაპონიიდან მოსკოვში ჩამოვიდა კაბუკის დასი. სადგურზე მათ მიეგებენ უცხოეთთან კულტურულ კავშირის სრულიად საკავშირო ორგანიზაციის, განათლების სახალხო კომისარიატის, სამეცნიერო აკადემიის, მსახიობებისა და მთელ რიგი სხვა ორგანიზაციების წარმომადგენლები.

იაპონელმა მსახიობებმა თან ჩამოიტანეს გოტოს წერილი ამხ. კამენევისადმი, რომელშიაც ის გამოსთქვამს რწმენას, რომ თეატრის ჩამოსვლა მოსკოვში ხელს შეუწყობს იაპონიისა და საბჭოთა კავშირის ხალხთა დაახლოებას და მეგობრულ ურთიერთობის განმტკიცებას.

კერძო კურსების დახურვა

მოსკოვი, 26 ივლისი. განათლების სახალხო კომისარიატმა განკარგულება გასცა კერძო მოსამზადებელ კურსების დახურვის შესახებ, რადგან ისინი აშკარა სპეკულიატიურ ხასიათს ატარებენ.

ამიერ - კავკასიის ხილი მოსკოვის ბაზარზე.

მოსკოვი, 26 ივლისი. მოსკოვის ბაზარზე შემოვიდა ამიერ - კავკასიის ხილი. ამის გამო ფასები ხილზე საერთოთ დაეცა.

უკანასკნელი ცნობები

„ფორვერტს“-ი აკრიტიკებს კომფრაქციის წინადადებას

ბერლინი, 25 ივლისი. რეიხსტაგის კომფრაქციამ ამ დღეებში რეიხსტაგში შეიტანა სხვადასხვა წინადადება გადასახადების შემცირების შესახებ, რომლებიც მძიმე ტვირთად აწვებიან უმთავრესად მშრომელთა ფართო მასებს.

მოწინავე წერილში „ფორვერტს“-ი სასტიკათ აკრიტიკებს კომფრაქციის წინადადებებს და აცხადებს, რომ მისი მიღება გამოიწვევს გერმანიის მთელი საგადასახადო სისტემის შეცვლას. (ადს).

„კრასინ“-ის ახალი გმირობა

მოსკოვი, 26 ივლისი. „იტალია“-ს დამხმარე კომიტეტმა პროფესორ სამოილოვიჩისაგან მიიღო შემდეგი რადიოგრამა:

„26 ივლისს 0 საათზე „კრასინ“-ი მივიდა გერმანიის გემ „მონტე სერვანტეს“-თან, რომელმაც ავარია განიცადა. ყინულისმჭრელს არაჩვეულებრივი ოვაციით შეხვდნენ. 1800 მგზავრი და გემის ეკიპაჟი ბაქანზე გამოეფინა. ვუშვებთ წყალქვეშ მომუშავეს და ვიწყებთ მუშაობას გემის გადასარჩენად. ვეცდებით რაც შეიძლება მალე დავამთავროთ მუშაობა“. (ადს).

„მონტე სერვანტესი“ „კრასინმა“ გადაარჩინა

ოსლო, 25 ივლისი. ნორვეგიის დეპეშათა სააგენტო იუწყება: „რადიოს ცნობით, გერმანიის გემმა „მონტე სერვანტესმა“ ავარია განიცადა ბელზუნდის ყურეში, შპიცბერგენის დასავლეთ სანაპიროზე. გემს „კრასინი“ დაეხმარა. „მონტე სერვანტესი“ წყალქვეშა კლდეს დაეჯახა, დაზიანდა და გემში წყალმა იწყო დენა. დაწყებულია წყლის ამოქაჩვა. „კრასინის“ წყალქვეშ მომუშავემ გამოიკვლია გემის ზიანი. ახლა გემს საფრთხე არ მოელის და მგზავრები ზედ დარჩნენ. შესაძლებელია —„კრასინი“ რამდენიმე დღეს დარჩეს გემის მახლობლად, რომ „მონტე სერვანტეს“-ს დახმარება აღმოუჩინოს შეკეთების დროს (ადს).

თათბირი პარტიული ინფორმაციის შესახებ

მოსკოვი, 26 ივლისი. საკავშირო კომპარტიის (ბ) საინფორმაციო განყოფილება 1 სექტემბერს იწვევს თათბირს პარტიული ინფორმაციის შესახებ. თათბირზე მოწვეულნი არიან მოსკოვის კომიტეტის, ლენინგრადის საოლქო კომიტეტის, ურალის საოლქო კომიტეტის, ჩრდილოეთ კავკასიის საოლქო კომიტეტის, ციმბირის საოლქო კომიტეტის, შორეულ აღმოსავლეთის საოლქო კომიტეტის, უკრაინის კომპარტიის (ბ) ც. კ.-ის, ბელორუსიის კომპარტიის (ბ) ც. კ.-ის ბიუროს, თურქესტანის კომპარტიის (ბ) ც. კ.-ის, ყაზახსტანის საოლქო კომიტეტის, ამიერ - კავკასიის საოლქო კომიტეტის, საქართველოს კომპარტიის (ბ) ც. კ.-ის, სომხეთის კომპარტიის (ბ) ც. კ.-ის, ბაქოს კომიტეტის, დონისა, ომსკისა და სხვა საოლქო კომიტეტების საინფორმაციო მუშაობის ხელმძღვანელნი (ადს).

ლვოვის საფოსტო კანტორაზე თავდასხმის საქმე

ვარშავა, 26 ივლისი. ლვოვის საგანგებო სასამართლომ განაჩენი გამოიტანა იმ უკრაინელების, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს ლვოვის საფოსტო კანტორაზე უშედეგო თავდასხმაში. ორ მონაწილეს მიუსაჯეს სიკვდილით დასჯა, ორ მცირეწლოვანს—კატორღა 5 და 6 წლით. დანარჩენი 5 ბრალდებულის საქმე გადაეცა ჩვეულებრივ სასამართლოს. პრეზიდენტმა ორივე ბრალდებულს სიკვდილით დასჯა აპატია და შეუცვალა სამუდამო დაპატიმრებით. (ადს).

მ. გორკის დაბრუნება თბილისში

გუშინ, საღამოს 9 საათზე ამიერ-კავკასიის სახკომსაბჭოს თავმჯდომარესთან ამხ. შ. ელიავასთან ერთად ერევნიდან თბილისში ავტომობილით დაბრუნდა მაქსიმ გორკი.

დღეს, 27 ივლისს, გორკი ესაუბრება მუშკორებს. საღამოთი გორკი გამოვა თბილისის საბჭოს გაფართოებულ პლენუმზე.

ხვალ, დილით გორკი გაემგზავრება მოსკოვში.

ტური, ბურჟუაზიული და დემოკრატიული რევოლუციები, ხოლო მექსიკაში—აგრარული რევოლუცია. თუ პროლეტარიატმა შეძლო ბრძოლაში ჰეგემონიის მოპოება, შესაძლებელია ამ რევოლუციების შემდგომი განვითარება წავიდეს სოციალისტური ხაზით. მომავალ წელს მონტევიდეოში გამართება ლათინური ამერიკის ქვეყნების პროფკავშირთა კონგრესი, რომელმაც უნდა შექმნას ლათინური ამერიკის პროფკავშირთა საყოველთაო ფედერაცია. კომინტერნმა ყოველმხრივი დახმარება უნდა აღმოუჩინოს ამ კონგრესს“.

25 ივლისის საღამოს სხდომა

მოსკოვი, 26 ივლისი. 25 ივლისის საღამოს სხდომა გაიხსნა პოსტერის თავმჯდომარეობით. გაგრძელდა კამათი ამხ. ბუხარინის მოხსენების გარშემო.

ბენტინგი (სამხრეთ-აფრიკა). ამბობს „კომუნისტური პარტიების ამოცანაა გააძლიერონ მუშაობა ქალთა შორის და გახადონ ისინი შეგნებულ მებრძოლებად პროლეტარიატის კლასობრივი საქმისათვის“.

კემენი (უნგრეთი). ამბობს: „ფაშიზმის თავისებურებას ბალკანეთსა და უნგრეთში წარმოადგენს პროფკავშირების გასახელმწიფოებრივება და რეაქციონურ-სოციალური რეფორმების გატარება, რომელთა დახმარებითაც მთავრობა ცდილობს მუშების თვალში ითამაშოს „სამედიატორო მოსამართლის“ როლი სოციალურ კონფლიქტებში. უნგრეთის სოციალ-დემოკრატია მხარს უჭერს კონტრრევოლიუციის ამ თავისებურ ბონაპარტისტულ მეთოდებს“.

კენონი (შეერთებული შტატები), ლაპარაკობს მემარჯვენე საფრთხის შესახებ, რომელიც არსებობს ამერიკის კომპარტიაში, საერთაშორისო ინსტანციების გადაწყვეტილება პროფკავშირებში გაუერთიანებელი მუშების დარაზმვის შესახებ ახალ პროფორგანიზაციებში არ იქნა შესრულებული ცეკას უმრავლესობის ოპორტუნისტული პოლიტიკის წყალობით.

ილეკი (ჩეხო-სლოვაკია) ამბობს: „ჩვენ არ ვფიქრობთ ჩვენი შეცდომების დაფარვას „წითელი დღის“ ჩატარების საქმეში და არ უარვყოფთ რომ „წითელი დღის“ ჩაშლა მით უფრო სამწუხაროა, რომ პარტია მრავალი კვირის განმავლობაში ემზადებოდა ამ დღისათვის. „წითელი დღის“ მომზადების დროს ძირითადი შეცდომა მდგომარეობდა მთლიანი ფრონტის ტაქტიკის არასაკმაოდ გამოყენებაში. პარტიულმა ორგანიზაციებმა არ გამოიჩინეს აქტივობა. „წითელი დღის“ ჩაშლის შედეგად წარმოიშვა პარტიის ავტორიტეტის დაცემის საფრთხე და მოსალოდნელი გახდა ამ მარცხის გამოყენება ოპორტუნისტული და ულტრა-მემარცხენე ელემენტების მიერ პარტიის წინააღმდეგ იერიშების მისატანად. მიუხედავად დროებითი მარცხისა, ჩეხო-სლოვაკიის პარტია ნამდვილ მასიურ პარტიას წარმოადგენს. უკანასკნელი პარტიული კრიზისის ლიკვიდაციის შემდეგ პარტიის წევრთა რიცხვი ერთიორად გაიზარდა. წითელი დღის გაკვეთილები საშუალებას მოგვცემენ ბოლო მოვუღოთ დეფექტებს ჩვენს მუშაობაში“.

შარეღში (სპარსეთი): „ჩვენი შეხედულებით,—ამბობს ის,—თეზისები საკმაოდ არ აშუქებენ აგრარულ საკითხს, განსაკუთრებით აღმოსავლეთ ქვეყნებში. კომინტერნის მეხუთე კონგრესის შემდეგ სპარსეთში ადგილი ჰქონდა გლეხების ხუთ დიდ აჯანყებას და მრავალ პატარა აჯანყებას. ეს გვიმტკიცებს, რომ საჭიროა მეტი ყურადღება მიექცეს გლეხებს შორის მუშაობას აღმოსავლეთ ქვეყნებში. მეორე ნაკლია ის, რომ თეზისები არ აქცევენ საკმაო ყურადღებას ახლო აღმოსავლეთს რომელიც საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ომის შემთხვევაში დიდი ამბების ასპარეზი გახდება“.

ბიტელმანი (შეერთებული შტატები) ამბობს: „ამერიკის კომპარტიამ უნდა გააძლიეროს ბრძოლა ომის საფრთხის და პაციფისტური ილუზიების წინააღმდეგ. ჩვენი პარტიის ცეკას უმრავლესობის შეცდომებთან დაკავშირებით ჩვენ უნდა მოვითხოვოთ კომინტერნის ჩარევა პარტიის საქმეებში. კომინტერნმა უნდა გამოასწოროს ჩვენი პარტიის მიერ დაშვებული შეცდომები.

დიმიტროვი (ბულგარეთი). ამბობს: „იმპერიალისტური სახელმწიფოები ცდილობენ ბალკანეთის სახელმწიფოები გადააქციონ თავის ნახევარ-კოლონიებად. შინაგანი კრიზისი ბალკანეთის ქვეყნებში და მუშების და გლეხების მდგომარეობის გაუარესება ხელსაყრელ წინასწარ პირობებს ჰქმნის მუშური და გლეხური და აგრეთვე ნაციონალურ-რევოლიუციონური მოძრაობის განვითარებისათვის. ჩვენ ღრმათ ვართ დარწმუნებულნი, რომ ბალკანეთის კომპარტიები კომინტერნის დახმარებით შეასრულებენ მათ წინაშე მდგარ ამოცანებს პროლეტარული რევოლიუციისა და საბჭოთა კავშირისათვის ბრძოლაში“.

უაინსტონი (შეერთებული შტატები): „ამერიკის კომპარტიის ოპოზიციას,—ამბობს ის,—რომელიც აქ წარმოდგენილია კანნონით და ბიტელმანით, არა აქვს არავითარი პრინციპიალური საფუძველი. ისინი პარტიას ბრალს სდებენ მემარჯვენე გადახრებში, მაგრამ ისინი ხომ თვით ღებულობდნენ მონაწილეობას პარტიის მიერ შეცდარ გადაწყვეტილებების მიღებაში. მოვაგონებთ, რომ სწორედ ბიტელმანმა შემოიტანა წინადადება პენსილვანიის სამთა-მადნო მუშათა გაფიცვის შეწყვეტის შესახებ. ჩვენ უნდა გავაკეთოთ ყველაფერი, რათა კომინტერნის საშუალებით შევსწყვიტოთ ფრაქციული ბრძოლა პარტიაში“.

ალინინი (ინდონეზია) ამბობს: „ჩვენ მოვითხოვთ, თეზისებში წინადადება მიეცეს ჰოლანდიის კომპარტიას.—მხარი დაუჭიროს ინდონეზიის პარტიის ბრძოლას იმპერიალიზმის წინააღმდეგ. მიუხედავად ტერორის გაძლიერებისა, ინდონეზიის კომპარტიის გავლენა მასებში გაიზარდა. ჩვენ საჭიროდ ვსთვლით, რომ მთელი ქვეყნის კომპარტიებმა დაიწყონ საერთაშორისო კამპანია იმ რევოლიუციონერთა განთავისუფლების სასარგებლოდ, რომლებიც მსჯავრდადებულნი არიან აჯანყებაში მონაწილეობისათვის“.

26 ივლისს დილით გრძელდებოდა კამათი ამხ. ბუხარინის მოხსენების გამო. კამათში დღემდე მონაწილეობა მიიღო 32 კაცმა. (ადს).

ნობილეს ექსპედიციის გარშემო

მილანელების მადლობა

მოსკოვი, 26 ივლისი. ქალაქ მილანის მოქალაქეთა ჯგუფმა „იტალია“-ს დამხმარე კომიტეტს გამოუგზავნა წერილი, რომელშიაც მადლობას გამოსთქვამს „იტალია“-ს ეკიპაჟის გადარჩენისათვის და აღტაცებით იხსენიებს „კრასინ“-ის სახელოვან უფროსს და ეკიპაჟს. (ადს)

„კრასინ“-ი სტავანგერში მიდის

მოსკოვი, 26 ივლისი. ვინაიდან სტავანგერი ერთი დღე-ღამის სავალი გზით უფრო ახლოა გოტებურგზე, „იტალია“-ს დამხმარე კომიტეტმა შესცვალა თავისი პირველი გადაწყვეტილება და უბრძანა „კრასინ“-ს შესაკეთებლად და მარაგის მისაღებად სტავანგერში წავიდეს და არა გოტებურგში. (ადს).

„კრასინი“ მიეშურება დასახმარებლად

ყინულის მჭრელი „კრასინი“, 26 ივლისი. 17 ს. 29 წ. „კრასინმა შესცვალა გეზი და გაემართა ბელზუნდისაკენ, სადაც დგას გერმანიის გემი, „მონტე სერვანტეს“ 1500 მგზავრით. „მონტე სერვანტეს“ იძლევა ნიშნებს, რომ ის საჭიროებს სასწრაფო დახმარებას.

ნობილე რომში მიემგზავრება

ოსლო, 25 ივლისი. ნორვეგიის დეპეშათა სააგენტო იუწყება:

„იტალიის ელჩმა ნორვეგიაში განაცხადა: „შესაძლებელია საბჭოთა კავშირისა და იტალიის მთავრობებმა ნება დართეს ნობილეს მონაწილეობა მიიღოს „კრასინ“-ის მუშაობაში, მაგრამ ნობილე იმყოფება „ჩიტა-დი-მილანო“-ზე და მიემგზავრება რომში“.

ჩუხნოვსკისა და სამოილოვიჩის ამერიკაში მიპატიჟების გარშემო

ვაშინგტონი, 25 ივლისი. ეხებიან რა ჩუხნოვსკისა და სამოილოვიჩის მიწვევას შეერთებულ შტატებში, საგარეო საქმეთა სამინისტროს თანამდებობის პირნი, სდგანან რა ფორმალურ თვალსაზრისზე, აცხადებენ, რომ „საგარეო საქმეთა სამინისტრომ არაფერი იცის მათი მიპატიჟების შესახებ“ და, რომ შეერთებული შტატების მთავრობას არ შეუძლია „ოფიციალური შეხვედრა“ გაუმართოს ჩუხნოვსკისა და სამოილოვიჩს, რადგან შეერთებულ შტატებსა და საბჭოთა კავშირს შორის არ არსებობს დიპლომატიური ურთიერთობა. საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელთა განცხადებით, ჩუხნოვსკისა და სამოილოვიჩს, სათანადო ფორმალობის დაცვის პირობებში, მიეცემა შეერთებულ შტატებში დარჩენის უფლება 6 თვით.

პრესის აღფრთოვანებული წერილებით „კრასინის“ გმირული მუშაობის შესახებ, აღტაცება, რომლითაც ჩუხნოვსკისა და სამოილოვიჩის შესახებ ლაპარაკობენ ამერიკული საზოგადოების ყველა წრები, საბაბს იძლევა ვიფიქროთ, რომ ჩუხნოვსკისა და სამოილოვიჩს საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალური მიპატიჟების გარეშეც მეტად თბილად შეხვდებიან შეერთებულ შტატებში.

ამერიკა - საბჭოთა კავშირის სავაჭრო პალატა იხილავს საკითხს ჩუხნოვსკისა და სამოილოვიჩის სტუმრობის გადადების შესახებ საპრეზიდენტო არჩევნების დასრულებამდე.

„ნიუ-იორკ ივნინგ უორლდ“ შემდეგს სწერს ჩუხნოვსკისა და სამოილოვიჩის მიპატიჟების შესახებ:

„მათი ჩამოსვლა განსაკუთრებით საინტერესო მოვლენა იქნება. ამ ადამიანებმა სახელი გაითქვეს თავისი გმირობით ნობილეს ექსპედიციის წევრების გადარჩენის დროს, მათ სახელს უკავშირებენ საბჭოთა მთავრობას, რომლის ცნობაზე შეერთებული შტატები დღემდე უარს ამბობს. სამოილოვიჩისა და ჩუხნოვსკის ჩამოსვლა საბაბს მოგვცემს ნათელვყოთ, თუ რამდენად არ შეეფერება ვაშინგტონის მთავრობის ეს პოზიცია შეერთებული შტატების ხალხის საერთო განწყობილებას. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ საბჭოთა სტუმრებს გულითადად შეხვდებიან“.

მოითხოვენ „იტალია“-ს დაღუპვის გამოძიებას

ლონდონი, 25 ივლისი. „დეილი ჰერალდ“ ნობილეს ექსპედიციის შესახებ ათავსებს მოწინავე წერილს, რომელშიაც მოითხოვს ყველა იმ ამბების სრულ საერთაშორისო გამოძიებას, რომლებიც დაკავშირებულია დირიჟაბლ „იტალია“-ს დაღუპვასთან. გაზეთის სიტყვით, ფიქრობენ, რომ ნობილეს ექსპედიციის ტრაგიკული ისტორიის კულისებში იმალება, რაღაც სამარცხვინო და საშინელება, რომ ამის გაგება არ შეუძლია ქვეყნიერებას.

საჩუქარი მალგრენის გვამის პოვნისათვის

სტოკჰოლმი, 26 ივლისი. გაზეთმა „ნიადაგლიტ ალეხანდამ“ 20.000 კრონი დაუნიშნა საჩუქრად იმას, ვინც მალგრენის გვამს იპოვის. (ადს).

ნობილეს გამგზავრება რომში

ბერლინი, 25 ივლისი. იუწყებიან, რომ იტალიის საელჩომ ნობილესათვის დაიკავა ცალკე საწოლი ვაგონი. ნობილე გაივლის გერმანიაზე და ბერლინს ასცდება. გერმანიის ხელისუფლების წარმომადგენელნი ნობილეს გავლას ოფიციალურად არ გამოეხმაურებიან.

„ჩიტა დი მილანოს“ კაპიტანმა გერმანიის საავიაციო ფირმას შეუკვეთა ორი ჰიდროპლანი ალექსანდრის ჯგუფის მოსაძებნად. (ადს)

თხილამურები და შასი ჩუხნოვსკისათვის

მოსკოვი, 26 ივლისი. „იტალია“-ს დამხმარე კომიტეტის თხოვნით, მუშურ-გლეხური წითელი არმიის სამხედრო - საჰაერო ძალების სამმართველოში ირჩევა საკითხი, თუ რამდენად არის შესაძლებელი, რომ ლენინგრადიდან სტავანგერში „კრასინ“-ზე აეროპლანით გადმოგზავნოს თხილამურები, შასი და სათადარიგო ნაწილები, რომლებიც საჭიროა ჩუხნოვსკისათვის მუშაობის შეუფერხებლივ საწარმოებლად. (ადს)

განკარგულება ყინულისმჭრელ „სედოვს“

მოსკოვი, 26 ივლისი. „იტალია“-ს დამხმარე კომიტეტმა სთხოვა „სოვტორგფლოტსა“ და „დობროლიოტს“ განკარგულება მისცენ ყინულისმჭრელ „სედოვს“, რომელიც ჩრდილოეთის წყალებშია და აეროპლანიც აქვს, მოახდინოს საჰაერო დაზვერვა ფრანც იოსების მიწის ჩრდილოეთ - დასავლეთის მიმართულებით ამუნდსენისა და ალექსანდრის ჯგუფების მოსაძებნად, ვინაიდან შესაძლებელია ეს ჯგუფები საზღვაო დინებამ ამ რაიონისკენ წაიღო. (ადს).

„მალიგინი“ არხანგელსკში

მოსკოვი, 26 ივლისი. „მალიგინ“-ი არხანგელსკში მოვიდა. (ადს)

ჩუხნოვსკი კინგსბეიში რჩება

მოსკოვი, 26 ივლისი. „კრასინ“-ი 25 ივლისს გავიდა ზღვაში და გაემართა სამხრეთ ნორვეგიისაკენ. თვითმფრინავის ეკიპაჟი 9 კაცის შემადგენლობით და ჩუხნოვსკის მეთაურობით კინგსბეიში დარჩა. (ადს)

„ჩიტა დი მილანოს“ მისვლა ნარვიკში

ოსლო, 26 ივლისი. „ჩიტა დი მილანო“ დილა ადრიან ნარვიკში მივიდა და მიიყვანა პოლიარული ტრაგედიის გადარჩენილი მონაწილენი. გემის მისვლის დროს ნაპირზე შედარებით ცოტა ხალხი იყო. ნორვეგიის ხელისუფლების წარმომადგენლენი არ იყვნენ. როდესაც გემმა ღუზები გადაისროლა, არავინ დაეხმარა, რომ გემი მისდგომოდა ნაპირს, ამიტომ თვით გემიდან გადახტა ერთი კაცი და გემი მიაყენა ნაპირს. გადარჩენილი იტალიელების გარდა, გემზე აღმოჩნდა აგრეთვე ორი შვედი, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ „ლატამის“ მოძებნაში მარხილით. ნაპირიდან ერთ სარკმელში გამოჩნდა ნობილეს ძაღლი ტიტინა, მაგრამ რა წამს ეს გემზე მყოფებმა შეამჩნიეს, სარკმელს მაშინვე ფარდა ჩამოაფარეს. არც ერთი გადარჩენილი გემის ბანზე არ გამოსულა. როცა ხიდები ჩამოუშვეს, ზედ დააყენეს დარაჯი — მეზღვაური თოფით, რამაც საყოველთაო გაოცება გამოიწვია (ადს).

შვეციის ექსპედიციის დაბრუნება

ოსლო, 26 ივლისი. გუშინ, ტრომსედან იტალიის თვითმფრინავით ნარვიკში დაბრუნდა ექსპედიციის გადარჩენილი ნაწილი კაპიტანი ტორნბერგის მეთაურობით. დიდძალი ხალხი აღფრთოვანებით შეხვდა შვეციის მფრინავებს, ღამე იტალიის აპარატი ისევ ტრომსში გაფრინდა (ადს).

„კრასინის“ კაპიტანი „მონტე სერვანტესის“ გადარჩენის შესახებ

ყინულის მჭრელი „კრასინი“, 26 ივლისი. გერმანიის დაზიანებული გემის „მონტე სერვანტესისაკენ“ გამგზავრების დროს „კრასინის“ კაპიტანმა ეგემ საკავშირო დეპეშათა სააგენტოს კორესპონდენტს გაუზიარა თავისი მოსაზრება ამ გემისათვის დახმარების აღმოჩენის შესახებ. „მარტო საზღვაო ტრადიციები კი არა, არამედ უბრალო ჰუმანიურობაც გვავალებს — განაცხადა ეგემ,—რომ პირვანდელი გეზი შევცვალოთ და გემის დასახმარებლად გავეშუროთ. პირველ ყოვლისა, ჩვენ ვეცდებით დავეხმაროთ ადამიანებს, შემდეგ კი გემს. სამისოდ ყველა საჭირო ტექნიკური საშუალება გვაქვს. ჩვენ ვეცდებით დაზიანებული ნაწილი გავამაგროთ და ჩვენის საქმიანობით გემი წყლისაგან გავანთავისუფლოთ. თუ გემს ვერ გადავარჩენთ, ზედმყოფ ადამიანებს მაინც ჩამოვიყვანთ. მე ერთ წუთსაც ეჭვი არ მეპარება, რომ ჩვენი მოვალეობის შესრულებას შევძლებთ“. საუბრის დასასრულ, ბელზუნდის მახლობლად, კონცხის იქეთა მხარეს გამოჩნდა დაზიანებული გემი. (ადს).

„კელოგის ხელშეკრულება არ ღირს იმ ქაღალდად, რომელზედაც ის არის დაწერილი“

ბერლინი, 25 ივლისი. მძიმე ინდუსტრიის ორგანო „დეიტშე ბერგვერკს ცეიტუნგი“ მკაცრად აკრიტიკებს კელოგის წინადებას და აცხადებს, რომ მის მიერ წარმოდგენილი ხელშეკრულება „არა ღირს იმ ქაღალდადაც კი, რომელზედაც ის არის დაწერილი“. გაზეთი აღნიშნავს, რომ ხელშეკრულება არავითარ სანქციას არ ითვალისწინებს იმ შემთხვევისათვის, თუ რომელიმე ხელისმომწერი მხარე დაარღვევს მას. გაზეთი მკაცრად აკრიტიკებს გერმანიის მთავრობას კელოგის წინადადების უსიტყვოთ მიღებისათვის. (ადს).

საბჭოთა კავშირში

საბჭოთა კავშირის მიწვევა სანიტარიისა და ჰიგიენის საერთაშორისო გამოფენაზე

მოსკოვი, 26 ივლისი. უცხოეთთან კულტურული კავშირის სრ. საკავშირო საზოგადოება ამერიკის სანიტარულ ექიმთა ასოციაციამ მიიწვია სანიტარიისა და ჰიგიენის საერთაშორისო გამოფენაზე, რომელიც შემოდგომაზე გაიხსნება ჩიკაგოში. საზოგადოებამ თანხმობა განაცხადა მიიღოს მონაწილეობა აღნიშნულ გამოფენაზე.

ამხ. მალიშევის დანიშვნა

მოსკოვი, 26 ივლისი. შრომისა და თავდაცვის საბჭომ ნიჟეგოროდის ბაზრობის კომიტეტის თავმჯდომარეთ დანიშნა ამხ. მალიშევი. (ადს).

ამხ. ბრიუხანოვი ახალი სესხის შესახებ

მოსკოვი, 26 ივლისი. ფინანსთა სახალხო კომისარმა საკავშირო დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელთან საუბარში ახალი სესხის შესახებ განაცხადა შემდეგი:

— სესხის თანხა უდრის 500 მილიონ მანეთს. ბუნებრივია, რომ არ შეიძლება ასეთი დიდი თანხის რეალიზაცია მოკლე ხანში. ხელისმომწერთ ვადა გაუნაწილდებათ: კოლექტიური ხელისმოწერის დროს 8 თვით, ცალკე ხელისმომწერის დროს—4 თვით. ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხის ობლიგაციათა განაწილების მთელ მუშაობაში დაცული უნდა იქნეს ნებაყოფლობის პრინციპი. განმეორება განაწილების იძულებითი მეთოდებისა, რასაც ადგილი ჰქონდა ზოგ ადგილას გლეხის მეურნეობის განმტკიცების სესხის რეალიზაციის დროს, აღარ იქნება დაშვებული. ჩვენ დიდ იმედებს ვამყარებთ საზოგადოებრივ ორგანიზაციათა შეთანხმებულ მუშაობაზე.

მაგრამ სესხის წარმატებაში მეტად მნიშვნელოვანი, შესაძლებელია ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი როლი უნდა ითამაშოს არა მარტო ახალი ოპერაციის სარგებლიანობამ და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა გმირულმა ღონისძიებებმა, არამედ ფართო მოსახლეობის მიერ ნათლად შეგნებულმა მიზნებმა.

შეიძლება თამამად ვთქვათ, რომ ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხის გამოშვებით ჩვენ ერთი რომ ვაძლევთ მოსახლეობას მისი სახსრის მოთავსების ხელსაყრელ ფორმას, მეორე კი, ვქმნით ფრიად შეღავათიან, ელასტიურ პირობებს სესხის რეალიზაციისათვის.

დასასრულ, რეალიზაციით მიღებულ თანხებს, ჩვენ ვაბანდებთ სასარგებლო საქმეს ქვეყნის ეკონომიკისათვის აუცილებელ საქმეს, გარდა ამისა, ჩვენ ამავე დროს არსებით დახმარებას უწევთ ჩვენს საკრედიტო სისტემას. (ადს).

მაქსიმ გორკი ერევანში

ერევანი, 25 ივლისი. კომუნარების ბაღში შესდგა მიტინგი, რომელსაც დაესწრო 15000-მდე მშრომელი. განათლების სახალხო კომისარის ამხ. მრავიანის, სომხეთის ცაკის თავმჯდომარის მოადგილის ამხ. აზატიანის და სხვების მოკლე სიტყვების შემდეგ გამოვიდა მ. გორკი, რომელსაც ხანგრძლივი ოვაციით შეხვდნენ.

— ამხანაგებო, სთქვა გორკიმ, მე ვფიქრობ, რომ არსად და არასოდეს ასე მცირე დროს განმავლობაში არ გაკეთებულა იმდენი რამე, როგორც საბჭოთა კავშირში. დასავლეთ ევროპაში პროლეტარიატს არა აქვს შემოქმედების ისეთი თავისუფლება, როგორც თქვენ. საბჭოთა კავშირში ხალხი ხალხისთვის აკეთებს დიდ საქმეს“.

მიტინგის შემდეგ გორკის პატივსაცემად შესდგა კონცერტი სიმფონიური ორკესტრის, სახელმწიფო კონსერვატორიის გუნდის და ხორეოგრაფიული სტუდიის მონაწილეობით.

10 ნახ. საათზე სომხეთის პროლეტარულმა მწერლებმა გორკის პატივსაცემად გამართეს ამხანაგური საღამო. გორკიმ პასუხი გასცა სხვადასხვა ლიტერატურული გაერთიანების წარმომადგენელთა მისალმებებზე და დაწვრილებით შეჩერდა თანამედროვე საბჭოთა ლიტერატურის მიღწევებზე.

26 ივლისს დილით გორკი თბილისში მიემგზავრება. (ადს).

როგორ მიმდინარეობს ხორბლეულის დამზადება საქართველოში

საუბარი ამხ. ნაფეტვარიძესთან

ხორბლეულის დამზადების შესახებ „სოფლის კავშირის“ გამგეობის თავმჯდომარემ ამხ. მ. ნაფეტვარიძემ ჩვენს თანამშრომელთან საუბრის დროს განაცხადა:

ხორბლეულის გეგმიანი დამზადება საქართველოში მხოლოდ წელს დაიწყო და ეს დამზადება მთლიანათ დავალებული აქვს „სოფლის კავშირს“. ხორბლეულის დამზადებას „სოფლის კავშირი“ აწარმოებს თავისი სისტემის — სას. სამ. ამხანაგობების საშუალებით, რომლებთანაც დადებული აქვს სათანადო ხელშეკრულებები. იმ რაიონებში, სადაც არ არსებობს სას. სამ. ამხანაგობა, ხორბლეულის დამზადების საქმეში გამოყენებული იქნება სამომხმარებლო კოოპერაცია. ამხანაგობები ხორბლეულს იძენენ გლეხებისაგან ვაჭრობის კომისარიატის მიერ დამტკიცებულ ფასებში. ფუთ ხორბლეულში გლეხებს ეძლევათ ნაღდათ 1 მან. 75 კაპეიკიდან 1 მან. 95 კაპეიკამდე, ქერში 1 მან. 05 კაპ. 1 მან. 30 კაპეიკამდე, იმის მიხედვით თუ რა მანძილით არის დაშორებული დამზადების პუნქტი რკინის გზის სადგურიდან. ხორბლეულის დამზადების რაიონებში გადაგზავნილია ფართალი, რკინეული და ტყავეულობა.

მიმდინარე წლის გეგმით საქართველოს ყველა მაზრებში განზრახულია 398.000 ფუთი ხორბლის და ქერის დამზადება, რომელიც გაიგზავნება საქართველოს მცირე მოსავლიან რაიონებში. მაზრების მიხედვით ხორბლეულის დამზადება ჩატარდება შემდეგნაირათ: სიღნაღის და თელავის მაზრებში დამზადებული იქნება 174.000 ფუთი, გორის მაზრაში — 139,000 ფუთი, ბორჩალოს მაზრაში—20.000 ფუთი, ახალციხის მაზრაში — 20.000, ახალქალაქის მაზრაში — 21.000 და თბილისის მაზრაში— 14.000 ფუთი.

ხორბლეულის წრევანდელი მოსავლიანობის შესახებ შეიძლება ითქვას შემდეგი: კახეთში მოსავალი, როგორც ღირსების აგრეთვე რაოდენობის მხრივ წელს კარგია. როგორც ადგილობრივი მცხოვრებლები გადმოგვცემენ, კახეთში ასეთი მოსავალი აღარ ყოფილა, უკანასკნელი 40 წლის განმავლობაში. ბორჩალოს მაზრაში მოსავალი წელს საშუალოა, ხოლო თბილისისა და დუშეთის მაზრებში — საშუალოზე მეტი. რაც შეეხება გორის მაზრას, ერთი თვის წინეთ ეშინოდათ, რომ ხშირი წვიმების გამო მოსალოდნელია მოსავლის გაფუჭება. მაგრამ უკანასკნელი დღეების კარგი ამინდის გამო ნათესები საგრძნობლად გამოკეთდა და მოსალოდნელია საშუალოზე ნაკლები მოსავალი.

დასამზადებლად განზრახულ ხორბლეულის რაოდენობას გლეხობა რასაკვირველია ერთბაშათ ვერ გამოიტანს ბაზარზე და ხორბლის შესყიდვა ჩვენ მოგვიხდება თანდათანობით წლის განმავლობაში. ამ მიზნით „სოფლის კავშირს“ შემუშავებული აქვს ხორბლეულის შესყიდვის კალენდარული გეგმა.

ხორბლეულის ინტენსიურათ შესყიდვას ამჟამად ხელს უშლის მოსავლის დაგვიანება (გორის მაზრაში პურეულის მკა დაიწყო ამ დღეებში, კახეთში კი ჯერაც არ არის დამთავრებული გალეწვა) და უამინდობა (ხშირი წვიმები). სალეწი მანქანების უქონლობის გამო გვიანდება ხორბლეულის გალეწვა და მისი ბაზარზე გამოტანა. უნდა აღვნიშნოთ ის გარემოებაც, რომ კერძო შემსყიდველები (სპეკულიანტები და კულაკები) ხორბლეულს იძენენ მაღალ ფასებში და სპეკულიაციის მიზნით ეზიდებიან იმ რაიონებში, სადაც მოსავალს დააგვიანდა.

ამ გარემოებას ამ თავითვე უნდა მიექცეს ჯეროვანი ყურადღება და ალაგმულ უნდა იქნან სპეკულიანტები, რომლებიც ხელოვნურათ აძვირებენ ხორბლეულის ფასს, რითაც არევ-დარევას იწვევენ ბაზარზე და ხელს უშლიან გეგმიან დამზადებას.

პურის ბაზარზე

ა.-კ. ვაჭრობის სახ. კომისარიატმა მიიღო ცნობები, რომ ადგილებზე ხორბლეულის დამზადების საქმეში ადგილი აქვს ზოგიერთ არანორმალურ მოვლენებს. ვინაიდან პურის დამზადების კამპანიას ამჟამად უდიდესი მნიშვნელობა ეძლევა და ამ საქმეში საჭიროა განსაკუთრებული სიფრთხილე, ა.-კ. ვაჭრობის სახ. კომისარიატმა რწმუნებულებს (რესპუბლიკებში) დაუგზავნა შემდეგი წერილი: ამჟამად პურეულის დამზადების კამპანიაში შემჩნეულია შემდეგი არანორმალური მოვლენები: ადგილებზე თვითნებურად უკრძალავენ ხორბლეულის გადაზიდვა - გადმოზიდვას, მოსახლეობას აიძულებენ ხორბლეული ჩააბარონ კოოპერაციას და ხელს უშლიან ხორბლეულის თავისუფლად გატანას შინა ბაზარზე.

მოსავალი წელს გაცილებით უკეთესია გასული წლის მოსავალზე; გარდა ამისა სოფლის მოსახლეობა წელს გაცილებით უკეთ არის მომარაგებული სამრეწველო საქონლით. ეს იმის თავდებია, რომ ხორბლეულის დამზადება წარმატებით ჩატარდება და სრულიად არ არის საჭირო რაიმე განსაკუთრებული ზომები, იმ მიზნით, რომ გლეხობა დაინტერესდეს ხორბლეულის ნათესების სივრცის გაფართოებაში. ხელი შეუწყოს მოსავლიანობის ამაღლებას და არ დაბრკოლდეს დამზადების კამპანიის ნორმალური მსვლელობა, წინადადებას გაძლევთ დაუყოვნებლივ მიიღოთ გადამჭრელი ზომები გლეხებისაგან პურის იძულებითი წესით შეძენის მოსასპობათ, აკრძალოთ სოფლის შინა ბაზარზე პურის თავისუფლად მოძრაობის შემზღუდველი წესები და მიიღოთ ზომები, რომ გლეხებს თავისუფლად შეეძლოთ ხორბლეულის ერთი ადგილიდან მეორე ადგილზე გადაზიდვა.

ვაჭრობის კომისარიატის რესპუბლიკურ რწმუნებულებს წინადადება მიეცათ შუამდგომლობა აღძრან სათანადო სახ. კომ. საბჭოების წინაშე, რათა ადგილობრივ ადმინისტრაციას წინადადება მიეცეს მტკიცეთ გაატაროს ეს დირექტივა.

თბილისის პარტაქტივის რეზოლუცია

საკ. კ. პ. (ბ) ცეკას ივლისის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესახებ

26 ივლისს სახელმწიფო ოპერის შენობაში გაიმართა საქართველოს კომპარტიის (ბ) თბილისის ორგანიზაციის საქალაქო აქტივის კრება, რომელმაც მოისმინა ამხ. მამია ორახელაშვილის მოხსენება საკავშირო კომპარტიის (ბ) ც. კ.-ის ივლისის პლენუმის შედეგების შესახებ. კრებამ გამოიტანა შემდეგი რეზოლუცია:

„საქართველოს კომპარტიის (ბ) თბილისის ორგანიზაციის საქალაქო აქტივმა მოისმინა და განიხილა ამხ. მამია ორახელაშვილის მოხსენება საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას ივლისის პლენუმის შესახებ; აქტივი მთლიანად იწონებს პლენუმის გადაწყვეტილებებს და იზიარებს მათ.

კრება პლენუმის მიერ მოწონებულ კომინტერნის პროგრამის პროექტს სცნობს მტკიცე თეორეტიულ ბაზისად, რომელიც საშუალებას აძლევს კომინტერნის ყველა სექციას, რომ კიდევ უფრო ფართოდ განავითარონ პროლეტარიატის მასიური რევოლიუციონური ბრძოლა კომუნიზმისათვის.

აქტივი ავალებს საქართველოს კომპარტიის (ბ) თბილისის კომიტეტს შეუდგეს კომინტერნის პროგრამის დამუშავებას და ფართო პოპულარიზაციას, განავითაროს მასიური განმარტებითი კამპანია პარტიულ და უპარტიო მასებში.

აქტივის კრება აღნიშნავს, რომ პლენუმის გადაწყვეტილებანი პარტიის პოლიტიკის შესახებ პურის დამზადების დარგში—გვაძლევს ქვეყნის სამეურნეო მდგომარეობის ამომწურავ ლენინურ ანალიზს და უზრუნველჰყოფს მე - 15 პარტიული ყრილობის მიერ დასახული ეკონომიური პოლიტიკის წარმატებით განხორციელებას.

კრება აღნიშნავს, რომ საჭიროა დაქსაქსულ საგლეხო მეურნეობათა ფართოდ გაერთიანება კოოპერაციაში, სოფლის მეურნეობის ტექნიკური ბაზისის გაძლიერება საგლეხო მეურნეობათა კოლექტივიზაციისა და მსხვილ საბჭოთა მეურნეობების შექმნის გზით და ამავე დროს ღარიბ და საშუალო გლეხის ინდივიდუალურ მეურნეობის ნაყოფიერების მოსპობით შესაძლებელ სიძნელეთა საფუძველს პურის ფრონტზე და უზრუნველყოფთ ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის სწრაფ ტემპს.

პარტაქტივი მთლიანად უჭერს მხარს ცეკას მტკიცე ხაზს კულაკზე შეტევის საკითხში და აგრეთვე პურის დამზადების კამპანიის დროს საგანგებო ზომების მიღებაში, რომლებმაც უზრუნველყვეს ქვეყანა თავი დაეღწია სიძნელეებისათვის, ამავე დროს აქტივი იწონებს ცეკას მოწოდებას, რომ გადამჭრელი ბრძოლა გამოუცხადოთ იმათ, ვინც ცდილობენ დროებით საგანგებო ზომებს მისცენ ხანგრძლივი კურსის ხასიათი. მხოლოდ ლენინის პოლიტიკა: ღარიბ გლეხობაზე დაყრდნობა, მჭიდრო კავშირი საშუალო გლეხობასთან და გადამჭრელი შეტევა კულაკის წინააღმდეგ—აძლევს პარტიას საშუალებას დასძლიოს ქალაქისა და სოფლის კაპიტალისტური ელემენტების წინააღმდეგობა და უზრუნველჰყოს სოციალიზმის მშენებლობა.

პარტაქტივი იწონებს პლენუმის გადაწყვეტილებას ჩვენი მრეწველობისათვის ახალი ტექნიკური კადრების, მეტადრე მუშათა შემადგენლობიდან, მომზადების გაუმჯობესების შესახებ და სახ. მეურნ. უმაღლეს საბჭოსა და გზათა კომისარიატის გამგებლობაში უმაღლეს ტექნიკურ სასწავლებელთა ნაწილის გადაცემის შესახებ; ამიტომ პარტაქტივი ავალებს საქართველოს კომპარტიის (ბ) თბილისის კომიტეტს მომავალ სამოსწავლო წლისათვის უზრუნველჰყოს სამეურნეო და საბჭოთა ორგანოების მხრით გადამწყვეტი გარდატეხა კვალიფიკაციური ტექნიკური ძალის მომზადების საკითხში, და ახალგაზრდობის ჩაბმა უმაღლეს ტექნიკურ სასწავლებლებში.

კრება მოუწოდებს პარტიის ყველა წევრს გულდასმით შეისწავლონ პლენუმის გადაწყვეტილებანი და განავითარონ ფართო განმარტებითი მუშაობა მშრომელთა მასებში.

1.000.000 ჰექტარი ბამბის ნათესებისათვის

თბილისში დაბრუნდა შრომისა და თავდაცვის საბჭოს სპეციალური კომისიის წევრი ინჟ. ა. ლეში, რომლის ხელმძღვანელობითაც ჩატარებულ იქნა მილის ველის გამოკვლევა და მის მოსარწყავათ შესაფერი პროექტის დამუშავება. შრომის და თავდაცვის საბჭოს კომისია მივლინებულია ამიერ - კავკასიაში ბამბოვანი რაიონების გამოსაკვლევათ.

ინჟ. ლეშმა ამიერ - კავკასიაში მებამბეობის განვითარების პერსპექტივების შესახებ ჩვენს თანამშრომელს აცნობა:

— მებამბეობის რაიონების გამოკვლევას ხელმძღვანელობს პროფ. ვ. ვასილიევი, რომელიც ითვლება მებამბეობის მეურნეობის საუკეთესო მცოდნეთ. მისი დასკვნით ბამბის ნათესებისათვის გამოსადეგი იქნება მორწყვის შემდეგ არა მარტო მილის ველი, არამედ მუღანისა და შირვანის ველებიც. დაბრკოლება აღნიშნული ველების მორწყვის საქმეში სხვათა შორის, ამჟამად მდგომარეობს, რომ მდ. არაქსის წყალი მარაგი არ იქნება საკმარისი, განსაკუთრებით ზაფხულის პერიოდის განმავლობაში, ყველა ველების მოსარწყავად. ამიტომ ჩვენმა კომისიამ საჭიროდ აღიარა მდ. არაქსის მახლობლად აგებულ იქნეს რამოდენიმე დიდი აუზი, რომლებშიაც შენახული იქნება წყალი ზაფხულისათვის.

ამჟამად მარტო მილის ველზე მუშაობს სპეციალისტთა 9 საგამოკვლევო პარტია, რომლებიც იკვლევენ ბამბის დასათეს ადგილების გეოლოგიურ, ჰიდროლოგიურ და ტოპოგრაფიულ ხასიათს.

შეკრებილი მასალებიდან ირკვევა, რომ სულ ამიერ - კავკასიაში ბამბის სათესი სივრცე სარწყავი სამუშაოების დასრულების შემდეგ გაიზრდება 1,000,000 ჰექტარამდე.

მენშევიკ-ბოლშევიკთა უთანხმოების სათავეებთან

პარტიის მეორე ყრილობის 25 წლის თავის გამო

პირველიდან მეორე ყრილობამდე

„ეკონომიზმის“ წარმოშობა

სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების პირველი ყრილობა მინსკში (1898 წ.) გაერთიანების სურვილის დემონსტრაცია უფრო იყო, ვიდრე ნამდვილად გამაერთიანებელი ყრილობა. ფაქტიური გაერთიანება, სოციალ-დემოკრატიული ჯგუფების და ორგანიზაციების მუშაობის გადაბმა ერთ მძლავრ სოციალ-დემოკრატიულ მოძრაობათ, პირველი ყრილობის შემდეგ კიდევ ხუთი წლის განმავლობაში შეადგენდა მაშინდელი სოციალ-დემოკრატების მორიგ პრაქტიკულ ამოცანას. ამის მიზეზი ერთი მხრივ იყო ის გარემოება, რომ პირველ ყრილობაზე არჩეულ ცენტრალური კომიტეტის და ცენტრალურ ორგანოს რედაქციის თითქმის მთელი შემადგენლობა დაპატიმრებულ იქნა ყრილობის დამთავრებისთანავე. მეორე მხრივ, ყრილობის შემდეგ სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების დაქსაქსულობა არა თუ აღმოიფხვრა ან შესუსტდა, არამედ გაძლიერდა კიდეც. ამის მიზეზი იყო რუსეთის სამრეწველო განვითარების იმ დროინდელ ნიადაგზე (რუსეთის კაპიტალიზმის აყვავების ხანა) წარმოშობილი მიმართულება ე. წ. „ეკონომიზმი“, რომელიც სოციალ-დემოკრატიის მთავარ ამოცანად თვლიდა ბრძოლას მუშათა კლასის ეკონომიური მოთხოვნილებებისათვის და სრულიად [illegible] სტოვებდა პოლიტიკურ ამოცანებს. და ვინაიდან მაშინდელ თავისებურ პირობების გამო მუშათა კლასის მთელი რიგ ეკონომიური მოთხოვნილებების განხორციელება შესაძლებელი ხდებოდა, ეს გარემოება ასუსტებდა ლტოლვას გაერთიანებისაკენ.

⁂

ეკონომიზმის ფესვები ერთი მხრივ მდგომარეობდა ოთხმოცდაათიანი წლების დამლევის ეკონომიურ ვითარებაში, მეორე მხრივ იმ მდგომარეობაში, რომ რუსეთში მარქსიზმსა და მარქსიზმის იდეებზე აღმოცენებულ მოძრაობას თავიდანვე მიემხრნენ ისეთი პირები, რომლებიც კლასიურად სრულიად უცხონი იყვნენ მუშათა მოძრაობისათვის, რომლებიც თუმცა მარქსისტული ფრაზეოლოგიით გამოდიოდნენ, მაგრამ ობიექტიურად ბურჟუაზიული იდეოლოგიის მატარებლები იყვნენ. მარქსიზმი მათ ესაჭიროებოდათ იმ მიზნით, რომ დაესაბუთებიათ აუცილებლობა კაპიტალიზმის განვითარებისა რუსეთში, რასაც უარჰყოფდნენ ნაროდნიკები.

თუ რუსეთში კაპიტალიზმის განვითარების აუცილებლობის დასამტკიცებლად მოწინავე ბურჟუაზიულმა ინტელიგენციამ მარქსიზმი მოიმარჯვა, ბატონყმურ წესწყობილებასთან ბრძოლაში ის სცდილობდა დაყრდნობოდა მუშათა მოძრაობას.

ბურჟუაზიულ ინტელიგენტთა მთელი ჯგუფი ამ ნიადაგზე ძლიერ დაუახლოვდა პროლეტარიატს და ერთი პერიოდის განმავლობაში მის რიგებშიც კი იბრძოდა. ბურჟუაზიულ ინტელიგენციის სწორედ ეს ჯგუფია საფუძველის ჩამყრელი იმ მიმართულების, რომელიც რუსეთის მარქსისტული აზროვნების განვითარების ისტორიაში ცნობილია ე. წ. „ლეგალური მარქსიზმის“ სახელწოდებით.

სტრუვე, მაგალითად, აქტიურ მონაწილეობას იღებდა პარტიის ორგანიზაციაში: მის კალამს ეკუთვნის პირველი ყრილობის მანიფესტი.

არაჩვეულებრივი შორსმჭვრეტელობა იყო საჭირო, რომ სტრუვეში, რომელსაც ეკუთვნის ცნობილი ფრაზა: «Чем дальше на Восток, тем подлее буржуазия» დაენახათ პროლეტარიატის მომავალი მტერი, რომელიც იმდენად გარეაქციონერდებოდა, რომ თეთრგვარდიელ ბარონ ვრანგელის მინისტრობას ეკისრებოდა.

პირველი ლენინი იყო, რომელიც შეეჭვდა სტრუვესა და მსგავს „მარქსისტების“ რევოლიუციონერობაში.

1894 წელს გამოვიდა სტრუვეს წიგნი, „კრიტიკული შენიშვნები რუსეთის ეკონომიური განვითარების საკითხზე“, რომელშიც სტრუვე სახელმწიფოს ახასიათებდა, როგორც ზეკლასიურ ორგანიზაციას. თავის თავად ცხადია, რომ ამ შეხედულებას არაფერი საერთო არა აქვს მარქსიზმთან. იყო ამ წიგნში ერთი ფრაზა, რომელიც საუცხოვოდ ახასიათებდა სტრუვესა და სტრუვის მსგავსთა „მარქსისტობის“ ბურჟუაზიულ ბუნებას: „ვაღიაროთ ჩვენი უკულტურობა და ვისწავლოთ კაპიტალიზმისგან“-ო. ლენინმა სასტიკად გაილაშქრა მარქსიზმის ასეთი პროფანაციის წინააღმდეგ და იწინასწარმეტყველა, რომ სტრუვე მომავალში ლოღიკურად იტყოდა: „ვისწავლოთ კაპიტალისტებისგანო“.

ბუნებრივად იბადება კითხვა: თუ „ლეგალური მარქსიზმის“ წარმომადგენლები ჯერ კიდევ 1894 წ. ამჟღავნებდნენ თავის ბურჟუაზიულ ბუნებას, მაშ რატომ თანამშრომლობდნენ მათთან ლენინი და პლეხანოვი?

პასუხს ამ კითხვაზე იძლევა ლენინი წერილში: „Что делать?“.

> „არავისთვის საიდუმლოებას არ შეადგენს, რომ მარქსიზმის ხანმოკლე აყვავება ჩვენი ლიტერატურის ზედაპირზე გამოწვეული იყო უკიდურეს ხალხთა (крайних людей) კავშირით ფრიად ზომიერ ხალხთან. არსებითად, ეს უკანასკნელნი ბურჟუაზიული დემოკრატები იყვნენ, და ამ დასკვნას (აშკარად დადასტურებულს მათი შემდგომი „კრიტიკული“ განვითარებით) ზოგიერთები აკეთებდნენ ჯერ კიდევ მაშინ როცა „კავშირი“ მთლიანი იყო.
>
> მაგრამ, თუ ეს ასეა, მაშინ ყველაზე მეტი პასუხისმგებლობა შემდგომი „ალიაქოთისათვის“ (смута) ხომ არ ეკისრება სწორედ რევოლიუციონურ სოციალ - დემოკრატებს, რომლებიც შევიდნენ ამ კავშირში მომავალ „კრიტიკოსებთან“. ასეთი კითხვა დადებითი პასუხით მასზე ზოგჯერ გვესმის ხალხისაგან, რომლებიც მეტად ცალმხრივად უყურებენ საქმეს. მაგრამ ეს ხალხი ოდნავადაც არ არის მართალი, დროებითი კავშირების, თუნდაც არასაიმედო ხალხთან შეუშინდება მხოლოდ ის, ვისაც თავისი თავის იმედი არა აქვს, ვერც ერთი პოლიტიკური პარტია ასეთი კავშირების გარეშე ვერ იარსებებდა. ლეგალურ მარქსისტებთან შეერთება კი იყო რუსეთის სოციალ-დემოკრატიის ერთგვარი პირველი ნამდვილად პოლიტიკური კავშირი. ამ კავშირის წყალობით მიღწეულ იქნა გასაოცრად სწრაფი გამარჯვება ნაროდნიკიზმზე და მარქსიზმის იდეების უდიდესი გავრცელება ფართოდ (თუმცა გავულგარულებული სახით). ამასთან ერთად, კავშირი ყოველგვარი „პირობების“ გარეშე როდი იყო დადებული. საბუთი: მარქსისტული კრებული: „მასალები რუსეთის სამეურნეო განვითარების საკითხისათვის“, რომელიც 1895 წ. დასწვა ცენზურამ. თუ ლიტერატურული შეთანხმება ლეგალურ მარქსისტებთან შეიძლება შევადაროთ პოლიტიკურ კავშირს, ეს წიგნი შეიძლება პოლიტიკურ ხელშეკრულებას შევადაროთ“. *)

ეს „კავშირი“ გრძელდებოდა იმ დრომდე, სანამ სტრუვე - ტუგან - ბარანოვსკის კომპანიის „მარქსისტობის“ დაფარული ბურჟუაზიული ბუნება იმდენად არ გამოაშკარავდა, რომ მასთან თანამშრომლობის გაგრძელება ჩირქს მოსცხებდა რევოლიუციონურ სოციალ-დემოკრატიას.

მასიურმა დაპატიმრებამ, რომელიც პირველ ყრილობას მოყვა (ლენინი, მარტოვი, კრჟიჟანოვსკი და სხვ. კიდევ უფრო ადრე იქნენ დაპატიმრებული) მრავალი რევოლიუციონური სოციალ-დემოკრატი გამოჰგლიჯა მუშათა კლასის რიგებს.

სწორედ ამ პერიოდში რუსეთში ფართოდ გაიკაფა გზა რევიზიონიზმმა, რომლის მამამთავარი ედუარდ ბერნშტეინი არის. ბერნშტეინმა თავის ცნობილ წიგნში „სოციალიზმის წინასწარი პირობები“ მთელი რევოლიუციონური სული გამოაცალა მარქსიზმს. სოციალიზმისათვის ბრძოლა ბერნშტეინმა შესცვალა რეფორმისტულ-რევიზიონისტული ლოზუნგით: „მოძრაობა— ყველაფერია, საბოლოო მიზანი— არაფერი“. ეს ნიშნავდა იმას, რომ პროლეტარიატმა უნდა დაივიწყოს საბოლოო მიზანი და იზრუნოს მხოლოდ თავის ეკონომიური კეთილდღეობის გაუმჯობესებაზე.

ბერნშტეინი ამტკიცებდა, თითქო კაპიტალიზმის განვითარებასთან ერთად კლასობრივი ანტაგონიზმი სუსტდება, მუშათა კლასის მდგომარეობა უმჯობესდება, ხდება თანდათანობითი „შეზრდა“ სოციალიზმში. ამ შეხედულებიდან ლოღიკურად გამომდინარეობდა უარყოფა კლასობრივი ბრძოლისა და უკანასკნელის შეცვლა მშვიდობიანი ბრძოლით რეფორმებისათვის.

ბერნშტეინის „კრიტიკამ“ მხურვალე გამოძახილი ჰპოვა ყველა იმათში, რომლებშიც ბუნებრივი ოპორტუნიზმი და რენეგატობა თვლემდა და მხოლოდ მცირეოდენი ბიძგი იყო საჭირო მის გამოსაღვიძებლად.

გერმანიის მაშინდელი სოციალ-დემოკრატიის რიგებშიც კი შესაფერად ვერ ჰქონდათ შეთვისებული ბერნშტეინის რევიზიონისტული ექსკურსიების მთელი მავნებლობა, რასაც გარკვევით ამტკიცებს პლეხანოვის წერილი კაუცკისადმი (წერილი ეკუთვნის 1898 წ. დამლევს), რომელსაც მაშინ კიდევ არ ჰქონდა გაწყვეტილი კავშირი რევოლიუციონურ მარქსიზმთან, მაგრამ მიუხედავად ამისა უკომენტარიოდ მოათავსა „Neue Zeit“-ში ბერნშტეინის წერილები, რომლებიც მარქსიზმის რევიზიას შეიცავდა. პლეხანოვმა მაშინ დასწერა წერილების მთელი სერია მარქსიზმის დასაცავად გაყალბებისაგან.

⁂

რევოლიუციონური სოციალ-დემოკრატიის ბელადების დაპატიმრების შემდეგ ლეგალური მარქსისტები განთავისუფლდნენ იმ ზეგავლენიდან, რომელსაც ისინი განიცდიდნენ უკანასკნელთა მხრით და რომელიც ერთგვარ ლაგამს წარმოადგენდა მათი ბურჟუაზიული ბუნებისათვის და ხარბად დაეწაფნენ ბერნშტეინის რევიზიონიზმს.

მაგრამ გარდა ამ უცხოეთიდან მონაქროლი რევიზიონისტული ნიავისა, იყო კიდევ მეორე მიზეზი, რომელიც ხელს უწყობდა ლეგალური მარქსიზმის ნამდვილი სახის გამოაშკარავებას. ეს მიზეზი, როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, მაშინდელ ეკონომიურ ვითარებაში უნდა ვეძიოთ.

ოთხმოცდაათიანი წლების [illegible] ეპოქა, 1891 წლის შიმშილობის შემდეგ წარმოადგენს რუსეთის კაპიტალიზმის აყვავების ხანას. 1890 წ. ფაბრიკა-ქარხნებში მომუშავე მუშების რიცხვი 1.424.000 უდრიდა, 1897 წ. —ეს ციფრი უკვე 2.098.000 გაიზარდა. იმის წყალობით, რომ მრეწველობა მთლიანად იყენებდა სოფლიდან გაჭირვებისა და გაღატაკების გამო გამოდევნილ გლეხობას, უმუშევრობას თითქმის არ ჰქონდა ადგილი. ის გარემოება კი, რომ არ მოიპოვებოდა მუშევართა სარეზერვო არმია, აადვილებდა მუშების ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესებას. ზოგჯერ გაფიცვის უბრალო მუქარა საკმაო იყო, რომ წარმოების პატრონი, მუშაობის შეჩერების შიშით, წასულიყო დათმობაზე და დაეკმაყოფილებინა მუშების მოთხოვნილებები. ასეთი მდგომარეობა ხელს უწყობდა ეკონომიური ბრძოლის გაფართოებას. ლეგალურმა მარქსისტებმა დროებითი ხელსაყრელი ეკონომიური კონიუნქტურა ჩასთვალეს მარად მოვლენად და მსგავსად ბერნშტეინისა, განაცხადეს, რომ რუსეთის მუშათა კლასი არ საჭიროებს პოლიტიკურ ბრძოლას.

⁂

„ეკონომიზმის“ იდეების პირველი გამტარებელი რუსეთის მუშათა მოძრაობაში გახდა გაზ. „რაბოჩაია მისლ“, რომელმაც გარკვევით ჩამოაყალიბა „ეკონომისტების“ იდეალები. „რაბოჩაია მისლ“ აშკარად აცხადებდა, რომ „მუშებმა არ უნდა აწარმოონ ბრძოლა რაღაც იდეალებისათვის, ვიღაც შემდეგი თაობებისათვის, არამედ მათთვის (მუშებისათვის), მათი შვილებისათვის, გარკვეულ პრაქტიკულ გაუმჯობესებათათვის“. ამრიგად, „ეკონომისტები“ „რაბოჩაია მისლ“-იდან სრულიად უარჰყოფდნენ ბრძოლას სოციალიზმისათვის. ისინი უარჰყოფდნენ არა მარტო ამ ბრძოლას, არამედ უარჰყოფდნენ რუსეთის პროლეტარიატის უახლოეს ამოცანასაც— თვითმპყრობელობის დამხობას.

ეკონომიური ბრძოლა „რაბოჩაია მისლ“-ის ჯგუფმა გადააქცია თვითმიზნად. მაგრამ, რადგან პოლიტიკურ ბრძოლაზე მთლად ხელის აღება უხერხული იყო, „ეკონომისტებმა“ „რაბოჩაია მისლ“-იდან სოფისტიკას მიმართეს და შეეცადნენ იმის მტკიცებას, რომ ეკონომიური ბრძოლა მუშათა კლასს საბოლოო ანგარიშით მისცემს იმას, რასაც პოლიტიკური ბრძოლაო და ამ „სიბრძნის“ დასამტკიცებლად იმოწმებდნენ... თვით მარქსს. განა თვით მარქსმა არ სთქვა, რომ „ყოველგვარი ეკონომიური ბრძოლა იმავე დროს პოლიტიკური ბრძოლა არისო“,— ამბობდა „რაბოჩაია მისლ“. რასაკვირველია, აქ ადგილი ჰქონდა მარქსის აზრების ისეთივე გაყალბებას, როგორსაც ბერნშტეინმა მიმართა.

1898 წელს გამოვიდა „ეკონომისტების“ ახალი დოკუმენტი, რომელშიც ნათლად იყო გარკვეული ეკონომისტების დამოკიდებულება პოლიტიკური ბრძოლისადმი. ეს იყო „კრედო“ („კრედო“— ლათინური სიტყვაა და ნიშნავს —„მრწამს“). „კრედო“-ს ავტორი იყო ქ-ნი კუსკოვა, რომელიც ამჟამად თეთრგვარდიელთა ბანაკს ამშვენებს. „კრედო“-ს მთავარი დებულებები შემდეგში მდგომარეობდა: მუშათა კლასისათვის ზედმეტია დამოუკიდებელი პოლიტიკური პარტია და დამოუკიდებელი ბრძოლა. მუშათა კლასმა მხარი უნდა დაუჭიროს ლიბერალების ბრძოლას თვითმპყრობელობის წინააღმდეგ. „სოც.-დემოკრატების ამოცანა,—ვკითხულობთ „კრედო“-ში,—რომელიც წინად მდგომარეობდა ძალაუფლების დაპყრობაში და კაპიტალისტური საზ-ბის რევოლიუციონურად გარდაქმნაში, ამჟამად მდგომარეობს თანამედროვე საზოგადოების თანდათანობით გარდაქმნაში დემოკრატიული მიმართულებით, თანამედროვე ვითარებასთან შეფარდებით“.

„კრედო“-მ გამოიწვია „ჩვიდმეტის პროტესტი“, რომლის ავტორი იყო ლენინი. ამ დოკუმენტში ლენინმა სასტიკად გაილაშქრა იმ ცდის წინააღმდეგ, რომელიც მიზნად ისახავდა მუშათა კლასის აცილებას კლასობრივი ბრძოლის გზიდან. ლენინი სწერდა:

> „რუსეთის სოციალ - დემოკრატებმა სასტიკი ბრძოლა უნდა გამოუცხადონ მთელ იმ იდეათა წყობას, რომელსაც გამოხატულება ჰპოვეს „კრედო“-ში, რადგან ამ იდეებს მიჰყავართ იმ პერსპექტივის განხორციელებისაკენ, რომელიც აქსელროდმა აღნიშნა თავის ბროშურაში „რუსეთის სოციალ - დემოკრატების თანამედროვე ამოცანებისა და ტაქტიკის საკითხის გამო (მუშათა მოძრაობა არ გამოდის მწარმოებელთან წმინდა ეკონომიური ბრძოლის ვიწრო ფარგლებიდან და თავისთავად საერთოდ მოკლებულია პოლიტიკურ ხასიათს; თავისუფლებისათვის ბრძოლაში კი პროლეტარიატის მოწინავე ფენები მიჰყვებიან ე. წ. ინტელიგენციის წრეებს და ფრაქციებს“).

⁂

„ეკონომიზმმა“ მტკიცედ გაიდგა ფესვები არა მარტო რუსეთში, არამედ უცხოეთში მყოფ რუს სოციალ-დემოკრატების რიგებშიც, „რუს სოციალ-დემოკრატების კავშირში“, რომელიც პირველად „შრომის განთავისუფლების ჯგუფის“ თაოსნობით დაარსდა და რომელსაც პირველმა პარტიულმა ყრილობამ პარტიის წარმომადგენლობა მიანდო საზღვარგარეთ, თანდათანობით გაბატონდა რევიზიონისტულ-„ეკონომისტური“ ავადმყოფობით შეპყრობილი „ახალი თაობა“, რომელმაც კავშირის გამოცემებს აშკარად გამოხატული „ეკონომისტური“ მიმართულება მისცა. კავშირის ორგანო იყო „რაბოჩეე დელო“, რომელიც ამავე დროს ფაქტიურად საერთო პარტიულ ორგანოს წარმოადგენდა. მართალია, „რაბოჩეე დელო“ სცდილობდა ეთამაშა „ცენტრის“ როლი ერთის მხრივ რევოლიუციონურ სოციალ-დემოკრატებსა და მეორეს მხრივ „რაბოჩაია მისლ“-სა და „კრედო“-ს ავტორებს შორის, მაგრამ ფაქტიურად იმავე ოპოზიციაზე იდგა, როგორზედაც თანამიმდევარი „ეკონომისტები“ —„რაბოჩაია მისლ“ და „კრედო“-ს ავტორები. როგორც მუშების კლასობრივი შეგნების დამბნელებელი— „რაბოჩედელცების“ პოზიცია უფრო მავნებელი იყო, რადგან ის წარმოადგენდა ნიღაბ ამოფარებულ „ეკონომიზმს“. „რაბოჩეე დელო“ არ უარჰყოფდა პოლიტიკურ ბრძოლას მაგრამ უკანასკნელს არ თვლიდა „სადღეისო“ ამოცანად. „რაბოჩეე დელო“-ს ხელმძღვანელები თავისი პოზიციის დასასაბუთებლად აყენებდნენ ე. წ. „სტადიების“ თეორიას. ამ თეორიის თანახმად მუშათა მოძრაობამ უნდა გაიაროს სხვადასხვა საფეხურები. უმდაბლესი საფეხურია— ეკონომიური ბრძოლა, უმაღლესი— პოლიტიკური. ამრიგად „რაბოჩედელცები“ ფაქტიურად ურჩევდნენ მუშებს დაევიწყებიათ, რომ არსებობდა თვითმპყრობელობა, პოლიტიკური რეჟიმი, და ლენინის მოსწრებული თქმით ებრძოლათ „კაპეიკის მომატებისათვის მანეთზე“.

„რაბოჩეე დელო“-ს ამ ოპორტუნიზმის შედეგი იყო ის, რომ „შრომის განთავისუფლების ჯგუფმა“ 1898 წ. უარი სთქვა „რუსეთის სოციალ- დემოკრატთა კავშირის“ გამოცემების რედაქტორობაზე. 1900 წ. აპრილში კავშირის წევრთა მესამე ყრილობაზე „შრომის განთავისუფლების ჯგუფი“ საბოლოოდ გამოვიდა კავშირიდან და დაარსა ცალკე ორგანიზაცია სახელწოდებით „რუსეთის რევოლიუციონური ორგანიზაცია „სოციალ- დემოკრატი“.

⁂

როგორც ვხედავთ, პირველი ყრილობის შემდეგ რუსეთის სოციალ-დემოკრატიის რიგებში მძლავრად შეიჭრა რევიზიონისტულ -ოპორტუნისტული მიმართულება. ჩვენ გავეცანით, თუ რა ნიადაგზე აღმოცენდა ეს მიმართულება, რა იყო მისი მკვებავი წყაროები.

ცხადია, რომ ოპორტუნიზმის ასეთი მძლავრი შემოტევის პირობებში შეუძლებელი იყო ორგანიზაციულად მთლიანი პარტიის შექმნა. ერთი მხრივ ამ მთლიანობაზე სრულიად არ ზრუნავდნენ „ეკონომისტები“, რომლებიც პოლიტიკურ ბრძოლას მუშათა კლასისათვის სრულიად უარჰყოფდნენ („რაბოჩაია მისლ“, „კრედო“) ან არ თვლიდნენ „სადღეისო ამოცანად“ („რაბოჩეე დელო“).

მეორე მხრივ, არც რევოლიუციონური სოციალ-დემოკრატია ჩქარობდა გაერთიანებას.

„სანამ გავერთიანდებოდეთ, საჭიროა გამიჯვნა“,—ასე დააყენა საკითხი ლენინმა. ეს იმას ნიშნავდა, რომ საჭიროა გამორკვევა, ვინ არიან ისინი, ვინც გაერთიანებას აპირობს, როგორია მათი მრწამსი, პროგრამა, იდეალები, რომ პარტია არ დაემსგავსოს „ნოეს კიდობანს“.

პარტიის მთელმა შემდგომმა ისტორიამ დაამტკიცა ლენინის ამ სიფრთხილის მთელი სისწორე.

იმისათვის, რომ შექმნილიყო ნამდვილად რევოლიუციონური სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია, გამსჭვალული მეცნიერული სოციალიზმის მამამთავართა— მარქს— ენგელსის მიერ ნაანდერძევი იდეალებით, საჭირო იყო განადგურება „ეკონომიზმის“, მისი გავლენის აღმოფხვრა მუშათა კლასში, რუსეთის სოციალ- დემოკრატიის რიგების გაწმენდა უცხო და მიტმასნებულ ელემენტებისაგან, ბურჟუაზიის გავლენის („ლეგალური მარქსიზმის“ და „ეკონომიზმის“ ფილოსოფია) ლიკვიდაცია მუშათა კლასისა და სოციალ- დემოკრატიის რიგებში“.

საჭირო იყო დაუნდობელი ბრძოლა რუსულ ოპორტუნიზმთან.

ეს ბრძოლა სახელოვნად აწარმოვა „ისკრა“-ს გარშემო შემოკრებილმა რევოლიუციონურ სოციალ- დემოკრატთა ჯგუფმა და უმთავრესად ამ ჯგუფისა და „ისკრას“-ს სულის ჩამდგმელმა ვ. ი. ლენინმა.

ე. წ—ძე.

(გაგრძელება იქნება)

---

*) ლენინი, ტ. V, გვ. 128—129.

კომუნისტური ინტერნაციონალის VI მსოფლიო კონგრესი

საერთაშორისო მდგომარეობა და კომინტერნის ამოცანები

კომუნისტური ინტერნაციონალის აღმასკომის ანგარიში

ამხ. ბუხარინის მოხსენება

კომინტერნის კონგრესის 18 ივლისის საღამოს სხდომაზე

I. თანამედროვე კაპიტალიზმის საერთო ანალიზი და კაპიტალისტური კრიზისის განსაკუთრებული ფორმები

ომის შემდგომი დროის განვითარების სამი პერიოდი

ძვირფასო ამხანაგებო! კომინტერნის უკანასკნელი კონგრესის შემდეგ ბევრი რამე განვიცადეთ. იმისათვის, რომ უკეთ შევაფასოთ განცდილი, უფრო სწორად დავსახოთ პერსპექტივები, ჩვენ მიერ განვლილი ეტაპი უნდა ავიღოთ არა ცალკე, განსაკუთრებულად, არამედ დავუკავშიროთ იგი წინა ეტაპებს. მთელი ომის შემდგომი დროის განვითარების საერთო შეფასება გვიკარნახებს ამ განვითარების სამ პერიოდად გაყოფას.

პირველი პერიოდი არის **მწვავე რევოლიუციონური კრიზისის პერიოდი**, განსაკუთრებით ევროპის ქვეყნებში. ეს ის პერიოდია, როდესაც რევოლიუციონურმა განვითარებამ უმაღლეს საფეხურს მიაღწია, როდესაც მთელს ევროპაში აზვირთებული იყო მძლავრი რევოლიუციონური ტალღა. ამ პერიოდის კულმინაციურ პუნქტებს წარმოადგენს 1920—21 წლები.

პირველ პერიოდს ეკუთვნიან: თებერვლის და ოქტომბრის რევოლიუციები რუსეთში, მუშათა რევოლიუცია ფინეთში 1918 წლის მარტში; აჯანყებები „ბრინჯის" გამო (ბრინჯის ფასებით გამოწვეული) იაპონიაში 1918 წლის აგვისტოში; 1918 წლის ნოემბრის რევოლიუცია ავსტრიასა და გერმანიაში; პროლეტარული რევოლიუცია უნგრეთში; აჯანყება კორეაში 1919 წლის მარტში; საბჭოების ხელისუფლების დამყარება ბავარიაში 1919 წლის აპრილს; ბურჟუაზიულ-ნაციონალური რევოლიუცია თურქეთში 1920 წლის იანვარში; მუშების მიერ ქარხნების ხელში ჩაგდება იტალიაში 1920 წლის სექტემბერში; ამავე პერიოდს უნდა მივაკუთვნოთ წითელი არმიის შეტევა ვარშავაზე; დასასრულ, ეგრედ წოდებული მარტის გამოსვლა გერმანიაში 1921 წ..

როგორც ვხედავთ, ეს პირველი პერიოდი მდიდარი იყო უდიდესი მასშტაბის და ისტორიული მნიშვნელობის რევოლიუციონური მოვლენებით. ამ მოვლენებმა უდიდესი სიმწვავით გამოააშკარავეს კაპიტალისტური წყობილების, პირველ რიგში—ევროპის კაპიტალიზმის, დაშლის პროცესი. პირველი პერიოდის დაბოლოვების ქრონოლოგიურ თარიღად უნდა ჩაითვალოს 1923 წლის დასასრული. 1923 წლის სექტემბერში ბულგარეთში მომხდარი აჯანყება დიდი დამარცხებით დამთავრდა, ხოლო 1923 წლის შემოდგომაზე ახალი დამარცხება განიცადა გერმანიის პროლეტარიატმა.

დასავლეთ-ევროპის პროლეტარიატის დამარცხებები ბურჟუაზიისათვის წარმოადგენდნენ შემდგომი განვითარების წინასწარ პირობას. ეს დამარცხებები განსაკუთრებით გერმანიის პროლეტარიატის დამარცხება, ცენტრალური ევროპისათვის და, საერთოდ, მთელი ევროპისათვის გადაიქცნენ განვითარების **მეორე** პერიოდის, კაპიტალის შეტევის პერიოდის, პროლეტარიატის თავდაცვითი ბრძოლის და, კერძოდ, მუშათა თავდაცვითი გაფიცვების პერიოდის, კაპიტალიზმის ერთგვარი ნაწილობრივი სტაბილიზაციის პერიოდის გამოსავალ წერტილად. უნდა ითქვას, რომ პროლეტარიატის ზოგიერთი თავდაცვითი ბრძოლა კოლოსალურ მასშტაბს აღწევდა. ასეთი ბრძოლების რიცხვს უნდა მიეკუთვნოს საყოველთაო გაფიცვა და მემაღაროეთა გაფიცვა ინგლისში. მეორე პერიოდმა მეტი „სიმშვიდე და წესრიგი" მოუტანა ევროპის და მთელ მსოფლიო კაპიტალიზმს. უშუალო-რევოლიუციონური მოვლენები ევროპიდან კოლონიალურ და ნახევრად-კოლონიალურ ქვეყნებში გადავიდნენ. 1925 წელს მოხდა აჯანყება მაროკოში, 1925 წლის აგვისტოში—აჯანყება სირიაში, ამავე წელს გაჩაღდა დიდი ბრძოლა ჩინეთში. თუ პირველ პერიოდში უბრალო—რევოლიუციონური სიტუაცია აშკარად გამოხატულ **ევროპიულ** ხასიათს ატარებდა, სამაგიეროდ მეორე პერიოდში უშუალო—რევოლიუციონური სიტუაცია გადაიქცა მსოფლიო იმპერიალიზმის **კოლონიალური პერიფერიის** დამახასიათებელ ნიშნად.

მეორე პერიოდს ეკონომიური თვალსაზრისით, კაპიტალისტური მეურნეობის ანალიზის თვალსაზრისით, შეიძლება ვუწოდოთ **კაპიტალიზმის საწარმოო ძალების აღდგენის** პერიოდი. ამ პერიოდში კაპიტალიზმი, ეყრდნობოდა რა თავის პოლიტიკურ გამარჯვებებს, შედარებითი პოლიტიკურ სტაბილიზაციას, სცდილობდა მიეღწია და მიაღწია კიდეც ერთგვარ ეკონომიურ სტაბილიზაციას.

ამ პერიოდს მოსდევს **მესამე პერიოდი—კაპიტალისტური რეკონსტრუქციის პერიოდი**, რომელიც გამოიხატებოდა იმაში, რომ ხარისხობრივად და რიცხვობრივად გადალახულ იქნა ომის წინა დროის ფარგლები. კაპიტალიზმის საწარმოო ზრდა დაკავშირებულია, ერთის მხრივ, საკმაოდ დიდ ტექნიკურ პროგრესთან, ხოლო მეორეს მხრივ—კაპიტალისტური სამეურნეო ურთიერთობის ფართო რეორგანიზაციასთან. მაგრამ ამ ტექნიკურ რეკონსტრუქციას და ეკონომიურ რეორგანიზაციას, კაპიტალის ტრესტებად გაერთიანების სწრაფ პროცესს თან სდევს იმ **ძალების ზრდა, რომლებიც უპირისპირდებიან კაპიტალიზმს, და კაპიტალიზმის შინაგან წინააღმდეგობათა უსწრაფესი განვითარება.**

აქ, უწინარეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს **საბჭოთა კავშირის ზრდა.** კაპიტალიზმის რეკონსტრუქტიული პერიოდის პარალელურად საბჭოთა კავშირშიაც იწყება რეკონსტრუქტიული პერიოდი, ახალი ტექნიკური ბაზისის შექმნის, და ამის მიხედვით, ერთგვარი ეკონომიური რეორგანიზაციის პერიოდი, როგორც ამ სიტყვის სოციალურ-ეკონომიური მნიშვნელობით (ჩვენი მეურნეობის განსაზოგადოებული სექტორის ზრდა), ისე ჩვენი საწარმოო აპარატის კონსოლიდაციის მნიშვნელობით. **საბჭოთა კავშირის** ეკონომიური და პოლიტიკური **ზრდა, ჩინეთის რევოლიუციის** განვითარება, მღელვარება ისეთ ქვეყანაში, როგორიც არის **ინდოეთი** და, ბოლოს, შინაგან წინააღმდეგობათა სწრაფი ზრდა თანამედროვე მსოფლიო მეურნეობის **თვით კაპიტალისტურ სექტორში** და ამასთან დაკავშირებით **ომის საფრთხის** თანდათანი გაძლიერება—ასეთია მსოფლიო განვითარების მეორე მხარე.

საჭიროა ყურადღებით გავუკეთოთ ანალიზი მესამე პერიოდში შექმნილ ახალ მსოფლიო მდგომარეობას. თუ სათანადოთ არ შევაფასეთ ყველა მსოფლიო ეკონომიური და პოლიტიკური ცვლილება, საშუალება არ გვექნება დავსახოთ სწორი პოლიტიკური ხაზი და სწორად მივუდგეთ მიმდინარე მომენტის ტაქტიკურ პრობლემებს.

თავიდანვე გარკვევით უნდა აღვნიშნოთ, რომ დებულება **კაპიტალიზმის სტაბილიზაციის** შესახებ ეხლა რამდენიმედ **სხვანაირ** ხასიათს ატარებს, ვიდრე რამდენიმე წლის წინად ატარებდა, და საკითხის ასე შეცვლილად დაყენება მხედველობაში უნდა მივიღოთ, როდესაც ანალიზს გავუკეთებთ საერთაშორისო მდგომარეობას.

გადავდივარ თვით ანალიზზე.

ტექნიკური პროგრესის ელემენტები

უწინარეს ყოვლისა შევეხებით თანამედროვე კაპიტალისტურ მსოფლიოს **ტექნიკას.** საჭიროა აღინიშნოს მეურნეობის **ელექტროფიკაციის** საკმაოდ დიდი ზრდა მნიშვნელოვან კაპიტალისტურ ქვეყნებში. **გამოყენებითი ქიმიის** დარგში მეტად მნიშვნელოვანი გამოგონებებია. სათბობი მასალის და ნედლეულის სინთეტიური წარმოების ახალი მეთოდები, ბენზინის დამზადების ბერგიუსის მეთოდი, აბრეშუმის ხელოვნურად დამზადება და სხ.,—ყოველივე ეს თანამედროვე კაპიტალისტური წარმოების დამახასიათებელი მხარეებია. ამასთანავე ერთად უნდა აღინიშნოს **მსუბუქი ლითონებისა** და განსაკუთრებით **ალიუმინის** უფრო და უფრო ფართო გამოყენება, ახალი მანქანებისა და აპარატების გავრცელება, ამ მანქანებისა და აპარატების გავრცელება, სხვათა შორის, სოფლის მეურნეობაშიაც, მაგალითად, მეტად რთული სისტემის სასოფლო-სამეურნეო მანქანების გავრცელება ჩრდილოეთ-ამერიკის შეერთებულ შტატებში. **ავტოტრანსპორტის** განვითარება, **საკონვეიერო** სისტემის ფართოდ გამოყენება და **შრომის ახალი ორგანიზაცია** ფაბრიკებში, სტანდარტიზაცია, ტიპიზაცია, ნორმალიზაცია. მასიური „სერიული" წარმოება და სხ. ყოველივე ეს თანამედროვე კაპიტალისტური ტექნიკის ყველაზე უფრო დამახასიათებელი მხარეებია.

მოვიყვან ზოგიერთ ცნობებს ელექტროენერგიის წარმოების შესახებ ჩრდილოეთ-ამერიკის შეერთებულ შტატებში.

(წარმოება მილ. კილოვატ.-საათებში)

1912 წ.	1922 წ.	1926 წ.	1927 წ.
17.572	47.659	73.791	79.724

შეიძლება მრავალი ილიუსტრაციის მოყვანა, იმის დასამტკიცებლად, რომ თუ განვიხილავთ კაპიტალისტური მეურნეობის განვითარების მრუდეს რაოდენობითი და ხარისხობრივი თვალსაზრისით,—დავინახავთ გარკვეულ წინსვლას.

აი ორიოდე ციფრი, რომელიც ახასიათებს სხვადასხვა **ლითონების** ზრდის დინამიკას და როლის გადანაცვლებას მსოფლიო პროდუქციაში. თუ 1913 წლის მთელი პროდუქციის ჯამს 100-ად მივიღებთ, მაშინ 1926 წელს გვექნება შემდეგი ციფრები სხვადასხვა ლითონებისათვის:

ფოლადი	122
სპილენძი	150
ტყვია	107
ალიუმინი	310

ალიუმინი წარმატებით უწევს კონკურენციას სხვა ლითონებს ელექტრონის მრეწველობაში, რკინის გზის მშენებლობის დარგში და ტრამვაის ვაგონების დამზადების საქმეში შეერთებულ შტატებსა და გერმანიაში.

უფრო საინტერესოა ციფრები, რომლებიც **ხელოვნური აბრეშუმის** წარმოებას ახასიათებენ. ხელოვნური აბრეშუმის მსოფლიო პროდუქცია შემდეგ ციფრებში გამოიხატება (ათას კილოგრამობით):

ომის წინასწარი პროდუქცია	11.000
1921	30.000
1925	84.000
1927	125.000

თუ ომის წინა დროის ციფრს 100-ად მივიღებთ, პროცენტობით ასეთი ციფრები გვექნება:

1921	173 პროც.
1925	668 „
1927	1036 „

რაც შეეხება ახალ გამოგონებებს და მათ გავლენას წარმოებაზე, მაგალითისათვის ავიღოთ ბერგიუსის მეთოდი: ამ მეთოდით სინთეტიურად დამზადებული ბენზინი გერმანიაში შეადგენს ბენზინის საერთო მოხმარების 12 პროცენტს.

ამჟამად ბევრ ქვეყანაში, მაგალითად, გერმანიასა და ინგლისში, ადგენენ ტექნიკური ხასიათის ახალ გამოგონებათა ფართო გეგმებს, რომელთაც დიდი ეკონომიური მნიშვნელობა ექნებათ. ასეთია: გაზის მიწოდება შორ მანძილზე გერმანიაში, ელექტროფიკაცია ინგლისში და სხ. ადვილი გასაგებია, რომ ეს ტექნიკური მიღწევები,—კიდევაც რომ ბრჭყალებში ჩავსვათ ისინი,—უსათუოდ საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერების ზრდას მოასწავებენ. მაგალითად, გიუნტერ შტეინი, „ბერლინერ ტაგებლატტ"-ში სწერს, რომ ჩრ.-ამერ. შეერთებულ შტატებში დამუშავებითი მრეწველობის საერთო პროდუქცია, 1923—24 წლის საშუალო ნორმასთან შედარებით, 4,5 პროცენტით **გაიზარდა.** ამავე დროს მუშათა რაოდენობა 5 პროცენტით და უფრო მეტადაც **შემცირდა.** ეს იმას ნიშნავს, რომ მუშის ნაყოფიერება დაახლოვებით 30—40 პროცენტით გაიზარდა.

ქიმიური მრეწველობის განვითარებას მნიშვნელობა აქვს არა მარტო სამეურნეო თვალსაზრისით არამედ ორი სხვა თვალსაზრისითაც: 1) **ომის მომზადების** თვალსაზრისით, ვინაიდან ქიმიური მრეწველობა პირველ ხარისხოვანი სამხედრო მრეწველობაა, და 2) **სასოფლო მეურნეობის** კულტურის ტექნიკის დარგში უდიდეს ცვლილებათა მოხდენის შესაძლებლობის თვალსაზრისით. ქიმიური პროდუქტების მსოფლიო წარმოება ომის წინა დროს 10 მილიარდ გერმანულ რეიხს მარკას შეადგენდა 1923—24 წელს კი — 18 მილიარდს, ხოლო ფასების ინდექსი შესაბამისად—100 და 140-ს. როგორც ხედავთ, ქიმიური პროდუქციების წარმოება საგრძნობლად გაიზარდა. აზოტიანი პროდუქციების მოხმარება მნიშვნელოვან კაპიტალისტურ ქვეყნებში ამგვარად იცვლება:

(წმინდა აზოტის ათას ტონებში)

გერმ.	ომის წინა დროს 260	1926 წ.	—430
ინგლისი	„ „ „ 54	„	61
საფრანგეთი	„ „ 79	„	152
იტალია	„ „ „ 22	„	54
ჩრ.-ამერ. შეერ. შტ.	„ 167	„	341

კაპიტალისტურ მონოპოლიების განვითარება, სახელმწიფო კაპიტალისტური ტენდენციები და მათი პოლიტიკური მნიშვნელობა

ვფიქრობ, რომ ეს ციფრები არ საჭიროებენ განმარტებას, ისინი თავის თავად ლაპარაკობენ. ეს ტექნიკური ცვლილებები, რომლებიც ზოგიერთ ქვეყანაში, პირველ რიგში კი შეერთებულ შტატებსა და გერმანიაში, უახლოვდებიან ტექნიკურ გადატრიალებას, გარკვეულად დაკავშირებულნი არიან სახალხო მეურნეობის ტრესტებში გაერთიანებასა და კოლოსალურ საბანკო კონსორციუმების დაარსებასთან. ხოლო ამ ჟამად, ომის შემდეგ, სახელმწიფო—კაპიტალისტურ ტენდენციების ზრდასთანაც სხვადასხვა გვარ ფორმებში. მოვიყვან რამდენსამე მაგალითს. ყველასათვის ცნობილია, ალბად, არსებობა ბუმბერაზ ტრესტებისა, ისეთის, მაგალითად, როგორიც არის სამღებრო მრეწველობის სააქციო საზოგადოება გერმანიაში და სხვ.. ყველამ იცის აგრეთვე, ალბად, თუ რა კოლოსალური ტრესტი გაზარდა ინგლისში ქიმიურ მრეწველობის დარგში (ეგრედ წოდებული მონდის კონცერნი, საიდანაც „მონდიზმი" წარმოიშვა). ყველა ამხანაგმა იცის, თუ რას წარმოადგენს „სტანდარტ-ოილი" შეერთებულ შტატებში. დღევანდელ ეპოქას ახასიათებს არა მარტო კაპიტალისტური ქვეყნების შიგნით კოლოსალური საწარმოო ორგანიზაციების წარმოშობა და სწრაფი განვითარება,—არამედ საერთაშორისო ხასიათის ბუმბერაზი ტრესტების დაარსება. მე ხელთ მაქვს მთელი სია ასეთი ტრესტებისა, მაგრამ მათი აქ ჩამოთვლა მეტად მოსაწყენი იქნება.

რამოდენიმე ხნის წინად ჩვენს პარტიულს ყრილობაზე მე წამოვაყენე თეზისი იმის შესახებ, რომ ჩვენ ამ ჟამად ვამჩნევთ სახელმწიფო კაპიტალისტურ ტენდენციების ზრდას, მაგრამ არა წინანდელი „სამხედრო კაპიტალიზმის" სახით (სხვადასხვა სახის სოციალ-მატყუარები ამ კატორღულ კაპიტალიზმს უტიფრად „სამხედრო სოციალიზმს" უწოდებენ) ბარათების სისტემით და ომით გამოწვეული სპეციფიური თვისებებით. ამ ჟამად ახალი ფორმით, ან უკეთ—ახალი ფორმებით უფრო და უფრო ვითარდება ტრესტების, კარტელების და საბანკო კონსორციუმების შეკავშირების და შეზრდის პროცესი. იმპერიალისტური ბურჟუაზიის სახელმწიფო ორგანოებთან. არა აქვს დიდი მნიშვნელობა იმას, თუ, სახელდობრ, რა სახით ვითარდება ეს პროცესი—იმ სახით, რომ თვით სახელმწიფო ფლობს სამრეწველოს წარმოებებს და აძლიერებს თავის გავლენას სახელმწიფო ცხოვრებაზე, თუ იმ სახით, რომ ეგრედ წოდებული კაპიტალისტური სამეურნეო ორგანიზაციები, ლიბერალების გამოთქმით „ბრძოლით იპყრობენ სახელმწიფოს" „ქვევიდან". ყოველივე ეს ჩვენ, რა თქმა უნდა, კატეგორიულად უნდა უარვყოთ: რა საჭიროა სახელმწიფოს ბრძოლით დაპყრობა, თუ კი სახელმწიფო აპარატი უკვე იმპერიალისტური ბურჟუაზიის ხელშია! ლაპარაკია იმპერიალისტური ბურჟუაზიის სამეურნეო ორგანიზაციების მის სახელმწიფო ორგანოებთან **შეზრდის** საორგანიზაციო ფორმების შესახებ. ამ რიგად, საკითხი ამ პროცესის ფორმის შესახებ მეორე ხარისხოვანია. აქ მე მსურს მხოლოდ აღვნიშნო ეს პროცესი, როგორც განსაზღვრული ფაქტი და ხაზი გაუსვა მას. ჩვენ მას ვხედავთ იტალიაში, იაპონიაში, შეერთებულ შტატებში—სულ სხვადასხვა სახით. მაგრამ, ყოველგვარ ეჭვს გარეშეა, რომ ეს პროცესი არსებობს. ზოგიერთი ამხანაგი ერთგვარ იჭვს გამოსთქვამდა ამის შესახებ. მაგრამ ამის შემდეგ გამოქვეყნდა სპეციალური გამოკვლევები იმ ამხანაგებისა, რომლებიც მუშაობდენ ამ პრობლემის გამორკვევაზე, კერძოდ, მე მხედველობაში მაქვს ამხ. ვურმისა და ამხ. ლაპინსკის შრომები. მათ გამოკვლევის ეს საკითხი სახელმწიფო ბიუჯეტის და მისი სტრუქტურის თვალსაზრისითაც, სახელმწიფო და მუნიციპალური მრეწველობის განვითარების თვალსაზრისითაც და იმპერიალისტური ბურჟუაზიის მწარმოებელთა და სახელმწიფო ორგანიზაციების ურთიერთ დამოკიდებულების თვალსაზრისითაც. ამ დარგის ყველა ცნობა ადასტურებს იმას, რომ იმპერიალისტური მეურნეობის თანამედროვე განვითარებას ახასიათებენ სახელმწიფო კაპიტალისტური ტენდენციები.

როგორია ამ პროცესის **პოლიტიკური შედეგები?** ამის გაგება შეგვიძლია შემდეგ მაგალითზე. ამერიკაში ვინმე ტეოდორ კნაპპენმა, გაზეთ „Magasin of Wall st"-ის 1928 წ. 19 მაისის ნომერში დაბეჭდა წერილი: „პრეზიდენტის პოსტის მთავარი კანდიდატების ბიზნესმენური თვისებები". ამ წერილში ავტორი ამბობს:

„გადაჭარბებული არ იქნება ვსთქვათ, რომ იგი (გუვერი) თავის თავს ამერიკულ ბიზნესების (საქმიანი წრეების) მთავარ ხელმძღვანელად სთვლის?, არსად და არასოდეს არ ყოფილა ჯერ ისეთი მთავრობის დაწესებულება, რომელიც ასე ყოფილიყო შეკავშირებული ბიზნესთან, როგორც მისი უწყება.. იგი პატივს სცემს მსხვილ კაპიტალს (big business) და აღტაცებულია მსხვილი ბიზნესმენებით (კაპიტალისტებით). იგი ფიქრობს, რომ ერთი კაცი, რომელიც დიდ საქმეს აკეთებს, სჯობია ათეულ მეოცნებე მეცნიერს, რომელნიც მსჯელობენ იმაზე, რისი გაკეთებაც მათ არასოდეს არ უფიქრიათ და რის გაკეთებასაც ისინი ვერასოდეს ვერ შესძლებენ. ეჭვს გარეშეა, რომ გუვერი, როგორც პრეზიდენტი, არ ემგვანება არც ერთ წინანდელ პრეზიდენტს. იგი იქნება დინამიური ბიზნეს—პრეზიდენტი იმ დროს, როდესაც კულიჯი სტატიური ბიზნეს—პრეზიდენტია. იგი იქნება ჩვენი ქვეყნის პირველი ბიზნეს—პრეზიდენტი იმ დროს, როდესაც წინანდელი პრეზიდენტები პოლიტიკური პრეზიდენტები იყვნენ".

ამრიგად, გუვერი დამახასიათებელია, როგორც ტრესტების გენერალური დირექტორი,—ის ფაქტი კაპიტალის სატრესტო ორგანიზაციებისა და მისი პოლიტიკური სახელმწიფო ორგანიზაციების შეზრდის პროცესის თვალსაჩინო პოლიტიკური გამოხატულებაა.

სტრუქტურული ცვლილებები

ისმება შემდეგი კითხვა: დაე, ყველა ეს ფაქტი შეეფერებოდეს სინამდვილეს, მაგრამ მაშინ რა უყოთ ეგრედ წოდებულ კაპიტალიზმის სტაბილიზაციის ანალიზს? რა მდგომარეობაში რჩება ჩვენი თეზისები ნაწილობრივი, დროებითი და სხვ. სტაბილიზაციის შესახებ,—სტაბილიზაციის ყველა მისი თვისებებით და ეპიტეტებით? რა მდგომარეობაშია საკითხი მსოფლიო **კაპიტალისტური სისტემის საერთო კრიზისის შესახებ,** თუ ჩვენ თვითონ აღვნიშნავთ ტექნიკურ მიღწევებს, ტრესტების და კაპიტალის სხვა ორგანიზაციების ზრდას, თუ ჩვენ თვითონ აღვნიშნავთ კაპიტალიზმის მნიშვნელოვან განმტკიცებას? რა მდგომარეობაშია საკითხი სტაბილიზაციის განსაკუთრებული, სპეციფიური დახასიათების შესახებ? მე ვფიქრობ, რომ საჭიროა ამ საკითხის გარკვევით დასმა და გარკვეული პასუხის მიცემა მასზე. წინააღმდეგ შემთხვევაში მივიღებთ იდეოლოგიურ ქაოსს, რომელშიაც ჩვენ შეიძლება მთლად დავიბნეთ.

პირველ ყოვლისა,—ზოგიერთი ლიტერატურულ-პოლიტიკური რემინისცენცია. ზოგიერთი ცნობები ამ საკითხთან დაკავშირებით. როგორი წარმოდგენა გვქონდა ჩვენ რამდენიმე წლის წინად კაპიტალისტური სისტემის შემდგომი განვითარების ან შემდგომი დაშლის პროცესის შესახებ? მე, პირველ ყოვლისა, ვიღებ ჩვენი პროგრამის პირველ პროექტის დამუშავების დროს. ჩვენ მაშინ თეზისი კაპიტალიზმის მდგომარეობის შესახებ ჩამოვაყალიბეთ შემდეგნაირად: კაპიტალისტური სისტემა უდავოთ იმყოფება დაშლის პროცესში. ჩვენი მაშინდელი წარმოდგენა კაპიტალიზმის შემდგომი ბედის შესახებ შეიძლება დავსახოთ მრუდე ხაზად, რომელიც შეუჩერებლივ ეცემა.

მაგრამ პროექტის ხელმეორედ განხილვის დროს ჩვენ უკვე მივედით იმ დასკვნამდე, რომ საჭიროა ზოგიერთი კორექტივი. მეხუთე მსოფლიო კონგრესზე ჩვენი თეზისები კაპიტალისტური ეკონომიკის მდგომარეობისა და ბედის შესახებ რამდენიმეთ უფრო სხვანაირად იქნა ჩამოყალიბებული. შემდეგ ხმარებაში შემოვიდა სიტყვა „სტაბილიზაცია" სხვადასხვა შეზღუდვით: „ნაწილობრივი", „დროებითი" და სხვ..

ეხლა მე ვაყენებ შემდეგ კითხვას: რა აზრი აქვს ამ ჟამად ამ განზრახვას და ამ შეზღუდვას? აქვს თუ არა მას **საერთოდ** რაიმე აზრი? ხოლო თუ ჰქვს აზრი, ეს აზრი **იგივეა**, რაც იყო წინად, თუ რამდენიმეთ უფრო **სხვანაირია?**

ჩემის აზრით, ამ განსაზღვრას ეხლა **რამდენიმე უფრო სხვანაირი აზრი აქვს ვიდრე მას წინად** ჰქონდა.

მე ვფიქრობ, რომ საერთოდ და მთლიანად შეიძლება ნახევრად ბელეტრისტულად განვსაზღვროთ ჩვენი წინანდელი სათანადო შეხედულება შემდეგნაირად:

ვფიქრობდით, რომ წარმოების ერთგვარ ზრდას ჩვენ ვხედავდით მხოლოდ ზოგიერთ ქვეყანაში. და ისიც მხოლოდ გამონაკლისის სახით. ეს ზრდა არ იყო დამახასიათებელი მას ჩვენ ვსთვლიდით მხოლოდ გარდამავალ „პირობით" მოვლენად. ხვალ ან ზეგ ხომ ახალი პროცესი იქნება. თუ ჩვენ დღეს რომელიმე ქვეყანაში ვხედავთ ტექნიკის ზრდას საწარმოო ძალთა ზრდას, კარგ კონიუნქტურას. ეს მხოლოდ—„ეკონომიური ერთეულია" რომელსაც სერიოზული მნიშვნელობა არა აქვს.

შეიძლება ითქვას და უნდა ითქვას კიდეც რომ მაშინ გვქონდა განსაზღვრული საფუძველი მდგომარეობის ამგვარად შეფასებისათვის, მაგრამ სტაბილიზაციის შედარებითი სტაბილიზაციის ამგვარი შეფასება ბევრ რამეში არ შეეფერება დღევანდელ მდგომარეობას.

ავიღოთ სხვადასხვა ქვეყნები.

შეერთებული შტატების რესპუბლიკა წინ მიდის. დაე სწორი იყვეს ესა თუ ის წინასწარმეტყველება ამერიკაში არსებულ კრიზისის შესახებ ეს არ არის შეუძლებელი. მეტიც: ეს საკმაოდ დასაჯერებელია, მაგრამ განვითარების საერთო კურსი—ეს არის მრეწველობის ზრდა, წარმოების ზრდა. იქ პირველად მსოფლიო ისტორიაში, მუშათა მოძრაობის ისტორიაში,—მარქსის სიტყვით რომ ვსთქვათ,—„V" (ცვალებადი კაპიტალი—მუშა ხელის ღირებულება) მცირდება არა მარტო „C"-სთან (მუდმივი კაპიტალი—საწარმოო საშუალებათა ღირებულება) შედარებით, არამედ **აბსოლიუტურადაც.** საწარმოო მუშათა რაოდენობა მცირდება. ეს პირველად ხდება ფართო მასშტაბით მსოფლიო ისტორიაში და მუშათა მოძრაობის ისტორიაში.

შეიძლება ზოგიერთმა ამხანაგმა სთქვას რომ ეს პესიმისტური შეფასებაა. ეს არ არის მართალი. ჩვენ უნდა გავარჩიოთ ოპტიმიზმი სისულელისაგან. ეს ორი სხვადასხვა ცნებაა! თუ არ გვინდა სულელები ვიყვეთ, ანგარიში უნდა გაუწიოთ ფაქტებს. ეს პირველი აუცილებელი წინასწარი პირობაა ყოველგვარ არასულელურ ტაქტიკისათვის.

ავიღოთ მეორე ქვეყანა—**გერმანია.**

ამ ცოტა ხნის წინად, როცა მე გერმანიაში ტექნიკისა და საწარმოო ძალთა ზრდის შესახებ ვწერდი, „ულტრა მემარცხენე" ანტიკომუნისტმა მასლოვმა გამლანძღა. ეხლა კაცი ბრმა უნდა იყვეს, ვერ დაინახოს, რომ გერმანიის კაპიტალიზმი სწრაფად ვითარდება, და სრულიადაც არ არის შემთხვევითი ლაპარაკი ახალი იმპერიალიზმის შესახებ. შემთხვევითი არ არის სიხარბე „მანდატებისადმი" კოლონიებისადმი, შემთხვევითი არ არის ჯავშნოსნების აგება და სხვ.

ავიღოთ **საფრანგეთი.** ყველასთვის გასაგებია, რომ ომის წინადროინდელ საფრანგეთსა და ეხლანდელ საფრანგეთს შორის დიდი განსხვავებაა, რომ ძველი მევახშე საფრანგეთი იძენს ახალ თვისებებს და ამჟამად იგი ძლიერ სამრეწველო ქვეყანად იქცევა.

ავიღოთ **ინგლისი.** ინგლისი საერთოდ დაცემის პერიოდს განიცდის, მისი ძალები ეცემიან. იმპერიის ძლიერება ქვეითდება. მაგრამ თვით ინგლისიც კი იკრებს ძალებს. ზოგიერთ დარგებში ინგლისის ბურჟუაზია ახერხებს საწარმოო ძალთა გადიდებას: აიღეთ, მაგალითად, მრეწველობის ეგრედ წოდებული ახალი დარგები.

თუ ეს ფაქტები სწორია, მაშინ შეგვიძლია თუ არა ვსთქვათ, რომ ეს ნიშნავს კაპიტალიზმის კრიზისის ლიკვიდაციის აღიარებას? ან იქნება ნიშნავს სხვა რამეს? მე მინდა კიდევ უფრო მკაფიო პოლიტიკური ფორმით დავსვა იგივე საკითხი: ეთანხმება თუ არა ეს ანალიზი სოციალ-დემოკრატიის ანალიზს?

ვფიქრობ, ადვილია საქმის ნამდვილი მდგომარეობის გაგება. სწორი პასუხი უნდა ამბობდეს: **კაპიტალიზმის საერთო კრიზისი გრძელდება,** მეტიც—**ვითარდება.** თუმცა კრიზისის **ფორმა** ეხლა **სხვანაირია.** წინად ჩვენ კრიზისის უმნიშვნელოვანეს სიმპტომებს ვეძებდით ახ[ლ]: ჩვენ ვიღებდით სხვადასხვა ქვეყნებს და ვამბობდით: ამ ქვეყანაში კაპიტალიზმი დაცემის პროცესს განიცდის, ასევე—მეორე და მესამე ქვეყანაშია მეოთხეში შეიძლება უფრო დაგვიანებით. მაგრამ მაინც აუცილებლად დაიწყება იგივე პროცესი. ისევე, როგორც ყველაფერი ამ ქვეყნად, ეს ჩვენი წარმოდგენა კრიზისის შესახებ დამყარებული იყო მაშინდელ ეკონომიურ პირობებზე. გერმანია იყო ისეთ მდგომარეობაში, რომ მიექანებოდა ეკონომიური დაშლის უფსკრულისაკენ. მთელ რიგ სხვა ქვეყნებში, განსაკუთრებით ცენტრალურ ევროპაში, ასეთივე მდგომარეობა იყო. ამგვარად, წინანდელი შეხედულება ეყრდნობოდა ცნობილ **რეალურ ფაქტების** ერთგვარ გადაჭარბებას. ეხლა კრიზისის წინანდელი ფორმა შეიცვალა სხვა ფორმით—აი რაშია საქმე.

კაპიტალიზმის და კაპიტალისტური სისტემის საერთო კრიზისი არ უნდა წარმოვიდგინოთ ისე, რომ თითქოს ყველა ქვეყანაში ან ქვეყნების უმრავლესობაში კაპიტალიზმი არარად იქცევა. მდგომარეობა სხვანაირია. კაპიტალიზმის კრიზისი მდგომარეობს იმაში, რომ ჩვენ უშუალოდ ომის დროინდელ და ომის შემდგომი ფაზის შედეგად ვხედავთ ძირითად სტრუქტურულ ცვლილებებს მთელ მსოფლიო მეურნეობაში,—ცვლილებებს, რომლებიც არაჩვეულებრივად **ამწვავებენ ყოველგვარ წინააღმდეგობას კაპიტალისტურ სისტემაში და, ბოლოს, გამოიწვევენ მის დაღუპვას.**

ავიღოთ მაგალითად, ისეთი ფაქტი, როგორიც არის საბჭოთა კავშირის არსებობა. რას ნიშნავს ის? ეს არის, ჯერ ერთი, კაპიტალიზმის ომის შემდგომი კრიზისის შედეგი, მეორე—ომის გამოხატულება, რომ ეს კრიზისი გრძელდება, ვინაიდან კაპიტალიზმის მსოფლიო ეკონომიურ სისტემაში შეიჭრა ისეთი სხეული, რომელიც უცხო, მტრული და პრინციპიალურად ანტაგონისტურია მისთვის! განა ეს ძირითადი სტრუქტურული ცვლილება არ არის მსოფლიო მეურნეობაში?

ძალთა განწყობილების ცვლილებანი

მე უკვე აღვნიშნე უშუალო რევოლიუციონური სიტუაციის გადანაცვლება აღმოსავლეთისაკენ და, საერთოდ, კოლონიალური პერიფერიისაკენ. ესეც ომის შემდეგდროინდელი კრიზისის შედეგია. მაგრამ განა მძლავრი რევოლიუციონური მოვლენები კაპიტალიზმის ამ პერიფერიაზე ღრმა კრიზისის გამომხატველნი არ არიან?

შემდეგ, რას ნიშნავს ეგრეთ წოდებული დისპროპორცია ჩრდ. ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ევროპას შორის, რომელიც ცდილობს ამერიკის ჰეგემონიისაგან განთავისუფლებას? ესეც სტრუქტურულ ცვლილებას ნიშნავს მსოფლიო-ეკონომიურ სისტემაში. ბოლოს, ბაზრების შეზღუდვა კაპიტალისტური ქვეყნების შიგნით, კოლონიების გაღარიბება და პაუპერიზაცია სხვანაირად სვამს წარმოებისა და მოხმარების შეფარდების საკითხსაც სრულიადაც არა ისე, როგორც „ნორმალური" კაპიტალიზმის პირობებში. გარემოება ისე ეწყობა, რომ კაპიტალისტური სისტემის მთელი შემდგომი განვითარება შეიძლება მიმდინარეობდეს **მხოლოდ წინანდელი კრიზისული პერიოდებით შექმნილ ფორმებში.** კაპიტალიზმი სხვანაირად განვითარდებოდა, **საბჭოთა კავშირი რომ არ არსებულიყო,** ჩინეთის რევოლიუცია **რომ არ ყოფილიყო,** ჩრდ. ამერ. შეერთებულ შტატებსა და ევროპას შორის დისპროპორცია **რომ არ არსებულიყო,** შეზღუდული ბაზრები **რომ არ ყოფილიყვნენ** და სხვადასხვა.

ამ სტრუქტურულ ცვლილებებს უდიდესი მნიშვნელობა აქვთ მთელი კაპიტალისტური სისტემის განვითარებისათვის და პერსპექტივების შეფასებისათვის. ავიღოთ, მაგალითად კაპიტალიზმის ყველა პერმანენტული წინააღმდეგობის განვითარება an und für sich. ბრძოლა ბაზრებისათვის, საწარმოო აპარატის ზრდა, რომელიც წინ უსწრებს მსყიდველობითი უნარის ზრდას, და ყოველგვარი სხვა ჩვენთვის კარგად ცნობილი წინააღმდეგობა. მე გეკითხებით: რა დასკვნა შეიძლება გამოვიტანოთ მსოფლიო მეურნეობაში არსებულია და ჩვენ მიერ აღნიშნული ცვლილებებიდან? ვფიქრობ, თავისთავად იბადება შემდეგი პასუხი: თუ კოლონიებში მოძრაობა, თუ იქ სწრაფად ძლიერდება კლასობრივი ბრძოლა. ეს იმას ნიშნავს, რომ საერთოდ მწვავდებიან კაპიტალისტური სისტემის შინაგანი წინააღმდეგობანი. თუ ჩინეთის რევოლიუციას უმნიშვნელო მოვლენად მივიჩნევთ,—როგორც ამას სოციალ-დემოკრატები სჩადიან,—მაშინ რასაკვირველია, კაპიტალიზმი არავითარ ხეროვნულ კრიზისს არ განიცდის. აგრეთვე: თუ საბჭოთა კავშირი არ არსებობს, არც კაპიტალიზმის კრიზისი არსებობს. თუ სოციალ-დემოკრატები იმასაც ფიქრობენ, რომ კაპიტალიზმის ეხლანდელი ფაზა ომის აუცილებლობას არ ნიშნავს, თუ ისინი ფიქრობენ, მარქსი აბსოლიუტურად მოძველდა, რაკი მან ის თეზისი წამოაყენა რომ ომები მჭიდროთ არიან დაკავშირებულნი კაპიტალიზმის მთელ განვითარებასთანაო, მაშინ, ცხადია, მათთვის სიტუაცია პირდაპირ იდილიურ ხასიათს მიიღებს და არავითარი კრიზისი არ იქნება! მაგრამ თუ ყოველივე ეს არსებობს,—**ჩვენ კი ვიცით რომ არსებობს!**—მაშინ საკითხი სხვანაირად დაისმის და პასუხიც სხვანაირი იქნება.

თუ ვამბობთ სტაბილიზაციას ძირი ულპება. მაშინ მე ვსვამ კითხვას: რა თვალსაზრისით შეგვიძლია ასეთი დასკვნის გამოტანა? არა იმ თვალსაზრისით, რომ ერთსა, მეორესა თუ მესამე სახელმწიფოში კაპიტალიზმი უშუალო კრახის მდგომარეობაში იმყოფება სტაბილიზაციას ძირი ულპება, იმიტომ რომ ეხლანდელი სიტუაციაში განვითარება სწარმოებს ახალ, წინა ფაზით შექმნილ ჩარჩოებში რომლებიც თავის მხრივ **უკიდურესად ამწვავებენ ყველა წინააღმდეგობას.** წინააღმდეგობათა ასეთი გამწვავება იწვევს დიდ კრახს, დიდ კატასტროფას. ამიტომ არის კაპიტალიზმი სიმკვიდრეს მოკლებული ამიტომ არის, რომ მისი სტაბილიზაცია შეიძლება იყოს მხოლოდ **პირობითი.** ამიტომ არის, რომ კაპიტალიზმის კრიზისი არ გამქრალა, იგი სიღრმეში შეტრიალდა, იგი უფრო და უფრო მრისხანედ ვითარდება. მაგრამ მას უნდა შევხედოთ არა რომელიმე ცალკე ქვეყნის თვალსაზრისით, არამედ ყველა ქვეყნის **ერთმანეთთან დაკავშირების** თვალსაზრისით, მსოფლიო მეურნეობის ფარგლების თვალსაზრისით. ამასთანავე საჭიროა მხედველობაში მივიღოთ ურთიერთობა იმპერიალისტებს შორის, კაპიტალიზმსა და კოლონიებს შორის, „სხვადასხვა კაპიტალიზმსა" და საბჭოთა კავშირს შორის და სხვ.

კაპიტალიზმის წინააღმდეგობანი უაღრესად მწვავე ფორმით ძლიერდებიან

მხოლოდ ასე შეიძლება სტაბილიზაციის საკითხის დასმა. მე ვფიქრობ, რომ საკითხის ასე დასმა საკმაოდ ნათელია. ბევრი კაპიტალისტური ქვეყანა ვითარდება. მაგრამ ეს განვითარება მიმდინარეობს სამხედრო კრიზისით შექმნილ ფორმებში, საბჭოთა კავშირის, აღმოსავლეთის რევოლიუციების არსებობის დროს და სხვ. შინაგანი წინააღმდეგობანი უფრო და უფრო მწვავე ხასიათს ღებულობენ. სტაბილიზაციას მართლაც ძირი ულპება. იმიტომ კი არა, რომ ყველა ქვეყანაში კაპიტალიზმი თანდათან ქვეითდება, არამედ იმიტომ, რომ მსოფლიო მეურნეობის სტრუქტურული ცვლილებანი ქმნიან ახალ სიტუაციას და საბედისწეროდ იწვევენ მთელი სისტემის განადგურებას. ეს წინააღმდეგობანი რასაკვირველია, დაკავშირებულნი არიან ცალკე ქვეყნების შინაგან წინააღმდეგობებთანაც, კლასობრივი ბრძოლის განვითარებასა და გამწვავებასთანაც, რევოლიუციონური სიტუაციის ელემენტების ზრდასთანაც. მაგრამ ეს პროცესი ეხლა დაკავშირებულია ცალკე ქვეყნების კაპიტალიზმის უშუალო ეკონომიური **რღვევის** პროცესთან კი არა, არამედ **სტაბილიზაციის** წინააღმდეგობათა განვითარების პროცესთან იმ წინააღმდეგობათა, რომლებსაც **გიგანტურად ამწვავებენ კაპიტალისტური კრიზისის საერთო ჩარჩოები.**

მე მხოლოდ გაკვრით შევეხე მსოფლიო მეურნეობის ზოგიერთ სტრუქტურულ ცვლილებას. ნება მომეცით, რამდენიმე სიტყვა ვსთქვა იმის შესახებ, თუ როგორ განმარტავენ კრიზისის მოვლენებს ჩვენი მოწინააღმდეგეების ბანაკში. მე შევეხები ეგრედ წოდებულ „გერმანიის პრობლემას", რომელიც განსაზღვრულის თვალსაზრისით სხვა [illegible] წარმოადგენს, თუ არა ჩრდ. ამერ. [illegible]ბული შტატებისა და ევროპის ურ[illegible] პრობლემას. მე ხელთა მაქვს [illegible] გლ[illegible]ხელი სტატისტიკოსისა და [illegible] პეიშის წერილი. „ცაიტშრი[illegible] 26 პროც. ფა- ამჟამად უდრის [illegible]ანდელთან შედა- [illegible]პროც. ბაშის ნათე- [illegible]კმაყოფილებელია.

(გაგრძელება იხ. [illegible]

მაქსიმ გორკი

გორკი უკვე ხანში შესული ადამიანია, მარტის 16-ს მას 60 წელი შეუსრულდა.

35 წლის წინათ შესდგა ფეხი გორკიმ სამწერლო ასპარეზზე.

35 წელი შესრულდა, რაც დაუსვენებლივ ხნავს გორკის კალამი თეთრ ყამირს—ქაღალდის გულს.

35 წელიწადია, რაც გორკი იბრძვის იმ პატარა იარაღით, რომელიც გაცილებით უფრო ბასრი და მკვეთრია, ვიდრე „მძლავრი და მახვილი" ხმალი.

გორკის ტყუილს არ გაუტარებია დღენი თავის სიცოცხლისა.

მას ბევრი აქვს დაწერილი. ის დღესაც სწერს, ბევრს სწერდენ, დღესაც სწერენ და შემდეგში კიდევ უფრო მეტს დასწერენ გორკის შესახებ.

გორკი წელს საბჭოთა კავშირის მშრომელმა ხალხმა თავის ქვეყანაში მიიღო. ის დღეს თბილისის სტუმარიც არის.

გორკი ჩვენია — მშრომელი ხალხის ღვიძლი შვილი, მასთან ბევრს ჭირსა და ლხინში გამოვლილი. ყოფილა გორკის მუშაობასა და ბრძოლაში შემთხვევები, როდესაც საბჭოთა კავშირის (იმ დროს რუსეთი ერქვა ამ ქვეყანას — ეს სულერთია!) მკაცრი და დაუმსახურებელი საყვედური გაუგონია თავის დიდი მწერლისაგან. ყოფილა შემთხვევა, როდესაც გორკის ვერ უჩვენებია ჩვენი რევოლიუციის მებრძოლი ძალებისათვის სწორი სამოქმედო ხაზი.

რა ვუყოთ? ჩვენ ცალ-ცალკე პიროვნებების გაღმერთებას არ ვართ გადაყოლილი, ვიცით, რომ თვითეულ ჩვენთაგანს შეუძლია შესცდეს, სწორი გზის მიმგნები მხოლოდ მშრომელი ხალხის შეერთებული კოლექტიური გონებაა.

ჩვენ სამდურავს არ გავყვებით, მაგრამ თვითეულს შეცდომას, ვისაც არ უნდა ჩაედინოს ის, გულმოდგინეთ, დაბეჯითებით, ზედმიწევნით შევისწავლით, რათა წარსული შეცდომები მომავლისათვის გაკვეთილათ გამოგვადგეს.

ჩვენ ყველა — თვითეული ჩვენთაგანი — შემცდომი ვართ, მაგრამ შეცდომა მხოლოთ მაშინ ჩაითვლება ადამიანს დანაშაულათ, როდესაც ის შეცდომიდან ფეხს აღარ მოინაცვლებს, გაჯიუტდება, თაკილებს შეცდომის აღიარებას.

გორკის ასეთი გულდიდობა არ მოსდგამს. ის სწერს და ამბობს იმას, რაც მას მთელი თავის არსებით სწამს და უტყუარ ჭეშმარიტებად მიაჩნია. მაგრამ ის ჩვენი ბრძოლის გრიგალში გახვეული ცხოვრების გარეშე მაყურებელი არ არის. ის გამჭრიახი თვალით აკვირდება ცხოვრების სინამდვილეს და იმ წამსვე, რა კი დაინახავს და მიხვდება თავის შეცდომას, ის პირდაპირ, დაურიდებლათ (თავის თავსაც არ დაინდობს) აშკარათ და საჯაროთ აღიარებს ამას.

„მე ვცდებოდი, მეშინოდა—და ჩემი შიში გულწრფელი იყო — რომ პროლეტარიატის დიქტატურა გაფანტავდა და დაღუპავდა პოლიტიკურათ გამოწვრთნილ მუშა-ბოლშევიკებს. მე კი ისინი მეგულებოდა ერთად-ერთ რევოლიუციონურ ძალათ. მე მეშინოდა, ვაი თუ, მათმა დაღუპვამ დიდი ხნით არ დააგვიანოს და ნისლით არ დაფაროს სოციალური რევოლიუციის მოსვლა-მეთქი" (იხ. „იზვ." № 296. 1927 წ.).

ასე სწერდა გორკი და ეს დასწერა მან მაშინ, როდესაც ის დარწმუნდა, რომ პროლეტარიატის დიქტატურა, რომელსაც სათავეში ჩაუდგენ ძველი მუშა-ბოლშევიკები, იყო და არის აუცილებელი საფეხური სოციალური რევოლიუციის გასამარჯვებლად და ცხოვრების სოციალისტურ ნიადაგზე მოსაწყობათ.

რასაკვირველია, ბრძოლამ ბევრი იმსხვერპლა, მაგრამ ამ ბრძოლას ამაოთა და ფუჭათ არ ჩაუვლია.

ეს დაინახა გორკიმ და ყოველი მობოდიშების გარეშე განაცხადა თავისი შეცდომა.

სამაგიეროთ ჩვენ ერთხელ კიდევ მოგვევლინა გორკის დიადი სახე, გორკი, რომელსაც გული უძგერს სოციალისტური რევოლიუციისათვის და არ ემეტება ძველი მუშა-ბოლშევიკები („ერთად ერთი გამოწვრთნილი რევოლიუციონური ძალა"!)

გორკი 35 წელია მუშაობს და იბრძვის სამწერლო ასპარეზზე. გორკი უმთავრესათ მხატვარია, მხატვრული სიტყვის საუცხოო ოსტატი, მაგრამ გორკი მარტო ამიტომ არ არის ჩვენთვის ასე უსაზღვროთ საყვარელი და ძვირფასი. მისი მხატვრული ნიჭი, მისი მხატვრული შემოქმედება. მისთვის მხოლოთ სალსარი და საშუალებაა მშრომელი ხალხის ბრძოლაში, რამდენჯერ ყოფილა, რომ გორკის, როდესაც ამას გარემოება და პირობები მოითხოვდა, გვერდზე გადაუდევს მხატვრული სალებავები და პუბლიცისტის მებრძოლთა „მომკრები" ყიჟინა გადაუწვდენია ბრძოლის ველზე. გორკი ისაა, ვისაც არასოდეს არ დავიწყებია, რომ რევოლიუციის სამსახური მრავალმხრივი და რთულია, არაფერში მას უკან არ დაუხევია, არაფერს ის არ გაქცევია.

გორკი ყოფილა ციხეში, გორკის უვლია მუშათა წრეებში, გორკის მიუღია მონაწილეობა პარტიულ ყრილობებში. აუსრულებია ყოველ უარის უთქმელად ჩვენი პარტიის ყოველგვარი დავალება.

აქ, ჩვენში, თბილისში დაიბეჭდა სწორეთ ამ 35 წლის წინათ გორკის პირველი მოთხრობა „მაკარ ჩუდრა" („კავკაზი" № 242, 12 სექტ. 1892 წელს.).

აქ აიდგა ფეხი გორკიმ მწერალმა. მას შემდეგ გორკიმ, როგორც მწერალმა და მებრძოლმა დიდი გზა განვლო, ის გასცილდა არამც თუ საქართველოს და რუსეთის საზღვრებს, მისი სახელი მთელს მსოფლიოს მოედო.

თვითეული ადამიანი ერთგვარ კვალს აჩენს ამ ცხოვრებაში.

ადამიანი, მართალია, იმ პირობების შვილია, რომელიც მის გარშემო სუფევს, მაგრამ თვით ადამიანიც, თავის სურვილისა და მისწრაფების მიხედვით, სცდილობს შესცვალოს და შეატრიალოს ცხოვრების პირობები.

ამას სცდილობს, რასაკვირველია მხოლოდ ის, ვისაც ეს პირობები გასაქანს არ აძლევს, სულს უხუთავს და მძიმე უღლათ აწევს კისერზე. სამაგიეროთ ის, ვისაც იგივე პირობები ამა ცხოვრების ბატონობისა და განმგებლობის კვერთხს ჩააბარებს ხელში, მისთვის ამ პირობების დაცვა და შენარჩუნება მთავარ საზრუნავ საგანს შეადგენს.

ასეთია საერთო და მთავარი კანონი ცხოვრებისა, სხვადასხვაა პირობები, სხვადასხვაა ადამიანის ხვედრი ამ პირობების მიხედვით, სხვადასხვაა, რასაკვირველია ჩვენი დამოკიდებულებაც ამ პირობებისადმი.

გორკი იმ წრეში დაიბადა, რომლისთვის ცხოვრების იმდროინდელი პირობები ჯოჯოხეთი იყო, ამიტომ არ შეიძლებოდა, რომ ის თავისი ცხოვრებით კმაყოფილი ყოფილიყო, რომ მას ხელი არ გამოელო მის წინაალმდეგ.

ამას ყველა ვერ ახერხებს. ზოგს შეგნება არ ყოფნის, ზოგს გამბედაობა. ზოგს არც ერთი არ გააჩნია.

გორკიმ შეიგნო და შეიცნო იმ ცხოვრების სიდუხჭირე და ერთგვარათ მის წინაალმდეგ საბრძოლველ გზასა და ბილიკსაც მიაგნო. ამ გზაზე დგას ის აგერ 35 წელიწადი.

რა გააკეთა მან ამ ხნის განმავლობაში, როგორ გააკეთა, სად ცდებოდა და რა მიზეზების გამოისობით?

ჩვენი დროის ადამიანისათვის ახალი ამბავი როდია, რომ ადამიანის ისტორია, თუ პირველყოფილ საზოგადოების ამბავს გამოვაკლებით, კლასთა ბრძოლითაა სავსე.

ასე ყოფილა, ასე არის, ასე იქნება, სანამ არ შეიცვლება საზოგადოების უსწორ-მასწოროთ დაყოფის მიზეზი და საშუალება.

გორკიც ამ ბრძოლის მონაწილეა.

მისი საბრძოლველი იარაღი კალამია, თუმცა ის არც სხვა იარაღს თაკილობს და წუნობს, როდესაც ამას დრო და გარემოება დააკისრებს.

ჩვენ აქ შევეხებით გორკის, როგორც კალმით მებრძოლს, როგორც მწერალს და უმთავრესად მხატვრული სახეების მომცემი მწერალს.

რომენ როლანი განთქმული საფრანგეთის მწერალი ერთს თავის ნაწარმოებში ასეთს აზრს გამოსთქვამს.

— მხოლოდ ის პიესა ღირს დასადგმელათ, რომელიც მაყურებელს ალუძრავს სიმხნევეს, მხიარულებას გაატანს და ცოდნას შესძენს. მისი აზრი სრულათ მისაღებია საზოგადოთ ყოველგვარი მხატვრული ნაწარმოებისათვის ცოტაოდენი განმარტებით.

მხატვრულმა ნაწარმოებმა შეიძლება ყოველთვის მხიარულების გუნებაზე ვერ დაგაყენოს, მაგრამ თუ მისი დამწერი უბრალო ხელის გულს ქავილით არ არის შეპყრობილი, მან მკითხველს უსათუოდ უნდა მისცეს მხნეობის განწყობილება და ცოდნა. ცოდნა იმის, თუ როგორ, რა გზით, რა საშუალებებით შეიძლება ბრძოლის წარმართვა, მკითხველმა უნდა იგრძნოს მხნეობა. მწერალმა ის უნდა დააჯეროს, რომ ბრძოლა საჭიროა და შესაძლებელიც. ზოგს და ზოგიერთებს ეს არ მოსწონთ. ისინი დაახლოვებით ასე ბრძანებენ.

— ჩვენ ცხოვრების სურათს დაგანახვებთ, არ გავამრუდებთ სინამდვილეს, ოღონდ განწყობილება და შთაბეჭდილება თქვენი საქმე იყოსო.

გორკი ასეთ მწერლების შორის არ ყოფილა და არც შეიძლებოდა რომ ყოფილიყო.

გორკიმ ბავშობიდანვე თან წამოიყოლია იმდროინდელი ცხოვრების პირობების სიდუხჭირის მძიმე ტვირთი.

მამა მისი ციმბირიდან გამოქცეული ბოგანო ვინმე იყო. ფეხით გადმოითელა მან ციმბირისა და რუსეთის თვალუწვდენელი ველები და ნიჟნი-ნოვგოროდში დაედო ზავი. აქ ჩაჩერებულა ის და აქ მოუკიდებია საქმისათვის ხელი. ხელობა რომელიმე მან არც კი იცოდა ხეირიანათ, ოღონდ ნოვგოროდში ჩამოსვლისას ერთ დურგალთან დამდგარა. გორკის მამა (მაქსიმე პეშკოვი) ნოვგოროდშიაც არ დარჩენილა დიდ ხანს. ასტრახანში გადასახლდა და იქ ხოლერას გადაუტანია.

ამ დროს ალექსი (გორკის ნამდვილი სახელი ალექსია) თურმე პატარა, 5 წლის ბიჭი იყო. მამის შემდეგ ალექსის დედაც ჩქარა მოუკვდა; ობოლი ბაბუას (დედის მამას) დარჩა გასაზრდელად. გორკის ბაბუა შეძლებული კაცი იყო. ერთ დროს სამღებრო ჰქონოდა, შემდეგ ვაჭრობას მოჰკიდა ხელი.

ბუნებით ეს მოხუცი ბოროტი ადამიანი არ უნდა ყოფილიყო, მაგრამ მეტის-მეტათ ყრუ და შეუსმენელი კაცი იყო.

ალექსი ბავშობისას ცელქი ყოფილა, ბაბუა მის კი მხოლოთ ერთად ერთი აღზრდის საშუალება ჰქონდა — წკნელი.

ხშირათ მოხვედრია ბაბუასაგან ალექსის.

დიდ ხანს ის მაინც არ დარჩენილა ბაბუასთან. წამოიზარდა თუ არა იმდენათ, რომ ხელზე სამსახური შესძლო, მაშინათვე გააბარეს მოჯამაგირეთ.

ცემა-ტყეპა და უდიერი მოპყრობა გორკის ცხოვრებაში ბავშობიდანვე მჭიდროთ იყო ჩაქსოვილი.

ვინ იცის რამდენი ადგილი გამოუცვალეს და შემდეგ რამდენი თვითონ გამოიცვალა ალექსიმ, მაგრამ ადამიანური მოპყრობა მას არსად არ ღირსებია.

ამასობაში გორკი წამოიზარდა, დავაჟკაცდა. ხეტიალსა და სიარულში სასიამოვნო არაფერი უნახავს. სხვის კარზე გაზრდილმა მოჯამაგირობასა და ხეტიალში გაიკვეთა ანბანი და წიგნების კითხვას დაეწაფა. სკოლაში ერთ ხანს კი იყო გაბარებული (ეს იმ დროს, როდესაც ბაბუასთან ცხოვრობდა), მაგრამ იქ დიდ ხანს არ მოუთმევია.

ოცდახუთი წლის იყო გორკი თბილისში, რომ ჩამოვიდა, მას უკვე შემოვლილი ჰქონდა ფეხით რუსეთის სამხრეთი ნაწილი. ის უკვე გამოვლილი იყო საშინელ სიღარიბესა და გაჭირვებაში.

ცხოვრებამ მას ხავსებით დაუმალავათ აჩვენა თავისი პირქუში და დუხჭირი სახე.

თბილისში დასწერა მან თავისი პირველი მოთხრობა.

ცხოვრების ჯურღმულიდან ამოტივტივებულმა „ბოსიაკმა" სასტიკი ბრძოლის შემდეგ გაარღვია ცხოვრების ტალღების პირშეკრული წრე და „განათლებულ" ხალხის ხელობის ნაწარმოები აჩვენა ქვეყანას.

გორკი ამ ახალ წრეში სრულებით მოულოდნელი და უცხო ვინმე იყო.

მწერლობა „განათლებული" ხალხის ხელობა იყო. სკოლის კარებიც უნახავთ ვიღაც მაწანწალა „ბოსიაკმა" ვინ იცის სად და ვინ იცის როგორ ისწავლა და შეიძინა იმდენი ცოდნა, რომ მწერლობას მოჰკიდა ხელი.

ეს, მართლაც, რომ საუცხოვო სანახაობა იყო. მით უფრო საუცხოვო იყო ის, რაც გორკიმ მიიტანა მწერლობაში.

ამ სანახაობის მნიშვნელობის გასაგებათ საჭიროა ზერელეთ მაინც გავეცნოთ, თუ რა დრო იყო მაშინ რუსეთში, როგორი იყო მაშინდელი მწერლების მისწრაფება და სურვილები. ვგულისხმობ მხატვრულ ლიტერატურას და ეგრეთ წოდებულ „მოწინავე" მწერლობას.

* * *

გორკი სამწერლო ასპარეზზე 1892 წელს გამოვიდა. ეს ის დრო იყო, როდესაც რუსეთის ცხოვრებაში ახალმა სიომ დაბერა.

ადარავის სწამდა ძველი „ნაროდნიკული" მოძღვრება.

ნაროდნიკები დამარცხდენ სასტიკათ და გამოუბრუნებლათ. ნაროდნიკობა წელში იმდენათ ალექსანდრე მე-3-მეს რეაქციამ კი ვერ გატეხა, რამდენათაც ცხოვრების სასტიკმა სინამდვილემ.

ნაროდნიკებს თვალსა და ხელს შუა გამოეპარათ, რომ გლეხი („მუჟიკი") სრულებით არ იწონებდა მათ „ობშჩინას", რომ ბატონყმობის მოსპობის შემდეგ აშვებულმა კლასთა ძალების განწყობილებამ სულ ახალი ნიადაგი შეამზადა სოფლათ. გლეხი მიწის საკუთრებას გამოეკიდა. გლეხმა მიწა საკუთრებათ გაიჩინა, სოფლათ წამოიზარდა და წელი გამართა ჩარჩმა და მოვახშემ. ერთის ხელში ბევრი დაგროვდა მიწის საკუთრება, მეორემ მთლათ ამოიკვეთა სოფლათ ფეხი.

ბოგანო და მიწა-წყალს მოკლებული გლეხობა ქალაქს მოაწყდა ლუკმის საშოვნელათ.

ერთ ხანს, სანამ ქალაქის მრეწველობა წელ მოწყვეტილი იყო და სოფლიდან ქალაქში ჩამოსულ მუშა-ხელს ვერ აძლევდა ვერავითარ საზრდოს, ნაროდნიკების წუწუნსა და მოთქმას კიდევ ჰქონდა გასავალი. მას აქა-იქ მაინც უგდებდენ ყურს, მაგრამ 1890 წლის შემდეგ მრეწველობაში იწყება მოღონიერებისა და განვითარების ხანა.

ამ ახალ ხანას ახალი სულიერი განწყობილება უნდა მიეცა საზოგადოების მოაზროვნე ნაწილისათვის—მოწინავე ინტელიგენციისათვის. ეს განწყობილება უნდა გამოსახულიყო ლიტერატურაშიაც საერთოდ და მხატვრულ ლიტერატურაშიაც კერძოდ.

ჩვეულებრივათ ასე ხდება. მხატვრული ლიტერატურა გვარიანად დიდი ჩამორჩენით მისდევს წინ მიმავალ ცხოვრებას. ეს, შეიძლება აუცილებელიც იყოს. მხატვარს კარგა გვარიანი დრო სჭირდებოდა სანამ ის ამ ახალი მოვლენას თავს გაართმევდეს, სანამ ამ ახალი მოვლენის დაფანტულ ფერადებს ერთი მეორეს დაუკავშირებდეს, ერთ მთლიან სურათად გამოსახავდეს. ამიტომაცაა, რომ მხატვრულ ლიტერატურას კარგა ხანს მიჰყვება ხოლმე ძველი საკვები საცოხნათ.

ასე ხდება; ასე მოხდა 1890 წლის მომყოლ ხანაშიაც.

მართალია, ზოგიერთი იმდროინდელი მწერალი ატყობდა, რომ მათ „რაღაც აკლია!" (ჩეხოვი). მაგრამ ამ „რაღაცას" მონახვა უნდოდა, ხოლო მნახველი და გამგები არავინ იყო. ჩეხოვი ძალიან გულდაღონებული იყო ამ გარემოებით.

„ჩვენო, ამბობდა ჩეხოვი, არ გაგვაჩნია არც ახლობელი და არც შორეული მიზანი: ჩვენი სული მთლათ გაპარტახებულია („Хоть шаром покати!") პოლიტიკა ჩვენ არა გვაქვს და რევოლიუციის ჩვენ არა გვწამს—რა!"

იგივე ჩეხოვი ასე გამოსთქვამდა თავის დროის სივაგლახეს:

„ჩვენ,—მეც თვითონ და ჩემი ხნის 35—45 წლის ვინცაა, ის მწერლები—ჩვენ მკითხველებს ტკბილი ღიმილიანით ვუმასპინძლდებით"-ო.

ასე ამბობდა ჩეხოვი.

ჩეხოვს არ სწამდა, რომ ცხოვრების გარდაქმნას პოლიტიკური ბრძოლის წყალობით რამე ეშველებოდა; ნაროდნიკებისკენ ის არ ინდებოდა. ის კარგათ ატყობდა, რომ რუსეთმა უკვე შედგა კაპიტალისტურ-ბურჟუაზიულ განვითარების გზაზე ფეხი, სწამდა რომ ეს გზა დაწინაურების გზა იყო რუსეთისათვის, არ მოსწონდა მას რუსეთის ცხოვრების სიდუხჭირე, მაგრამ იმედი ჰქონდა ამ ახალი პირობების ზეგავლენით რუსეთი ნელა-ნელა ფეხს აიდგამს და თანდათანობით მიატოვებს ძველ კანსა და ფერსო.

ნაროდნიკული მიმართულების მწერლებსაც არ ადგათ უკეთესი დღე. საიმედოსა და სანუგეშოს იმდროინდელი ცხოვრება მათთვის არაფერს იძლეოდა. **გარშინი** სასოწარკვეთილებამდე მივიდა და მთლათ გადავარდა უიმედობაში. **კოროლენკო** ჩინებულათ ხედავდა ცხოვრების იმდროინდელ სახეს და, ვინაიდან, ის მის რწმენას, მის ნაროდნიკულ მიმართულებას სასურველსა და საამურს ვერაფერს აძლევდა, ეს გულკეთილი მწერალი ბუნდოვანი ქარაგმებით ქადაგობდა მსხვერპლის ჯალებას.

ჩეხოვსა და მათ შორის მაინც დიდი განსხვავება იყო.

ჩეხოვი ცხოვრების სინამდვილეს თავის მიმართულების მოკლე სკამზე არ სჭრიდა ფეხებს, მას გარკვეული რამე მიმართულება არც კი გააჩნდა. ჩეხოვი სინამდვილის გამომხატველი—რეალისტი იყო, მის ნაწერში იყო ცრემლში ნარევი სიცილი. (უკეთ რომ ვთქვათ ღიმილი) და ერთი ნატამალიც არ ერია რამე განსაზღვრული მიზნისა და ამოცანისაკენ მკითხველის ყურადღების მიქცევის განზრახვა.

სამაგიეროთ ეს ჭარბათ იყო ნაროდნიკულ მწერლობის ნაწერებში, ამავე დროს ამ მწერლებს ცხოვრების პირუცვლელი სინამდვილის გამოსახვა ნამეტნავათ უმძიმდათ, ვინაიდან ეს სინამდვილე არაფერს სანუგეშოს მათ არ პირდებოდა.

აი ამ დროს და ასეთ პირობებში შემოაღო სამწერლო ასპარეზის კარები ყველასაგან უცნობმა და მოულოდნელათ სადღაიცაგან გამოტყვრენილმა ახალგაზრდა მწერალმა—ვინმე **გორკიმ**, თანაც ასეთი არაჩვეულებრივი თავგადასავლის პატრონმა.

მას ჰქონდა ის, რაც აკლდა იმდროინდელ მწერლობას. საუცხოვო და გასაოცარი ამბავი მოიტანა მან ლიტერატურაში.

გორკიმ დაანახვა მკითხველს, რომ არის ერთი წყება ხალხი, რომელსაც არავინ იცნობს, ყურადღებას არ აქცევს, კაცათ არავინ სთვლის. აი ეს ის ხალხია, რომელსაც არამც თუ არ მოსწონს დღევანდელი ცხოვრება, არამედ მზათაცაა იბრძოლოს მის წინაალმდეგ. ეს იყო გორკი, რომელიც თავის ნაცნობი ბოსიაკების პირით ლაპარაკობდა.

ეს სიახლე, თვალის მომჭრელი და ბრჭყვიალა, სრულებით ახალი და უჩვეულო რამ იყო.

გორკის გმირები არ არის რომელიმე განსაზღვრული კლასიდან წარმოდგენილი, ეს საზოგადოებიდან განდგომილი პირებია, ყოფილი ხალხია, ცხოვრებამ უმოწყალოთ გადაუარა მათ ზურგზე. მწარე ტკივილები აგრძნობია და ღრმა ჭრილობებით დასერა მათი სხეული. ამიტომ არსებულის უარისყოფა აქ საყოყმანო აღარაა.

დღევანდელი დღიდან არაფერს სასიკეთოს ისინი არ მოელიან. ისინი მზათ არიან იბრძოლონ, მაგრამ სად არის მათი ლაშქარი. სად არის ის ძალა, რომლის შემწეობითაც შეუძლია მათ გამოიწვიონ ბრძოლაში ამა ცხოვრების საჭის მქონენი?

ასეთები გორკის გმირებს არსად ეგულებათ. ისინი მხოლოთ თავის-თავის იმედათ არიან ხოლო ისინი ხომ თითეულა ცხოვრებიდან განდგომილი პირები არიან. მათ შეუძლიათ ამაყი სიტყვების თქმა

«Безумству храбрых
Поем мы славу!»

მაგრამ თუნდა ეს თავზე ხელაღებული სიმამაცე ხომ სრულებით არ იძლევა საბუთსა და იმედს, რომ ეს ბრძოლა მათი გამარჯვებით გათავდეს?

მაშ, რა ფასი აქვს ამ აფორიაქებულ ხალხის ამაყ სიტყვებს?

გორკიმ ჩვენ ის გვაჩვენა, რასაც იცნობდა რაზედაც ხელი მიუწვდებოდა.

უიმედოთ მოწუწუნე მწერლობაში მან შეიტანა იმედიანი კილო ბრძოლის და გამარჯვების ჟინით დამთვრალი ყიჟინა. შეხუთული ჰაერი გაიწმინდა. იმედიანმა სიომ სიცოცხლის ფერი მოჰგვარა სასოწარკვეთილებაში თავჩარგულ ინტელიგენციას. გორკის ხმა მეხივით გავარდა ცხოვრების ყოველ კიდურში.

მართალია იმ დროს უკვე გამოდიოდენ სამწერლო ასპარეზზე ერთი წყება ახალგაზრდა მწერლები, რომლებსაც, გორკის გმირების არ იყოს, პიროვნული და განცალკევებული. სოციალურ მასას და კლასს ჩამოშორებული გზით უნდათ იარონ და ამავე გზით არიწიონ თავიანთი გმირებიც.

ეს იყო ის მწერლები, რომლებიც **დეკადენტების** სახითა და სახელით მოევლინენ რუსეთის ლიტერატურას.

ამ მხრივ, თითქოს, გორკისა და ამ ახალ წყება მწერლებს შორის იყო რაღაც მსგავსება, მაგრამ მათ მხოლოთ გარეგნული თვისება თუ ჰქონდათ ერთნაირი, შინაარსი კი სულ სხვადასხვა იყო.

დეკადენტების გმირებს არა სწამთ მიღებული, ჭეშმარიტებათ დაკანონებული მცნება მაგრამ მათი „ბრძოლის" ფარგლები ისეა შემოხაზული, რომ არსებულ პოლიტიკურსა და ეკონომიურს პირობებს ამ ახალი მწერლების გმირების „ბრძოლით" ერთი ღერი თმაც არ ჩამოვარდებათ თავიდან.

სულ სხვაა გორკის გმირები, რომლებსაც სურთ ძირიან-ფესვიანა ამოაგდონ არსებული წესწყობილება, ფეხქვეშ გასთელონ მისი კანონი და სამართალი. ეს და ასეთი იყო გორკის მწერლობის პირველი საფეხური.

თავის დროზე ამ მოვლენამ დიდი ქარიშხალი დაატრიალა. თვითმპყრობელობის ყურთა სმენას საბედისწეროთ მოედო „ბურევესტნიკის" მგზნებარე ყვირილი. თუ გორკის გმირები უძლური იყვნენ ამ ქარიშხალის დასანთებათ, ისინი, ყოველ შემთხვევაში წინასწარმეტყველებდენ მის მოსვლის აუცილებლობას და მოუწოდებდენ თავზეხელაღებულთ ამ ქარის მონაწილეობის მისაღებათ. ამრიგათ **გორკი თავის მწერლობით უსათუოთ აღვივებდა რევოლიუციონურ სულისკვეთებას**, მაშინ, როდესაც დეკადენტები არსებულ წესწყობილებაში თავისშესაყოლიებელსა და გასართობ ხერხებს იგონებდენ, ამიტომ მათ არამც თუ არაფერი არ აკავშირებდა რევოლიუციასთან, პირიქით ისინი რევოლიუციონურ სულისკვეთების ჩაქრობას უწყობდენ ხელს.

* * *

მაგრამ რევოლიუცია ხომ მარტო სულისკვეთების მაღლა აწევით არ გაკეთდება?

გორკის გმირების სულისკვეთება, უაღრესათ რევოლიუციონური იყო, მაგრამ გრძნობა წარმავალი საქმეა. საჭირო-კავკასია დაუახბაც გააყოლო, არ კმარა [illegible] ნორმას. ბრძოლის ჟინი, თუ ბრძოლერეც ცოტაოდენადაც უნდა იცოდე, როგორ უ[illegible] მტერს, უნდა იცოდე ისიც სად და რა წრედან შეიძლება ამ ბრძოლისათვის საჭირო ხალხის გამოყვანა, მწერალმა ამ ხალხს უნდა დაანახოს არამც თუ მარტო ძველის დანგრევის საჭიროება, უნდა გააგებინო ისიც, რომ ეს შესაძლებელია და, რომ ამა და ამ მიზნის გუ[illegible]სათვის განწირვა ღირს.

ამას არ იძლეოდა გორკის [illegible] ხროვები. ამას ვერ მისცემდა მკით[illegible] გორკის გმირები.

ამას ატყობს გორკი, ამიტომ ი[illegible] თავს ანებებს და ერთხანს ახალი [illegible] ძებნაშია. ის საკმაოთ იცნობს [illegible] ციონურ მოძრაობას, ის პარტიის [illegible] (ბოლშევიკია). მან იცის და არ [illegible] იცოდეს, რომ ძველის დამნგრე[illegible] ისინი, ვინც თავზეხელაღებულ[illegible] სიგიჟით აპირობენ ძველი ცხოვრებ[illegible]ბას, არამედ მუშათა კლასი, მისი პ[illegible] გორც ამ კლასის მოწინავე და გზ[illegible] ნაწილი.

აი ამ ხანებში სწერს ის თავ[illegible] „დედა". ეს რომანი მუშათა ცხ[illegible] დაწერილი. არის გამოყვანილი უ[illegible] ლიუციონერი, გაშლილია თვით[illegible] ბასთან ბრძოლის სურათი.

რომანი გვარიანა მოზრდილი[illegible] მაგრამ (დახეთ უბედურობას[illegible] გორკის ცნობა ამ რომანში შეუძლებელია. გორკი აქ არ სჩანს, როგორც შეუდარებელი, მძლავრის ნიჭის პატრონი მხატვარი.

„დედა" მოთხრობათ გადაკეთებული პარტიის პროგრამაა, ცალ-ცალკე ადგილები უსათუოთ დიდი მხატვრული ნიჭითაა დაწერილი მაგრამ მთელი რომანი ერთ მთლიან სურათს არ წარმოადგენს. ის ნაკუწ-ნაკუწებიდან შეკერილ საბნის პირს უფრო ჰგავს.

რატომ დაემართა გორკის ასეთი „მარცხი"?

გორკი, არამცთუ მარქსისტია, არამედ რევოლიუციონური, მებრძოლი მარქსიზმის მიმდევარიც და ლენინის პარტიის წევრი. მაშ რატომ ვერ მოახერხა მან დაენახვებია მკითხველებისათვის ახალი ცხოვრების კალატოზის, მებრძოლი მუშა-რევოლიუციონერის მხატვრულათ გამოკვეთილი სახე?

აქ პასუხი მხოლოდ ერთია — **იმიტომ, რომ გორკი ვერ იცნობს ამ ხალხს.**

აქ უბრალო ცნობაზე არ არის ლაპარაკი. უბრალო ცნობა რომ ყოფილიყო საკმარისი, მაშინ გორკის „დედა" გაცილებით უფრო სხვა სახით მოგვევლინებოდა და სულ სხვა შინაარსით იქნებოდა ის სავსე. მაშინ ჩვენ ა[illegible] დავინახავდით ხორცშესხმულ მუშას, (უფრო სწორეთ რომ ვსთქვათ მუშებს — როგორც მასას, ვინაიდან მუშური რევოლიუციის სიდიადის დანახვა ამ მასის გარეშე შეუძლებელიცაა!) მაშინ გორკი ჩვენ დაგვანახვებდა ამ მუშების ცხოვრების ყოველ საგულისხმო კუნჭულს, ჩვენც ასე ცხადათ გაშეშებულ ლანდების მაგივრათ ვიგრძნობდით რევოლიუციის სრულსა და ცოცხალს სახეს.

ეს ვერ მოგვცა გორკიმ, ვინაიდან მას არ აღმოაჩნდა ისეთი ღრმა ცოდნა მუშების ურომლისოდაც მხატვრული ნაწარმოების დაწერა შეუძლებელია.

პოლიტიკის" უკანასკნელი წლის მე-4 ნომერში, პიში საკითხს ასე აყენებს:

„ახლა მთელ მსოფლიოში მოვალე ქვეყნებს არ შეუძლიათ თავიანთი საქონლის გასაღება იმ მოცულობით, რომელიც საჭიროა იმისათვის, რომ მათ შეძლოთ შეასრულონ თავიანთი ვალდებულებანი და ამავე დროს საქონლის გაყიდვით გადარჩენილი ფულით იყიდონ საარსებო მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად საჭირო საგნები. ამიტომ ისინი კვლავინდებურად მსხვილ სესხს იღებენ უცხოეთში. მაგრამ სესხის მიმცემ ქვეყნებსაც არ შეუძლიათ ახალი კრედიტების გაღება იმ ზომით, რომელსაც ადგილი ჰქონდა უკანასკნელ წლებში. თუ ახლო მომავალში მდგომარეობა არ შემსუბუქდება, მთელი სისტემა მალე დაიმსხვრევა..."

შემდეგ:

„ამგვარად, საერთაშორისო საკრედიტო სისტემის დარღვევა საშიში და აცლოვებელი ხდება (ხაზი ავტორისაა). ეს რღვევა აუცილებელიც კი(ა) თუ დროზედ არ იქნება მიღებული ზომები, რომლებიც საშუალებას მისცემენ მოვალე ქვეყნებს, რომ შეასრულონ თავიანთი ვალდებულებანი საქონლის გასაღების წყალობით და არა შემდეგში კრედიტების დახმარებით. კრიზისის სიმპტომები საკმაოდ დაგროვდა: საქონლით გაჭედილი ბაზრები, უმუშევრობის ზრდა შეერთებულ შტატებში და უდიდესი საკრედიტო ოპერაციები უმნიშვნელოვანეს სამრეწველო ქვეყნებში, პირველ ყოვლისა კი გერმანიაში".

მე ერთგვარი ეჭვი მაქვს, რომ ეს ავტორი მართალი იყოს, როდესაც ის კატასტროფას წინასწარმეტყველებს მთელი ფრონტისათვის აქ სხვა ინტერესებია ამეტყველებული და ძნელი გასაგები არ არის, თუ, სახელდობრ, რომელი ინტერესებია. მაგრამ ასეთი მსჯელობისათვის ზოგიერთი საბუთი არსებობს.

გერმანიის პრობლემა ხომ ნაწილობრივ პრობლემაა რომელიც მწიფდება თანამედროვე მსოფლიო მეურნეობის კრიზისის ფორმების საფუძველზე. ჩვენ ეხლა ვამჩნევთ რამდენსამე უმწვავეს წინააღმდეგობას.

ეს უმწვავესი წინააღმდეგობანი ვითარდებიან სხვადასხვა მიმართულებით: ამერიკა—დიდი ბრიტანეთი, გერმანია-საფრანგეთი, იტალია-საფრანგეთი და სხვ. ყველა ეს დისპროპორცია, კაპიტალისტური სისტემის შიგნით საშრო მეუდროებისა და წესრიგის თვალსაზრისით, გამოიხატება იმშიაც რომ ომის შემდეგ ისეთი მდგომარეობა შეიქმნა, როცა ზოგიერთი სახელმწიფოს ნამდვილი ეკონომიური ძლიერება არ შეეფერება, მაგალითად, ისეთ მოვლენას, როგორიც არის კოლონიების მფლობელობა. ავიღოთ მაგალითად ერთის მხრით, შეერთებული შტატები, მეორე მხრით—ინგლისი. ჩვენ ვხედავთ ამერიკის კაპიტალიზმის ძლიერ ზრდას, მაგრამ შეერთებული შტატები ხომ დღევანდლამდე დიდი კოლონიალური სახელმწიფო არ ყოფილა. ბრიტანეთის მსოფლიო იმპერია კოლონიალური იმპერიაა, მაგრამ ხომ სწორედ ინგლისის შესახებ შეიძლება ითქვას, რომ იგი განიცდის დაქვეითების პერიოდს, უდიდესი კოლონიალური მონოპოლიის მიუხედავად. ასეთივე დისპროპორცია შეგვიძლია შევამჩნიოთ სხვა ქვეყნებში. ავიღოთ ეხლანდელი გერმანია. ეკონომიურ-ტეხნიკური თვალსაზრისით გერმანია პირველხარისხოვანი ქვეყანაა, მაგრამ მას არ მოეპოვება არც კოლონიები, არც მანდატები, არც პროტექტორატები ასევე საინტერესოა, ერთმანეთს შევადაროთ იტალია და ესპანეთი და სხვა.

მაგრამ რადგან ეს წინააღმდეგობანი დაკავშირებულნი არიან საწარმოო ძალთა განვითარებასთან რადგან კაპიტალის გამოყენების სფეროებისათვის ბრძოლა უფრო და უფრო მწვავდება, ამიტომ ეს ნიშნავს მხოლოდ უდიდესი იმპერიალისტური პრობლემის—მსოფლიოს, კოლონიების ან სხვა ადგილების ახალი დაყოფის პრობლემის „აღდგენას" ეს კი ომს მოასწავებს. მთელი ეხლანდელი მსოფლიო მეურნეობის ეკონომიური ანალიზის თვალსაზრისით, იმპერიალისტური სახელმწიფოების შიგნით არსებული სპეციფიური ურთიერთობის თვალსაზრისით, საერთო კაპიტალისტური კრიზისის თვალსაზრისით,—ყველა ამ გადამწყვეტ თვალსაზრისით, ომი წარმოადგენს დღევანდელი დღის ცენტრალურ პრობლემას. აი რატომ არის, რომ ეს საკითხი ტაქტიკურადაც და პოლიტიკურადაც პირველ რიგში უნდა დავაყენოთ. დაე ბ-ნმა სოციალ-დემოკრატებმა ილაპარაკონ რომ ომი—ჩვენი პროგრამაა!? რა უსირცხვილო სისულელეა! სიცრუე კი არა, სწორედ სისულელეა! ეს პრობლემა ობიექტურად წარმოადგენს ცენტრალურ პრობლემას. ხოლო

პატარა ... სუბიექტურ-კოლექტიური ამოცანაა—
პირობა მე... რათ ეს პრობლემა არა იმპერიალისტუ-
...მედ პროლეტარულად. არა ამ გზით
...ალისტურ ომს მხარი დაუჭიროთ
...ვით, რომ იმპერიალისტური ომი
მენ... პროლეტარიატის სამოქა-
...ბურჟუაზიის წინააღმ-

წინააღმდეგობანი სახელმწიფოებს შორის

სავსებით გასაგებია, რომ ეკონომიური განვითარების პროცესი განსაზღვრავს და აყალიბებს სათანადო ურთიერთობას სახელმწიფოებს შორის, კაპიტალისტური სახელმწიფოების პოლიტიკური ურთიერთობის საერთო კომპლექსის ანალიზის დროს თვალში გვეცემათ წინააღმდეგობა სხვადასხვა სახელმწიფოებრივი ფორმაციების შორის: ანტაგონიზმი კაპიტალისტურ ქვეყნებსა და კოლონიებს შორის და განსაკუთრებით ჩინეთთან; ანტაგონიზმი კაპიტალისტურ ქვეყნებსა და საბჭოთა კავშირს შორის და ანტაგონიზმი ევროპასა (განსაკუთრებით დიდ ბრიტანეთსა) და ჩრდილოეთ-ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის. რაც შეეხება სპეციფიურ ევროპიულ ურთიერთობებს, მათ მნიშვნელოვნად განსაზღვრავს გერმანიის მდგომარეობის ცვლილება და გერმანიის იმპერიალიზმის აღორძინება. უკვე აღვნიშნე დიდი წინააღმდეგობა შეერთებული შტატების ეკონომიური და პოლიტიკური ძლიერების ზრდასა და მისი კოლონიების შედარებით მცირე მნიშვნელობას შორის. ეს წინააღმდეგობა თავს იჩენს ჩრდილოეთ-ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიობის ზრდაში. „მშვიდობიანი შეჭრის" (pénétration pacifique) ლოზუნგი თანდათან იცვლება აშკარა პოლიტიკური და სამხედრო ოკუპაციით; ნიკარაგუაში მომხდარი ამბები მკაფიოდ გამოხატავენ ამ ცვლილებას ჩრდილოეთ-ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკაში. შეერთებული შტატების პოზიცია ჩინეთში, მიუხედავად ყველა ლიბერალური მანიფესტაციისა, არსებითად შორს არ არის სამხედრო ოკუპაციისაგან.

შეერთებული შტატების აგრესიული პოლიტიკა ეჯახება კონკურენტის—დიდი ბრიტანეთის წინააღმდეგობას. ბრიტანეთ-ამერიკის ანტაგონიზმი ამჟამად წარმოადგენს კაპიტალისტურ სახელმწიფოებს შორის არსებულ ყველა წინააღმდეგობის ღერძს. შეტაკება შეერთებულ შტატებსა და დიდ ბრიტანეთს შორის სხვადასხვა სფეროებში ხდება. საკმაოდ დიდ კონფლიქტში, რომელიც წამოიჭრა კაუჩუკის გამო, ინგლისი დამარცხდა და იძულებული გახდა შეთანხმება დაედო. ინგლისი დამარცხდა ნავთის გარშემო წარმოებულ ბრძოლაშიაც. ეხლა უნდა მოხდეს შეტაკება ბამბის გამო. მე მხედველობაში მაქვს ჩრდილოეთ-ამერიკის კაპიტალის გეგმები, რომლებიც ვრცელდებიან აფრიკაზე—აბისინიაზე და იქიდან ეგვიპტეზე. ჩრდილოეთ-ამერიკამ თავისი თათები ინდოეთსაც წაუპოტინა.

სამხრეთ-ამერიკაში შეერთებულმა შტატებმა უფრო ადრე ჩაიგდეს ხელში ლათინური ამერიკის ჩრდილოეთი ნაწილები. ეხლა ჩრდილოეთი ამერიკა საკმაოდ წარმატებით უწევს კონკურენციას ინგლისს ლათინური ამერიკის სამხრეთ ნაწილშიაც. ვიმეორებ და ხაზგასმით აღვნიშნავ, რომ კონფლიქტი შეერთებულ შტატებსა და ინგლისს შორის წარმოადგენს მსოფლიო მეურნეობის კაპიტალისტური სექტორის შიგნით არსებული ყველა წინააღმდეგობის ღერძს.

გერმანიის იმპერიალიზმის აღორძინება და ვერსალის კრიზისი

გერმანიაში—ამას დიდი მნიშვნელობა აქვს სპეციფიურ ევროპიულ წინააღმდეგობათა თვალსაზრისით—ხდება თავისებური „რენესანსი", გერმანიის იმპერიალიზმის აღორძინება. რას ნიშნავს ეს? გერმანიას ჯერ კიდევ არა ჰყავს თავისი არმია, არა აქვს სამხედრო ფლოტი, მაგრამ მისი მდგომარეობა სერიოზულად შეიცვალა. გერმანია დამარცხებული იყო. გერმანიის მონოპოლისტური კაპიტალი ომიდან მძიმედ დაჭრილი გამოვიდა. პოლიტიკურადაც და ნაციონალურადაც გერმანია დამცირებული იყო; მაგრამ კრედიტების—და პირველ რიგში ამერიკის კრედიტების—დახმარებით გერმანიის კაპიტალიზმმა თავისი საქმეები გამოასწორა. გერმანიის კაპიტალის ტეხნიკა, ან, უფრო სწორად რომ ვთქვათ, გერმანიის ტეხნიკური პროგრესის დინამიკა, სარეკორდო ციფრებს იძლევა ევროპაში, ხოლო ზოგიერთ დარგში გერმანია იძლევა სარეკორდო ციფრებს მსოფლიო მასშტაბითაც. რაც შეეხება ეკონომიურ რეორგანიზაციას, ტრესტებად გაერთიანების პროცესი გერმანიაში კლასიკურ ფორმებში ჩამოყალიბდა. ბუმბერაზი ტრესტები, ამ ტრესტების დიდი გავლენა საერთაშორისო მასშტაბით გერმანიის კაპიტალის ძლიერი პოზიციები მსოფლიო ბაზარზე, საქონლის შედარებითი სიიაფე და გერმანიის კაპიტალიზმისა და გერმანიის მრეწველობის კონკურენციის უნარის ზრდა,—ყველა ეს მომენტი უეჭველია:

სავსებით გასაგებია, რომ ეკონომიური საძირკვლის განმტკიცება პოლიტიკაშიაც პოულობს გამოხატულებას: ვერსალის საზავო ხელშეკრულება ნაწილობრივ ფაქტიურად უკვე გაუქმებულია. გერმანიის კაპიტალიზმის პოლიტიკური პოზიცია თვალსაჩინოდ განმტკიცდა იმასთან შედარებით, რასაც ადგილი ჰქონდა ამ რამდენიმე წლის წინად. დასავლეთ ევროპის სახელმწიფოების კონცერტში გერმანია ეხლა საკმაოდ დიდ, ხოლო ზოგიერთ საკითხში გადამწყვეტ როლსაც კი თამაშობს. ძნელი გასაგები არ არის, რომ განვითარების ეს ხასიათი, ან უფრო სწორად რომ ვთქვათ, გერმანიის მთელი განვითარების ეს გეზი, უდრის გერმანიის მონოპოლისტური კაპიტალის საგარეო—პოლიტიკური ზრახვების ზრდას. „მანდატების", პროტექტორატების, კოლონიების ძიება პოლიტიკურ მოდად გადაიქცა გერმანიაში; მაგრამ ეს უბრალო „მოდა" კი არ არის, არამედ რაღაც უფრო არსებითი. ეს „მოდა" მოკლებულია არის რეალურ პერსპექტივებს, ვინაიდან სხვადასხვა ანტაგონიზმების და ძალების თამაშში, საფრანგეთისა და იტალიის, საფრანგეთისა და ინგლისის, საფრანგეთისა და გერმანიის, გერმანიისა და პოლონეთის და სხვ. ურთიერთობათა კომპლექსში,—ევროპის ურთიერთობათა ამ ურთულეს კომპლექსში,—გერმანია ერთის მხრივ, წარმოადგენს სუბიექტს, ხოლო მეორეს მხრივ—ობიექტს, და შეიძლება ბევრმა სახელმწიფომ განსაზღვრულ გარემოებებში ხელი შეუწყოს და კიდევაც შეუწყობს ხელს გერმანიას. გერმანიის კაპიტალიზმის განვითარების ამ მიმართულებასთან დაკავშირებულია ის მოვლენაც, რომელიც აღინიშნება, როგორც გერმანიის კაპიტალიზმის „დასავლეთის ორიენტაცია".

რამდენიმე წლის წინად გერმანიას ანტანტის კაპიტალი ემუქრებოდა, მასზე მიმართული იყო საფრანგეთის რევოლვერის ლულა, მან დაჰკარგა თავისი გამაგრებული პოზიციები, და ერთხანს გერმანიის კაპიტალისათვის ერთად ერთი გამოსავალი იყო ბლოკი საბჭოთა კავშირთან. ამის გამოხატულებას წარმოადგენდა რაპალოს ხელშეკრულება და გერმანიის საგარეო პოლიტიკა იმ პერიოდში.

ეხლა მდგომარეობა შეიცვალა. გერმანიაში მონოპოლისტური კაპიტალის ზრდასთან ერთად იზრდებიან მისი კოლონიალური ზრახვებიც და სულ უფრო და უფრო ყალიბდება გერმანიის კაპიტალის დასავლეთის ორიენტაცია. რა თქმა უნდა, ანალიზის დროს არ უნდა გავამარტივოთ არსებული მდგომარეობა; გერმანიის კაპიტალის განვითარების ეს ძირითადი ტენდენცია სრულებითაც არ ხდის შეუძლებელს სხვადასხვა საჭადრაკო სვლებს და მანევრებს და იმ გარემოების გამოყენებას რომ გერმანიას უჭირავს შუა ადგილი დასავლეთის სახელმწიფოებსა და საბჭოთა კავშირს შორის. ეს უდავო ფაქტია. მაგრამ ეს საჭადრაკო სვლები და მანევრები არ სპობენ გერმანიის კაპიტალიზმის განვითარების ძირითად ტენდენციას—გერმანიის კაპიტალიზმი სიამოვნებით „დანებდება" თავის კოლეგებს და მათთან ერთად გამოვა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

სახელმწიფოების ურთიერთისადმი დამოკიდებულების შეცვლა და ბრძოლა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ

კაპიტალიზმის კრიზისი მოსჩანს სახელმწიფოების ურთიერთისადმი დამოკიდებულების ხშირ შეცვლაშიაც. არც ერთი ბლოკი არაა მტკიცე და ხანგრძლივი. პირიქით, ყველას თვალწინ ხდება ძალთა მუდმივი გადაჯგუფება. მაგრამ ყველა ამ გადაჯგუფებასა, ცვლილებასა და ევროპის კაპიტალისტური სახელმწიფოების სხვადასხვა კომბინაციაში წითელი ზოლივით არის გატარებული მთავარი ტენდენცია—ძალთა დაჯგუფება საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. ჩვენ არა ერთხელ შევხებივართ ამ თემას. არ შევჩერდები ეგრედწოდებულ მცირე ანტანტის სხვადასხვა დაჯგუფებათა საკითხზე, სხვადასხვა განაპირა სახელმწიფოებისა და უფრო დიდი სახელმწიფოების შეთანხმებებზე და სხ. ყველა ეს ფაქტი დღეს ბავშვისთვისაც კი ცნობილია.

თუ ეკონომიური საფუძვლის ანალიზი ჩემი მოხსენების პირველ ნაწილში სწორია, მაშინ სავსებით გასაგებია, რომ სახელმწიფოთა ეს ურთიერთი დამოკიდებულება წარმოადგენს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ომის მზადების პოლიტიკურ გამოხატულებას. ცხადია, ამის და მიხედვით უნდა შევიმუშაოთ ჩვენი ტაქტიკა.

(დასასრული იქნება)

ხაშურის მუშების გაფიცვის 25 წლის თავი

(1903—1928 წ.)

1903 წელი ხაშურში

კაპიტალიზმი, მთელი თავის არსების პერიოდში წარმოადგენდა მცირე მუქთახორების სისხლიან ბატონობას მრავალ მილიონიან მშრომელებზე: ეს იწვევდა ამ მილიონების მოძრაობას. მე-20-ე საუკუნის დასაწყისიდან ძალიან გაიზარდა ეს მოძრაობა. მას არა მარტო ევროპისა და რუსეთის, არამედ საქართველოს და კერძოთ ხაშურის მშრომელი მასაც ეტანებოდა. და თავის მუშურ ხმას მსოფლიო პროლეტარიატის საპროტესტო ხმას უერთებდა.

ხაშურის მუშათა ორგანიზაციაც დიდ აქტივობას იჩენდა და პროტესტს უცხადებდა ნიკოლოზის რეჟიმს.

ამ გამოსვლების, ამ პროტესტის პირველი ნაბიჯი ორგანიზაციის მიერ გადადგმულ იყო 1903 წ. ის იმდენათ ძლიერი იყო, რომ კვალი დასტოვა რევოლიუციონურ ბრძოლის ისტორიაში.

მანამდე ხაშურის ორგანიზაცია მესამე დასელებს ეკიდლებოდა.

ხაშური, როგორც ახლა, მაშინაც მუშათა ერთ-ერთ თვალსაჩინო ცენტრათ ითვლებოდა.

1903 წელს იანვარში თბილისიდან ჩამოვიდენ სოციალ - დემოკრატიული ორგანიზაციის დავალებით ასეთივე ორგანიზაციის დასაარსებლათ: კირილე ნინიძე და პორფილე ეფრემიძე. მათ აქ ინახულეს ხაშურის მოწინავე მუშები: სვიმონ ბაბლიძე, სტეფანე ნოზაძე და ისიდორე მეფარიშვილი, ჩამოსულებმა აუწყეს მათ ჩამოსვლის მიზანი და უთხრეს, რომ საჭიროა კრების მოწვევაო.

ზემოთ ხსენებულმა ხაშურელმა ამხანაგებმა შეკრიბეს, რიცხვით 50 კაცამდე, დეპოელებისა და მემუხრუჯეებისაგან შემდგარი კრება რკ. გზის აბანოში. ეს იყო 13—15 იანვარს. აქ. დაარსდა „რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის" ხაშურის ორგანიზაცია. პრეზიდიუმში შედიოდა 5 ამხანაგი:

1. სვიმონ ბაბლიძე, 2. სანდრო ნოზაძე, 3. ისიდორე მეფარიშვილი, 4. ეგნატე ჯიბლაძე, 5. მიტროფანე ჯანელიძე. ყველა ესენი მუშები არიან.

ამიერიდან ხაშურის ორგანიზაციას გარკვეული გზა და მიზანი ჰქონდა. სწარმოებდა პოლიტიკურ აღზრდელობით მუშაობა, იწვევდენ კრებებს ყოველკვირეულათ.

მუშაობის ნაყოფიერ მსვლელობისათვის ხაშური დაყოფილი იყო უბნებათ, რომლებიც ებარა თვითეულ ამხანაგს. ამ ამხანაგების, ორგანიზატორების მოვალეობა იყო ამხანაგების თვალყურის დევნება, მათი ხელმძღვანელობა და, როდესაც საჭირო იყო, კრებებზე მოწვევა.

ორგანიზაციასთან არსებობდა პარტიული სამეცნიერო წრე, სადაც მეცადინეობას აწარმოებდა ადგილობრივი მომზადებული ამხანაგები ანდა თბილისიდან ჩამოსულნი: მიტო გურგენიძე, მიხა ბოჭორიშვილი, კირილე ნინიძე, პორფილე ეფრემიძე, იასონ პატარავა და სხვები.

პოლიტიკურ და ორგანიზაციული მუშაობის გარდა ამ წელს მოწყობილ იქნა ორი გაფიცვა. პირველი იყო თებერვალში.

ცნობა ამ გაფიცვის მოწყობის შესახებ ჩამოიტანა იასონ პატარავამ. საზოგადოდ ყოველგვარი ცნობები არალეგალურ ორგანიზაციებზე „ცოცხალი" ფოსტით გადაეცემოდათ ხოლმე ამხანაგებს. რადგან წერილობითი მიწერ-მოწერა საშიში იყო.

გაფიცულები აყენებდენ შემდეგ მოთხოვნილებებს:

1. რვა საათის სამუშაო დღეს.
2. სოციალურ დამზღვევ სალაროს შემოღება ხაზეინების ხარჯზე.
3. თავისუფლება: ბეჭდვის, სიტყვის, კრების და გაფიცვებისა.
4. მოწვევა დამფუძნებელ კრებისა.
5. ზედმეტი სამუშაოების (აკორდების) მოსპობა.

15 თებერვალს საყვირის აშვების შემდეგ მუშები სტოვებენ სამუშაოს და მიდიან სახლებში უდემონსტრაციოთ.

იაგორ კვერნაძე (გორა)

—:—

იმ დღეს თავი შეიკავეს, მეორე დღეს კი ე. ი. 16 თებერვალს ერთი ნაწილი მუშებისა მოღალატე აღმოჩნდა, გავიდნენ სამუშაოზე. ამან ხელი შეუშალა გაფიცვას და იგი ჩაიშალა.

მიუხედავათ იმისა, რომ გაფიცვა ჩაიშალა არალეგალური მუშაობა მაინც არ შეწყდარა. ამ წელს იდღესასწაულეს პირველი მაისი სვიმონ ბაბლიძესთან განაპირა უბანში.

პირველი გაფიცვის დამარცხებით ხაშურის მუშები სულით არ დაცემულან და უფრო მეტი ხალისით და გამოცდილებით შეხვდენ მეორე გაფიცვას ამავე წელში რომელიც მოხდა 14 ივლისს ძველი სტილით.

14 ივლისის გაფიცვა გადაიქცა შეტაკებათ, რომელმაც იმსხვერპლა რევოლიუციონერი მუშები:

1. ივანე ვეშაპიძე, 2. სვიმონ ტიტვიძე, 3. სვიმონ ტაბატაძე, 4. მათე თითიბაძე, 5. სვიმონ რიჟამაძე, 6. ისაკ ჩლაიძე, 7. დიმიტრი აბრამიშვილი, 8. ნიკოლოზ ტურაშვილი, 9. სვიმონ ლომინაშვილი, 10. წყალობა ლომიძე, 11. გიორგი კვერნაძე, 12. გორა ჩადუნელი, 13. იოსებ სამხარაძე, 14. პეტრე შუვალოვი. 45 ამხანაგი დასაჯეს. დემონსტრაციის მონაწილენი გადასახლებული იქნენ ცივ ქვეყნებში.

დაიხოცა 14 მუშა, ბრძოლაში თავისი უფლებებისათვის მუშური სისხლი დაიღვარა. ხაშურის მშრომელ ხალხს ისინი არ დაავიწყდება.

განვლო დრომ, მუშათა მოძრაობა არ სცხრებოდა, ბრძოლის ყიჟინა ფართე მასებს ედებოდა და წალეკვას უპირებდა მეფესა, მის ჯალათებს. მრავალი სისხლი დაიღვარა მას შემდეგ; ამ სისხლთა ნაკადში ჩაიხრჩო კიდეც მუშათა კლასის საერთო მტრები მეფე და მემამულეები, ბურჟუები. ეს მოხდა 1917 წლის ოქტომბერში კომპარტიის მეთაურობით, რომელიც დღეს ხელმძღვანელობს სოციალიზმის მშენებლობის საქმეს.

ხაშურში დახოცილი 14 ამხანაგის მიზანი მათმა ამხანაგებმა განახორციელეს ოქტომბერში და დღეს წინ მიაქანებენ მუშათა საერთაშორისო განთავისუფლების საქმეს.

გაუმარჯოს ამ საქმეს და მის ბელადს კომინტერნს.

ს. კ. პ. (ბ) ხაშურის რაიკომი.

წარსულიდან

(მოგონება)

ჯერ კიდევ იმ დროს, როდესაც სოფლებსა და ქალაქებში მათრახი და მუშტი ნავარდობდა მშრომელთა მასების ზურგზე, როცა აღვირ-ახსნილი სოფლის მემამულეები და ქალაქის ბურჟუაზია და მათი დამცველი დამყაყებული თვითმპყრობელური მთავრობის პოლიცია-ჟანდარმერია, მთელი მაშინდელი შავი ძალებით სულს უხუთავდენ მშრომელ ხალხს,—აი, ამ დროს ნელ-ნელა ეყრებოდა საძირკველი როგორც რუსეთის, ისე საქართველოს დიდ ქალაქების ფაბრიკებისა და ქარხნების მუშებში რევოლიუციონურ მოძრაობას. ეს მოძრაობა, რომელიც დაიწყო ისეთ დიდ ცენტრებში, როგორიცაა ლენინგრადი, მოსკოვი, ბაქო, თბილისი, ბათომი და სხვა დიდი ქალაქები, დღითი დღე ვითარდებოდა და გადადიოდა პროვინციებშიც.

ხაშურიც, როგორც მუშათა ცენტრი, მალე ჩაება ამ განმანთავისუფლებელ მოძრაობის ფერხულში. ხაშურში მუშების პირველი აღრიცხვა პარტიაში შესვლის მიზნით მოხდა 1903 წლის დასაწყისში. 1902 წლის მარტიდან ქალ. გორში შესდგა რუსეთის სოც. დემ. მუშ. პარტიის გორის სამაზრო კომიტეტი, რომელშიც შედიოდენ: 1. ვასო ცაბაძე, 2. სილიბისტრო ჯიბლაძე, 3. სანდრო კეცხოველი. 4. სიმონ ალიმბარაშვილი და 5. გ. ელისაბედაშვილი. შემდეგ ამ კომიტეტში კიდევ რამოდენიმე ამხანაგი იქნა შეყვანილი.

სამაზრო კომიტეტმა მიზნად დაისახა ჩამოეყალიბებინა პრაქტიკული მუშაობა მაზრის ფარგლებში. ხაშურში საორგანიზაციო მუშაობა დაიწყო 1902 წ. ბოლოში. 1903 წლის თებერვალ-მარტში, როგორც აღვნიშნე, მოხდა აღრიცხვა პარტიაში შესვლის მსურველი მუშებისა. სულ პარტიაში ჩაირიცხენ და საწევრო გადასახადს იხდიდენ 45 კაცამდე, ამათ შორის არჩეულ იქნა ადგილობრივი ხაშურის რაიონის პარტიული კომიტეტი. რაიონულ კომიტეტში შევიდნენ: 1. ნიკო ცინცაძე, 2 სიმონ ბაბლიძე და 3. ისიდორე ნეფარიშვილი, პირველად ამ ორგანიზაციულ მუშაობას ხელმძღვანელობდა მაზრიდან გ. ელისაბედაშვილი, შემდეგ კავშირი გაბმულ იქნა თბილისთანაც.



ისაკი ჩლაიძე

—:—

ამ კომიტეტის მიერ საოლქო კ-ტის ხელმძღვანელობით 1903 წელს თებერვალში მოეწყო ხაშურელ რკ. გზ. მუშების 1-ლი გაფიცვა.

გაფიცულთა მთავარი მოთხოვნილება იყო: 1. 8 საათის სამუშაო დღის შემოღება, 2. თავისუფლება სიტყვის, ბეჭდვის, კრებისა და კავშირის, 3. მუშების დაზღვევა ხაზეინებისა ხარჯზე. 4. ავადმყოფობის დროს ადგილებისა და ჯამაგირების შენახვა. 5. სახელმწიფო წამლობა და მუშების შვილების სახელმწიფო აღზრდა. 6. დამფუძნებელი კრების მოწვევა საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი და ფარული კენჭის ყრით.

ლოზუნგები იყო: 1. პროლეტარებო, ყველა ქვეყნისა, შეერთდით! 2. გაუმარჯოს მუშათა სოლიდარობას. 3. ძირს თვითმპყრობელობა. 4. ძირს კაპიტალიზმი, 5. გაუმარჯოს რუსეთის სოც. დემ. მუშ. პარტიას.

ეს გაფიცვა გათავდა დამარცხებით. ეჭვით იქნა დაპატიმრებული რამდენიმე აქტიური ამხანაგი.

შემდეგ გაფიცვა მოხდა იმავე წლის 14 ივლისს (ძველი სტილით). ამ გაფიცვის ისტორია ასეთია: 1903 წლის 13 ივლისს თბილისიდან ხაშურში ჩამოვიდენ შემდეგი ამხანაგები: 1. ვანო ხვედელიძე, 2. ვანო დურგლიშვილი და 3. „კურიერი", იგივე სანდრო მერაბიშვილი. ჩამოსულების მიზანი იყო, რომ ხაშურის ორგანიზაცია და მუშები შეერთებოდენ რკინის გზაზე განზრახულ გაფიცვას, რომელიც ეწყობოდა მთელი რუსეთის და კავკასიის მასშტაბით. ამავე დღეს გაიმართა ფარული კრება ქალაქის გარედ, ეგრედწოდებულ საავგურეებთან, ღამის 10 საათზე. კრებას დაესწრენ ხაშურის საყუდის, მოძრაობის და შეკეთების დარგების თითქმის ყველა მუშა-მოსამსახურეები. კრება საკმაოდ მრავალრიცხოვანი იყო. მას სდარაჯობდენ მოწინავე შეიარაღებული მუშები. კრების ადგილი კრებაზე მოწვეულთ წინდაწინვე გაგებული არ ჰქონდათ კონსპირაციის დაცვის მიზნით. მხოლოდ გზებზე დაყენებულმა საგანგებო დარაჯებმა იცოდენ, თუ სად უნდა მომხდარიყო კრება, რომ იქ გამოეგზავნათ ამხანაგები. გზირები წინდაწინვე შეთანხმებული ნიშნით—ნელი დასტვენით—აგებინებდენ კრებაზე მიმავალთ მათ იქ ყოფნას და, საჭირო გაფრთხილების შემდეგ, აცნობებდენ კრების ადგილს.

კრება გაიხსნა 10 საათზე. პირველი სიტყვა წარმოსთქვა ამხ. ვანო დურგლიშვილმა. ორატორი მოუწოდებდა მუშებს შეკავშირებისა და თავგანწირული ბრძოლისაკენ მშრომელთა მტრების, ბურჟუაზიის და თვითმპყრობელური მთავრობის წინააღმდეგ. სიტყვა მეტად გრძნობიერი იყო, მან ძლიერი შთაბეჭდილება დასტოვა კრებაზე, აღელვება და ბრძოლის განწყობილება გამოიწვია დამსწრეთა შორის. წინადადება გაფიცვის გამოცხადების შესახებ კრებაზე ერთსულოვნად და ერთხმად იქნა მიღებული. ამ კრებაზედვე დანაწილდა ფუნქციები, თუ ვის რა უნდა გაეკეთებინა და რა დავალება შეესრულებინა. აქვე ამორჩეულ იქნა გაფიცვის კომიტეტი.

გაფიცვის დღეს —14 ივლისს—გათენდა მშვენიერი დილა. ამომავალმა მზემ პირველი სხივები გადაავლო თავზე ხაშურს და ქვიშხეთის მთების მწვერვალები წითლად შეღება. მუშებიც ქალაქის ყველა კუთხიდან საყუდისაკენ გამოეშურენ. საყუდში საყვირი თავის დროზე იქნა აშვებული. საყუდიდან დაბრუნებული მუშები ისევ მუშაობას შეუდგენ და ყველა გულის ფანცქალით მოელოდა გაფიცვის საყვირს, რომლის დრო დანიშნული იყო ათის ნახევარზე. გაფიცვის კომიტეტი თავის საქმეს აკეთებს—ის მუშებს ერთსულოვნობისაკენ მოუწოდებს.

ვანო ვეშაპიძე

—:—

საათმა დაჰკრა ათის-ნახევარი, მუშა სიმონ ცქიტიშვილი ელვასავით მივარდა საყვირს და საყვირიც მრისხანეთ აღრიალდა. გაფიცვა გამოცხადდა. მუშები საყვირის ხმაზე, როგორც ერთი კაცი, ფეხზე დადგენ, სამუშაოზე ხელი აიღეს, მხიარული ყიჟინით გარეთ გამოვიდენ და ქალაქის მთავარი ქუჩისაკენ გაემართენ.

გაფიცულთა მიტინგისათვის დანიშნული იყო მოედანი სადგურის უკან. ყველანი დანიშნულ ადგილს გამოცხადდენ. მიტინგი გაიმართა. მიტინგზე გაფიცულებს მოუწოდებდენ დემონსტრაცია არ მოეხდინათ, ვინაიდან დემონსტრაციას შეიძლებოდა მსხვერპლი მოყოლოდა, რადგან ადმინისტრაცია არ დაზოგავდა დემონსტრანტებს. კრებას წინადადება მიეცა დაშლილიყო უდემონსტრაციოდ, მაგრამ დამსწრენი მიტინგზე წარმოთქმული სიტყვებით იმდენათ იყვნენ აღფრთოვანებული, რომ არ დაიშალენ და დემონსტრაციის ჩატარების საკითხი ხალხში მოზღვავებულმა გრძნობამ გადასჭრა: მთელი კრება გაემართა მთავარი ქუჩით. მთავარი ქუჩის ბოლომდის არ ჩასულა დემონსტრაცია, შემობრუნდა ფოსტის ქუჩის მიმართულებით და გაემართა გორათისაკენ, ხურამულას ხიდის გაღმით. (გორათი ეწოდება ხაშურის გარედ ლამაზ მაღლობს, სადაც დღეს ძმათა სასაფლაო არის). გზაში დემონსტრანტებმა დაბიჯს სადღესასწაულოდ გამოფენილი სამეფოსვანი დროშები, მაგრამ დემონსტრანტებს არ მიუღწევიათ გორათამდე. იქ, სადაც სამი გზა იყრის თავს (ბორჯომის, სურამის და ბათომის), წააწყდენ 80 კაცისაგან შემდგარ ეროების დარაჯების შეიარაღებულ ჩასაფრებულ რაზმს, თავისი მეთაურით. რაზმს მიემატა სურამის ადგილობრივი რაზმის ჯარის კაცები, ვინმე ჯალათი აფიცრის—დღუროვის მეთაურობით.

მშვიდობიანი დემონსტრაცია შესდგა შეიარაღებული ძალის წინაშე. უეცრად გამოჩნდა ფოსტიდან რბენით მომავალი ხაშურის უბნის ბოქაული პოდგორნი დეპეშით ხელში და მისვლისთანავე მიმართა დემონსტრანტებს უვიცილით და გინებით, „დაიშალენით, თქვე ავაზაკებო, ამავე წამში, თორემ მე ნებართვა მაქვს მთავრობისაგან, რომ არც ერთი აქედან ცოცხალი არ გავუშვა"-ოთ.

ხალხი შეტორტმანდა, შეიძლება მხეცი ბოქაულის წინადადებაზე კიდეც დაშლილიყვენენ, მაგრამ ვინ მოუცადა დაშლას, უეცრად გაისმა ბოქაულის ბრძანება „ცეცხლი" და იგრიალა ერთხმად თოფებმა. სროლა რამოდენჯერმე იქნა განმეორებული. დატრიალდა ჯოჯოხეთი, ვინც მოასწრო გაქცევა გაიქცა, დემონსტრაციის ადგილს დარჩა 14 უსულო გვამი და რამდენიმე ათეული დაჭრილი. დაჭრილთა რიცხვი სამოცზე მეტი აღმოჩნდა. დახოცილნი თითქმის მთლად, ორი თუ სამის გამოკლებით, მუშებისაგან შესდგებოდენ, ისინი მიტანილ იქნენ რკინის გზის შენობში, სადანაც შემდეგ წაიღეს ჭირისუფლებმა, ჟანდარმების ნებართვით, ოქმების შედგენის შემდეგ. ესენი აღმოჩნდენ: 1. ვანო ვეშაპიძე (მუშა), 2. სიმონ ტიტვაძე (მემ. თან.), 3. სვიმონ ტაბატაძე (მუშა), 4. მათე თოთიბაძე (მემუხრუჯე), 5. სვიმონ რიჟამაძე (დურგალი), 6. ისაკ ჩლაიძე (დურგალი), 7. დიმიტრი აბრამიშვილი (გლეხი), 8. ნიკოლოზ ტურაშვილი (ზეინკალი), 9. სვიმონ ლომინაშვილი (მუშა), 10. წყალობა ლომიძე (მუშა), 11. გიორგი კვერაძე (მუშა), 12. გორა ჩადუნელი (მუშა), 13 იოსებ სამხარაძე (მუშა), 14. პეტრე შუვალოვი.

დემონსტრაციის დროს დახოცილთა დასაფლავებაზე ორგანიზაციის ხელმძღვანელობით ჩატარდა საპროტესტო მიტინგები, მკაცრი, ცეცხლის მფრქვეველი სიტყვების წარმოთქმით.

ასეთი საპროტესტო სიტყვები წარმოთქვეს სოფ. ზემო ქალაში, რკ. გზის მუშა (კვერის დამკვრელი) ვანო ვეშაპიძის დაკრძალვაზე, აქ ილაპარაკეს ამხ. ს. ბაბლიძემ და სანდრო მერაბიშვილმა. მეორე მიტინგი გაიმართა სოფ. არადეთში მემანქანის თანაშემწის სამონ ტიტვინაძის დაკრძალვაზე; აქ ილაპარაკეს: მიშა ტიტვიძემ, ს. ბაბლიძემ და ერთმა უცნობმა მუშამ, (გვარი არ ვიცი). მემუხრუჯე მათე თოთიბაძის (გურული) დასაფლავებაზე მოეწყო საპროტესტო მიტინგი. სიტყვა სთქვა ეკლესიაში ეკ. ხუდადოვის ცოლმა, სიტყვა ზედმიწევნით რევოლიუციონური, ამაღელვებელი და მგრძნობიერი. სასაფლაოზე სიტყვა წარმოსთქვეს მიცვალებულის ბიძაშვილმა ნოე თოთიბაძემ და ისაკა ჩლაიძემ: ამ დასაფლავებაზე მოუხდა მუშებს შეტაკება მღვდლებთან — მამამთავრიშვილთან და კვალამაშვილთან, რომლებმაც იწყინეს მეფისა და მთავრობის წინააღმდეგ წარმოთქმული სიტყვები.

14 მოკლული, 65 დაჭრილი, გასამართლებული 50 კაცი და ხაშურიდან ჟანდარმების მიერ გაძევებული 45 კაცი, ცხადია, დიდ დანაკლისს შეადგენდა ისეთი პატარა მუშური რაიონისათვის,—როგორიც იყო ხაშური, ამ ამბების შემდეგ ბევრი ამხანაგი მიეცა სასოწარკვეთილებას, ჩამოშორდა ბრძოლის საქმეს, მაგრამ 1905 წელმა და კერძოთ კი 1917 წელმა თავისი სთქვა, არ გამართლდა უიმედობა ზოგიერთ ამხანაგებისა, რომელნიც შეაშინა 14 ივლისმა, არ გამართლდა აგრეთვე თვითმპყრობელი მეფის და მისი დამქაშების იმედებიც. სახრჩობელა, კატორღა, მუშათა კლასის საქმისათვის მებრძოლთა გადასახლება, იაკუტის, კამჩატკის და ტურახანის მხარეებში, სისასტიკე მეფის კანონებისა 1917 წლის რევოლიუციამ ძირიან-ფესვიანათ შესცვალა. დაიმსხვრა მუშათა კლასის ჯალათის ტახტი. ოქტომბრის რევოლიუციამ მკვიდრი ნიადაგი ჩაუყარა მშრომელთა გამარჯვებისა და კომუნიზმის საქმეს. დავკარგეთ ძვირფასი ამხანაგები. მაგრამ შევიძინეთ თავისუფლება დედამიწის ერთ მეექვსედზე.

მალე დარეკავს ზარი მსოფლიო რევოლიუციისა და მაშინ ისე, როგორც დღეს, რევოლიუციონურ ბრძოლაში დაღუპულ ხაშურელ ამხანაგებს გაიხსენებენ მათი თანამებრძოლნი, იმ ამხანაგებს, რომელთაც სიცოცხლე შესწირეს მუშათა კლასის განთავისუფლების საქმეს.

ს. ბაბლიძე.

პარტი...

პირველ ...ი ხავანგებოთ გაემგზავრა ...გილობრივ უკვირდებოდა მუშ... მაგრამ ეს მაინც გარედან მისულ... ...კირვება იყო და არა მუშათა კერაზე აღზრდილი და გაფუჩქვნილი, მუშათა სისხლითა და ხორცით შემოსილი ადამიანის შემოქმედება.

რუსეთის პირველი რევოლიუცია (1905 წ.) დამარცხდა. გორკი ამ დროს რუსეთში აღარ ცხოვრობს, საზღვარგარეთ მიემგზავრება, იტალიაში დაბინავდა. აქაც არ ზის გულზე ხელდაკრეფილი. ის აქ კვლავ უბრუნდება ისევ ძველ... — მისთვის უფრო ნაცნობსა და შესწავლ... ...წრისა და ხალხის ამბების მოთხრობას. ...წერა მან „ქალაქი ოკუროვი" „მაშუ... ...ი თავგადასავალის ამბავი), „უვარ... ...ს შვილის ცხოვრება" და სხვ.

...სორლობას ამ ჟამათ არა აქვს ის მნიშ... ...ნებათ, რაც უწინ ჰქონდა.

...ზიდევ ხუთწლეულის ალი ჩაქრა. დადგა ხანგრძ... ...რეაქცია. გორკი მაინც რე... ...ონერია. ის მეტად არის მოწყურე... ...ევოლიუციას. ის ხელს უწყობს მის ...ობნებას — რითაც მოახერხებს, იმ სამოება, ...ლები, რაც კი გაიჩნია, როგორც მებრ... ...ის ბოლშევიკურ პარტიის წევრს. ის ჩეულ... უწყის ანგარიშს, რომ ახალი რევოლიუ... ...ნტრალისათვის საჭიროა ნელ - ნელა ძალების მის... ...პატარ - პატარა კენჭებით შენება. პატი... ერთგულ-ძმიმე, მომღალავი და გულის გამდგმელი ხასიათი ვისაც არა აქვს მტკიცე ნებისყოფა და ...ლადისებური რწმენა, ის ამ მუშაობას ვერ ...აუძლებს, ბოლომდე ვერ შეატანს. გორკი სცდილობს რევოლიუციის შებრუნებას, მაგრამ მას ეჩქარება, ეს გასაგებიცაა —მან მეტი ტანჯვა და ვაება ნახა ძველი ცხოვრებიდან, მას უნდა რაც შეიძლება მალე ეღირსოს მის დამხობას, განადგურებას.

ეს ხენი სხვებსაც გამოაჩნდათ. ზოგს გული გაუტყდა და ფილოსოფიური მორევის უძირო კიდურებში დაიწყეს ჭყუმპალი, ზოგმა კი სწორეთ ამ გულგატეხილობის ნიადაგზე „მემარცხენეობას" მიჰყო ხელი. დაარსეს ცალკე ჯგუფი (ჯგუფი „Вперед") და თითქოს უფრო მოკრილი მოკლე გზით აპირებდენ ახალი რევოლიუციის ცეცხლის დანთებას. გორკიც ამ ხალხში გაერია.

გორკის აზროვნებასა და მწერლობას ერთგვარი თავისებურობა მისდევს.

გორკი, პირველ ყოვლისა, არ არის მუშათა წრიდან გამოსული ადამიანი. მომავალი ...ს აშენებელი სამრეწველო პროლეტარიატი ... ეს ის წრეა, ის კლასია, რომელიც მან მოგვიანებით გაიცნო, გაიცნო მას შემდეგ, როცა ის უკვე მწერალი იყო. გაიცნო და დაუახლოვდა მას. გორკი ამ კლასის მებრძოლ მოწინავე ნაწილის რიგებში ჩადგა, პარტიის წევრი გახდა და პარტიულ მოვალეობის ასრულებას მოჰკიდა ხელი. ამ კლასისათვის უნდოდა მიეტანა თავისი კალამის შემოქმედება, მაგრამ ეს მისათვის მეტის - მეტათ ძნელი შეიქნა.

გორკიმ ნახა ცხოვრების ჯურღმულები, მთელი თავისი არსებით სძულდა მას ყველა და ყველაფერი, რაც ადამიანს შევიწროებასა და იძულებას აყენებდა. მან თავის-თავზე გამოსცადა ყოველგვარი შევიწროება, ჯერ კიდევ ბავშვი იყო გორკი (ალიოშა პეშკოვი და არა მაქსიმ გორკი!!), როდესაც ბაბუა მისი მოქნილი სახრით აპირობდა მის მეჭკვიანებას".

გორკიმ გაუძლო ამ პირობებს, გამოარღვია ეს რკალი, მაგრამ ის იყო ერთი, განსაკუთრებული ბუნებისა და ნიჭის პატრონი ადამიანი. აი ასეთებს თავის მსგავსებს ეძებს ის, ასეთების იმედით არის თავის ნაწერებში.

გორკის ცხოვრების ფილოსოფია, თუ ამას იმის ნაწერებში მოვძებნით, და არა პირადათ მას გამოვკითხავთ — ასეთია. ცხოვრება ბნელი უკუნეთით არის მოცული, კაცობრიობას ვერ მოუგნია ამ ცხოვრების გარდაქმნისა და გადაკეთების საშუალებისათვის.

ვინ უნდა დაანთოს ამ ძველი ნაგავთა და სიბინძურით დატვირთული ცხოვრების გარდაქმნა?

სულითა და ბუნებით ძლიერმა ადამიანმა! მაგრამ თვითეული ორფეხა სულდგმული ადამიანი ხომ არაა?

იმ ადამიანს, რომელსაც გორკი ასეთ მაღალ დანიშნულებას აკუთვნებს, იმის სახელწოდებას მთავრული ასოთი იწყებს.

„ადამიანი — ეს სიტყვა ამაყათ ისმის:"

ამ ამაყმა, სულით უძლეველმა და უტეხმა არსებამ უნდა შესცვალოს ცხოვრების სახე და შინაარსი. გორკი ეძებს ადამიანს (მთავრული ასოთი რომ იწერება მისი ეს სახელწოდება—ისეთს!). თავდაპირველათ მან ჩამოგვატარა თავის ძველ ნაცნობებში — ცხოვრებიდან განდგომილსა და გარიყულთა რიგებში (90-იან წლებში დაწერილი მოთხრობები!), შემდეგ სოფლათ გავიდა და აქ თავის „მუჟიკით" უნდოდა მოეცა ამ „ადამიანის" სახე, შემდეგ რუსეთის არაყით გაბრუებულ ოქროს ტომრების პატრონ ბურჟუაზიის წრეში წაგვიყვანა („თომა გორდეევი"). თვითეულ ალაგას ის ნახულობდა ადამიანს—პიროვნებას, რომელიც არ მიჰყვება ცხოვრების წუმპის ჩანჩქერს, იბრძვის და აპირობს მის წინააღმდეგ წასვლას.

ასეთივე ადამიანის ძიებნა მოინდომა მან მუშებშიაც, მაგრამ მისი მუშა - რევოლიუციონერი უფრო ავტორის შემოქმედებით შელამაზებული შემკული კრებულია, ვიდრე ცოცხალი ადამიანი.

მან იცის, რომ მუშათა კლასს მოაქვს ახალი ცხოვრების ასაშენებელი ძალები, მაგრამ ამ ძალის მატარებელია არა მთელი კლასი, არამედ რჩეულნი, ძლიერნი სულით.

რატომ ტრიალებს გორკი ამ მოჯადოებულ წრეში?

მარქსისტი და რევოლიუციონერი ის მთელი თავის შეგნებით მუშათა კლასის მახლობ მოძრაობისაკენაა, მაგრამ მხატვარი გორკი იჯაბნებს გორკის მარქსისტს, არ აძლევს მას გასაქანსა და გასანძრევს. პირველი და მთავარი აქ ისაა, რომ გორკი არაა მუშათა კლასიდან გამოსული ადამიანი, ის წვრილ-ბურჟუაზიულ „მეშჩანურ" წრიდან გამოვიდა, გორკი მთელი თავის არსებით იბრძოდა ამ წრიდან თავის დასაღწევად. ამ ბრძოლას მან მოანდომა თავისი ძალღონის დიდი ნაწილი.

ეს მარტოხელა „ბოსიაკი" თავისი თავის ამარა დარჩენილი არამც თუ მწიგნობარი შეიქნა ის დასრულებულ ინტელიგენტათ გადაიქცა, შეიძინა საამისოთ საჭირო და საკმარისი ცოდნა. ინტელიგენცია თავის-თავად გორკის არ მოსწონს, ვინაიდან ის კარგათ ხედავს, რომ ბურჟუაზიის პურითა და ფულით აღზრდილი, ის (ინტელიგენცია) ნებსით, თუ უნებლიეთ ბურჟუაზიისა ნებისა და სურვილის აღმასრულებელია.

გორკის არ მოსწონს ინტელიგენციის სიზარმაცე და მოკვეთილი ნებისყოფა, უსაბუთო და უსაფუძვლო ლაყბობა და გარინდული ოცნებაში გაქვავებული შორიდან ჭვრეტა. ყველა ეს უარყოფითი თვისებები ჭარბათ ახლავს ინტელიგენციას.

ის ვერ ნახულობს ამ მოვლენათა მიზეზს, ვერ ამჩნევს. რომ რუსეთის ინტელიგენცია სწორეთ ისეთივეა, როგორიცაა თვით იმდროინდელი რუსეთის ცხოვრება, რომელსაც სავსებით და ხეირიანათ არ გადაუქვრია თავზე ძველი ბატონ-ყმური დროის „ადათ-წესები".

გორკი ჩინებულათ ამჩნევს ამ მოვლენას ამჩნევს მას როგორც ფაქტს, მაგრამ როგორი შედეგები და მიზეზებია ჩამარხული ამ მოვლენის წყალობით რუსეთის ცხოვრებაში, ამის გარკვევა მას არ ძალუძს.

რუსეთის ჩამორჩენილობა, მისი მდორეთ ნელა მოძრავი ცხოვრება, ამ ცხოვრების სიბნელე გორკის დაპირდაპირებული აქვს ევროპის კაპიტალისტური ინდუსტრიით ფეხაჩქარებული ცხოვრებისათვის.

აქ მითენთილი მხრებ-დაშვებული უმოქმედობა, იქ ფოლადისებური ნებისყოფა.

არც ერთი უქმათ გაცდენილი დღე და საათი!

არც ერთი წუთით უიმედობა და სასოწარკვეთილება!

აქ აზია, იქ ევროპა, აქ უძრაობა —იქ მოძრაობა!

გორკი მოძრაობისა და ბრძოლის მომხრეა გორკის თვალს ჭრის ევროპის კულტურა, ამ კულტურის ფასი მისთვის გაცილებით გადაჭარბებულია.

რა შეცვლის რუსეთის ცხოვრებს სახეს?—კულტურა! აქ გორკის ვერ აქვს ხეირიანად გათვალისწინებული, რომ ევროპის დაწინაურება და აზიის (რუსეთის!) ჩამორჩენა, თვით ეს კულტურის დონის სხვადასხვაობა იმდენათ მიზეზია, რამდენათაც შედეგი იმ გარემოების რომ რუსეთი საწარმოო ძალთა განვითარებით სხვა—უფრო და დაბალ საფეხურზე სდგას, ვიდრე ევროპა.

იქ კაპიტალიზმია, აქ ჯერ კიდევ ნახევრათ ფეოდალურ წყობილებისათვის წრეს ვერ გადაუბიჯებია.

აი აქაა სათავე იმის, თუ რატომ ასე გაზვიადებულათ აფასებს გორკი ევროპის კულტურას „საზოგადოთ კულტურას", (როგორც თვითონ ამბობს ხოლმე), თუმცა უეჭველია, რომ ეს „საზოგადოთ კულტურა" ბურჟუაზიული კულტურაა.

გორკის არ მოსწონს ბურჟუაზია, მაგრამ ბურჟუაზიულ ნაეკლზე ამოსულ კულტურას ის ვერსად გაექცევა. აი ამ გარემოებამ ხშირად დაუბნია დავთარი გორკის, როგორც მხატვარს და უფრო ხშირად გადაადგმევინა ყალბი ნაბიჯები, როგორც პარტიის კაცს და ამ პარტიის პუბლიცისტს. ამ მხრივ მეტად ხაგულისხმოა მისი ერთი წერილი—ასეთი წერილები მას ერთ დროს ბევრი ჰქონდა. მისი „არასაამდროო აზრები" (Несвоевременные мысли) თითქმის ერთსა და იმავე დებულებას უტრიალებს გორკი ხედავს რომ ევროპაში არის:

„გამძლე დემოკრატიზმი რომელიც შეუფერხებლად იზრდება. იქ არის პიროვნების პატივისცემა, არის უნარი დისციპლინის, დამორჩილებისა და ორგანიზაციის მოწყობის, ევროპიელის მუშაობა ნაყოფიერია გონებრივ დარგში. ევროპიელი გეგმაშეწონილათ იბრძვის ადამიანისა და მოქალაქის უფლებების გასაფართოებლად და იმ თავისუფლების დასამკვიდრებლად, რომელსაც ჩვენ ასე მოწყურებული ვილით. ჩვენ კი თავისუფლებისათვის ასეთ ბრძოლას თავს ვერ მივცემთ; ათი დღე რომ ვიბრძოლოთ შემდეგ ათ წელიწადს წამოწოლილი ვისვენებთ და ერთი-მეორეს ვაბრალებთ წარსული ბრძოლის შეცდომებს". (იხ. გორკის წერილების კრებული 1905—1916 წ. გვ. 94. მომყავს გ. ე. გორბაჩოვის წიგნიდან „კაპიტალიზმი და რუსული ლიტერატურა" გვ. 149;).

გორკის არ მოსწონს კაპიტალიზმი, სძულს ის, ვინაიდან არც კაპიტალიზმი იძლევა ადამიანის სრული განვითარებისა და აღმაფრენის საშუალებას, მაგრამ ის ტყვეთ ჰყავს „საზოგადოთ კულტურას", რომელიც იძლევა თურმე „გამძლე დემოკრატიზმს".

ჩვენ კარგათ ვიცით რა შვილიცაა ეს „გამძლე დემოკრატიზმი" ეს „ბრძოლა ადამიანისა და მოქალაქის უფლებების გასაფართოებლად"—მაგრამ ეს არ იცის გორკიმ, ვინაიდან მას ბურჟუაზიული თვალთმაქცობით შეთხუნული ტიკინი (გამძლე დემოკრატიზმი") რაღაც საზღაპრო მშვენიერ სახავათ ჰყავდა წარმოდგენილი, რომელიც კაპიტალიზმის გველეშაპის კლანჭებში ეგულებოდა. ეს და ბევრი ასეთი მართლაც რომ „არა საამდროო აზრები" გორკის მენშევიკებს უნათესავებდა. ერთი შეხედვით, სადაა აქ ის „სულწასული" ბოლშევიკი, რომელიც „ვპერიოდის" ჯგუფში იყო და წინ წასწრებას უპირებდა რევოლიუციის მამოძრავებელ ძალთა თავის მოყრის მსვლელობას. აქ ის მენშევიკებისაკენ იყო. მას არ მოსწონდა დემოკრატიზმის გაქილვა, მისთვის ბურჟუაზიული კანის სამოსელის ჩამოგლეჯა. ამას შვრებიან ბოლშევიკები, ამიტომ გორკი—ბოლშევიკი ებრძვის თავისიანებს, მათ წინააღმდეგ იქნევს თავის პუბლიცისტურ ხმალს და უეჭველათ ჩვენი მტრების ასაბრუნებელ წისქვილს უმატებს წყალს. ასე იყურედა გორკი როგორც პოლიტიკური მოღვაწე. მხატვარი გორკი თავის ფიქრებისა და აზრების გავლენის ქვეშ აყენებს გორკის პუბლიცისტს, ეს არასაამდროო აზრები აშორებს მას თავის ძველ ამხანაგებს, მათ საქმეს, მათ მუშაობას.

⁂

ოქტომბრის რევოლიუციის შეფასებაში გორკი შეცდა.

ეს შეცდომა მან აღიარა. მაშ, ღირს კიდევ ამის გახსენება?

რასაკვირველია, რომ ღირს და საჭიროაცაა!

ეს შეცდომა მარტო მას არ მოსვლია.

ბევრი ისეთებიც შეცდა, რომლებსაც არავითარი მხატვრული „არასაამდროო ფიქრები" და აზრები არ უბოჭავდა ხელსა და გონებას. ზოგი ამათგანი ერთხელ და სამუდამოდ დაიღუპენ პარტიისა და მუშათა კლასისათვის ზოგმა შეცდომა დაინახა და აღიარა.

ასე ჰქნა გორკიმაც.

მე არაფერს ვამბობ იმ ხალხისა და იმ პარტიების შესახებ, ვისაც ასეთი „შეცდომა" აუცილებლათ უნდა მოსვლოდათ,

რატომ მოხდა ასეთი მარცხი საზოგადოთ, რატომ დაემართა ის გორკის?

რასაკვირველია ყველა ის, ვინც დაეჭვდა და შეეშინდა იმის, რომ მუშათა კლასი ვერ გაუძლებდა, ვერ იტვირთებდა სოციალისტური რევოლიუციის სიმძიმის აწევას, არ იყვენ სისხლიან-ხორციანი შედუღებული მუშათა კლასთან.

არც გორკი იყო ამ კლასის ღვიძლი შვილი მის წიაღში აღზრდილ და გამოწრთვნილი. ეს გარემოება უშლიდა მას დაენახა და ხელოვნებაში განესახიერებინა ამ კლასის სულისკვეთება, მისი მისწრაფება და რევოლიუციონური აღმაფრენა მთელი თავისი თანამიმდევრობითა და თავისებურობით.

ამანვე შეუშალა მას ხელი, რომ ეწამებინა ამ კლასის ურყევი რევოლიუციონური გამძლეობა. ამიტომაც იყო, რომ მუშათა კლასს რევოლიუციონურ გამძლეობის მაგივრათ ევროპის ბურჟუაზიულ დემოკრატიზმის გამძლეობის ქებას ანდომებდა ერთ დროს თავის კალამს.

არ ეგულებოდა ეს ძალა მას მუშათა კლასში და ამიტომაც ეშინოდა. ბოლშევიკების დაწყებული საქმე დაიღუპება და იმათაც დაღუპავს ვინც გორკის „ერთად-ერთ რევოლიუციონურ ძალათ „მიაჩნდა. გორკი რევოლიუციონერ-ბოლშევიკების შესახებ ლაპარაკობს. მას მხოლოდ რჩეული მებრძოლები ეგულება მუშათა კლასში, დანარჩენებს იმედი მას არა აქვს, დანარჩენები ვერ გაიგებენ.—ფიქრობს გორკი. მასა მოუმზადებელია და შეუგნებელი. მასას არა აქვს ევროპის „გამძლე" კულტურა და სხვ.

ასეთი იყო გორკის იმ დროინდელი აზრთა მსვლელობა.

იყო დრო, როდესაც გორკის „ბურევესტნიკი" ბრძოლის ცეცხლს ანთებდა თვითმპყრობელობის ქვეშ ქედ წახრილ ხალხის გულში, მაგრამ როცა რევოლიუციის საშინელმა ქარიშხალმა მართლაც გადაიარა რუსეთის თავზე და თვითმპყრობელობის ტახტს თან გააყოლა ყოველივე ის, რისი იმედითაც გორკი მოელო და ჩვენში „გამძლე დემოკრატიზმის" დამყარებას, ამ აზიის ევროპათ გადაქცევას. გორკიმ ეს ვერ მიიღო, ვერ იწამა ეს მოვლენა, რევოლიუციის ზანგს დაშორდა, განდგომილთა შორი-ახლოს დაიკავა ადგილი.

გორკი, რომელიც სხვის დაუხმარებლათ ავიდა აზროვნების მწვერვალზე,გორკი,რომელიც გვერდში ამოუდგა ინტელიგენციას, გორკი რომელიც მოესწრო თვითმპყრობელობის დაქცევას—ამიერიდან ინტელიგენციის წყალობით აპირობდა „საზოგადო კულტურის" კერის გაღვივებას.

მისი მოლოდინი არ გამართლდა. მუშათა კლასმა, „საზოგადოთ კულტურას" გვერდი აუარა და თავის, ახალი სოციალისტურათ ქვეყნის აშენებას მოჰკიდა ხელი. ამავე დროს ინტელიგენციის დიდი ნაწილი, ეს „საზოგადოთ კულტურის" მიმცემი ხალხი, ამოწვდილი მახვილით დადგა მუშების წინააღმდეგ.

როგორ მიექცა ამ ხალხს მუშათა კლასი? მახვილს მახვილი დაუპირდაპირა,მტერს მტრულად დახვდა და ამ დროს ის სრულებითაც არ შედიოდა იმის გარჩევაში, კულტუროსანი თუ უკულტურო იყო მისი მტერი. გორკისათვის ეს საშინელი სანახაობა იყო.

ოქტომბრის რევოლიუციის ბელადს ლენინს კარგათ ესმოდა, თუ რა ძნელი იყო გორკისათვის ამ დროს რუსეთში ყოფნა, ლენინი აშკარათ ხედავდა, რომ გორკისათვის ასე ადვილად, ასე ჩქარა, მომხდარა ამბების შინაარსის მიღება მეტად ძნელი იყო, ამიტომაც მან გაისტუმრა გორკი საზღვარგარეთ. ლენინს სწამდა, და არც ამაში შემცდარა პროლეტარიატის უბადლო გენიოსი,—რომ გორკი მოის დიდად თავის „ავადმყოფობას", რომ ადრე იქნებოდა, თუ გვიან გორკი კვლავ დაუბრუნდებოდა მუშათა კლასს. მაშინ ეს თითქმის აღარავის სწამდა. ის ასე სწერდა:

„მე ათასჯერ მითქვამს და გამოფრთხილებია საბჭოთა მთავრობა, რომ უაზრობაა და დანაშაული ინტელიგენციის მოსპობა ისეთ უვიცსა და ბნელ ქვეყანაში, როგორიცაა რუსეთი".

ამის შემდეგ ბევრმა იმედი დაიწმინდა. გორკის გამობრუნება ბევრს სრულებით აღარ სჯეროდა.

მართლაც და, გორკიმ განა კარგათ არ იცოდა, რომ საბჭოთა კავშირი ინტელიგენციის მოსპობაზე სრულებითაც არ ფიქრობდა? პირიქით, საბჭოთა მთავრობა კალთებს ახევდა ყველას, ვინც კი მოისურვებდა ახალი ხელისუფლების სასარგებლოთ მუშაობას. საბჭოთა ხელისუფლება სასტიკათ სჯიდა მხოლოდ მათ, ვინც პროლეტარიატის დიქტატურის წინააღმდეგ გაშიშვლებული მახვილით გამოდიოდა. გორკის წერილი, რომელიც მაშინ ყველა ბურჟუაზიულმა გაზეთებმა დაბეჭდა, გამოწვეული იყო მოსკოვში იმ დროს ესერების გასამართლებით. გორკიმ ჩინებულად იცოდა რა „ღირსეული" საქმეები მიუძღვოდათ მათ საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ, მაგრამ ამ გარემოებას არ შეუშლია მისთვის ხელი ეთქვა თითქოს ჩვენში მუშათა და გლეხთა ხელისუფლების დროს ინტელიგენციას სპობდენ.

თუ ღრმად ჩავიხედავთ გორკის ამ საქციელში, უეჭველად იმ დასკვნამდე მივალთ, რომ გორკი ამ სიტყვებს ლაპარაკობდა არა რევოლიუციის სიძულვილით, არა მუშათა კლასის მტრების სიყვარულით, არამედ სწორეთ იმით და იმის გამოისობით, რაც ყოველთვის აზორძგებდა მის შემოქმედებასა და მოღვაწეობას.

— რუსეთი ყრუ და ველური ქვეყანაა. მუშებში და გლეხობაში ეს ველურობა ჯერ კიდევ მაგრათაა ფესვგადგმული. აქ გორკის ეგულება მხოლოდ ცოტაოდენი მუშა-ბოლშევიკები. დღეს მთავრობის სადავე მუშებისა და გლეხების ხელშია, მაშასადამე აიწყვიტა იმ ველურმა ყრუ ძალამ, რომელიც აქამდე ავათ-თუ კარგათ, დაბმული იყო. ეს თავაშვებული ბნელი სტიქია ძალა-უნებურათ აკეთებინებს საბჭოთა მთავრობას სტიქიურად ველურსა და და ბარბაროსულ საქმეს. მაშასადამე იქ ბრძოლაა დასავლეთის „მძლე დემოკრატიზმის" მქონე ინტელიგენციისა და აზიური მცონარეობით დაავადებული და ბნელ მასის შორის. იღუპება ადამიანი, რომელიც ასე ცოტა ეგულება გორკის თავის ქვეყანაში, ხოლო ამ ადამიანთა გარეშე, ხომ არც სინამდვილეა, აღარც სიცოცხლე? ამიტომ უკრავს ბუკსა და ნაღარას გორკის მგზნებარე გული და კალამი.

⁂

გორკი დიდი ხანია საბჭოთა კავშირის გარეშე ცხოვრობს. აქაური ამბები მას ესმის, როგორც გამოძახილი იმ ქვეყნიდან, სადაც მან გაატარა სუკეთესო დღენი თავის სიცოცხლისა. 1921 წელს წავიდა ის რუსეთიდან—ეხლა 1928 წელია—სულ რაღაც 7 წელია გორკის აქედან წასვლის შემდეგ.

დრო ცოტა გავიდა, საქმე ბევრი გაკეთდა დანგრეული და გაპარტახებული ქვეყანა ადგა და წელში გაიმართა. მართალია აქ „მძლე დემოკრატიზმი" დიდი ხანია სამარეს მიაბარეს და მისი კვდრეთით აღდგომა არავის ენატრება, მაგრამ უდემოკრატიზმოთაც ჩვენ კარგათ ვცხოვრობთ.

აქ აღარ არის ის ხალხი, რომელიც „ათ დღეს მუშაობს და შემდეგ ათს წელიწადს ისვენებს".

არავის არსად არ შეეძლო გაეკეთებია იმდენი, რაც საბჭოთა კავშირის მუშებმა და გლეხებმა გააკეთეს ამ ხნის განმავლობაში. ჩვენი მრეწველობის განვითარება, ჩვენი მეურნეობის ყოველმხრივი დაწინაურება, ეს საარაკო სურვილი განათლებისა და განვითარებისაკენ—განა ამის მსგავსი სადმე უნახავს დღემდე ადამიანს?

ბატონ-ყმურ ურთიერთობის ნაშთების ჭაობში გაბაწრული რუსეთი და კაპიტალისტური ევროპა თუ ერთი მეორეს არ ჰგავდა, თუ ევროპა სჯობნიდა იმდროინდელ რუსეთს ცხოვრების მაჯის-ცემის სიჩქარეში, დღეს სოციალისტურ ცხოვრების მომწყობი საბჭოთა კავშირი გაცილებით უფრო ჩქარა მიდის დაწინაურების გზაზე, ვიდრე კაპიტალისტური ევროპა თავის სანაქებო დემოკრატიზმით.

გორკი შორს ცხოვრობდა ამ ხნის განმავლობაში, მაგრამ მისი თვალი და ყური ჩვენსკენ იყო მოპყრობილი. გორკიმ მთელი თავის სიცოცხლე ძველი ქვეყნის გარდაქმნას მოანდომა. ამ მიზნით ეძებდა ის ადამიანს, რომლის სახელსაც მთავრული ასოთი სწერდა ის ეძებდა და ნახულობდა, ასეთ ადამიანებს მაგრამ შემდეგ თვითონვე ატყობდა, რომ ძველი ქვეყნის ძირიან ფესვიანათ გადაბრუნებისათვის საჭირო იყო უფრო სხვა, სხვა თვისებებით და ღირსებით აღჭურვილი ადამიანი.

ბოლოს ამ ძებნაში ის მუშათა კლასს მიადგა. აქ ნახა მან მუშა-ბოლშევიკები. ეს იწამა და მიიღო გორკიმ „ერთად ერთ რევოლიუციონურ ძალათ". მაგრამ, როდესაც ეს მუშა-ბოლშევიკები პარტიამ ბრძოლის ქარიშხალში გადაისროლა, გორკის გული დაეწვა. გამარჯვების იმედი მას არ ჰქონდა და ამ ხალხის დაკარგვის კი ეშინოდა. ამიტომ მოუხმობდა ის ძალების შემონახვას, ჯერ ჯერობით ევროპის დემოკრატიზმის საფეხურის შეთავსებას და სხვ.

მოხდა „სასწაული". აღმოჩნდა, რომ გორკის ადამიანი თითო-ოროლა ძველი მუშა-ბოლშევიკები კი აღარ ყოფილან, არამედ თვითეული შეგნებული მუშა და გლეხი თვითეული წევრი იმ დიდებული მუშური რევოლიუციონური მილიონ ნახევრიანი პარტიის წევრი ყოფილა ის ადამიანი, რომელსაც გორკი ასე გულმოდგინეთ და ამაოთ ეძებდა მთელი თავის სიცოცხლის განმავლობაში.

დაინახა ეს შორს მყოფმა გორკიმ, იგრძნო და იცნო ახალი ადამიანის დაბადება, მიხვდა და იწამა, რომ ეს ახალი ადამიანი განდგომილი ერთეულები კი აღარ არიან არამედ ესაა ის ხშირად უჩინარი გმირი, რომელიც არც თავს თავს იზოგავს და არც სხვას ერიდება და ისე მუშაობს ახალი ცხოვრებისათვის ნიადაგის შესამზადებლათ.

ამიერიდან გორკისათვის აღარ არსებობს ეჭვი და რყევა. ის კვლავ ჩვენთანაა, ის ჩვენთან მოდის და ჩვენთან დარჩება.

მისმა კალამმა მონახა თავის ნესტანი—ადამიანი. ამიტომაც აქეთკენ გამოეშურა გორკი, აქეთ მოიტანა თავისი გულის სიხარული.

ამას წინათ გორკიმ სხვათა შორის ასე სთქვა „არსად კარგი, ისეთი კარგი არ არის, როგორც საბჭოთა კავშირშიო!".

ოღონდაც, სად არის ის მეორე „კუთხე ქვეყნისა", სადაც კეთდებოდეს ისეთი „კარგი საქმე", როგორიცაა სოციალიზმის აშენება?

„ცოტა რამაა ამ ქვეყანათ კარგი, ყველაფერზე უკეთესი ხელოვნებაა, ხოლო ხელოვნებაში ყველაფერზე უკეთესი და ყველაფერზე კეთილშობილი არის—კარგის გამოგონება".

ასე სწერდა გორკი 1900 წელს.

როდესაც გორკი აქ ჩამოვიდა მან ამ კარგის „გამოგონება" აღარ დასჭირდა. ამ კარგითაა სავსე დღეს ჩვენი ცხოვრებისა და მუშაობის მთელი შინაარსი.

⁂

ასეთია გორკი, ასეთია მისი ცხოვრებისა და ბრძოლის გძელი გზა, მისი მწერლობა და მოღვაწეობა.

გორკიმ შეიძულა ძველი ცხოვრების სიდუხჭირე, მის გულის სიღრმეში დაიბადა გაცისკროვნებული მიზანი ახალი ცხოვრების მოწყობისათვის, გორკიმ მოინდომა სხვებისათვისაც მიეწვდინა თავისი ხმა, რომ სხვებსაც მისაგვით შესძლებოდა ძველი, შეეყვარებოდა ახალი.

გორკიმ შეუდარებლათ შეასრულა თავისი ამოცანის პირველი ნახევარი. არავის იმდენათ არ შეუწყვია ხელი ძველი ცხოვრების შეძულებისათვის, როგორც მან, თავის ნაწერებით.

ამაშია გორკის დაუფასებელი დამსახურება მშრომელი ხალხის წინაშე.

მაგრამ გორკიმ ვერ შესძლო, ეს მის ძალას აღემატებოდა—ახალი ცხოვრებისაკენ მავალი გზების ჩვენება. აქ არა ერთხელ წაბორძიკებულა ის. მაგრამ ეს რყევა, ეს ბორძიკი ჩვენ არ შეგვიძლია მივუთვალოთ გორკის დანაშაულად.

გავიდა დრო, გორკი მიხვდა, რომ მუშათა კლასმა, არამც თუ არ გაამართლა მისი ეჭვები, მან არამც თუ მიაღწია იმ საზღვარს რომლის იქეთ გადახვევაც კი ჯერ-ჯერობით საშიშოთ მიაჩნდა გორკის, არამედ ეს ახალი ცხოვრების მჭედლები და კალატოზები საუცხოოთ აშენებენ იმ ახალ ცხოვრებას, რომლის ნატვრა და სიყვარული გორკის მუდამ გულით უტარებია.

გორკი ჩვენში ჩამოვიდა. ის ჯერ კიდევ ძალ-ღონით სავსეა, მას წყურია მუშაობა, ის მოუთმენლათ მოელის თავის ადამიანის ხელისშეხებას, რასაც ის ასე ამაოთ დაეძებდა 35 წლის განმავლობაში. რას მოგვცემს გორკი შემდეგში, ამას მომავალი დაგვანახვებს. აქ წინასწარ ზმობა და ანგარიში არ გამოგვადგება. ერთი კია, აქ—საბჭოთა კავშირში—უკვე ყოველივე მზათაა იმისათვის, რომ მან მოგვცეს ახალი ცხოვრების, ახალი ადამიანის სრული სახე. ამას ის შესძლებს.

პ. მ. საყვარელიძე.

პარტიული ცხოვრება

ქალთა დაწინაურება

მოსკოვი, 26 ივლისი. საკ. კ. პ. (ბ) ცაკამ დაავალა ც. კ. საორგანიზაციო-განმანაწილებელ და მუშა-გლეხ-ქალთა შორის მუშაობა განყოფილებებს ორი კვირის ვადაში დაამუშაონ საკითხი მიმდინარე წლის განმავლობაში დამოუკიდებელ ხელმძღვანელ სამუშაოზე გუბერნიებში და ოლქებში (საგუბერნიო კომიტეტების მდივნებათ, საგუბერნიო აღმასკომების, საგუბერნიო პროფსაბჭოების და კავშირების საგუბერნიო განყოფლებათა თავმჯდომარეებათ და სხვ.) და აგრეთვე ცენტრებში (სახკომისარიატების კოლეგიებში, პროფკავშირების ც. კ. პრეზიდიუმებში და სხ.) 10—20 ქალის დაწინაურების შესახებ. დაწინაურებული უნდა იქნენ პარტიის წევრი და განსაკუთრებით მუშა-ქალები, უპირატესობა უნდა მიეცეს ისეთებს მათ შორის, რომელთაც აქვთ პარტიულ და სხვა მუშაობის საკმაო გამოცდილება. (ადს)

ამიერ-კავკასიის თათბირი სოფლად მუშაობის შესახებ

გუშინ, სახალხო წითელ დარბაზში გაიხსნა ამიერ-კავკასიის მესამე თათბირი სოფლად მუშაობის შესახებ. თათბირი მოწვეულია საკავშირო კომპარტიის (ბ) ამიერ-კავკასიის სამხარეო კომიტეტის სოფლად მუშაობის განყოფილების მიერ.

დღის წესრიგში დგას შემდეგი საკითხები: 1) ღარიბთა შორის მუშაობის შესახებ. 2) ბეჭდვითი სიტყვის მუშაობა სოფლის [illegible] საკითხების დარგში. 3) კოლექტიურ მეურნეობათა მშენებლობა ამიერ-კავკასიაში, 4) პარტმუშაობის შესახებ აქტივთან, 5) სამომხმარებლო კოოპერაციის მდგომარეობა და საგზაო ბეგარა.

გუშინ თათბირმა მოისმინა ამხ. პაპიკის მოხსენება ღარიბთა შორის მუშაობის შესახებ.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში პარტმუშაობა ღარიბთა შორის საგრძნობლად გაცხოველდა. სოფლის სხვადასხვა ორგანოების უკანასკნელმა არჩევნებმა დაამტკიცა, რომ ღარიბი გლეხობა თანდათანობით უფრო მტკიცეთ ირაზმება პარტიის გარშემო, რომ მან განამტკიცა კავშირი საშუალო გლეხობასთან და გააძლიერა ბრძოლა სოფლის კულაკურ ელემენტების იზოლაციისათვის. მიუხედავად მთელი რიგი მიღწევებისა, ღარიბთა შორის მუშაობაში არის ნაკლიც. ძირითად პარტიულ ორგანიზაციებში ჯერ კიდევ არ არის ყველგან შეთვისებული ის აზრი, რომ ღარიბთა შორის მუშაობა პირველხარისხოვანი მნიშვნელობის საკითხია. ზოგან ამ საკითხს არ აქცევენ სათანადო ყურადღებას, ზოგან კი ღარიბთა შორის მუშაობა უკანასკნელ ხანებამდისაც კი არ იყო დაწყებული. იქაც კი, სადაც სწარმოებს მუშაობა ღარიბთა შორის, ეს მუშაობა უფრო კამპანიების ხასიათს ატარებს. ზოგიერთ ადგილას ჯერ კიდევ ყოყმანობენ, ჯერ კიდევ ვერ გაუბედიათ ღარიბთა ჯგუფების ჩამოყალიბება. ადგილებზე თითქმის ყველგან მთავარი ყურადღება ექცეოდა ღარიბთა კრებების მოწვევას, ღარიბთა ჯგუფების ჩამოყალიბებაზე კი ნაკლებათ ზრუნავდენ. ჩერდება რა მოჯამაგირეთა მონაწილეობაზე ღარიბ გლეხთა ჯგუფების მუშაობაში, ორატორი აღნიშნავს, რომ ამ მხრივ თითქმის არაფერი არის გაკეთებული. არც მუშა და გლეხ ქალთა შორის მომუშავე განყოფილებებს და არც მიწა-ტყის კავშირს არ მიუქცევია სათანადო ყურადღება მოჯამაგირეების ჩაბმისათვის ამ მუშაობაში. აღსანიშნავია აგრეთვე ერთგვარი გაურკვევლობა, ღარიბთა ჯგუფების დამოკიდებულებაში. საშუალო გლეხობასთან. ადგილობრივ მომუშავე ამხანაგები ყოველთვის ვერ უწევენ სათანადო ანგარიშს იმ გარემოებას, რომ საჭიროა საშუალო და ღარიბ გლეხთა კავშირის განმტკიცება.

ღარიბთათვის მატერიალურ დახმარების აღმოჩენის საქმეშიაც ვერ არის ყველაფერი რიგზე. ღარიბი გლეხობა ვერ იღებს სათანადო რაოდენობით სესხს საერთო-საკრედიტო ფონდებიდან. ორატორს მოყავს მთელი რიგი მაგალითებისა იმის დასამტკიცებლად, რომ შეძლებული გლეხები უფრო მეტად სარგებლობენ კრედიტებით, ვიდრე ღარიბები. არ არის დამაკმაყოფილებელი აგრეთვე ღარიბ გლეხთა კოოპერატიულ გაერთიანებების საქმე. მიუხედავად იმისა, რომ ამის შესახებ პარტიის ფრიად გარკვეული დირექტივა არსებობს, კოლექტიურ მეურნეობათა ორგანიზაციის ტემპი ამიერ-კავკასიის სოფლებში ფრიად სუსტია. კოლექტივიზაციას ხელს უშლის მიწის მოუწყობლობა, რასაც დროზე უნდა მიექცეს ჯეროვანი ყურადღება.

დასასრულ მომხსენებელს საჭიროდ მიაჩნია კულტურული მუშაობის გაძლიერება ღარიბებ გლეხთა შორის. ის საყვედურს გამოსთქვამს აგრეთვე იმის გამო, რომ ბეჭდვითი სიტყვა ვერ აქცევს სათანადო ყურადღებას ღარიბთა შორის მუშაობის საკითხებს.

მოხსენების გარშემო გაიმართა კამათი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს ამხ.: გართანიანმა (სომხეთი), ჟპეროვმა (ა.-კ. ცაკი), შაბანოვმა (ახალციხე), არუტინიანცმა (სომხეთი), იბრაგიმოვმა (აზერბეიჯანი), მსუქნიშვილმა (საქართველო), ეფენდიევმა (ზაქათალა), ჯატიევმა (სამხრეთ-ოსეთი), ალიევმა (აზერბეიჯანი) და დანიელიანმა (სომხეთი). ორატორები აღნიშნავდენ, რომ ცენტრი ვერ უწევს ჯეროვან ხელმძღვანელობას ადგილებს სოფლად მუშაობის საკითხებში. სუსტია როგორც ცოცხალი, ისე წერილობითი კავშირი. სოფლის უჯრედებს უძნელდებათ ღარიბთა შორის მუშაობის სწორად წარმოება, რადგან ერთის მხრივ ადგილებზე ძალიან მცირეა მომზადებულ მუშაკთა რიცხვი, ხოლო მეორეს მხრივ ადგილობრივ ენებზე არ მოიპოვება არავითარი ლიტერატურა ამ საკითხის შესახებ. ორატორები ხაზგასმით აღნიშნავდენ აგრეთვე იმ გარემოებასაც, რომ საჭიროა კულტურული მუშაობის გაძლიერება ღარიბეს გლეხთა შორის და აგრეთვე ანტირელიგიური ბრძოლის გაცხოველება, რადგან სასულიერო წოდებას ჯერ კიდევ საკმაოდ დიდი გავლენა აქვს მოსახლეობის ღარიბ ფენებზე.

მოხსენების გარშემო კამათი გაგრძელდება დღეს, დილის სხდომაზე.

მოჯამაგირეთა შორის მუშაობა გაუმჯობესდა

(წერილი ბორჩალოდან)

ბორჩალოს მაზრაში მოჯამაგირე - მწყემსთა შორის მუშაობას ბოლო დროს გამოცოცხლება დაეტყო.

შაუმიანის, სარვანის, ლიუქსემბურგის და ბაშკიჩეთის რაიონებში ჩამოყალიბებულია მოჯამაგირეთა ადგილკომები. ხოლო სამ თემში არსებობს მოჯამაგირე-მწყემსთა რწმუნებულების ინსტიტუტი.

აღნიშნული ადგილკომები და რწმუნებულები გამოყოფილნი არიან თვით მოჯამაგირეთა წრეებიდან.

ეს ოთხი ადგილკომი და სამი სარწმუნებულო ჯერ-ჯერობით აერთიანებს 850 მოჯამაგირე-მწყემს. მათ შორის 52 ქალია. ნაციონალური შემადგენლობით: ქართველი 59, მუსულმანი 213, სომეხი 388, რუსი 34, სხვადასხვა ეროვნების—156. განათლებით: წ.-მცოდნე—173, მცირემცოდნე—300, უცოდინარი—361.

ხელშეკრულების დადებას უდიდესი ყურადღება ექცევა მოჯამაგირე-მწყემსის დაზღვევას, სამუშაო დღის განსაზღვრას, ხელფასის თავის დროზე მიცემას, სასმელ-საჭმელს ტანისამოსს და შვებულება-დასვენებას.

მაზრაში დადებულია 895 შრომის ხელშეკრულება, აქედან—631 საწარმოა და აერთიანებს 692 მუშა-მოჯამაგირეს.

გასულ წელთან შედარებით შრომის ხელშეკრულების რიცხვი 600 პროც. გაიზარდა.

ჟანელი.

მუშათა ცხოვრება

მუშკორების, სამხკორებისა და ახკორების საყურადღებოდ
დღეს, 27 ივლისს, დღის 2½ საათზე, ამხ. მაქსიმ გორკის სახელობის მშენებელთა კლუბში (პლეხანოვის პრ.)
— გაიმართება —
შეხვედრა - საუბარი
მაქსიმ გორკისთან
თხოვნა—ნუ დაიგვიანებენ
საქ. კომპარტიის (ბ) თბილისის კომიტეტი.

საყურადღებო გამოგონება

ახალი შენობების აშენების დროს, შიგნით და გარედან, ან ძველი შენობების გარედან შელესვის დროს, უსათუოდ საჭიროა ეგრეთ წოდებული ხის ხარაჩო, ურომლისოდაც შენობის აგება ან შელესვა ყოვლად შეუძლებელია. ასეთი ხის ხარაჩოს გაკეთება-კი აუარებელ ხარჯებს იწვევს და აძვირებს თვით მშენებლობასაც. შენობების აგების, ან ძველი შენობის გარედან შელესვის შემთხვევაში, ხის ხარაჩოს გადატან-გადმოტანაში, მის დაშლაში და ხმარებაში, მასალა იმტვრევა-იმსხვრევა და შემდეგი ხმარებისათვის სრულებით უვარგისი ხდება.

აღმშენებლობის გაძვირების და ზარალისთავიდან ასაცილებლად ამხ. ვ. ბუღდიაშვილმა გამოიგონა ლითონის მექანიზაციაქმნილი ხარაჩო. აღნიშნული ხარაჩო მუდმივია და მისი გადატან-გადმოტანა შენობიდან შენობაზე, ძლიერ ადვილია, რადგან მისი დაშლა სწრაფია. შენობების სიმაღლე და სიგანეს არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. მისი აწევა შეძლება რვა სართულიან შენობის სახურავამდეც კი. გარდა ამისა ეს ხარაჩო საგრძნობლად აადვილებს მუშაობასაც.

ამხ. ბუღდიაშვილის ეს გამოგონება განიხილა ეკონომკომისიამ, სადაც გამომგონებელმა ბუღდიაშვილმა, თავის ახსნა-განმარტებაში სრულათ გააშუქა მის მიერ გამოგონებულ ხარაჩოს დანიშნულება. კომისიამ დაადგინა აღძრას შუამდგომლობა კავშირის და „სამშენი"-ს წინაშე, რათა მიაქციონ ჯეროვანი ყურადღება აღნიშნულ გამოგონებას და ყოველ მხრივ აღმოუჩინონ დახმარება ამხ. ბუღდიაშვილს, გამოგონების ცხოვრებაში გასატარებლად.

ამხ. ბუღდიაშვილის გამოგონებით, გარდა იმისა, რომ თავიდან ავიცილებთ ზედმეტ ხარჯებს, მშენებლობის საქმესაც საგრძნობლად გავაუმჯობესებთ.

სხირტლაძე.

დიდი საქმე

ამჟამად სწარმოებს უყურადღებოდ და მოუვლელი სახლების მუნიციპალიზაცია და მათი შეჯგუფება საბინაო ამხანაგობებში.

მუნიციპალიზაციაქმნილი სახლები გადადიან თბილისის აღმასკომის გამგებლობაში, რომელიც უქსის სამმართველოს აპარატის საშუალებით, შეუდგება მათ მოვლა-პატრონობას.

აღნიშნულ სახლების მეურნეობის მოწყობასაქმის წარმოების სტრუქტურის შემუშავებაში აქედანვე უნდა მიიღოს აქტიური მონაწილეობა თბილისის აღმასკომთან არსებულმა რაცბიურომ.

რაცბიუროს მუშაობის მთავარი პრინციპები გამოიხატება არა მარტო ძველი აპარატის მოქნილ აპარატად გარდაქმნაში, არამედ, უპირველესად ახალ წამოწყებათა სტრუქტურის დამუშავებაში და საქმის თავიდანვე რაციონალურ ნიადაგზე დაყენებაში.

რამდენადაც ვიცით უქს. მუნიციპალიზაციაქმნილ სახლების მოვლა-მმართველობის საკითხები არ დაუმუშავებია რაცბიუროსთან შეთანხმებით. ეს ჩვენ ნაკლად მიგვაჩნია. რაცბიუროს ხელმძღვანელი და რაციონალიზატორ ინსტრუქტორი, აღმასკომის საორგანიზაციო განყოფილების გამგესთან ერთად მივლინებულ იყვნენ საკავშირო რესპუბლიკების მთავარ ქალაქებში იქ არსებული მასიური მუშაობის და რაციონალურ მიღწევების გასაცნობად. ეს მივლინება მეტად ნაყოფიერი გამოდგა, როგორც პირადი დაკვირვების მხრივ, ისე მნიშვნელოვანი მასალების შეკრებით. განსაკუთრებით ეს ეხება დიდი ქალაქებში მუნიციპალიზაციაქმნილ სახლებს მოვლა-პატრონობის საკითხს.

უქსმა სავსებით უნდა გამოიყენოს თავის პრაქტიკულ საქმიანობაში შეკრებილი მასალა და რაც ბიუროს აპარატის საშუალებით გამოიმუშაოს სტრუქტურა აღნიშნული დიდი საქმის სათანადოთ მოწესრიგებისათვის.

ჯაფარ-ფაშა.

გავაცხოველოთ კულტურული მუშაობა

(მე-3-მე თამბაქოს ქარხანა)

თამბაქოს მესამე ქარხანაში მუშაობს 247 მუშა, ამათში 132 ქალია, 115 მამაკაცი. ქარხანასთან მოწყობილია ბავშვთა ბაგა, სადაც ნამდვილი მზრუნველობით უვლიან ბავშვს სამ წლამდე. შემდეგ კი გადაჰყავთ საბავშვო სახლებში. ამ დადებით მხარესთან ერთად, ქარხანას თვალსაჩინო ნაკლიც აქვს. ეს არის მუშების მიერ არასაპატიო მიზეზით სამუშაო საათების გაცდენა.

მიმდინარე წლის აპრილში გაცდენილი საათების რაოდენობა უდრის 154 საათს, ივნისში 112 საათს,—ამგვარად ორი თვის განმავლობაში გაცდენილია 266 სამუშაო საათი. რაც საკმაოდ დიდ თანხას უდრის ჩვენის აზრით ამდენი საათების გაცდენა უნაყოფოთ, ყოვლად დაუშვებელია.

იყო დრო, როდესაც ორშაბათ მუშები პატარა კვირას უძახოდნენ და ხშირად სამშაბათსაც ზედ მიაყოლებდენ ხოლმე. დღეს ეს აღარ უნდა არსებობდეს. მაშინდელი დრო ჩაბარდა ისტორიას. დღეს მუშის კულტურული დონე გაცილებით მაღლა სდგას ვიდრე იყო მაშინ. გარდა ამისა ყოველმა მუშამ უნდა იცოდეს, რომ იგი ემსახურება სოციალისტურ მეურნეობას და უბრალოდ არც ერთი წუთი არ უნდა გააცდინოს და ამითი არ უნდა მიაყენოს ზარალი არც სახელმწიფოს და არც თავის ოჯახს.

ქარხკომმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს ამ გარემოებას და გააცხოველოს მუშებში კულტურული მუშაობა სამუშაო საათების გაცდენის წინააღმდეგ.

ნიკო მკერვალი.

მუშკორთა წერილებიდან

ასეთი სიძვირე აუტანელია. ფუნიკულიორზე არსებულ რესტორან-სასადილოებში აუტანელი სიძვირეა. მუშა-მოსამსახურის ბიუჯეტი ამ სიძვირეს ვერ აიტანს. ასეთი სიძვირე იმით არის გამოწვეული, რომ ფუნიკულიორზე არც ერთი კოოპერატიული სავაჭრო არ არსებობს. მუშკოოპმა უნდა გახსნას ერთი სასადილო.

ტყავ-გამძვრალი.

მასალა ნადგურდება. ხის დამამუშავებელი კოლექტივის ყუთების ქარხანაში აუარებელი საჭირო მასალა ნადგურდება უნაყოფოდ. იმტვრევა და იღუპება ჩამონაჭერი ვარგისი ფიცრები, რომლის გამოყენებაც დიდ ნაყოფს მისცემდა ქარხანას. ადმინისტრაცია ამ მოვლენას ყურადღებას არ აქცევს.

ინჟექტორი.

მოსპეთ სათამაშოები (ხონი). ქ. ხონში, ვინმე უგრეხელიძეების სახლში ყოველდღე იმართება აზარტიული თამაში, სადაც ამ ნიადაგზე ხშირად ჩხუბიც ასტყდება ხოლმე. ხონის მილიციავ, მოსპე აზარტიული სათამაშო.

სიმართლის მთქმელი.

ვინ მოარჯულებს. ოსიპოვის შესახვევი № 9 სახლში სცხოვრობს ვინმე ბაგრამოვი, რომელსაც თავისი უზნეო საქციელით აკლებული ჰყავს მთელი ეზო. ის ხშირად არ იხდის წყლის ფულსაც იმ მიზეზით, რომ როგორც თითონ ამბობს ის კომუნისტია. ვინ მოარჯულებს ბაგრამოვს?

ვერელი მუშა.

კედლის გაზეთი აღარ გამოდის. პ. ტ. მე-5-თე სტამბაში, უკვე მეორე თვეა კედლის გაზეთი არ გამოსულა. სარედაქციო კოლეგია ჯერჯერობით სალათას ძილს მისცემია და როდის გაიღვიძებს და გამოსცემს კედლის გაზეთს, არავინ იცის.

სტამბელი.

რაჭა-ლეჩხუმის გაერთიანება

(საკუთარი კორესპონდენტისაგან)

22 ივლისს ქრებალოში დიდი ზეიმით გაიხსნა რაჭა-ლეჩხუმის აღმასკომების გაერთიანებული პლენუმი. პლენუმს დიდძალი გლეხობა დაესწრო ორივე მაზრიდან.

პლენუმმა ერთხმათ და საბოლოოთ დაადასტურა ორივე მაზრის გაერთიანება.

გაერთიანებული სამაზრო აღმასკომის თავმჯდომარეთ არჩეულია რაჭის სამაზრო აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. პ. წულუკიძე, ხოლო მოადგილეთ ლეჩხუმის მაზრაღმასკომის თავმჯდომარე ამხ. ი. გულბანი და ამხ. ს. შავლაძე.

პლენუმის დასრულების შემდეგ ჩვენი თანამშრომელი ესაუბრა გაერთიანებული აღმასკომის ახლად არჩეულ თავმჯდომარეს—ამხ. წულუკიძეს, რომელმაც შემდეგი განაცხადა:

დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ მოსახლეობის დიდი უმრავლესობა კმაყოფილია მაზრების გაერთიანებით. გაერთიანებამდე ჩვენ შემოვიარეთ ორივე მაზრის ყველა რაიონები ხალხი ყურადღებით ისმენდა ჩვენს განმარტებას, კმაყოფილებას გამოსთქვამდა გაერთიანების გამო, მხოლოდ მოითხოვდა, რომ რაც შეიძლება ჩქარა მოღებოდა ბოლო უგზოობას, რომელიც ხელს უშლის განაპირა კუთხეების დაახლოვებას ცენტრთან.

რაც შეეხება შიშს, რომ ყოფილი სამაზრო ქალაქები — ცაგერი და ონი ჩაკვდებიან, ეს შიში უსაფუძვლოა იმდენად, რამდენათაც ორთავე ამ ქალაქს რჩება თავისი ორგანოები, რასაკვირველია, რაიონული მასშტაბით. მათი ეკონომიური მნიშვნელობაც დიდათ არ შესუსტდება, თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ მომავალ სამაზრო ცენტრში— ქრებალოში მხოლოდ ადმინისტრატიული აპარატი გადადის. ქრებალოში სამაზრო ცენტრის გადატანა განზრახულია ახალ საბიუჯეტო წლიდან, ე. ი. 1 ოქტომბრიდან, თუ ამ დროისათვის მოესწრო ერთი ორმოცოთახიანი შენობის აგება სამაზრო დაწესებულებებისათვის.

გაერთიანებული აღმასკომის ახალ პრეზიდიუმს უკვე ჰქონდა პირველი სხდომა, რომელზედაც განხილულ და დამტკიცებულ იქნა ინჟ. კოლჩინის მიერ წარმოდგენილი პროექტი და ხარჯთ-აღრიცხვა ქრებალოში ახლად ასაგებ შენობებისა.

პირველ ხანებში ახალ აღმასკომს ძლიერ მძიმე პირობებში მოუხდება მუშაობა, საჭიროა შემოვლა მაზრის, გადასინჯვა, შესწავლა თემების, გადაჯგუფება მათი და სხ. მუშაობას ამ მხრივ ისიც გაართულებს, რომ ორივე მაზრა მთაგორიანია, მოკლებულია გზებს, სატელეფონო კავშირს და სხ. ყველა ეს დაბრკოლებანი თანდათან, მაგრამ დროზე უნდა იქნეს გადალახული ცენტრის დახმარებით. ცენტრის დახმარება დაგვჭირდება იმ უამრავ ბუნებრივ სიმდიდრეთა დასამუშავებლადაც, რომელიც ამ მაზრებშია.

პირველ რიგში ქრებალოში უნდა აშენდეს — (მუშაობა უკვე დაწყებულია) ხე-ტყის სახერხი და აგურის ქარხნები და პატარა ელსადგური. ამ დღეებში დაიწყება სამაზრო ორგანოებისათვის შენობის აგება. ცოტაოდენ უხერხულობას წარმოადგენს უწყლობა წყალის მიწოდების საკითხი საჩქაროდ უნდა მოგვარდეს. წყალსადენის პროექტი შედგენილი გვაქვს. ამ პროექტით წყალსადენის გაყვანა 19 ათასი მანეთი ჯდება.

დ. გ—ძე.

ქრებალო, 23 ივლისი.

მისალმება საქ. ცაკს

საქართველოს ცაკის სახელზე ონიდან რაჭა-ლეჩხუმის სამაზრო აღმასკომების გაერთიანებულ პლენუმისაგან მიღებულია შემდეგი მისასალმებელი დეპეშა:

რაჭა-ლეჩხუმის აღმასკომების გაერთიანებული პლენუმი მხურვალე სალამს გიძღვნით. პლენუმი დარწმუნებულია, რომ თქვენი დახმარება და ხელმძღვანელობა გაგვიადვილებს იმ დიდი ამოცანების გადაჭრას, რომელნიც დაკავშირებულნი არიან ეკონომიურად და კულტურულად ჩამორჩენილ მხარის აღორძინებასთან.

მელიორაცია

რათა არ შეფერხდეს წყალთა მეურნეობის სამმართველოს მიერ დაწყებული სამუშაოები, ეკონომიურმა საბჭომ საჭიროდ სცნო ნება მიეცეს სამმართველოს 1927-28 წლისათვის დამტკიცებული ძირითადი შტატის ზევით იყოლიოს დამატებითი შტატი, რომლის შესანახად გაღებულია 83.206 მან. 51 კაპ.

სამმართველოს უფლება მიეცა აგრეთვე გაიღოს ქვემოჩამოთვლილი სამუშაოთა საწარმოებლად შემდეგი თანხები: ა) წვრილ სამუშაოთათვის 50.000 მან., ბორჩალოს სარწყავი სისტემის შესაკეთებლად — 20.000 მან. და სოხუმის ჭაობის ამოსაშრობად — 30.000 მან. ბ) დასამთავრებელ გამოკვლევებისათვის — 90.034 მან., ულეველას მორწყვა — 10.922 მან., სკრა-ქარელის მორწყვა — 10.986 მან., დოეს-გრაკალის მორწყვა — 8.719 მან., ხოხულის ჭალების — 4.197 მან. აჯამეთის — 4.571 მან., წილკანის 800 მან., მაშველას 35.000 მან. და მდინარე ლიახვის ნაპირების (ცხინვალიდან ჯავამდე) გამაგრება —13.839 მან.; გ) გათვალისწინებულ გამოკვლევათათვის — 40.581 მან. კანადურის მორწყვა — 2.500 მან., კეხვის —2.960 მან., კავშის — 10.057 მან. სამშვილდის — 2.780 მან., მულარეთის და სხვ. — 3.730 მან., კახეთის ჭაობიანი ადგილების ამოშრობა — 7.793 მან., ფახრალოს ხეობის ღელის მოწესრიგება — 1.886 მან., მდ. კინტრიშის აჩქვას და სხვ. ნაპირების გამაგრება — 2.469 მან., მდ. ღრუჯის ნაპირების გამაგრება — 4.154 მან. და შაორში არსებული ხრამების მოწესრიგება— 2.252 მან.

ფოთისა და „მაშველის" სამუშაოთა კრედიტების გაღებამდე წყალთა მეურნეობის სამმართველოს მიეცა საბანკო კრედიტის სახით 115.000 მან., აქედან პროექტების შესადგენად და გამოკვლევისათვის 87.000 მან., აღმშენებლობისათვის — 28.000 მან., ამასთანავე წინადადება მიეცა წყალთა მეურნეობის სამმართველოს ფოთისა და „მაშველის" სამუშაოთა კრედიტის — 272.000 მან. გაღებისთანავე დაფაროს სხვა კრედიტებიდან მიღებული ვალი, ხოლო დანარჩენი მოახმაროს საგამოკვლევო სამუშაოს.

გარდა ამისა, სამმართველოს დაევალა გადაიყვანოს სამელიორაციო კრედიტზე დიღომისა და სამურზაყანოს არხი, სამურზაყანოს არხი უნდა გაგრძელდეს აბაშამდე, რისთვისაც უნდა იქნეს გაღებული 40.000 მან. სამელიორაციო თანხიდან.

საბჭოთა საქართველო

წერილები

საპაიო კამპანია გრძელდება

(თიანეთი, თბილისის მაზრა)

თიანეთის კოოპერატივს ძლიერ ცუდ პირობებში მოუხდა საპაიო კამპანიის ჩატარება, რაიონში ცუდი მოსავალი იყო და გარდა ამისა საქონლის ჭირმაც დააზარალა გლეხობა. მიუხედავად ამისა, შედეგები მაინც თვალსაჩინოა. უნდა ითქვას, რომ მოსახლეობას შეგნებული აქვს კოოპერატივის მნიშვნელობა. არ ყოფილა შემთხვევა, რომ ვისმეს განეცხადებინოს უარი ან კოოპ. წევრად ჩაწერაზე, ან კიდევ პაის შევსებაზე. კამპანიის ჩატარების შედეგათ საპაიო თანხა გადიდდა ერთიორათ. მუშაობა გრძელდება. ზაფხულისა და შემოდგომის განმავლობაში ვფიქრობთ საპაიო თანხის მთელი 100 პროც. შეგროვებას.

ცეკავშირს მართებს მეტი ყურადღება მიაქციოს საპაიო თანხის შეკრების მხრივ ჩამორჩენილ რაიონებს, ასეთ რაიონებს პირველ რიგში უნდა გაეგზავნოს საქონელი.

ალ. დოლიაშვილი.

ყველაფერი რიგზე არ არის

(წითელი წყარო, სიღნაღის მაზრა)

სოფელში არსებობს აგრო-პუნქტი, მაგრამ იქ ყველაფერი ვერ არის რიგზე. პუნქტის გამგემ ამას წინათ ასი ფუთი შვრია გააფუჭა უყურადღებობის გამო. დაიკარგა აგრეთვე ერთ-ერთი მანქანის ღვედი, რომელიც საკმაოდ დიდი ფული ღირს.

პუნქტის გამგე ხშირად არ არის პუნქტზე, საწყობების გასაღებს კი ისეთ ხალხს უტოვებს, რომლებმაც საქმის არაფერი იციან. პუნქტზე სხვა უწესრიგობასაც აქვს ადგილი. სამაზრო ორგანოებმა უნდა მოახდინონ მისი მუშაობის გამოკვლევა.

მეთვალყურე.

გაგვიხსენით კრედიტი

(დიდინეძი, ზუგდ. მაზრა)

დარჩელის მთლიან კოოპერატივს გახსნილი აქვს განყოფილება დიდინეძში, საქონელიც ხშირად მოსდის კოოპერატივს, მაგრამ მასწავლებლობა და მოსამსახურენი ვერ სარგებლობენ ამით. კოოპერატივში საქონელი მოაქვთ მაშინ, როდესაც მოსამსახურეებს არა აქვთ მიღებული ხელფასი' ხელფასის მიღებაზე კი ყველა საჭირო საქონელი გათავებულია კოოპერატივში. ამით სარგებლობენ კერძო ვაჭრები და ტყავს აძრობენ მოსამსახურეებს.

საჭიროა ამ მოვლენას მიაქციოს ყურადღება დარჩელის კოპერატივის გამგეობამ, გაუხსნას კრედიტი მოსამსახურეებს და ამრიგად საშუალება მისცეს მათ ისარგებლონ კოოპერატივით.

მახვილი.

—:—

ოცნება აგვისრულდა

(ხაშმი, თბილისის მაზრა)

კარგა ხანია ჩვენი სოფელი ოცნებობდა წყაროზე. მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დროს შეესხა ფრთები ამ ოცნებას. დღეს ხაშმს აქვს შესანიშნავი, ტექნიკის ყოველგვარი წესების დაცვით მოწყობილი წყარო. ამას წინედ მოხდა მისი საზეიმო გახსნა. გახსნის დღისათვის თბილისიდან ჩამოვიდენ ამხანაგები, მათ შორის ამხ. თხილავა და ინჟენერი ქურდიანი. მოეწყო მიტინგი, რომელზედაც სიტყვებით გამოვიდენ გლეხები. ისინი დიდ კმაყოფილებას გამოსთქვამდენ წყაროს გაყვანის დამთავრების გამო და მადლობით აღნიშნავდენ მუშაკების ნაყოფიერ მუშაობას.

წყაროს დაერქვა ამხ. ლ. სუხიშვილის სახელი.

შ. ქ-ი.

—:—

დაგვიარსეთ კოოპერატივი

(ფოცხოს თემაღმასკომის საყურადღებოდ)

სოფ. ლეგოგინე, ფოცხოს თემი.

ეს სოფელი 2—3 ვერსითაა დაშორებული სათემო ცენტრს, რის გამო სოფლის 120 კომლიან მოსახლეობას უძნელდება თემის ცენტრში არსებული კოოპერატივით სარგებლობა. ამას ემატება თემის თავისებური მდებარეობა და უგზოობა.

ზაფხულის პერიოდში ამ დაბრკოლებას გადალახვა კიდევ შესაძლებელია, მაგრამ დადგება თუ არა ზამთარი, გზებზე ისეთი ლაფი დგება ხოლმე, რომ ხარ-კამეჩითაც ველარ გაატანს ადამიანი.

მოსახლეობა მოითხოვს კოოპერატივის განყოფილების დაარსებას სოფლის ცენტრში. თემაღმასკომმა აქედანვე უნდა იზრუნოს ამ საქმეზე და დროზე დააკმაყოფილოს მოსახლეობის სამართლიანი მოთხოვნილება.

ა. გოგინავა.

გლეხკორთა წერილებიდან

— **მანგლისი.** აქ არსებობს წითელი სასადილო, რომელიც კოოპერაციას ეკუთვნის. სამწუხაროდ ის არცხვენს წითელი სასადილოს სახელწოდებას, სამიკიტნოს რომ დაარქმევდენ უკეთესი იქნება. ლოთობა, ჩხუბი, აყალმაყალი—ჩვეულებრივი მოვლენაა აქ.

კოოპერატივის გამგეობა არ აქცევს ყურადღებას ასეთ სისაძაგლეს.

შორსმიმავალი.

— **ლანჩხუთი.** აქ მ. მესხრიკაძეს აქვს სამკერვალო სახელოსნო სკოლა, რომელსაც რატომღაც სკოლა ჰქვია. შეგირდები საკმაოდ ბევრია ამ სკოლაში, მაგრამ არავინ იცის, რას სწავლობენ ისინი.

კარგი კი იქნება განათლების განყოფილება რომ გამოიკვლევდეს ამ სკოლას.

დამშვიდებული.

— **აღაიანი** (გორის მაზრა). ჩვენს თემში არ არსებობს კოოპერატივი ამ გარემოებით სარგებლობს კერძო მოვაჭრე და ტყავს აძრობს გლეხობას. მაზრამ და თემმა უნდა მოგვაქციონ ყურადღება და გაგვიხსნან სოფელში კოოპერატივის განყოფილება.

ა. ქ—ძე.

— **ოზურგეთი.** ოზურგეთის დამზღვევი სალარო არ უწევს საექიმო დახმარებას ბათომიდან სოფლად დასასვენებლად ჩამოსულ მუშა-მოსამსახურეებს. სალაროს მუშაკები აცხადებენ, რომ ასეთი დადგენილება სამაზრო აღმასკომის პრეზიდიუმმა გამოიტანაო. ბათომის დამზღვევი სალარო კი გურიაში მიმავალ მუშებს არწმუნებს (სათანადო მიმართვასაც აძლევს), რომ ოზურგეთის სალარო უსათუოდ აღმოგიჩენთ დახმარებასო. ამგვარად დაწესებულებები ერთი-მეორეზე უთითებენ, ხოლო მუშა-მოსამსახურე დახმარების გარეშეა დარჩენილი.

ეს საკითხი უსათუოდ უნდა გამოირკვეს რაც შეიძლება დაჩქარებით.

დაზღვეული.

— **სურამი.** სურამის ფსიქიატრიული საავადმყოფოს ეზო ფარეხს წააგავს. ეზოში თავისუფლათ დასეირნობენ ძროხები, იხვები და ქათმები. ეზო საშინლად არის გაბინძურებული, მიუხედავად იმისა, რომ მის დაცვა-დასუფთავებას ყოველ დღე უნდა სპეციალურათ დაქირავებული თანამშრომელი. ადმინისტრაციამ აუკრძალა ყველა თანამშრომლებს შინაური ცხოველების ყოლა საავადმყოფოს ეზოში, მაგრამ ერთ-ერთ მათგანს რატომღაც ასეთი უფლება დაუტოვა. ვინ არის ეს თანამშრომელი და რატომ დაუტოვეს მას ასეთი უფლებები?

ჩვენ ველით ადმინისტრაციის განმარტებას ამ საკითხზე.

ნარი.

— **ხამიქაო-მარნის თემი.** (სენაკის მაზრა). ადგილობრივ ოთხწლედის სკოლის გამგე ილია მიქაბერიძემ მოწაფეების (ცემას ოქტომბრის რევოლიუციის მეთერთმეტე წელშიაც ვერ გადაეჩვია. 30 მაისს, მაგალითად, მან სცემა გლეხურ ახალგაზრდობის სკოლის შინობაში ამავე სკოლის მოწაფეს. განათლების განყოფილებას დროზე ეცნობა ეს ამბავი, მაგრამ იქ ჯერ ყურიც არავის გაუბერტყავს. საჭიროა კია, რომ ბამბა დროით გამოიღონ ყურში იმათ, ვისაც ამ საქმის გამოძიება შეეხება.

წკიპურტი.

— **აფენი** (სიღნაღის მაზრა). ჩვენი სოფლის წითელი სასადილო სამიკიტნოდ გადაიქცა. ის იმ თავითვე გადაეცა იჯარით ჩარჩებს, რომელთაც საარჩევნო უფლებაც კი აქვთ წართმეული. ცხადია, ასეთ ხალხის ხელში რას დაემგზავსებოდა ეს სასადილო. სხვა სისაძაგლის გარდა, აქ ხშირია ღვინით გალეშილ ხალხის ჩხუბი და აყალ-მაყალი, რასაც უბედური შემთხვევაც მოსდევს. ადგილობრივ აღმასკომს მართებს ამ გარემოებისათვის ყურადღების მიქცევა.

ზედავარნიელი.

ბრძოლა პროსტიტუციასთან

(თათბირი ჯანმრთელ. ობის კომისარიატში)

გუშინ ამხ. გ. კუჭაიძის თავმჯდომარეობით შესდგა პროსტიტუციასთან მებრძოლ რესპუბლიკანური ცენტრალური საბჭოს გაფართოებული თათბირი, რომელზედაც მოწვეული იყვნენ სხვადასხვა კომისარიატებისა და დაწესებულებების წარმომადგენლები.

ცენტრალური საბჭოს მუშაობის ამოცანების შესახებ თათბირზე მოხსენებით გამოვიდა ექ. მ. ბერიძე, რომელმაც საჭიროდ სცნო, რათა საბჭომ თავისი მომავალი საქმიანობა განავითაროს იმგვარად, რომ მოისპოს პროსტიტუციის გამომწვევი ეკონომიური მიზეზები.

პროსტიტუციასთან ბრძოლის ღონისძიებებს შორის მომხსენებელი ასახელებს: პროსტიტუციაში შემჩნეულთა სავალდებულო გატარებას ვენერიულ დისპანსერებში, ადმინისტრატიული ზომების აუცილებლობას იმათ მიმართ, რომლებიც უარს იტყვიან მუშაობაზე და კვლავ გააგრძელებენ მეძაობას, ვენერიული სნეულებების მკურნალობის გამოცხადება სავალდებულოდ და სხვა.

მოხსენების შემდეგ თათბირმა საჭიროდ სცნო იმის გამორკვევა, თუ რომელმა დაწესებულებამ ან ორგანიზაციამ რა უნდა გააკეთოს პროსტიტუციასთან ბრძოლის საქმეში.

პროსტიტუციასთან ბრძოლის გეგმები უნდა დაამუშაონ შემდეგმა ორგანიზაციებმა და დაწესებულებებმა: პროფესიონალურმა კავშირებმა, ქალთა ორგანიზაციებმა, კომკავშირმა, ჯანსახკომმა, თბ. აღმასკომის ჯანმრთელობის განყოფილებამ, რკ. გზათა ჯანმრთელობის განყოფილებამ, წითელი ჯვრის საზოგადოებამ, სამხედრო-სანიტარულმა სამმართველომ, სოც-უზრუნველყოფის კომისარიატმა, შრომის კომისარიატმა, შინაგან საქმ. სახ. კომისარიატმა გან. კომისარიატმა და იუსტიციის სახ. კომისარიატმა.

ყველა აღნიშნულმა ორგანიზაციებმა პროსტიტუციასთან საბრძოლველათ გამომუშავებული ღონისძიებანი უნდა შეუთანხმონ ჯანსახკომთან არსებულ ცენტრალურ საბჭოს.

წითელ ჯარში მორიგ გაწვევის წინ

სამზადისი საქართველოში

საქართველოს თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოებამ 1906 წელში დაბადებულ ახალგაზრდების წითელ ჯარში გაწვევასთან დაკავშირებით ადგილებს დაუგზავნა ცირკულიარი გაწვევისათვის ხელის შეწყობის შესახებ.

თავდაცვა-ავიაქიმის ადგილობრივმა ორგანიზაციებმა უნდა ჩაატარონ განმარტებითი მუშაობა, საუბრების, კრებების და კონფერენციების საშუალებით, თავდაცვა-ავიაქიმის წევრებს და დანარჩენ ახალგაზრდობას უნდა განემარტოს წითელი ჯარის სტრუქტურა, რეგულიარული ჯარის მნიშვნელობა და წითელი ყაზარმის განსხვავება ძველი ყაზარმისაგან.

თავდაცვა-ავიაქიმის ორგანიზაციებმა მოსახლეობას უნდა მიაწოდონ ცნობები შეღავათების მიღების და სამხედრო სამსახურის გავლის შესახებ.

რათა ახალგაზრდობის წინასწარ გასაცნობათ წითელ არმიელთა ცხოვრება-სწავლებასთან, ავიაქიმის ორგანიზაციებმა უნდა ჩაატარონ თავის წევრების ექსკურსიები ყაზარმებსა და ბანაკებში.

ცირკულიარში აგრეთვე ნათქვამია, რომ მიღებულ უნდა იქნეს ზომები, რათა თავდაცვა ავიაქიმის წევრები, რომლებსაც ეხება გაწვევა, შესაკრებ პუნქტებზე გამოცხადდენ დროულათ და უკლებლივ, რომ ამით მაგალითი მისცენ სხვა დანარჩენ ახალგაზრდობას.

დიდი მუშაობა უნდა იქნეს ჩატარებული თავდაცვა-ავიაქიმის ორგანიზაციების მიერ იმ შესაკრებ პუნქტებზე, რომლებსაც მოაწყობენ სამხედრო კომისარიატები.

გასაწვევ პუნქტებთან დაარსებულ იქნება, ლენინის კუთხე, სამკითხველო, კინო და სხვა. თავდაცვა-ავიაქიმის ორგანიზაციებმა მონაწილეობა უნდა მიიღონ გასაწვევ პუნქტების მოწყობაში და იმ მუშაობაში, რომელიც იწარმოებს პუნქტებზე გაწვევის განმავლობაში.

—:—

წინასწარი სამზადისი 1906 წელში დაბადებულთა გაწვევისათვის ზოგიერთ მაზრებში დამთავრებულია.

გამორკვეულია გასაწვევ ახალგაზრდობის რიცხვი. აღრიცხვაზეა აყვანილი ის ახალგაზრდები, რომლებსაც შეღავათი ეკუთვნის ოჯახურ-ქონებრივ მდგომარეობის მიხედვით. გამორკვეულია აგრეთვე იმ მოწაფეთა რიცხვი, რომლებსაც ჯარში გაწვევის ვადა გაუგრძელდება სასწავლებლის დამთავრებამდე.

პროფესორი ბუში სამხრეთ-ოსეთში

საკავშირო სამეცნიერო აკადემიის მიერ სამხრეთ - ოსეთში მივლინებული პროფ. ბუში უკვე შეუდგა ფლორის გამოკვლევას წონო-ერწოს ხეობაში. ეს ხეობა მდებარეობს წონის ტბის ახლოს. ბუშის აზრით, ეს ხეობა წარმოადგენს მთის ორი დამშრალი ტბის ფსკერს.

პროფესორის მიერ შეკრებილ მასალების მიხედვით, მინდვრები ამ რაიონში ძალიან მდიდარია სხვადასხვა მცენარეულობით. წონო-ერწოს ხეობაში ბუშმა აღმოაჩინა კოლხიდის ფლორის ერთი საინტერესო ნიმუში, სახელდობრ — კავკასიური ჩაი.

წონო-ერწოს ხეობაში, პროფ. ბუშის აზრით, მეტად ხელსაყრელი პირობებია მერძეობის განსავითარებლად. საჭიროა ხელოვნური საშუალებით დაჩქარებულ იქნეს ჭაობიან ადგილების ბუნებრივი გაშრობის პროცესი აღნიშნულ ხეობაში.

შემდეგში, პროფ. ბუშს განზრახული აქვს გამოიკვლიოს კუდსკის რაიონი ძედოს უღელტეხილამდე და ზიკარის მთის ფერდობები ქიმელტის ხეობაში.

საკურორტო სეზონი

თბილისში დაბრუნდა საკურორტო სამმართველოს უფროსის მოადგილე ს. ბოჭორიშვილი, რომელმაც კურორტების მდგომარეობისა და საკურორტო სეზონის მიმდინარეობის შესახებ შემდეგი ცნობები გადასცა ჩვენს თანამშრომელს:

ამჟამად ყველა სახელმწიფო მნიშვნელობის კურორტები სავსებით უზრუნველყოფილია თეთრი პურით, ხორცით, რძის პროდუქტებით და სხვა სანოვაგით.

უკანასკნელ კვირაში მოაგარაკეთა რიცხვმა განსაკუთრებით იმატა ბორჯომის ხეობის კურორტებზე (ბორჯომში, ცემში, წაღვერში და ბაკურიანში). ამინდი ყველგან კარგია.

ადგილები 1-ლ სექტემბრამდე დაკავებულია ყველა სანატორიუმებში და პანსიონატებში.

საკურორტო სამმართველოს ინიციატივით წელს აგებულია ახალი სახლები კურორტ ციხისჯვარში, სადაც გაკეთებულია აბანოები ნერვებით ავათმყოფთა სამკურნალოდ.

სამრეწველო მშენებლობა

სოფ. ბეშტაშენში დაიწყო რძის პროდუქტების გადასამუშავებელი ქარხნის აგება

„სოფლის კავშირის" დავალებით ახალშენებათა სამმართველო შეუდგა მზადებას, სოფელ ბეშტაშენში (ახალქალაქის მაზრაში) რძის პროდუქტების გადასამუშავებელი ქარხნის ასაგებათ. ქარხნის აგება დაწყებული უნდა იქნეს ერთი თვის განმავლობაში, ხოლო მომავალი წლის გაზაფხულისათვის ქარხანამ უნდა დაიწყოს მუშაობა.

ქარხანა ყოველწლიურად გადაამუშავებს 50.000 ფუთ რძეს. ქარხნის აგება დაჯდება 90.000 მანეთი. საჭირო საამშენებლო თანხას გაიღებს „სოფლის კავშირი". საჭირო მოწყობილობა და მანქანები ნაწილობრივ უკვე შეძენილია.

ფლორიდინის ქარხნის ასაგებათ

სამთო მრეწველობის ტრესტმა პროფ. ა. თვალჭრელიძეს და დოც. ფილატოვს მიანდო ფლორიდინის მადნების ქიმიო-ფიზიკურ თვისებების შესწავლა. პროფ. თვალჭრელიძე შეუდგა შესაფერ ლაბორატორიულ ცდებს, რომლის მიზანია გამორკვეულ იქნეს ის საშუალება, რომელიც უფრო ხელსაყრელი აღმოჩნდება ფლორიდინის მადნის გადასამუშავებლად სამრეწველო მიზნებისათვის.

პროფ. ა. თვალჭრელიძის ცნობით, ფლორიდინის თვისებების შესასწავლად დაწყებული მუშაობა დასრულდება თვენახევარში და სხვა.

ფლორიდინის გადასამუშავებელი ქარხნის ასაგები სქემატიური პროექტის დამუშავება უკვე დაწყებულია, ხოლო დეტალური საამშენებლო პროექტის შედგენა დაიწყება შემოდგომაზე.

მიწათმოქმედების კომისარიატში

სალეწი მანქანების დამზადება ადგილობრივ

მიწად-მოქმედების სახ. კომისარიატის სახელოსნოში დამზადებული იქნა ლანცის სისტემის სალეწი მანქანა. გამოცდის დროს მანქანა სავსებით დამაკმაყოფილებელი აღმოჩნდა.

ამ მანქანის განმეორებით გამოცდა მოხდება მუშტაიდში. მიწად-მოქმედების კომისარიატის სახელოსნოებში დამზადებული მანქანა გაცილებით იაფი ჯდება, ვიდრე უცხოეთში და რუსეთში დამზადებული მანქანები, თუ განმეორებითი გამოცდამ კვლავ დამაკმაყოფილებელი შედეგები გამოიღო, დაიწყება მისი მასიური დამზადება, რისთვისაც მოეწყობა ახალი სახელოსნო.

მოძრავი სახელოსნო

აპრილში თელავში მოეწყო სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანების შემკეთებელი სახელოსნო, რომელმაც მაზრაში დღემდე შეაკეთა ყველა ტრაქტორი და სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანები.

განზრახულია სახელოსნოს გაფართოება. რის შემდეგ დაიწყება სასოფლო-სამეურნეო მანქანების შეკეთება შემოდგომის თესვის კამპანიისთვის.

„სოფლის კავშირი" და აგროდახმარება

„სოფლის კავშირის" ცნობით, მომავალ 1928-29 წლიდან აგრიკულტურული მუშაობა მებამბეობის დარგში გადაეცემა სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციას. დღემდე ამ დარგში აგრიკულტურულ მუშაობას აწარმოებდა მებამბეობის კომიტეტი და მიწად-მოქ. სახ. კომისარიატი.

გარდა ამისა, „სოფლის კავშირი" მომავალ წლიდან უშუალოდ შეუდგება მუშაობის წარმოებას მეფრინველეობის დარგშიაც.

მეფრინველეობის განსავითარებლად „სოფლის კავშირმა" უკვე შეიძინა 15 ინკუბატორი (კვერცხების ხელოვნური გამოსაჩეკი). ამას გარდა, სოფლის კავშირს გადაწყვეტილი აქვს შინაურ ჯიშიან ფრინველების მოსაშენებელი სადგურები გახსნას ახალქალაქში, ახალციხეში, გორის და ქარელის რაიონებში. ასეთივე 3 სადგური გაიხსნება დასავლეთ საქართველოში.

აღნიშნულ სადგურებში მოშენებული ჯიშიანი ფრინველები სანაშენოთ დაურიგდება გლეხებს.

მომავალ წლიდან განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა თამბაქოს მეურნეობას. ამ დარგში სოფლის კავშირი დღემდეც აწარმოებდა აგრიკულტურულ მუშაობას, მაგრამ მას არ ქონია სისტემატიური და გეგმიანი ხასიათი.

თამბაქოს მეურნეობის რაიონებში მოეწყობა სპეციალური კურსები, სადაც თამბაქოს მეურნე გლეხებს შეასწავლიან თამბაქოს მოვლის საქმეს. გარდა ამისა, სოფლის კავშირი გამოსცემს რამოდენიმე პოპულიარულ წიგნს თამბაქოს მეურნეობის შესახებ, რომლებიც უფასოდ დაურიგდებათ გლეხებს. წიგნებში გარკვევით აღნიშნული იქნება თუ როგორ უნდა იქნეს გაშენებული თამბაქოს პლანტაციები და რა წესით უნდა სწარმოებდეს მათი მოვლა. ერთი ასეთი წიგნი უკვე დაიბეჭდა და დაეგზავნა საკრედიტო ამხანაგობებს გლეხებს შორის გასავრცელებლად.

სოფლის კავშირმა შეადგინა ცალკე გეგმა სარძეო მეურნეობის დარგში აგრონომიულ დახმარების გასაძლიერებლად. სოფლის კავშირს გადაწყვეტილი აქვს აგრო-დახმარების გაძლიერების საშუალებით გაადიდოს გლეხურ მეურნეობაში რძის ნაწარმოების პროდუქცია.

პირველ რიგში მოეწყობა საქონლის საჩვენებელი გაძლიერებული კვება და მოვლა. ამ მიზნით აგრონომიული პერსონალი გლეხობას გააცნობს საქონლის წესიერათ კვების და მოვლის მნიშვნელობას. ამასთან ერთად საძოვრების საკითხის მოგვარებას და ჯიშიან ბალახების თესვას.

სოფლის კავშირს გადაწყვეტილი აქვს მომავალ წლიდან განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს აგრო-დახმარებას კოლექტიურ მეურნეობებში.

საქართველოში ამჟამად ითვლება 300-მდე კოლექტიური მეურნეობა. მათთვის აგრო-დახმარების გასაძლიერებლად გადიდებული იქნება აგრონომების რიცხვი, პირველ რიგში ჩატარდება მიწად - მოწყობა კოლმეურნეობებში.

სოფლის კავშირმა დაადგინა ისე დააყენოს კოლმეურნეობათათვის აგრო-დახმარების გაწევის საქმე, რომ ისინი გადაიქცენ სამაგალითო მეურნეობათ. კოლმეურნეობებთან მოეწყობა საქონლის საჯიშეები, სამანქანო სადგურები, ქვირფას მცენარეთა პლანტაციები და სხვ.

ქრონიკა

მაქსიმ გორკის შეხვედრა მშენებელთა კლუბში

დღეს, 27 ივლისს, ნაშუადღევს 2 ნახევარ საათზე მშენებელ მუშათა მაქსიმ გორკის სახელობის კლუბში შესდგება მუშკორების შეხვედრა—საუბარი მაქსიმ გორკისთან.

შეხვედრა-საუბარში მონაწილეობის მისაღებათ მოწვეული არიან ყველა მუშკორები, სამხკორები და ახკორები.

სარენტო გადასახადის ჩამოწერა

თბილისის აღმასკომის პრეზიდიუმმა დააკმაყოფილა სამფინგანის შუამდგომლობა, რომ მუნიციპალიზაციაქმნილ სახლების ზოგიერთ ყოფილ მეპატრონეებს ეპატიოს მუნიციპალიზაციის გატარებამდე მათ სახლებზე შეწერილი სარენტო და შეფასებითი გადასახადი.

სახლების ყოფილ მეპატრონეებისაგან გადასახადების ძველი ნარჩენების ჩამოწერის მიზნით სამფინგანს დაევალებული აქვს შეადგინოს გადამხდელთა სიები და გამოარკვიოს მათი ნივთიერი მდგომარეობა.

ახალი შენობა

ინვალიდთა კოოპერატიულ ნადების კავშირს განზრახული აქვს ინვალიდთა საზაფხულო კლუბის ბინაზე აავოს საზამთრო კლუბის შენობა.

თბ. აღმასკომში

◆ **არშაკუნის შესახვევის დახურვა.** აღმასკომის კომუნალურმა განყოფილებამ მიზანშეწონილად აღიარა არშაკუნის შესახვევის (რუსთ. პრ. № 35 სახლის გვერდით) დახურვა.

◆ **ძეხვების ქარხნის შეძენა.** თბ. აღმასკომმა „ზაკმიასოტორგისაგან" 50.000 მანეთად შეიძინა ძეხვების ქარხანა.

ჯანმრთელობის კომისარიატში

◆ **საექიმო რაზმების მუშაობა.** ჯანმრთელობის კომისარიატში მიღებული ცნობებით, მაზრებში გაგზავნილი საექიმო რაზმები წარმატებით მუშაობენ. ზოგიერთ რაიონში რაზმები უკვე ამთავრებენ მუშაობას.

◆ **მიწვევა გერმანიაში.** მიღებულია ცნობა, რომ 13 სექტემბერს ქ. [illegible] (გერმანია) გაიხსნება გერმანიის ნევროლოგთა საზოგადოების [illegible] მოწვეული არიან [illegible] წარმომადგენლებიც.

◆ **საექიმო პუნქტების გამოკვლევა.** ჯანმრთ. სახ. კომისარმა ამხ. გ. კუჭაიძემ დაასრულა პროვინციაში გახსნილ საექიმო პუნქტების მუშაობასთან გაცნობა.

სხვა და სხვა

◆ **ამერიკელი სპეციალისტის მოწვევა.** სამთო მრეწველობის ტრესტმა ტყიბულში ახალი მაღაროების გასაყვან სამუშაოთა შესასრულებლათ მიიწვია ამერიკელი ინჟინერი ჰ. სტიუარტი, რომელიც უკვე გაემგზავრა სამუშაოთა ადგილზე.

◆ **5 წლიანი პერსპექტიული გეგმები.** ს.შ.ს. პრეზიდიუმთან მუშაობს სპეციალური კომისია მრეწველობის სხვადასხვა დარგებისათვის 5 წლიანი პერსპექტიული გეგმების შესადგენათ.

◆ **შაქრის ქარხანა.** ამ დღეებში მოელიან შაქრის ტრესტის სპეციალისტთა კომისიას, რომელმაც უნდა აირჩიოს ადგილი გორის მაზრაში შაქრის ქარხნის ასაგებათ და შეუდგეს ქარხნის საამშენებლო პროექტის დამუშავებას.

◆ **8 მილ. მან. სას.-სამეურნეო იარაღები.** ამიერ-კავკასიის საგეგმო კომისიის ცნობით, მომავალი სამეურნეო წლის განმავლობაში ამიერ-კავკასიაში შემოტანილი იქნება 8 მილიონი მანეთის სას.-სამეურნეო იარაღ-მანქანები.

◆ **სამეცნიერო ექსპედიციის მუშაობა.** თბილისში მიღებული ცნობებით, სვანეთში ჩავიდა და მუშაობას შეუდგა რუსეთიდან ჩამოსული სამეცნიერო ექსპედიცია, რომელიც სწავლობს სვანეთის ყოფა-ცხოვრებას და ზნე-ჩვეულებებს.

◆ **შუამთის დასასვენებელ სახლში.** სოც-დაზღვევის მთავარი კომიტეტი 1 აგვისტოს გააგზავნის მუშა- მოსამსახურეთა ახალ ჯგუფს.

ხელოვნება

გამოუყენებელი ხელოვნება

(გამოყენებითი ხელოვნების გამოფენის გამო).

ქართველ მხატვართა საზოგადოების მორიგი გამოფენა დათმობილი აქვს გამოყენებით ხელოვნებას.

ეს გამოფენა იმდენად ღარიბია მასალებით, რომ თვით მასალებზე შეჩერება საჭიროებას არ წარმოადგენს; ამიტომ მე შევეხები იმას, თუ როგორ გაუგიათ ჩვენს მხატვრებს გამოყენებითი ხელოვნება და მისი მნიშვნელობა.

გამოფენაზე არის რამოდენიმე ესკიზი: ე. ახვლედიანისა — „ბალიშის პირისათვის", „შირმისათვის და ჩანთისათვის", ჟ. გუდიაშვილის შინამრეწველური წესით გაკეთებული მოხატული ბატისტის ხელსახოცები, „გალსტუკები" და შარფები, გედევანიშვილის სამიოდე „დედოფალა" და მ. გოცირიძის ერთი მარაო ფანერისა..

იქვე არის სამხატვრო აკადემიის კერამიკული განყოფილების ნამუშევრები. ამ განყოფილების ნამუშევრებზე არა ერთხელ გვქონია საუბარი მკითხველთან. გამოფენილი ნიმუშები ახალ მასალას არ იძლევიან, მათ შესახებ ვიტყვით მხოლოდ, რომ კერამიკული წარმოება არ უნდა გადაიქცეს მარტო ესტეტიურ სანახაობის წარმოებად, ე. ი. არ უნდა გააკეთონ ისეთი შანდალი, რომელიც შანდლად არ გამოდგება, დოქი, რომელშიაც არაფერი ჩაისხმის, სამელნე რომელიც არ ეყოფა კალმის ორჯელ ამოწებას.

მთელ საბჭოთა კავშირში გამოყენებითი ხელოვნებას დიდი ყურადღება ექცევა, მაგრამ ბევრმა ამ ხელოვნების პროპაგანდა ისე გაიგო, როგორც ხელოვნებიდან ხელოსნობაზე გადასვლა. ეს აზრი შემცდარია და ხელოვნების დამღუპველი. ხელოვანის მოვალეობაა შექმნას, გააკეთოს ისეთი ნივთი ან საგანი, რომელიც ხელს შეუწყობს ადამიანის ფსიხოლოგიურად გარდაქმნას და მის დაკავშირებას ეხლანდელ ეპოქასთან. ამის შემდეგ იწყება ხელოსნობა.

ე. ახვლედიანის ესკიზები მართალია „ლამაზად" არის გაკეთებული, მაგრამ ეს სილამაზე ძველი ეპოქის სილამაზეა. ამ სილამაზით გაკეთებული ნივთი გარდაქმნას კი არ მოახდენს მომხმარებელში, პირიქით — მას შეაჩერებს. თუ ნივთი თავის ეპოქას არ უკავშირდება, მიუღებელია ყოველგვარ (გარდა ისტორიულ-ეთნოგრაფიულისა) პირობების მიუხედავად. მაგ., ვის არ გაეცინება დღეს, რომ მოსირმული საცვეთებით, წელში გამოკრული ჩოხა-ახალუხით და ხმალხანჯალ ასხმული შოფერი დაინახოს ავტომობილის მმართველად?

ჟ. გუდიაშვილის მუშაობა „ბატიკ"-ის დარგში, თუ ამას შემთხვევითი ხასიათი არა აქვს, მნიშვნელოვანია; სასურველია, რომ ის „ლუსტარობაში" არ ჩაიხრჩოს და მარტო გალსტუკებით არ შემოიფარგლოს.

მ. გოცირიძის მარაო იმას ამტკიცებს, რომ მხატვარი გამოყენებითი ხელოვნებასა და უსაქმობას შორის საზღვარს ვერ ხედავს.

საყურადღებოა გედევანიშვილის „დედოფლებით" ვარჯიშობა. თუ მართლა სერიოზულად სურს მხ. გედევანიშვილს ამ დარგში მუშაობა (რაც ძალიან საჭირო და სასურველია), მაშინ ეს მუშაობა უნდა დაუკავშიროს „დედოფლების თეატრის" იდეას. ასეთი თეატრი ჩვენში დღეს არ არსებობს, მაგრამ დაარსდება უეჭველად. ამ თეატრისათვის ჩვენ გვყავს საუკეთესო გმირი „ნაცარ-ქექია". ის ბევრად უფრო მახვილი და პოპულიარულია, ვიდრე იტალიის პულჩინელო, საფრანგეთის გინოლ, ინგლისის პანჩი, გერმანიის კასპერელ და რუსეთის პეტრუშკა. დედოფალების თეატრის განვითარებას საბჭოთა რუსეთში უდიდესი ყურადღებით ეპყრობიან. ამ თეატრს უკვე ჰყავს სპეციალური მხატვრები, რეჟისორები, იმპროვიზატორი მკითხველები, თავისი აუდიტორია.

იმედია ამ საკითხს ჩვენი სამხატვრო და სათეატრო ორგანოები ჯეროვან ყურადღებას მიაქცევენ, განსაკუთრებით ეხლა, როდესაც კლუბების გაჯანსაღება მორიგ ამოცანად გადაიქცა.

ბ. გ.

ღვინის ექსპორტი

საქართველოდან ღვინის ექსპორტის საკითხის განხილვის მიზნით ა. კ. ვაჭრობის სახ. კომისარიატში შესდგა ამიერ-კავკასიის ღვინის დამამზადებელ ორგანიზაციების წარმომადგენლების და ვაჭრობის კომისარიატის რესპუბლიკანურ რწმუნებულთა თათბირი. თათბირს დაესწრო აგრეთვე საკავშირო ვაჭრობის კომისარიატის საგარეო ოპერაციების სამმართველოს დირექტორი ამხ. ლივშიცი.

თათბირზე გამორკვეული იქნა, თუ რომელმა ორგანიზაციებმა უნდა დაამზადონ საექსპორტო ღვინო.

თათბირმა განიხილა ღვინის ჭურჭლის დამზადების, ღვინის დამზადების საქმისათვის ფინანსების მიწოდების, საექსპორტო ღვინის სალიმიტო ფასების და ღვინის დახარისხების საკითხები.

ღვინის დამამზადებლათ საქართველოში დამტკიცებულია — „საქართველოს ღვინო" და სახ. მამულების ტრესტი; აზერბეიჯანში „კონკორდია" და „აზვინ"-ი, სომხეთში—„არარატი".

ბამბის თესვის კამპანია

ბამბის თესვის კამპანია წელს ამიერ-კავკასიაში დამაკმაყოფილებლად იქნა ჩატარებული. გეგმით ნავარაუდევი იყო 133.072 ჰექტარის დათესვა (111.595 ჰექტარი აზერბეიჯანში, 14.482—სომხეთში და 6.925—საქართველოში). თავის დროზე იქნა დამთავრებული. ზოგიერთი გამონაკლისის გარდა, თესლის და მინერალური სასუქების მიწოდება და თავის დროზე იქნა დადებული ხელშეკრულებები ქვედა საფეხურის კოოპერაციასთან.

გასული წლის კარგი შედეგების გამო, წელს მებამბეობის რაიონების მოსახლეობის ინტერესი ბამბის თესვისადმი გაიზარდა და კამპანიის დაწყებისთანავე ადგილებმა მოითხოვეს ბამბის ნათესების სივრცის გაფართოვება. ამის გამო ამიერ-კავკასიაში კონტრაქტაცია გატარებული იქნა 154.251 ჰექტარზე, რაც გეგმის 116,4 პროც. შეადგენს. მაგრამ მთელ რიგ არახელსაყრელ პირობების გამო (ძლიერი წყალდიდობა, საქონლის საკვების ნაკლებობა და სხვა) ზოგიერთ რაიონებში მთლიანად დათესილი არ იქნა კონტრაქტებით ნავარაუდევი სივრცე; დაუთესავი სივრცე ზოგიერთ ადგილებში აღწევს 20—26 პროც. ფაქტიურად დათესილი სივრცე ამჟამად უდრის 130.000 ჰექტარს. რაც შარშანდელთან შედარებით ზრდას იძლევა 13 პროც. ბამბის ნათესების მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია. ბამბის თესვის მხრივ ამიერ-კავკასია დაუახლოვდა ომის წინა ხანების ნორმას.

აზერბეიჯანში სათესი სივრცე ცოტათ თუ ბევრად მტკიცეა. სომხეთში და საქართველოში ეს სივრცე მცირდება. ამის ერთ-ერთი მიზეზია სარწყავი სისტემით სარგებლობის მოუწესრიგებლობა. ნათესების შემცირებაზე გავლენას ახდენს აგრეთვე მიწათმოწყობის და წყალთა მეურნეობის საკითხების შეუთანხმებლობა. გლეხები მოუწყობელ მიწებზე თესავენ პურს და სხვა კულტურებს.

ამას წინად დამთავრებულმა ამიერ-კავკასიის მებამბეობის კომიტეტის პლენუმმა მიიღო მებამბეობის განვითარების ხუთწლიანი პერსპექტიული გეგმა, რომლის მიხედვით ხუთი წლის ბოლოს ნათესების სივრცე ეხლანდელთან შედარებით გაფართოვებული უნდა იქნეს 34.7 პროც., ხოლო მოსავლიანობა უნდა გაა-

ქუთაისი

(საკუთარი კორესპონდენტისაგან)

კოლხელშეკრულებათა დადება

მშენებელთა კავშირის სამაზრო განყოფილებამ უკვე დაამთავრა კოლექტიური ხელშეკრულებების დადება მაზრაში. 5 თვის განმავლობაში დადებულია 33 ხელშეკრულება რომლებიც ვრცელდება 3.344 მუშა-მოსამსახურეზე. წარსულთან შედარებით ხელშეკრულებებით საგრძნობლათ გაუმჯობესებულია მუშა-მოსამსახურეთა მდგომარეობა.

დამხმარე სალაროთა ბიუროების კონფერენცია

მშენებელთა კავშირში 10 აგვისტოსათვის ქუთაისში იწვევს ურთიერთ-დამხმარე სალაროების ბიუროთა სამაზრო კონფერენციას.

ექსკურსია

20 აგვისტოსთვის აღმშენებელთა კავშირი აწყობს მუშა-მოსამსახურეთა ექსკურსიას ბაქოში.

დახმარება ხანძრისაგან დაზარალებულებს

დღემდე ხანძრისაგან დაზარალებულთ სახ. დაზღვევის კანტორამ დაურიგა 110.000 მანეთი. ამ დღეებში ხანძრისგან დაზარალებულთ დამატებით დაურიგდება კიდევ 43.000 მანეთი.

ყაჩაღების გასამართლება

21—22 ივლისს, ს. ბაღდათში გაირჩა კონსტანტინე და კალისტრატე ჯაჯანიძეების, ხარიტონ და ალექსანდრე მახარაძეების, გიორგი, ვარლამ და ნინა ინაკავაძეების,—ნოე სვანიძის და ამბროსი ბაუაძის საქმე. ხსენებულ პირებს ბრალდებოდა ყაჩაღობა. სასამართლომ ნოე სვანიძეს და კონსტანტინე ჯაჯანიძეს მიუსაჯა თავისუფლების აღკვეთა ათ-ათი წლით; კალისტრატე ჯაჯანიძეს, ხარიტონ მახათაძეს და ნინა ინაკავაძეს—დაპატიმრება 5—5 წლით; ხოლო ბრალდებულებს: ვარლამ (ვალიკო) და გიორგი ინაკავაძეებს და ალექსანდრე მახათაძეს—სოციალური დაცვის უმაღლესი ზომა—დახვრეტა. ბრალდებული ამბროსი ბაუაძე სასამართლომ გაამართლა.

ავტო-მიმოსვლა

28 ივლისიდან დაიწყება რეგულიარული საავტომობილო მიმოსვლა ქუთაისს-აბასთუმანს შორის ზეკარის უღელტეხილით.

პოლიტგანის მუშაობა

ამჟამად ქუთაისის მაზრაში არსებობს 45 სათემო და სასოფლო სამკითხველო, ხოლო თვით ქუთაისში კი—5 საუბნო, 1—ცენტრალური წიგნთსაცავ-ბიბლიოთეკა და ერთიც ახლად გახსნილი აკადემიური ბიბლიოთეკა.

პოლიტცოდნის სკოლები 1927—28 საბიუჯეტო წელში იყო 69, სადაც მეცადინეობდა 2.118 კაცი; იმავე ხნის განმავლობაში სალიკვიდაციო სკოლა იყო 180, სადაც წერა-კითხვა ისწავლა 4.906 კაცმა.

პოლიტგანისა და ლიკსკოლების რიცხვი ამჟამად საგრძნობლად გადიდებულია წარსულ წელთან შედარებით.

ვენდისპანსერი

ქუთაისის ვენდისპანსერთან არსებობს ამბულატორია მომსვლელ ავადმყოფთათვის, რომელთა რიცხვი დღიურად უდრის 170. აგრეთვე დისპანსერთან არის სტაციონალური განყოფილება 20 საწოლით.

დახმარება ამხ. სეფიაშვილის ოჯახს

ამას წინათ ჩვენს გაზეთში მოთავსებული იყო ცნობა იმის შესახებ, რომ ხანძრისაგან დაზარალებულ უბანში ნანგრევების გასაწმენდად სამუშაოებზე კედლიდან მოსხლეტილმა ქვამ იმსხვერპლა ებრაელი მუშა, კომუნისტი ამხ. სეფიაშვილი. სამაზრო აღმასკომმა დაადგინა ამხ. სეფიაშვილის ორი ბავშვი მოწყობილ იქნეს საბავშვო სახლში, ოჯახს ბინათ მიეცეს ერთი ოთახი უფასოთ და ერთდროულად 150 მანეთი და ეთხოვოს დამზღვევ კასას მუდმივ პენსიაზე გადარიცხოს ამხ. სეფიაშვილის ოჯახი.

—:—

დახმარება დაზარალებულთ

ქუთაისი, 25 ივლისი. წითელი ჯვრის ქუთაისის სამაზრო კომიტეტმა ხანძრისაგან დაზარალებულთათვის დაამზადა 150 ლოგინი.

წითელი ნახევარ მთვარის აჭარისტანის კომიტეტმა დაზარალებულებს გადმოუგზავნა 1.000 ცალი ბალიშის პირი. (ადს).

სურათების გამოფენა

ქუთაისი, 25 ივლისი. გაიხსნა ქართველ მხატვართა საზოგადოების სურათების გამოფენა, რომელზედაც წარმოდგენილია 15 მხატვრის ნამუშევარი, ქუთაისიდან გამოფენა გადატანილი იქნება ბათომში. (ადს).

(გაგრძელება იხ. მეორე გვერდზე)

სასამართლო

მფლანგველები სატყეო ტრესტის მაღაზიაში

რაჟდენ მაქსიმეს ძე სიხარულიძე 1927 წ. მუშაობდა საქართველოს სატყეო ტრესტის ცენტრალურ მაღაზიაში პასუხისმგებელ ნოქრის თანამდებობაზე. როცა მან სამსახურში ფეხი მოიმაგრა, ხელი მიჰყო სახაზინო ფულის მითვისებას. ბოროტმოქმედების კვალის დასაფარავად სიხარულიძემ მონაგარიშედ „თავისი კაცი“ დავით ეპიფანეს ძე მეგრელიშვილი მოიწვია, რომელსაც გაუნაწილა „მძიმე შრომა“.

თავის „მოღვაწეობის“ პირველ დღიდანვე სიხარულიძემ მოინადირა კერძო ვაჭრების გული.

რითი დაიმსახურა მან სიმპატია ვაჭრებში?

ამაზე პასუხს გვაძლევს საბრალმდებლო დასკვნა.

როცა გამომძიებელმა გადაშალა დავთრები, შემოსული მიღებული და გაცემული საქონლის ნუსხა, ნახა, რომ საქონლის ნაწილი არსად ჩანს.

— სად არის 4016 მანეთის ავეჯი?—ეკითხება გამომძიებელი.

— ნისიათ მაქვს გაცემული, — უპასუხა სიხარულიძემ.

— რატომ წიგნში არ გაქვს გატარებული?

— აგერ მიწერია ყველაფერი უბის წიგნში?

— რატომ გაეცით ნისიათ საქონელი, როცა ამის უფლება არ გქონდათ?

— „შეცდომა“ მოხდა — თავს იმართლებს სიხარულიძე.

— სად არის დანაკლისი საქონელი? — ეკითხება გამომძიებელი მეორე ბრალდებულს.

განრისხდა მეგრელიშვილი და მკვახედ მიუგო:

— ნოქარს მოჰკითხეთო.

წინასწარ გამოძიებით და მთელ რიგ მოწმეთა დაკითხვით გამოირკვა, რომ სიხარულიძემ და მეგრელიშვილმა შეთანხმებულად შესანსლეს 4.016 მანეთის სკამები.

გარდა ამისა, მეგრელიშვილმა საკუთრად „გაიმასქნა“ 1542 მანეთი.

სიხარულიძე და მეგრელიშვილი მოხსნეს სამსახურიდან და მისცეს პასუხისგებაში.

საქმე უკვე გადაეცა თბილისის სამაზრო სასამართლოს.

—:—

ერთი რომანის დასასრული

ეს ამბავი ასე დაიწყო: ამას წინად ბიქტორ ჩლაიძემ გაიცნო ახალგაზრდა ქალი ვერა ლეონტიევა. გაცნობის პირველ დღიდანვე ჩლაიძე შეუდგა სატრფიალო წერილების წერას.

დიდი ხნის შემდეგ ჩლაიძემ მოინადირა ქალის გული.

გავიდა ხანი, ლეონტიევას ქალში ცვლილება მოხდა. ქალი ძველებური ალერსით აღარ ხვდება ჩლაიძეს, პირიქით გაურბის ჩლაიძის დანახვაზე.

ბოლო ხანებში ლეონტიევა დროებით სამსახურში მოეწყო ლოტოში. ქალმა, სამსახურის საქმესთან დაკავშირებით გაიცნო სოციალ-უზრუნველყოფის კომისარიატის სამეურნეო ნაწილის გამგე შიო დოლიძე, რომელიც ამ რომანის მთავარი „გმირია“.

ქალმა შესჩივლა შიოს, რომ ის მატერიალურად შევიწროვებულია და მისი სამსახურიდან დათხოვნა კიდევ უფრო გააუარესებს მის მდგომარეობას. შიომ აღუთქვა დახმარება.

შემდეგში დოლიძემ „ტკბილი სიტყვებით“ თავბრუ დაასხა ქალს.

ა. წ. 13 ივლისს, სანაპირო ქუჩაზე ვერა და შიო ტკბილ საუბარში იყვნენ გართული.

დადგა გამოთხოვების წუთი. შიომ მოხვია ქალს ხელი..

იმ სალამოს შორიდან მათ უთვალთვალებდა ჩლაიძე.

შიოს მოქმედებამ ჩლაიძე მოთმინებიდან გამოიყვანა, აღელვებული მივარდა შიოსთან და დაუყვირა:

— მოშორდი ვერას. შენ როგორ გაბედე. ვერა ჩემი სატრფო იყო...

— თქვენი იყო და ჩემი არის, — უპასუხა დოლიძემ.

შეშინებულმა ქალმა დასტოვა „ბრძოლის ველი“ და მოჰკურცხლა სახლისაკენ.

„შეურაცყოფილმა“ დოლიძემ ამოიღო რევოლვერი და მოკვლის მიზნით ესროლა ჩლაიძეს, რომელიც მძიმედ დაჭრილი დაეცა მიწაზე.

შიო დოლიძე დააპატიმრეს.

საქმე უკვე გამოიძია გამომძიებელმა ი. ადამიძემ, და გადაეცა თბილისის სამაზრო სასამართლოს.

—:—

გაფლანგვა

ანტონ პავლეს ძე თათარიშვილი ირიცხებოდა მცხეთის დამზღვევ პუნქტის აგენტად.

დასაზღვევი თანხა მას უნდა შეეტანა სალაროში, მაგრამ არჩია თავის ჯიბისაკენ გაესტუმრებია იგი.

თათარიშვილმა მიითვისა და გაფლანგა 800 მანეთზე მეტი.

თათარიშვილი მიცემულია პასუხისგებაში.

თ.

ვის ჩამოერთმევა სახლები

ნიკოლოზ არჯევანიძეს და სხვებს (ჯორჯაძის ქ. № 20—5), როსტომოვს და ბებუთოვს (პლეხანოვის პროსპ. № 30), სერგეიანცს (პირველი მაისის ქ. № 26), სოფიო ქუბაბრიას და არსენ ცხაკაიას (გორის ქ. № 26), მარქაროვს, ტერ-აკოფოვს და შიხლიანცს (კაშენის და კრესტინსკის ქ. №6—23), პელაგია ცეხანოვსკის და სხვებს (ძნელაძის და ლუნაჩარსკის ქ. № 28—3), ივლიანე მიქაძეს და შტეინბერგს (ტრიბუნალის ქ. № 18—19), გოროხოვას და ვალახენკოს (იურევსკის ქ. № 16), გიორგი დუნიტიანცს (ზურაბოვის ქ. № 51), გიორგი მუხრანსკის და სხვებს (ცეცხოველის ქ. № 11), ევა ბასილოვას (ახოსპირელის ქ. მესამე ჩიხი № 7), მირზოევს და შარიპოვს (კრასილნის შესახ. № 13), გუსეინ გაჯიევს და ალი ახვერ-ოღლის (კომუნალური მოედანი № 7—9—5), ვარსენიკა ავთანდილოვს (სომხეთის ქ. № 20), ალი-გაჯი-მამედ-ოღლის (კომუნალური ქ. № 105), ადამოვს და ხოჯაევს (ახოსპირელის მეორე და მესამე ჩიხი № 1—2), მარიამ ქორელს (დოესის და ცუცხვათის ქ. № 30—10), ელისაბედ გამრეკელს (ლომინაძის შესახ. № 4), იულია ჩერქეზიშვილს (კალანდაძის ქ. № 5), კონსტანტინე მახარაძეს და ნიკოლოზ კუკულაძეს (ვახუშტის ქ. № 55), სპირიდონ ლოსაბერიძეს (ჭიპიკოვის და ბარნოვის ქ. № 5—2), ალი-ახმედ ოღლი-მამედოვიან (სოფიის ქ. № 11), არშაკ არუთინოვს (კახეთის ქ. № 28), სათენიკ ხურაზუმოვს (არარატის შესახ. № 12), გიორგობიანს და მაღლაკელიძეს (სამრეცხაო შესახ. № 3), პავლე ჩოხაიას და ვლადიმერ წულუკიძეს (ხოშტარია-ერისთავის ქ. № 22—27), ლუნიცმიანცს (გორის ქ. № 12), მათე ბეჟაევს (მალაკანის ქ. № 13), კონსტანტინე ინაევს (გოგოლის ქ. № 61), კონსტანტინე კვაჭაძეს (გოგოლის ქ. № 17) და გიორგი ჭეჭინაძეს (მალაკნის ქ. № 8).

ავიაქიმში

სვანეთის მშრომელთა დეპეშა

თავდაცვის კვირეულთან დაკავშირებით საქ. თავდაცვა-ავიაქიმმა მიიღო შემდეგი შინაარსის დეპეშა თავდაცვის კვირეულის მომწყობ კომისიისაგან სვანეთში.

„სვანეთის უღრან ტყეებში ხე-ტყეზე მომუშავე მუშები და ადგილობრივი სვანი გლეხკაცობა გესალმებით თქვენ; თავდაცვა-ავიაქიმის რიგების დათვალიერების დღის, და აცხადებს, რომ, თუ მტერი კარზე მოგვადგება როგორც ერთი კაცი დავდგებით ოქტომბრის მონაპოვართა დასაცავად“.

პატიმართა წვლილი

საქართველოს თავდაცვა-ავიაქიმმა თავდაცვის ფონდის გასაძლიერებლად მიიღო 307 მანეთი და 24 კაპ., შეგროვილი სპეცდანიშნულების იზოლიატორის პატიმართა მიერ.

ახალი ავიაქიმ-რაზმი

თავდაცვის კვირეულის დროს თელავში დაარსდა ახალი ავიაქიმ-რაზმი, რომელშიაც შედის 150 კაცი.

შემთხვევები

რესპუბლიკის მთავარ საავადმყოფოში მომხდარ უბედური შემთხვევის გარშემო

სპეციალისტთა კომისია აწარმოებს ვრცელ გამოძიებას რესპუბლიკის მთავარ საავადმყოფოს შენობაში მომხდარ უბედური შემთხვევის მიზეზების დაწვრილებით გამოსარკვევად.

უბედური შემთხვევის დროს დაშავებული მუშა პავლე ხარიტონოვი გუშინ უკვე გამოეწერა ქალაქის პირველ საავადმყოფოდან.

დაჭრა

ისაკ გაბრიელოვმა (მცხ. ღვინის აღმართი № 51) შაუმიანის მოედანზე „მაუზერის“ სისტემის რევოლვერით მძიმედ დასჭრა ქარსელ მამუკოვი. გაბრიელოვი დაპატიმრებულია.

თავის დაჭრა

სუკია ოსკანის ძე აივაზოვმა (მცხ. ნატახტარის ქ. № 18) თვითმკვლელობის მიზნით დანით დაიჭრა თავი. აივაზოვი გადაგზავნეს ქალაქის პირველ საავადმყოფოში.

გვამის პოვნა

გუშინ, დილით, მადათოვის კუნძულზე იპოვნეს მტკვარში დამხრჩვალი მამაკაცის გვამი, რომლის ვინაობა გამოურკვეველია.

თავის მოწამვლა

ესმა ზაქარიას ასულმა სოხაძემ (მცხ. პლეხანოვის პროსპ. № 88) თვითმკვლელობის მიზნით დალია იოდი. სოხაძის ქალი სიკვდილს გადაარჩინეს. თავის მოწამვლის მიზეზი ირკვევა.

აფერისტის დაპატიმრება

სისხლის სამართლის მილიციამ დააპატიმრა აფერისტი შალვა გრიგოლის ძე ნავდირაშვილი, რომელმაც მოქალაქეებს აფერისტული გზით გამოსტყუა ხალიჩები და ძვირფასი ნივთები.

გატაცებული ნივთების პატრონი უნდა გამოცხადდეს ს. ს. მილიციაში, ოთახი № 7, ტ. კაპალეიშვილთან.

პატრონი უნდა გამოცხადდეს სს. მილიციაში, ოთახი № 7, ტ. კაპალეიშვილთან.

ქურდობა

ბოქლომის გატეხის საშუალებით გაქურდეს ალექ. ბალუაშვილის ბინა (ზელინსკის ქ. № 2), წაიღეს 185 მანეთის ნივთები.—გაქურდეს ანა კოკნაძის ბინა (მლეთის შესახ. № 9), მოპარულია 300 მანეთის საოჯახო ავეჯეულობა.—ქურდობისათვის მილიციამ დააპატიმრა: ბარონ არტემის ძე კრაშენკო და არტოზ მიხეილის ძე გეორგიანი.

მოტო-გადარბენა

მოსკოვი-თბილისი- მოსკოვი

22 ივლისს დაიწყო პირველი საკავშირო მოტო-გადარბენა მოსკოვი-თბილისი-მოსკოვი. გადარბენა მოწყობილია საზოგადოება „ავტოგზა“-ს მიერ გადარბენაში მონაწილეობას იღებენ მთელი რიგი ორგანიზაციები, როგორც მაგალითად, „როუპულტრესტი“, ფოსტა-ტელეგრაფის სახ. კომისარიატი; ვაჭრობის სახ. კომისარიატი, სამხედრო უწყება; რეზინის ტრესტი, ნავთის სინდიკატი და სხვები რომლებიც დაინტერესებული არიან საავტომობილო და სამოტოციკლო მოძრაობის განვითარებით.

გადარბენას არა აქვს სპორტიული ხასიათი გადარბენის ამოცანაა სხვადასხვა ტიპის მანქანების ტეხნიკური გამოცდა და შესწავლა იმ მიზნით, რომ ამორჩეულ იქნეს ჩვენს გზებზე სამოგზაუროდ გამოსადეგი და იაფი მოტოციკლები.

ამ მთავარ ამოცანას გარდა, გადარბენას ექნება დიდი საგიტაციო მნიშვნელობაც. ავტოგზა—ახალგაზრდა ორგანიზაციაა. ამ გადარბენის მოწყობით იგი პოპულიარული გახდება საბჭოთა კავშირის ყველა კუთხეებში.

გადარბენის მარშრუტია მოსკოვი-სერპუხოვი-ტულა—ორიოლი—კურსკი — როსტოვი-არმავირი—კავკავი—თბილისი და უკან დაბრუნება ამავე მარშრუტით.

გადარბენაში მონაწილეობას იღებენ საზღვარგარეთული მანქანები „ხარლეი-დავიდსონ“ ორივე ტიპის, „ნორტონ“, „ნეანდრ“ „ვიტგოფ“; „დ. ქ. ვ.“, „ვანდერერ“, „ნ. ს. უ.“, „დერად“; „ინდიან“; სამივე ტიპის და „ბ. ს. ა.“ ორი ტიპის.

ამას გარდა კონკურსში მონაწილეობას იღებს სამეცნიერო-ავტომოტორის ინსტიტუტის კონსტრუქციის მსუბუქი ავტო-მანქანა, რომელიც თავისი ტიპით ძალიან უახლოვდება მოტოციკლს.

ამასთანავე გადარბენის დროს შემოწმებული იქნება საბჭოთა ქარხნებში დამზადებული სანთლები, რეზინა და მოტოციკლების და ველოსიპედების ჯაჭვები.

გადარბენის მონაწილენი ხარკოვში

ხარკოვი, 26 ივლისი. 25 ივლისს დილის 1 საათზე ჩამოვიდნენ საკავშირო მოტო-გადარბენის მონაწილენი. გადარბენა მშვენივრად მიმდინარეობს. ყველა 23 მანქანა კარგ მდგომარეობაშია. გადარბენის მონაწილენი თავს კარგად გრძნობენ. 26 ივლისს მანქანები გავლენ როსტოვისაკენ.

—:—

თათბირი გზათა სახ. კომისარიატის რწმუნებულის სამმართველოში

გუშინ, სალამოს, გზათა სახ. კომისარიატის რწმუნებულის სამმართველოში ამხ. იაკუბოვის თავმჯდომარეობით შესდგა უწყება-დაწესებულებათა წარმომადგენლების თათბირი, რომელზედაც განხილული იქნა საკითხი მოტო-გადარბენის მონაწილეთა შეხვედრის შესახებ. თათბირმა მოისმინა საორგანიზაციო თათბირზე გამოყოფილ მუშ-კომისიის წარმომადგენლის მოხსენება ჩატარებული მუშაობის შესახებ.

მოტო-გადარბენის მონაწილეთათვის ბინა გამოყოფილია სამხედრო სკოლის შენობაში ავტო-კლუბის შენობაში მოწყობილი იქნება სახელოსნოები გადარბენაში მონაწილე მოტოციკლეტების შესაკეთებლად; გადარბენაში მონაწილეთა სასადილო მოწყობილი იქნება მუშათა ცენტრალურ კლუბში, სადაც გადარბენის მონაწილეთ სადილი მიეცემათ დაკლებულ ფასებში. მიღებულია ზომები, რათა გადარბენის მონაწილეთა გავლის დროს მოწესრიგებული იქნეს მოძრაობა როგორც თბილისის ქუჩებზე, ისე საქ. სამხედრო გზაზე. გადარბენის მონაწილეთათვის საექიმო დახმარების აღმოსაჩენათ ყაზბეგში, დუშეთში და მცხეთაში მოწყობილი იქნება საექიმო პუნქტები.

გადარბენის მონაწილეები თბილისში ჩამოვლენ 3 ან 4 აგვისტოს.

დასასრულ, არჩეული იქნა გადარბენის ხელის შემწყობი კომისია, რომელსაც დაევალა მუშ-კომისიის მიერ გამომუშავებულ ღონისძიებების გატარება და ყოველგვარი დახმარების აღმოჩენა გადარბენის მონაწილეთათვის კომისიაში არჩეული არიან ამხ. შ. ელიავა ლ. ქართველიშვილი, იაკუბოვი, გ. კუჭაიძე ლევანდოვსკი, ლ. აბაშიძე, ცურინოვი და სხ.

გადარბენის ხელის შემწყობ კომისიის პირველი სხდომა შესდგება გზათა კომისარიატის რწმუნებულის სამმართველოში დღეს ნაშუადღევის 2 საათზე.

საკავშირო სპარტაკიადას წინ

საზეიმო აღლუმი წითელ მოედანზე

საკავშირო სპარტაკიადის გახსნის დღეს 12 აგვისტოს, მოსკოვში წითელ მოედანზე გაიმართება წითელი არმიის პირველობის გათამაშების მონაწილეთა და მოსკოვის ფიზკულტურულ ორგანიზაციათა საზეიმო აღლუმი.

აღლუმს მიიღებს საკავშირო სპარტაკიადის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. ა. ენუქიძე. აღლუმის დამთავრების შემდეგ მონაწილენი გაეშურებიან მოსკოვის სტადიონებზე, სადაც დაიწყება ცილობა ფიზკულტურის სხვადასხვა დარგებში.

კარნავალი მდ. მოსკოვზე

სპარტაკიადის განმავლობაში მდ. მოსკოვზე გაიმართება დიდი კარნავალი, რომლის მიზანია დაჭაბუკული სეირნობა ნავებით გადააქციოს დიდ სახალხო დღესასწაულად. სეირნობის დაწყებისას რადიოთი გადაცემული იქნება კონცერტები სპეციალურად შერჩეული პროგრამით.

ვოროპიევის მთებზე გაიმართება აგრეთვე მასიური სეირნობა, რომლის დროსაც ყველა დამსწრეების მონაწილეობით დადგმული იქნება რევოლიუციონური ეპოპეია „საერთაშორისო ოქტომბერი“.

საბჭოთა კავშირის პირველობა სპორტთამაშობაში

სპარტაკიადის სპორტთამაშობათა მსაჯთა კოლეგიამ საბოლოოდ დააწესა საკავშირო პირველობის გათამაშების ადგილები და ვადები.

საბჭოთა კავშირის პირველობის გათამაშება ფეხბურთში დაიწყება 11 აგვისტოს. 19 აგვისტოს „დინამო“-ს ახალ სტადიონზე გაიმართება ფინალური შეხვედრება. ამ შეხვედრების დაწყებამდე გათამაშებული იქნება ფინალი ხელბურთში.

11 აგვისტოდან იწყება პირველობის გათამაშება კალათბურთში. ვაჟთა და ქალთა გუნდების ფინალური შეხვედრები ჩატარებული იქნება საბჭოთა-სავაჭრო მუშაკების სტადიონზე. სადაც შენდება სპეციალური ტრიბუნები მაყურებლებისათვის.

13 აგვისტოს დაიწყება საკავშირო პირველობის გათამაშება ტენისში და ვოლეიბოლში. ყველაზე საინტერესო შეხვედრები გაიმართება წითელი არმიის ცენტრალურ სახლის პარკში, სადაც ეწყობა 10 მოედანი და ტრიბუნები 1.000 კაცისათვის.

პირველობის გათამაშება ხელბურთში დაიწყება 14 აგვისტოს.

—:—

ოდესის გემთ-კავშირის მუშაკები ლენინგრადში და მოსკოვში

ამ დღეებში ლენინგრადს და მოსკოვს ეწვია ოდესის გემთ-კავშირის მუშაკთა პროფკავშირის ფეხბურთელთა გუნდი. რომელმაც თითო შეხვედრა ჩაატარა ორივე დედა-ქალაქში.

ორივე მატჩი ოდესის დამარცხებით დამთავრდა. მოსკოვში ოდესელებმა წააგეს 6:1, ხოლო ლენინგრადში 6:0.

რადიო-გადაცემა

პარასკევი, 27 ივლისი

დღეს, 27 ივლისს, თბილისის 4 კილოვატიან რადიო-სადგურიდან 1070 მეტრიან ტალღებზე გადაცემული იქნება:

მორზეს ანბანი—განმარტება რუსულ ენაზე.

მეცნიერებისა და ტეხნიკის მიღწევები — ქართულ ენაზე.

ბრძოლა დეფექტების აღმოფხვრისათვის კომუნისტების ყოფა-ცხოვრებაში—მოხს. რუსულ ენაზე.

ბოლშევიზმის 25 წლის იუბილე—პარტიის მეორე ყრილობა—მოხს. თურქულ ენაზე.

მორიგი გაწვევა წითელ არმიაში—მოხს. თურქულ ენაზე.

ტეხნიკური კონსულტაცია.

კანის ჰიგიენა—მოხს. თურქულ ენაზე.

საქ. გეოფიზიკური ობსერვატორიის ცნობები—ქართულ და რუსულ ენებზე.

კონცერტი ან ტრანსლიაცია.

ა.-კ. დეპეშათა სააგენტოს ინფორმაცია — ქართულ და რუსულ ენებზე.

მოხსენებების შუა—მუსიკალური ნომრები.

შრომის ბირჟაში

მოთხოვნილება მუშა ხელზე

დღეს, 27 ივლისს, თბილისის შრომის ბირჟა სამუშაოზე გასაგზავნათ იწვევს შემდეგი პროფესიის უმუშევართ:

კვალიფიციურ მუშათა პირველ სექციიდან: ევგენი გლადიშევს; აკაკი გოხაძეს; მატრონა ბიბილეიშვილს; ვლადიმერ გალიევს; ანტონინა პუკასის; გიორგი ბეჩკაშოვს; გერასიმე მელიქ ხოჯაევს; სისაკ ავაქიანს; სერგო სპრაშჩკოვს; სოფიო პაპიაშვილს; ჰაიკ ვართაპეტოვს; ელენე მელიქიშვილს; ნიკოლოზ ჭიაურელს. არტემ ღარიბოვს; გიორგი დოშოიანს სამსონ არუთინოვს; ივანე მამულაშვილს; ნიკოლოზ ტოპჩიანს; გიორგი ნოხაშვილს; მიხეილ ყარლაგოშვილს; ვ. სტეპანიანს; მარტიროს ოსაბეკიანს; დარო ჯაბაშევას; ნადეჟდა კირილოვას, სტეფანე მამასახლისაშვილს; პ. სტანისლავსკის; ელენე გრონენკოს და მარიამ ბეჟანოვას; **გონებრივ მუშაკთა სექციიდან:** გრიგოლ გაბაშვილს; ალისტრო მალაზონიას მიხეილ ბებიერიძეს; სიმონ კოპაძეს; ნიკოლოზ ცხვარაძეს, არსენ პეტროსიანს; გიორგი ნახუცრიშვილს; გიორგი რამიშვილს. გიორგი ქორელს, ბ. სუროპონიანს; არჩილ მაჩაბელს ივანე ხაჩატუროვს; თამარ ნადარეიშვილს გიორგი წეროშვილს; გიორგი სოგრატიანს გრიგოლ სუკნიაძეს. დავით ხითარიშვილს კონსტანტინე კალანდაძეს; გიორგი შაბუგალოვს; ვალენტინა ბეჟანოვას, ელენე ციტაიშვილს, ვერა ზრეგაძეს; გენადი გაჩეჩილაძეს პორფირე ნადარაიას; ოლღა შავლაძეს; თინა ჟორდანიას; მიხეილ ვინაგინს, ალექსანდრე მაღლაფერიძეს, ქეთო აზრუმელაშვილს; ლავრენტი ტულუშს; გიორგი ნახუცრიშვილს, ქეთევან ბუაჩიძეს. გორინა კრავჩენკოს, დავით გვარაძეს; გრიგოლ ჯანელიძეს; ოლია სანოვას ალექსანდრა ზარამიძეს; კონსტანტინე თუმანიშვილს. ალექსი ბოკუჩავას; გიორგი საფაროვს, მიხეილ გაბუნიას; ვლადიმერ მჭედლიშვილს. გარეგინ მადათოვს; რუბენ მირგოზოვს. მარიამ ლეხაურს, ანატოლ ტოგონიძეს არჩილ ოძელაშვილს და ელენე ავეტისოვას; **მშენებელ მუშაკთა სექციიდან:** ავდრო სარუხანოვს; ნერსეს სარუხანოვს; ავეტიქ ოგანეზოვს, ანტონ ასპეტიანს; გეორგ არუთინოვს; მიხეილ უნანოვს და სარქის არუთინოვს.

მეცნიერება და ტეხნიკა

აეროპლანი—მაშხალა

ჩვენს გაზეთში უკვე გვქონდა მოთავსებული ჩვენი ბერლინელი კორესპონდენტის რამდენიმე წერილი და აგრეთვე მთელი რიგი ცნობები იმ ცდების შესახებ, რომელსაც ცნობილი გერმანული საავტომობილო ფირმა—ოპელი აწარმოებს ასაფეთქებელ ნივთიერებათა აფეთქების ენერგიის გამოსაყენებლად საავტომობილო და საავიაციო მოტორების მუშაობისათვის ანუ ე. წ. „მოძრაობის რეაქციური პრინციპის“ პრაქტიკულად განსახორციელებლად. როგორც ჩვენმა მკითხველებმა იციან, ოპელის ფირმამ უკანასკნელი თვეების განმავლობაში ჩაატარა ორი დიდი ცდა ამ მიმართულებით: მოძრაობის ახალი პრინციპი გამოსცადეს ჯერ ავტომობილზე და შემდეგ რკინის გზაზე. როგორც ავტომობილ-მაშხალის ისე დრეზინა-მაშხალის გამოცდამ სავსებით დამაკმაყოფილებელი შედეგი გამოიღო და დაამტკიცა „რეაქციური პრინციპის“ განხორციელების სრული შესაძლებლობა.

ამჟამად ოპელის ფირმა მუშაობს „რეაქციური პრინციპის“ გამოყენებაზე ავიაციაში. უნდა აღინიშნოს, რომ ფირმის ცდებს ამ მიმართულებით არაფერი საერთო არა აქვს (ყოველ შემთხვევაში, ჯერ-ჯერობით) პლანეტთაშორისო მიმოსვლის პრობლემის გადაწყვეტასთან. ფირმა ისახავს უფრო ვიწრო პრაქტიკულ ამოცანას: ატმოსფერის ზედა-ფენების გამოკვლევას იმ მიზნით, რომ გამოირკვეს ასეთ სიმაღლის მიღწევის შესაძლებლობა აეროპლანებით. თუ ამ ცდებმა დადებითი შედეგები გამოიღო, ამით პრაქტიკულად იქნება გადაჭრილი ამოცანა სწრაფი და ადვილი მიმოსვლისა ევროპა—ამერიკას შორის: ატმოსფერის ზედა-ფენებში აეროპლანი შესძლებს გაფრენას 1.000 კილომეტრის სისწრაფით საათში და გადაფრენას ევროპიდან ამერიკაში მაშინ მოუნდება 3—4 საათი.



აეროპლანი მაშხალა: ზევით (მარცხნით კუთხეში)—გაფრენის დროს. ქვევით—შიგნითა მოწყობილობა

ამ ამოცანის გადასაჭრელად ოპელის ფირმასა და ცნობილ გერმანელ მფრინავ რააბს შორის დადებულია ხელშეკრულება ახალ სპეციალურ აეროპლან-მაშხალის აგების შესახებ ატმოსფერის ზედა-ფენების გამოსაკვლევად. მფრინავი რააბი ამ აეროპლანით გაფრინდება იმ მეტეოროლოგიური პირობების გამოსაკვლევად, რომელიც გამეფებულია 8—10 კილომეტრის სიმაღლეზე, ე. ი. ღრუბლების ზევით მდებარე ზონაში. შესაფერ დაკვირვებების მოხდენის შემდეგ რააბი გადმოხტება აეროპლანიდან და პარაშუტით დაეშვება მიწაზე. აეროპლანი კი მეორე პარაშუტის საშუალებით თვითონ დაბრუნდება უკან.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება № 48

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

სამაზრო აღმასრულებ. კომიტეტებისა და საქალაქო საბჭოების მიერ სავალდებულო დადგენილებათა გამოცემისა და ამ დადგენილებათა დარღვევისათვის ადმინისტრატიული წესით გადასახდელის დადების დებულების შეცვლის შესახებ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1927 წ. ივლისის 4-ის თარიღისა და 62 №-რის დადგენილებით დამტკიცებული სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტებისა და საქალაქო საბჭოების მიერ სავალდებულო დადგენილებათა გამოცემისა და ამ დადგენილებათა დარღვევისათვის ადმინისტრატიული წესით გადასახდელის დადების დებულების (კან. კრ. 1927 წ. მე-7 №-რი: მუხ: 100) 4, 17, 19, 22, 27, 33 და 40 მუხ. შეიცვალოს შემდეგნაირად:

მუხ. 4 სავალდებულო დადგენილება არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს საქართველოს სსრ ტერიტორიაზე მომქმედ კანონებს და აგრეთვე სახალხო კომისარიატების და ზემდგომ აღმასრულებელი კომიტეტების დადგენილებებისა, ინსტრუქციებისა და სხვა აქტებს, და არ უნდა იმეორებდეს აღნიშნულ აქტების შინაარსს.

მუხ. 17. ადმინისტრატიული გადასახდელის უკიდურესი რაოდენობა, რაც შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს სავალდებულო დადგენილებით, შემდეგია:

1. ტფილისის აღმასრულებელი კომიტეტისა და ტფილისის საქალაქო საბჭოსი და მათი პრეზიდიუმების სავალდებულო დადგენილებით:

ა) ქალაქ ტფილისისათვის — ჯარიმა ას მანეთამდე, იძულებითი მუშაობა ან დატუსაღება ერთ თვემდე;

ბ) სოფლებისათვის — ჯარიმა ხუთ მანეთამდე ან იძულებითი მუშაობა ერთ კვირამდე.

2. ყველა სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტისა, ტფილისის სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტის გარდა, სამაზრო ქალაქებისა და ქალ. ფოთისა, ჭიათურისა, ხაშურისა, ბორჯომისა და სამტრედიის საქალაქო საბჭოების და მათი პრეზიდიუმების სავალდებულო დადგენილებით:

ა) ქალაქებისათვის — ჯარიმა 50 მანეთამდე, იძულებითი მუშაობა ან დატუსაღება ორ კვირამდე;

ბ) სოფლებისათვის — ჯარიმა ხუთ მანეთამდე ან იძულებითი მუშაობა ერთ კვირამდე.

შენიშვნა. ამა მუხლში აღნიშნული ადმინისტრატიული გადასახდელის უმაღლესი ღონისძიება არა ვრცელდება ისეთ სავალდებულო დადგენილებებზე, რომლის დარღვევისათვისაც საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულია სხვა რამ გადასახდელი. ასეთ შემთხვევაში სავალდებულო დადგენილებაში ზედმიწევნით უნდა აღინიშნოს ის გადასახდელი, რაც გათვალისწინებულია სისხლის სამართლის კოდექსის სათანადო მუხლში.

მუხ. 19 უკეთუ ჯარიმის გადახდევინება შეუძლებელი იქნება (დამრღვევის ხელმოკლეობის გამო), ჯარიმა, იმ ორგანოს დადგენილებით, რომელმაც დაჯარიმება გადასწყვიტა, შეიძლება შეცვლილ იქნეს იძულებითი მუშაობით, იმ ანგარიშით, რომ ჯარიმის ყოველ ას მანეთზე მოდიოდეს ერთი თვის იძულებითი მუშაობა, ხოლო ამ მუშაობის ვადა, ყოველ შემთხვევაში, მე-17 მუხლით დადგენილ ფარგლებს არ უნდა აღემატებოდეს.

სოფლად ჯარიმა 3 მანეთამდე შეიძლება შეიცვალოს იძულებით მუშაობად ორ დღემდე, ხოლო ჯარიმა 3 მანეთიდან 5 მანეთამდე — იძულებით მუშაობად სამ დღემდე.

ჯარიმის შეცვლა დატუსაღებად არ შეიძლება.

მუხ. 22. იმ სავალდებულო დადგენილების დარღვევისათვის, რაც გამოცემულია სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტისა და მისი პრეზიდიუმის მიერ, ან ტფილისისა, ქუთაისისა და გორის საქალაქო საბჭოებისა და მათი პრეზიდიუმების მიერ, ადმინისტრატიულ გადასახდელს გადასწყვეტს სათანადო აღმასრულებელი კომიტეტის საადმინისტრაციო განყოფილების უფროსი, ხოლო იქ, სადაც ასეთი განყოფილება არ არსებობს,—სამაზრო მილიციის უფროსი. ფოთის საქალაქო საბჭოს და მისი პრეზიდიუმის მიერ გამოცემული სავალდებულო დადგენილების დარღვევისათვის ადმინისტრატიულ გადასახდელს გადასწყვეტს ფოთის მილიციის უფროსი. ქალ. ჭიათურისა, ხაშურისა, ბორჯომისა და სამტრედიის საქალაქო საბჭოების და მათი პრეზიდიუმების მიერ გამოცემული სავალდებულო დადგენილების დარღვევისათვის ადმინისტრატიულ გადასახდელს გადასწყვეტს სათანადო საქალაქო საბჭოს პრეზიდიუმი.

მუხ. 27. ოქმი სავალდებულო დადგენილების დარღვევის შესახებ წარედგინება, კუთვნილებისამებრ, იმ დაწესებულებას ან პირს, რომელსაც ამა დებულების 22 მუხლის თანახმად მინიჭებული აქვს ადმინისტრატიული გადასახდელის დადების უფლება; ეს დაწესებულება ან პირი საკითხს გადასახდელის დადების შესახებ გადასწყვეტს ადმინისტრატიული წესით ან წარმართავს საქმეს სასამართლო წესით განსახილველად, უკეთუ პასუხისმგებლობა სავალდებულო დადგენილების დარღვევისათვის გათვალისწინებულია სასამართლო წესით (მუხ. 9), ან, უკეთუ სავალდებულო დადგენილების დარღვევას თან სდევდა ისეთი ქმედობა, რისთვისაც დამნაშავემ პასუხი სისხლის სამართლის კოდექსით უნდა აგოს.

სოფლად, ამა დებულების 23 მუხლით გათვალისწინებულ პირობებში, ოქმი წარედგინება სათანადო სათემო აღმასრულებელ კომიტეტს.

შენიშვნა 1. უკეთუ სავალდებულო დადგენილებას დაარღვევს სამხედრო მსახური რომელიც მუშათა და გლეხთა წითელი არმიის რიგებში მსახურობს, ამა მუხლში აღნიშნული დაწესებულება ან პირი ოქმს გაუგზავნის სათანადო სამხედრო უფროსს; ეს უკანასკნელი მიიღებს სადისციპლინო ზეგავლენის საჭირო ღონისძიებას მუშათა და გლეხთა წითელ არმიის სადისციპლინო წესდების მიხედვით და გადასახდელის დადებას აცნობებს იმ ორგანოს, რომელმაც შეატყობინა მას სავალდებულო დადგენილების დარღვევა.

შენიშვნა 2. უკეთუ სავალდებულო დადგენილებას დაარღვევს მცირეწლოვანი ან არასრულწლოვანი 16 წლამდე, ოქმი გაეგზავნება არასრულწლოვანთა საქმეების კომისიას.

მუხ. 33. საჩივარი ადმინისტრატიული წესით გადასახდელის დადებაზე შეიტანება:

ა) უკეთუ სავალდებულო დადგენილება, რომლის დარღვევისათვისაც გადაწყვეტილია გადასახდელი, გამოცემულია სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტის ან მისი პრეზიდიუმის მიერ სათანადო სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმში;

ბ) უკეთუ სავალდებულო დადგენილება გამოცემულია თბილისისა, ქუთაისისა, გორის ან ფოთის საქალაქო საბჭოს ან მისი პრეზიდიუმის მიერ—სათანადო საქალაქო საბჭოს პრეზიდიუმში,

და გ) ყველა სხვა შემთხვევაში—სათანადო სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმში.

მუხ. 40. უკეთუ დადგენილების დამრღვევს ადმინისტრატიულ გადასახდელად ჯარიმა გადაეწყვიტა, მან სამისო თანხა უნდა შეიტანოს, სათანადო ქვითარის მიღებით, არა უგვიანეს ორი კვირისა დღიდან მისთვის გადასახდელის დადების შესახებ გამოტანილი დადგენილების გამოცხადებისა, იმ ადგილის სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტის საფინანსო განყოფილების სალაროში ან სათემო აღმასრულებელ კომიტეტში. სადაც დარღვევა მოხდა, ან—სადაც დამრღვევი სცხოვრობს.

ჯარიმის იძულებითი წესით გადახდევინება ძალდება ამა მუხლის 1 ნაწილში აღნიშნული ვადის გასვლისას და გადახდევინება მიიქცევა სავალდებულო დადგენილების დამრღვევის ქონებაზე, საერთო წესისამებრ.

ადმინისტრატიული წესით დადებული ჯარიმის იძულებით გადახდევინების დროს შეფარდებულ უნდა იქნეს—„გადასახადთა გადახდევინების დებულების“ (სსრკ კან. კრ. 1925 წ. 70 №-რი, მუხ. 518) 17, 18 და 21 მუხ.

ადმინისტრატიული წესით მუშა-მოსამსახურისა დადებული ჯარიმის იძულებითი გადახდევინება არ შეიძლება მიქცეულ იქნეს იმ სამუშაო ხელფასზე, რაც მუშა-მოსამსახურეს დაქირავებლისაგან ერგება.

24 მუხლში აღნიშნულ შემთხვევაში ფულის მიღების ქვითარს გასცემს ის თანამდებობის პირი, რომელიც ჯარიმას გადაახდევინებს.

II

გაუქმებულ იქნეს აღნიშნული დებულების 1-ლი მუხლის შენიშვნა.

III

წინადადება მიეცეს აფხაზეთის სსრ-ისა და აჭარისტანის ავტონომიურ სსრ-ის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს შეუთანხმონ თავიანთი დებულებანი სავალდებულო დადგენილებათა გამოცემის შესახებ სსრკ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახ. კომისართა საბჭოს ამა წლის იანვრის 4-ის დადგენილებას „ადმინისტრატიულ წესით ჯარიმის დადების შეზღუდვის შესახებ“ („იზვესტია“-ს, 1926 წ. მე-13 №-რი) და ამა დადგენილებას.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანის მაგ. ფ. მახარაძე.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ლ. ქართველიშვილი.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივნის მაგ. ი. ვარძიელი.

1928 წ. ივნისის 20.
ტფილისი—სასახლე.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

საქ. ლ. კომკავშირის თბილისის კომიტეტი იუწყება, რომ შაბათს, 28 ივლისს, სალამოს 5 საათზე საქ. ლ. კომკავშირის თბილისის კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილებაში (რუსთაველის პროსპექტი, № 20) შესდგება თბილისის კომიტეტის მიმღები კომისიის სხდომა. სავალდებულოა დაუგვიანებლად დასწრება კომისიის წევრების, და აგრეთვე იმ პირების, რომელთა ანკეტებიც უნდა დამტკიცდეს.

—:—

საქართველოს კომპარტიის (ბ) ცკას საარიცხვო-განმანაწილებელი განყოფილება ამხ. ნადირაძეს, მელქო ფილიევს და ივანე ცარციძეს სთხოვს გამოცხადდნენ საქართველოს კომპარტიის (ბ) ცკას საარიცხვო-განმანაწილებელ განყოფილებაში.

ქალაქის რაიონული კომიტეტი იუწყება, რომ პარასკევს, 27 ივლისს, სალამოს 6 საათზე ქალაქის აღმასკომში მოწვეულია ყველა დელეგატების და დიასახლისების სარაიონო კრება, ქალთა ორგანიზატორებთან და ქალთა კომისიების წევრებთან ერთად.

აღნიშნული ამხანაგები ამ დღეს თავისუფლდებიან პარტიულ კრებებიდან.

—:—

საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის მე-3 რაიკომის ბინაზე (მე-2 სართული) მოწვეულია მე-3 რაიკომის გაფართოებული პლენუმი მდივნებთან, უჯრედების ბიუროების წევრებთან და საფაბრიკო-საქარხნო და ადგილკომის ფრაქციებთან ერთად.

ყველას დასწრება სავალდებულოა.

ღრმად დამწუხრებულნი დედა ეკატერინე, მამა გრიგოლ, ძმა შალიკო, დაი თამარა, ბიცოლები და ბიძები—ციცვიძეები, ბიცოლა ნინა, ბიძაშვილი შურა და ბიძა იოსებ კობახიძეები, დეიდა ანასტასია, ბიძა აბროსი კიკოლაძეები და დეიდაშვილი მარო აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს მათთვის საყვარელი და დაუვიწყარი, მე-9 შრომის სკოლის მე-6 ჯგუფის მოწაფის

ყორყიკა ციცვიძის

გარდაცვალებას. გამოსვენება მოხდება 28 ივლისს, შაბათს, დღის 3 საათზე—გუბის ქუჩა № 34. სამოქალაქო პანაშვიდი 27 ივლისს სალამოს 6 საათზე. (ე)

განუსაზღვრელ მწუხარებაში მყოფი მშობლები—ილია პავლეს-ძე და ნიფიდო ზურაბის ასული, ძმები: ექ. სილოვან, ინჟ. ივანე, ალექსანდრე, პავლე, დები: ლიდა, ლუბა, ელენე და ქეთო, რძლები: ბაბუცა და ნინო, ძმისწულები: თამარ, ილუშა, მარო და აზა ნიკურაძეები, სიძე სავლე ქურციკიძე, ექ. ილია ჯაში ცოლშვილით ღრმა მწუხარებით აუწყებენ, ნათესავთ, მეგობრებს და ნაცნობთ, რომ 21 ივლისს ტრაღიკულათ დაიღუპა მათთვის უსაყვარლესი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრონომიული ფაკულტეტის სტუდენტი

შოთა ილიას-ძე ნიკურაძე

რომლის დაკრძალვა მოხდა ქალ. სამტრედიაში, 24 ივლისს.

ღრმად დამწუხრებულნი სერგო, ახიჩკა, თამრო და პავლიკა სარქისაშვილ-ები; ნიკოლოზ, ბარბარე, მიხეილ, ლიუსია და ივანე წინამძღვარიშვილები; ტასო და აპოლონ ბადაშვილები და ელენე და ვანო რცხილაძეები ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს, რომ ქალ. ზუგდიდში ა. წ. 25 ივლისს, ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ, უდროოთ გარდაიცვალა მათთვის საყვარელი და დაუვიწყარი

ტასიკო სარქისაშვილი

3132

სახქინმრეწვის კინოები

განთიადი — „სამი მუშკეტერი“ დუგლას ფერბენქსის მონაწილეობით.
საზაფხულო ეთერი — ხატვრული სურათი „გარდატეხილი ზამბახი“ დ. გრიფიტის დადგმა
საზაფხულო დარბაზი — ოსი ოსვალდ სურათში „ნინიშ“
საზაფხულო პალასი — კინო-რომანი „რობინზონ კრუზო“ 1 და 2 სირია ერთად
პროლეტარი ავლაბარი — ყაჩაღი არსენა

ანონსი ჩქარა „საყვარელი [illegible]“ და „პირველი დედაკაცი“ 0—47

მედსანშრომის კავშირის საზაფხულო კლუბი
დღეს, 27 ივლისს,
სიმფონიური კონცერტი
დირიჟორ ნ. ზ. ხეიფეცის ხელმძღვანელობით
ვიოლონზე დამკვრელ სოლისტ მ. კაპელნიცკის მონაწილეობით.
პროგრამაში: მიასკოვსკი, ლისტი, ბრუხი. დასაწყისი სალამოს 9 საათზე.
ცუდი ამინდი კონცერტს ხელს არ შეუშლის.
შემოღებულია მოწაფეთა ბილეთები.
ხვალ 28 ივლისს, კონცერტი საბჭოთა-სავაჭრო მუშაკების კლუბში. ნ. 1415

საქართველოს სარეწაო კოოპერაციის
კავშირის გამგეობა
აცხადებს, რომ ა. წ. ივლისის 29-ს, სალამოს 6 საათზე კავშირის სართავი ქარხნის შენობაში მოხდება საქართველოს სარეწაო კოოპერაციის კავშირის სისტემის ნადების და ამხანაგობების ნაწარმოების
გამოფენის საზეიმო გახსნა
გამოფენაში შესვლა უფასოა
ნ. 1431 გამგეობა

სახელმწიფო გამომცემლობა
სახელგამი
მოითხოვეთ ახალი წიგნები.

როგორ უნდა შევიდეს მუშა და გლეხი სამხედრო სკოლაში. გვ. 36, ფასი 30 კაპ.
გონჩაროვ-ვიქტოროვი — საუცხოო სამართალი (პიესა სოფლის თეატრებისათვის) გვ. 32. ფ. 20 კაპ.
ი. გომართელი — მაქსიმ გორკის ცხოვრება და შემოქმედება. გვ. 64, ფ. 35 კაპ.
ნბ. 1385

ქ. ონსა და მის რაიონში
გაზ. „კომუნისტ“-ზე
ხელისმოწერა და განცხადებები
მიიღება სახელგამის განყოფილებაში
ამხ. ს. ბერიშვილთან
5—1. მთავარი კანტორა

სრულიად საქართველოს სარეწაო კოოპერაციის კავშირის გამგეობა
ამით აცხადებს, რომ ა. წ. ივლისის 29-ს, დილის 10 საათზე, საქ. პროფკავშირების მცირე დარბაზში შესდგება „სარეწკოოპკავშირი“-ს
საბჭოს გაფართოებული
პლენუმის სხდომა
ნ. 1431 გამგეობა

მიხეილ გედევანიშვილის
[illegible]
სამკურნალო
საწოლებით
ელექტრონით და სინათლით სამკურნალო კაბინეტი
ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, ყორღანოვის ქ., № 20 25—1

ლოგოპედი
ტ. კაიშაური
ყოფილი გამგე მოსკოვის მეორე უნივერსიტეტთან არსებულ ლოგოპედიის კაბინეტისა
■ ასწორებს ■
ლოგოპათებს: ენაბლუებს, ენაჩლუნგებს, აფატიკებს და მეტყველების ყოველგვარ დეფექტებს
იღებს: სალამოს, 5—7 საათ.
მისამართი: კ. ცეტკინის ქუჩა № 132

ავტო-მიმოსვლა
„ზაკავტოპრომტორგის“ ქუთაისის განყოფილება

1) ქუთაისი—ონი: ყოველდღე დილის 9 საათზე	ფასი 10 მ.
2) ქუთ.—ონი—შოვი: ორშაბ., ოთხშაბ. და შაბათობ.	ფასი 15 მ.
3) ონი—ქუთაისი: ყოველდღე დილის 8 საათზე	ფასი 10 მ.
4) შოვი—ონი—ქუთაისი: სამშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით დილის 6 საათზე	ფასი 15 მ.
5) ქუთაისი—ბაღდადი: ყოველდღე 4-ჯერ დილის 7, 9, 13 და 16 სათზე.	ფასი 1—50 კ.
6) ბაღდადი—ქუთაისი: ყოველდღე 4-ჯერ დილის 7, 9, 13 და 16 საათზე	ფასი 1—50 კ.
7) ქუთაისი—ხონი: ყოველდღე 3-ჯერ 7, 9 და 15-30 წ.	ფასი 1—75 კ.
8) ხონი—ქუთაისი: ყოველდღე 3-ჯერ 7, 9 და 15-30 წ.	ფასი 1—75 კ.
9) ქუთაისი—წყალტუბო: ყოველდღე დილის 6, 8, 11, 15 და 19 საათზე	ფასი —95 კ.
10) წყალტუბო—ქუთაისი: ყოველდღე 7, 9, 12, 17 და 21 ს.	ფასი —95 კ.

გარდა ბილეთების ფასების მგზავრებს გადახდებათ მიზნობრივი გადასახადი, 5 მანეთამდე—05 კ., 10 მ.—10 კ. და 10 მ. ზევით—15 კ.
მანქანა გადის კანტორიდან წერეთლის ქ. № 9 (სახელმწიფო ბანკის პირდაპირ) დანიშნულ დროზე დაუგვიანებლად.
„ზაკავტოპრომტორგის“ ქუთ. განყოფილება.
ნ. 1389 3—1

ქალ. ლომბარდის სააუქციონო კამერა
აცხადებს, რომ კვირას 29 ივლისს, დილის 10 საათზე, მინკევიჩის ქ. № 12 ფინსახკომისადმი დავალიანებათა ასანაზღაურებლათ დანიშნულია
საჯარო ვაჭრობა
გაიყიდება ძმ. კარლინსკების ზეთის სახდელი და ხალვის ქარხანა მთელი მოწყობილობით. ნ. 1427

ქუთ. მე-2 უბნის სახ. სასამართლოს აღმასრულებელი
დ. აშორდია
ამით აცხადებს, რომ ის 31 ივლისს 1928 წელს დილის 11 საათზე საჯარო ვაჭრობით გაჰყიდის ანეტა ნესტორის ასული ჭეიშვილის ერთი ქვითკირის სახლს № 61 მდებარე ქ. ქუთაისში ბარათაშვილის ქუჩაზე, რომელიც შეიცავს ოთხ საცხოვრებელ ოთახს შუშაბანდის და სამზარეულოს, დახურულს კრამიტით, შეფასებულს 2000 მანეთად ბაგრატ ყოფილაშვილის ვალის დასაკმაყოფილებლად. ვისაც სურს საჯარო ვაჭრობაში მონაწილეობა მიიღოს, უნდა წარმოადგინოს ცნობები აღნიშნული 311 და 312 მუხ. ს.ს.ს.პ. კოდექსის და 10 პროც. საწინდარი. ნ. 1428

ზესტაფონის უბნის სახალხო სასამარ. აღმასრულებ.
ლ. ჭაჭიაშვილი
აცხადებს, რომ ის 31 ივლისს, დილის 10 საათ. [illegible] თის საჯარო ვაჭრობით გაჰყიდის ისიდორე დოლიძის ქონებას, სახლდობრ ოთხ ვაგონ, ე. ი. ოთხი ათას ფუთს კირს, შეფასებულს ფუთი 1 აბაზათ, დასაკმაყოფილებლად ბიქტორ ჩხიკვიშვილის შრომის ხელფასისა, თანახმად ხარაგოულის შრომის სესიის ა. წ. 26 დეკემბრის № 1361 აღმასრულებელი ფურცლისა. ნ. 1429

კავკავის
ქართულ სკოლას
ესაჭიროება
7 მასწავლებელი
1-ლი საფეხურისა, განცხადებების ვადა 10 აგვისტომდე. საჭიროა შემდეგი დოკუმენტები 1) ცნობი, 2) წლოვანება, 3) სტაჟი, 4) რეკომენდაცია. ჯამაგირი არა ნაკლებ 55 მან.—24 გაკვეთილში. მისამართი: Владикавказ, Грузинская школа. 3135

მათემატიკის
მასწავლებელი
ი. მაჩაიძე
ამზადებს
ქართულ და რუსულ ენაზე
უმაღლეს სასწავლებ., მუშფაკ., სპეც. ტეხნიკ., სამხედრ. აკად., 9 წლ. ყველა ჯგუფ. (რუსულსა და მათემატიკაში) საშემოდგომო მისაღებ და გამეორებითი გამოცდებისათვის, აგრეთვე 7 წლედისათვის ყველა საგნებში. პლეხანოვის ქ. 25 (შესავალი ჩერნიშევის ქ. № 5) 8—1 ს., 2—6 ს. ორ მოწაფეს ვღებულობთ სრულ კმაყოფაზე და ბინით. 6—1 2974

ექიმი
კ. ს. ფონ-ირტელი
სპეციალურად კურნავს საშარდე, სქესობრივ (სქესობრივი ულცერები, ვენერიულ (ტრიპერი) ავადმყოფობას, სიფილის და მის შედეგებს, კანისა და ქირურგიულ ავადმყოფობას (სიმსივნე, ბუსილი) ელექტრო-მკურნალობა და ოპერაციები.
ავადმყოფების მიღება დილ. 8ს. დღი 12 საათამდე და სალ. 4 ნახ. საათ.—7 საათამდე. ქალების მიღება დღის 10—12 საათამდე.
პლეხანოვის პროსპ. № 10

კბილის ექიმი
დ. ს. რიქინაშვილი
კბილების და პირის სნეულებათა მკურნალობა. პლომბები, კბილების უტკივნელოდ ამოღება, ყოველგვარი ხელოვნური კბილების ჩასმა. ავადმყოფთა მიღება: 10—3 საათ. და 5—7 საათ. სალ.—მისამართი: გრიბოედოვის ქუჩა № 34 რუსთაველის გამზირის კუთხე

თმის მკურნალობა
საექიმო-კოსმეტიკა, ელექტრო-სინათლით სამკურნალო კაბინეტი
ნ. გ. კანტოროვიჩისა
მიღებულია საზღვარგარეთიდან ახალი საშუალებები თმების სამკურნალოთ და ფერის მჭამელას, მუწუკების, ჭორფლის, ტალის, მეჭეჭის და სხვ. გასაქრობათ. ვაძლევ საექიმო რჩევა-დარიგებას პირის კანის მოვლის და თვითმასაჟის შესახებ საზღვარ-გარეთის მეთოდების მიხედვით. ფრეილინის ქ. № 1. პაციენტების მიღება 11-დან 3-მდე და სალამოს 6-დან 8 საათამდე. 25—1

დაკარგა: მზღვევთა კავშირიდან გაცემული წიგნაკი № 17555 ი. ნადირაძის სახელზე, ჩ. გ. 3136

დაკარგა: სიღარიბის მოწმობა, ანა არტემის ასულ ნასყიდაშვილის სახელზე, ჩ. გ. (უ)

დაკარგა: მუშკოოპის წიგნაკი № 3251 ათანასე ოუხაძის სახელზე, ჩ. გ. 3134

დაკარგა: ლომბარდის ქვითარი № 51924, ჩ. გ. 3128

დაკარგა: პირადობის მოწმობა მიხეილ ლეკსოს ძე ძურძუკის სახელზე, ჩ. გ. 3131

დაკარგა: ს.კ.პ. (ბ) საკანდიდატო ბარათი, გაცემული შორაპნის სამაზრო კომიტეტის მიერ, № 3 66 ანდრო დიმიტრის-ძე ლაშხის სახელზე, ჩ. გ. 3130

დაკარგა: კომპარტიის საკანდიდატო ბარათი № 2273, კავშირის წიგნაკი № 299 და სხვა საბუთები არტემ აკოფის-ძე სუკიასოვის სახელზე, ჩ. გ. 3 20

მთავლიტი № 904.
პოლიგრაფტრესტის მე-6-ე სტამბა, კამოს ქ. № 68.